



634

1977 წ. 20

ქველი ქართული ენის კათედრის

შ რ მ ე ბ ი

20







*Посвящается одному из основателей  
Тбилисского университета, заведующему кафедрой  
древнегрузинского языка профессору  
АКАКИЮ ГАВРИЛОВИЧУ ШАНИДЗЕ  
к 90-летию со дня рождения*

**Т Р У Д Ы**  
**КАФЕДРЫ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА**

**20**



მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფუძემდებელს,  
ძველი ქართული ენის კათედრის გამგეს  
პროფესორ აკაკი შანიძეს  
მისი დაბადების 90 წლისთავზე

ძველი ქართული ენის კათედრის  
შრომები

20

რ ე ლ ა ქ ე ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერს, ქართული ენათმეცნიერებისა და, საერთოდ, ქართული ფილოლოგიის პატრიარქს, პროფ. აკაკი შანიძეს შეუსრულდა 90 წელი. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის წევრები ბატონ აკაკის უძღვნიან კათედრის შრომების სპეციალურ ტომს, რომელშიც განხილულია ქართული ენის მნიშვნელოვანი საკითხები.

რედაქციის დაქინებითი თხოვნით აქ ქვეყნდება სახელოვანი იუბილარის ახალი გამოკვლევა.

რედაქტორი პროფ. ივანე იმნაიშვილი



შინაარსი

ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები . . . . .	7
ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობათის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში . . . . .	37
ქ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები . . . . .	53
რ. ენუქაშვილი, „პრედიკატული განსაზღვრების“ საკითხი ძველ ქართულში . . . . .	151
ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი. გამოკვლევა და ტექსტი . . . . .	165
ლ. კიკნაძე, შუალაზი კონტაქტის ფორმები ზეესტრულში . . . . .	233
მზ. შანიძე, უნჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის . . . . .	245
ზ. კუშბერიძე, კინოზოთი სახელები სვანურში . . . . .	249





ბაკაძე შანიძე

### იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები

როდესაც ა. ცაგარელი სინას მთაზე იყო წმ. ეკატერინეს მონასტერში 1883 წელს, მან ამ მონასტრის ქართულ სელნაწერთა შორის მოკლედ აწერა (71 ნომრად) კრებული, რომელსაც მან «წმიდათა ცხოვრებანი» უწოდა. ეს კრებული შეუმოსავს ანუ უდაში ჩაუსვამს ცნობილ მოღვაწეს სინას მთისას იოანე-ზოსიმეს 983 წელს (ხფპ წელს დასაბამითვან, ქართული სათვალავით ხგ ქრონიკონს). ამ კრებულის პირველ თავად დასახელებულია «წმ. ღმრთის მშობლისა შობაჲ»<sup>1</sup>.

იმევე სინას მთის მონასტერში 1902 წელს იყვნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი. უკანასკნელმა ზემოთ დასახელებული კრებული ვერცლად აწერა (მეექვსე ნომრად), ნაგრამ მისი აღწერილობა დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, კრებულის პირველი თავის სათაურია: «თქუმული ღმრთის მშობელისა შობისათჳს». იგი შოთავსებულია სელნაწერის 2r—12r გვერდებზე. ეს მეგლი ი. ჯავახიშვილმა მთლიანად გადმოწერა და იგი დაიბეჭდა მის «სინას მთის ქართულ სელნაწერთა აღწერილობაში» (გვ. 184—193)<sup>2</sup>.

ამ აპოკრიფულ ძეგლს ვაკვრით შეეხო ნ. მარი თავის «წინასწარ ანგარიშში» და მას უწოდა «პირველსახარება იაკობისი» (Первоевангелие Якова)<sup>3</sup>. მასვე ახსენებს მოკლედ კ. კეკელიძე<sup>4</sup>.

აღნიშნული სინას მთის ქართული სელნაწერი ვერცლად აწერა ქ. გარიტამაც<sup>5</sup> და შემდეგ მთლიანად გამოსცა მან მისი პირველი თავი «თქუმული ღმრთის მშობე-

<sup>1</sup> Православный палестинский сборник. Том IV, Выпуск первый, СПб. 1888, стр. 227. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. Выпуск второй, СПб. 1889, стр. 85.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ სელნაწერთა აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა. 1947, სელნაწერის აღწერილობა, გვ. 16—20, თვით აპოკრიფი, გვ. 184—193.

<sup>3</sup> Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель—ноябрь): Сообщения Импер. Православного Палестинского общества, т. XIV, ч. II, (1903 г.), стр. 20.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია I. 1951, გვ. 414.

<sup>5</sup> G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï. Louvain, 1956, pp. 15—26.



ლისა შობისათჳს», წაუმძღვარა მას გამოკვლევა და დაურთო ლათინური თარგმანი<sup>6</sup>.

გავიდა ხანი და აღმოჩნდა ამ აპოკრიფის ხანმეტი ნაწევრები ვენაში, სახელდობრ Oesterreichische Nationalbibliothek-ის ქართული კოლექციის № 2 (Georg. 2) ხელნაწერში, რომელიც ადრე გრ. ფერაძეს აეწერა<sup>7</sup>. ამ ხელნაწერის ათ პალიმფსესტურ ფურცელზე პირველი ნაწერი ყოფილა იაკობის პირველსაარების ტექსტის ნაწევრები, რომელთაც ენობრივად ხანმეტობა ახასიათებს. ეს ხანმეტი ნაწევრები გამოსცა, ლათინური თარგმანი და შენიშვნები დაურთო ბირმინგამელმა მეცნიერმა ჯ. ნ. ბერდლოლმა<sup>8</sup>.

ხანმეტი ნაწევრები მოთავსებულია პირვანდელი ხელნაწერის 6 ფურცელზე, რომელთაგანაც ოთხი (1, 2, 5, 6) გაკეცილია შუაზე და ახალი ხელნაწერის რვა ფურცელია მიღებული: 35-36, 68-67, 69, 66, 12-13), ორი კი (3, 4) ჩამოუჭრიათ თავში, ბოლოში და გვერდებზე და ახალი ხელნაწერის ზომაზე დაუყენებიათ.

პირველი ხელნაწერი ნაწერია ორ სვეტად. თვითეულ სვეტში 23 სტრიქონი ყოფილა, სვეტების ზომა ყოფილა 12 სმ×34.5 სმ. გაკეცილ გვერდებზე 11-12 სტრიქონია მოთავსებული, გაუკველზე კი — 16-17. ტექსტი ზოგან არ იკითხება ნაწერის გადარეცხისა თუ გადაღვეის გამო, ზოგან კი იმის გამო, რომ ფურცელი ჩამოუჭრიათ.

პირველი გაკეცილი ფურცლის გვერდებზე მოთავსებულია 8 ნაწევრები (1-8), მეორე გაკეცილისაზე აგრეთვე რვა ნაწევრები (9-16), მესამე გაუკველზე ოთხი ნაწევრები (17-20), ნეოთხე გაუკველზე აგრეთვე ოთხი (21-24), მეხუთე გაკეცილზე 8 ნაწევრები (25-32), მეექვსე გაკეცილზე აგრეთვე 8 ნაწევრები (33-40). ეს ნაწევრები მათი უკეთ ჩვენების მიზნით მე დაენომრე.

ფურცლების ჩამოჭრის გამო ნაწევრთა სტრიქონები ზოგი წინ არის დაზიანებული, ზოგი კი ბოლოს. სტრიქონთა დასაწყისები დაზიანებულია შემდეგ ნაწევრებში: 5-6; 13-14; 19; 23; 29-30; 37-38. სტრიქონთა ბოლოები დაზიანებულია შემდეგ ნაწევრებში: 3-4; 11-12; 22; 27-28; 35-36. J. N. Birdsall-ის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მას საკმაოდ დაზიანებული ტექსტი ჩანებულად გამოუცია სტრიქონ-სტრიქონ ფურცელთა სვეტების მიხედვით. სტრიქონებს ახლავს შენიშვნები და ტექსტის შედარებანი პირველსაარების სინურ (A) რედაქციასთან და ბერმნულ ტექსტთან, რომელიც გამოუცია ბოდმერის პაპირუსის (Bodmer papyrus-ის) ტექსტის მიხედვით E. de Strycker-ს<sup>9</sup>.

ამ გამოცემის მიზანია, მიაწოდოს მკითხველს ბერდლოლს მიერ გამოცემული ხანმეტი ტექსტი და უჩვენოს ხანმეტი ნაწევრების ადგილი იაკობის პირველსაარების ტექსტში. ამ მიზნით აქ პირველად მოცემულია ხანმეტი ნაწევრები იაკობის ქამისწირვისა ვენური ხელნაწერის მიხედვით, როგორც ის გამოუცია J. N. Birdsall-ს (მცირეოდენი შესწორებით), შემდეგ ამას მოსდევს მთელი ძველის ტექსტი სინური ხელნაწერის მიხედვით, რომელიც პირველად გამოსცა ი. ჯაეახიშვილმა და შემდეგ ქ. გარითმა. რომ ნათელი იყოს, თუ რა მსგავსება-განსხ-

<sup>6</sup> G. Garitte, Le „Protévangile de Jacques“ en géorgien: Le Muséum, LXII, 3-4, pp. 283-265.

<sup>7</sup> Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, 47 (1940).

<sup>8</sup> J. Neville Birdsall. A second Georgian recension of the Protevangeliem Jacob: Le Muséum 83, pp. 49-72. Louvain, 1970.

<sup>9</sup> E. de Strycker, La forme la plus ancienne du Protévangile de Jacques (Subsidia Hagiographica, 33). Bruxelles, 1961.

ვაეხება სინურისა (A) და ვენური (B) სელნაწერის ტექსტებს შორის, ორივე ტექსტის ერთგვარი ადგილები დაბეჭდილია პარალელურად (A—სინური სელნაწერის ტექსტი, B—ვენური სელნაწერის ტექსტი, ხანმოკლე).

ტექსტი დაყოფილია თავებად და მუსულებად, როგორც ეს გართის გამოცენაშია.

რამდენიმე შენიშვნა აქ გამოცემული ძეგლის შესახებ.

ფონეტიკის მხრივ აღსანიშნავია:

1) უმართებულო ხმარება *შ* ნიშნისა: ორმოც დღე და ორმოც დამშ 1,4; ერთმანეთს ენაცვლება საქმშ და საქმე (საქმშ იგა ადამსი 13, 1 AB, იგივე საქმე (საქმშ B) შემეხვება მე 13,1.

2) ერთსელ იკითხება «ცხოელ» (4,1A), სხვაგან კი ყველგან «ცხოველ»: 6,1 A; 13,3 AB; 15,3 AB; 15,4 AB; 19,3 A.

3) უი ჯგუფი ჩვეულებრივ ვ-თია გადმოცემული, მაგრამ გვხვდება უი-ც: აღხუწერო 17,1 B.

4) «შობა» ზმნის პირიან შეკუმშულ ფორმებში ყველგან ვ არის (მშვა, ვშვე, იშვა და სხვ.), გარდა ორი შემთხვევისა: შუა (მეშვდესა თუესა შუა ანა 5,2 A) და ხიშუეს (რომელი-იგი ხიშუეს შენგან 11,3 B).

5) უარყოფითი «არა» ნაწილაკი ერთსელ «არაჲ» ფორმით გვხვდება (არაჲ ვიცი, ეინაჲ არს 13,1 B).

6) «მწევალი» ძველ ქართულში ჭარბით იწერება. ჩვენს ძეგლშიც აგრეთ (მაგ., 2,2 A ორჯერ; 3,2 A), მაგრამ ერთგან «მხევალი» იკითხება (11,3 A). ჯაფახიშვილსაც და გართისაც აქ ხანით აქვს მოუყვანილი ეს სიტყვა (აღბათ კალმის შეცდომაა გადმოწერისას), B-ში კი ამ ადგილას «მწევალი» იკითხება.

7) ყვან ფუძისაგან ზოგჯერ «ყუან» გვაქვს B-ში: წარიყვანა 16,3; შეიყვანა 18,1; მაგრამ: წარიყვანა 15,2; წარგიყვანო 17,3; გარდამოიყვანა 17,3; მიიყვანეს 15,2.

8) საკუთარი სახელი «იოსებ» A-ში ყველგან «იოსებ» არის, B-ში კი ერთი-ნეორეს ენაცვლება იოსებ, იოსებ და იოსებ: იოსებ 13,3; 16,1; 17,2; იოსებს 14,1; 15,1; 16,2; იოსებ 13,2; 16,3; იოსებ 9,1; 9,2; 9,3.

9) კარაულსა (A), კარაულისა (A), კაპრაულსა 17,2 B, კაპრაულისა 17,3 B.

10) ებრაელთაგანისა A, შებრაელისა 18,1 B.

11) ტომთა დავითისთა 10 A, ტომისაგან დავითისა B.

12) ევაჲ 13,1 A, ევაჲ B.

13) შორის A, შოფრის B (9,1; 9,2; 11,1).

14) A-ში შეკუმშული ფორმა (სუდა 10, წილით მსუდა 19,1), B-ში კი შეუკუმშველი: სხუდა (10).

15) კრეტსაბმელი 10 A, კრეტსაბმელი B.

სახელთა ბრუნების მხრივ აღსანიშნავია:

1) საკუთარი სახელი ანა ერთსელ სახელობითში *ა*-ს დარბით არის ნახმარი (გალობდა ანა ვალობასა უფლისასა 6,3 A), სხვაგან კი ყველგან ანა არის: შეწუხნა ანა ფრიად 2,4; დადგა ანა 4,4; ანა, ცოლი შენი, მიუდგეს 4,2; ანა აწოებს 6,3 (ორჯერ), გამოვიდა ანა 6,3.



2) სასხე სიტყვის ვითარებითან ფორმა, რომელსაც მიმართულებითის მნიშვნელობა აქვს, სასხედ არის: შევიდა სასხედ თუსა 11,1 AB, წარვიდა სასხედ თუსა 10 AB, 12,2 A, მოვიდა სასხედ თუსა 12,3 A.

### ზ მ ნ ე ბ ი

1) ჰკითხვიდა 21,2 A. მოსალოდნელი იყო ჰკითხვიდა.

2) ხოლო უფალმან დაგიცვიან შენ 9,3 B. სწორი ფორმაა, მაგრამ ამის პირისპირ A-ში იკითხება: ხოლო შენ უფალმან დაგიცვიან, რაც შეუფერებელია, რადგანაც «დაგიცვიან» პირდ. ობიექტს მრავლობითში მოითხოვს: თქვენ დაგიცვიან.

3) A-ში იკითხება: მასწარაფობს (17,3); B-ში კი მასწარაფებს.

4) მოუწოდით ასულთა ებრაელთასა 7,2 A. «მოუწოდით» თავისი ფორმით მეოფადის თხრობითია, მაგრამ ის აქ ბრძანებითად მიდის (= მოუწოდეთ). ინიანი ფორმა (მოუწოდ-ით) იმით არის გამოწვეული, რომ წოდება ზმნაში ოდ არის და იგი ოდ-იან ზმნათა მსგავსად იკეთებს ფორმებს.

5) უმართებულოდ არის ნახმარი ჰ: ჰპოვეს 15,2 A (პოვეს B), ჰშვეს ძმ 14,2 A (B-ში შესატყვისი არ არის).

6) გავიდა ძებად 18,1 B, გამოვიდა ძიებად A.

ხანმეტ ნაწევრებში ხანი გვხვდება: ა) მე-2 სუბ. პირის ნიშნად, ბ) მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშნად და გ) ინიან ენებითში<sup>1</sup>.

1) მე-2 სუბ. პირი: სპოვე მაღლი 11,3; რად ეს ჰქმენ 15,3; 15,4; სშვე ძმ 11,2; დახივიწყე უფალი 15,3; რომელ წარსაყვანე 16,1; არა დახიმდაბლე თავი შენი 15,4; რადსათუს დახიმდაბლე სული შენი 15,3; ხამოთხვედ 15,3; საზრდელსა მოხილბდ 13,2; 15,3 (ამ ფორმაში ხ შეიძლება პირდ. ობიექტის ნიშნადაც გავიგოთ).

2) მე-3 ირიბ-ობიექტური პირი: სრქუა (მან მას) 9,2; 9,3; 10; 11,3; 13,3; 15,1; 15,3; 15,4 (ორჯერ); 17,2; 17,3; სრქუა (შენ მას) სახელი მისი იესუ 11,3 (აქ სუბ. პირი მეორეა და წინადადება ამას ნიშნავს: უწოდო სახელი მისი იესუ); მისხელა 17,2; მიმოდახხედვიდა 11,1; მისცემდა 9,1; ხასუა 16,2 (ორჯერ); მოხართუა 12,1; ხნებაგს 17,1; სუეო 9,2; მოხუწოდა 13,2; მოხუწოდეთ 10 (ფორმა ბრძანებითია, ხ ირიბი ობიექტის ნიშანია); განსუტევენა 16,3 (ფორმა სასხვისო ქცევისაა, მაგრამ მნიშვნელობა საარვისოსი აქვს); წარხუპყრა 17,2.

რად არს, რომელი ხუქმნიეს მას 15,2.

აღხასრულა დოცვა 9,1; ორ-პირიანი ფორმაა, მაგრამ ზმნა წარმოშობით სამ-პირიანია, «დაჰბადა» ტიპისა, რასაც მისი ენებითი აჩენს: აღხსრულა (13,1).

საინტერესოა პირველი სუბ. პირის შეხვედრა მე-3 ობიექტურთან: ხუ(ხედავ) 17,2; მისუხედუ ქუეყანასა 18,2; დასუფარო სირცხული შენი 17,3 (უკანასკნელი ზმნა ორპირიანია, მაგრამ იგი «დაჰბადა» ტიპისა უნდა იყოს და ამით ახსენება ხ ნიშნის ხმარება). აქვე შემოდის გარდაუვალი ზმნა მისუდგე (11,2), სადაც 1-ლი სუბ. პირის ნიშანი დაკარგულია მომდევნო უ-ს გამო.

<sup>1</sup> აღვიღებთ ჩვენებას აქ აღარ ვუჩვენებთ B-ს, რადგანაც თავის-თავად იკულისხმება, რომ აღვიღო ნაწევრება ხანმეტი ტექსტის მიხედვით.



ვ ნ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი : პრუფიქსიანი ვნებითი.

ე რ თ-პ ი რ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი.

1-ლი პირი: ნუუკუე სარცხუნელ ხუქმნე 9,2; აღსუწერო 17,1; ხუპოვო (განმცემელ) 14,1.

მე-2 პირი: ხიყო შენ კუროხუნელ 12,1; რომელი აღსაზარდე 15,3 (ამ ფორმებში ერთ-პირიანი ვნებითის ხანიც შეიძლება ვიგულისხმოთ, რომელიც ჩვეულებრივია 1-ლსა და მე-3 პირში).

მე-3 პირი: მსიარულ ხემენა 12,2; არა ხაპოვა მათ თანა ცოდვაჲ 16,2; რადაამცა ხიკურთხა 15,4; მოხიქცა 17,2; მოხიწიოს 9,2; და ხიყო ვჰაჲ იგი მისა მიმართ 11,1; ხიყო იგი 10; ზრახვა-ხიყო 10; რაოდენი-იგი ხიყოს ბეთლემს 17,1; აღსიტყუა 10; ხიშუეს 11,3.

ო რ-პ ი რ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი : ხესმა 11,2; 12,2; განხელო ქუყანაჲ 9,2; ხეწოდოს 11,3; შეხეშინა 14,1; აღხესრულა 13,1; ხეწამებოდე 15,1 (აქ ერთ ხ-ში შერწყმულია სუბ. ნიშანი მე-2 პირისა და ირიბ-ობიექტური ნიშანი მე-3 პირისა).

ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ი : დახუკვრდა 16,2.

უ ნ ი შ ნ ო ვ ნ ე ბ ი თ ი : ხხუედა 10 (=ხუდა A); უკუეთუ მე მიხუდგე 11,2; შეხუდგა 17,2.

გაუგებარია, რატომ არის ერთ შემთხვევაში შეაგინა (13,1) და მეორეში (შე)-ხაგინა (15,2).

ს ა თ ა ვ ი ს ო ქ ც ე ვ ი თ მ ი დ ი ს ზ მ ნ ე ბ ი : ხიტყებს 17,2; ხისარებს 17,2; ხილოცვიდა 9,1; განხიზრახვიდა 11,2.

ფორმა ვნებითი აქვს, მაგრამ გარდამავალია: ხიტყოდა 13,3; 15,3; ნუ ცილსა ხიტყუ 15,4. უკანასკნელ ფორმაში ხ შეიძლება მე-2 სუბ. პირის ნიშნადაც გავიგოთ.

სათავისო ქცევის ფორმებში, რომელთაც საარვისოს გაგება აქვთ, ხ არ გვხვდება ობიექტის ნიშნად: აღილო 9,1; წარილო 10 (ორჯერ); 11,1; მოილო 11,1; მოიქსენე (ბრძან.) 9,2; მან ივსნეს ერი თუხი 11,3; აღვიხილენ თუაღნი 18,2; ვიხაღე 18,2, მაგრამ ამათ პირისპირ გვაქვს: ხიც(ნ)ა (ველნი პირსა თუხსა) 13,1.

მეტად საინტერესოა, რომ ასპექტი A ტექსტში ძველი სისტემით არის გამოხატული, B-ში კი (ხანმეტში) — ახლით: არცა მე განგიკითხნე თქუნ A (XVI, 3) = არცაღა მე განგიკითხა ვ თქუნ B.

უღეტრებში აღსანიშნავია ზმნიზედები მარჯულ და მარცხლ, რომლებიც A-ში იკითხება (11,1) და რომელთა ნაცვლად B-ში არის მარჯუენით და მარცხენით.

ხინტაქსის თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი: მარიაჲს დაავიწედეს საედუმლონი იგი, რომელსა ეტყოდა (12,2). მოსალოდნელი იყო რომელთა ეტყოდა.

ლექსიკიდან ყურადღებას იპყრობს ხჷ უხუერუღისაჲ (2,4), რომელიც შეიძლება დაფნის ხეს აღნიშნავდეს, და მსხოვრი (8,2), რომლის მნიშვნელობა დასადგენია.



ს ა ნ მ ე ტ ი ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი <sup>1</sup>

1 (35r, სვ. 1)

- ძარსა მას ოისასა და  
 სილოცვიდა და ვა  
 აღხასრულა ლოცვა <sup>2</sup>  
 აღილო კუერთსები
- 5 იგი და გამოვიდა  
 და მისცემდა მათ  
 თითოეულად და  
 სასწაულ არარაჲ  
 გამოჩნდა მათ
- 10 შოფრის ს უკუა  
 ნაჲსკნელი იგი კუერთ

3 (35r, სვ. 2)

- დამარხვად (თავი)  
 სა შე(ნ)ისა მი(სუ)  
 გო იოსჭე და ს(რქო)  
 ჳა (ძე)ნი მისსე(ნ)
- 5 და მ(ე) მოხუც(ებო)  
 ჳლ ვარ და იგი ჳ(ა)  
 ბუკ არს ნუ(უ)  
 კუე საკიცხელ  
 სჯქმ(ნე ძ)ეთა შო(ვ)
- 10 რ(ი)ს იჭლისათა  
 სრქუა მღღელ(თ)

2 (36v, სვ. 1)

- (ხი მოიღ)ო იოსჭე და  
 აჰა ესერა ტრედი  
 გამოჳდა კუერთ  
 ხისა მისგან და
- 5 აღფრინდა იგი თავ  
 სა იოსჭეისსა სრქ  
 უა მღღელთ მოძ  
 ჳუარმან მან იო  
 სჭე(ს) შენდა სუე
- 10 დ(რებუ)ლა (ქ)  
 ა(ლ)წ(ული ესე ოის)აჲ  
 მიყვანებად და

4 (36v, სვ. 2)

- მოძღუარმა(ნ)  
 იოსჭეს გეშინ(ო)  
 დენ ოისა დისა (და)  
 მოიქსენე რაო(დე)
- 5 ნ სუყო ღნ (და)  
 თანს და კორე(ს)  
 და აბირონს (ვრ)  
 იგი განხელო ქო(ჯე)  
 ყანაჲ და შთა(ნთქ)
- 10 ნა ყოველნი სიტ(ყვს)  
 გებისა მისისათჳს(ს)  
 და აწ გეშინო(დენ)

<sup>1</sup> ქარავმისა და სხვა ნიშნები არ არის ნაჩვენები.<sup>2</sup> მოსალოდნელი იყო: ლოცვაჲ.

5 (35v, სვ. 1)

- (ი)ოსტყ ნუ  
 (უკ)უე მოხიწი  
 (ოს) ესე სახლსა  
 შენსა და შე  
 5 (ხეშ)ინა იოსტყს და  
 (წარი)ყუანა იგი  
 (და)სამარხვა  
 დ თავისა თვისისა  
 და სრქუა  
 10 მარიაჲს წარ  
 მოგიყუანე

6 (36r, სვ. 1)

- (შე)ნ ტაძრისაგან  
 (ოი)სა დისა  
 (და) აწ დაგიტევებ  
 (შენ) სახლსა შინა ჩემ  
 5 (სა) და მე წ(არვალ)  
 (შტნ)ებად და მო  
 (ვიდ)ე შენდა ხონ  
 (დავ)იცევიან შენ  
 (მე)რმე ზრახვა ხი  
 10 (ყო) მღდელთაჲ მათ  
 (და თ)ქუეს ვქმნე  
 (თ ჩ)ნ კრეთსაბ

7 (35v, სვ. 2)

- მელი ტაძრისათჳს  
 თისა და თქუა  
 მღდელთ მოძღუ  
 არმან მან მოხუ  
 5 წოდეთ ჩემდა ქალ  
 წულთა უბიწოთა  
 ტოჳმისაგან დავი  
 თისა და წარვი  
 დეს მსახურნი იგი  
 10 და გამოიძიეს და  
 პოვნეს შჳდნი ქალ

8 (36r, სვ. 2)

- წულნი და მო(ხეწ)  
 სენა მღდელთ მოძ  
 ლუარსა მას ყრმი  
 საჲ მარიაჲსი რ  
 5 ხაყო იგი უბიწოჲ დჲ  
 და წარვიდეს მსახო  
 რნი იგი და მო . . . ა  
 ( )ა  
 ( )და  
 10 (ხ)რქ(უა მღდე)ლთ  
 (მოძღუარმა)ნ  
 მ(ან) წ(ი)ლ (ხო)ჳგ

## 9 (68r, სვ. 1)

- დეთ ვინ სთას ოქროა  
 ესე და ამიატონი  
 და ბისონი და ნივ  
 თი შარისაჲ და ია
- 5 კინთჳ და მეწამუ  
 ლი ჭეშმარიტი ძოწე  
 ული და სხუედა  
 მარიაჲს ჭეშმარი  
 ტი იგი ძოწეული და
- 10 მეწამული და წარ  
 ილო და წავიდა სა  
 (ხედ თუსა დ)

## 10 (67v, სვ. 1)

- ა მას ქამსა შინა დადო  
 ჳმნა ზაქარია და  
 მღდულობდა მის წილ  
 სამოელ ვემდე
- 5 აღსიტყუა ზაქარია  
 ხ მარიაჲმ წარილო მე  
 წამული იგი და ძო  
 წეული და სთვიდა  
 და წარილო სარწყუ
- 10 ლი და წარვიდა ვსე  
 ბად წყლისა

## 11 (68r, სვ. 2)

- და ხიყო ჳმაჲ მისა მ(ი)  
 მართ და თქუ(ა)  
 გისაროდენ მად  
 ლითა სავსეო ოი შ(ენ)
- 5 თანა კურთხ(ე)  
 ულ ხარ შენ დედა  
 თა შოვრის და მ(ი)  
 მოდასხედვიდ(ა)  
 მარიაჲმ მარჯო(ჯე)
- 10 ნით და მარცხ(ე)  
 ნით ვინაჲძი ხ(ი)

## 12 (67v, სვ. 2)

- ყო ჳმაჲ იგი მ(ისა მი)  
 მართ და შე(ძრ)  
 წუნებული შეე(ი)  
 და სახედ თუსა (და)
- 5 დადგა სარწყო(ჯ)  
 ლი იგი და მოილ(ო)  
 ძოწეული და დ(აჯ)  
 და სავრძელთ(ა)  
 ზედა და სთვიდ(ა)
- 10 და აჰა ესერა ან(გე)  
 ლოზი ოჲ დადგა (წი)  
 ნაშე მისსა (და ხრქუა)

13 (68v, სვ. 2)

- (ნ)უ ვეშინინ მარიაჲმ  
 (რ)სპოვე მადლი წინა  
 (შე)ოისა და შენ მი  
 (ს)უდგე სიტყვათა  
 5 (წ)მიდითა მისითა  
 (ღ)ა ხშვე ძმ...  
 (და)ვა ხესმა ესე მარი  
 (ამ)ს განხიზრასვი  
 (ღ)ა გულსა თუსსა  
 10 (ღ)ა თქუა უკო  
 (ვე)თუ შე მისუდგე  
 (სიტყვათა ოისა ღისა)

14 (67r, სვ. 1)

- (ცხ)ოველისათა ვა  
 (ყო)ველმან დედაკა  
 (ცმ)ან შეის ეგრჭთ  
 (მ)ე ვშვეა და მო  
 5 (ვი)და მისა ანგელო  
 (ზი)ოა და სრქუა  
 (მ)ას არა ეგრე მარ  
 (ია)მ ად სული ოა მო  
 (ვი)დეს შენ ზედა და  
 10 (მა)ლი მადლისაჲ გუარ  
 (ვი)დეს შენ ამისთუს

15 (68v, სვ. 2)

- ცა რი იგი სიშუეს შენ  
 გან წმიდა ძე ღის სე  
 წოდოს და სრქუა  
 სახელი მისი იჲ რ მან  
 5 იჲსნეს ერი თუსი ცოდ  
 ვათაგან და თქ  
 უა მარიაჲმ აჲა ესე  
 რა მვევალი ოა წინა  
 შე მისსა მეყავნ  
 10 მე სიტყუსაებრ შენი(სა)  
 და შესთა ძოწეულ(ი)  
 (იგი შეწამული)

16 (67r, სვ. 2)

- და მოხართუ(ა)  
 მღდელსა მას და აკო  
 ჳრთხა იგი მღდელმან  
 მან და თქუა მა  
 5 რიაჲმ განადიდა სა  
 ხელი შენი ონ ღნ და სი  
 ყო შენ კურთხეულ  
 (ყო)ველსა შოფრის  
 ნათესაესა ქუეყა  
 10 ნისასა  
 და მხიარულ სიქმ

## 17 (83r, სვ. 1)

ნა მარიაჲ და წარ  
 ვიდა იგი ელისაბედისა  
 ნათესავისა მისისა  
 და დ(ახრე)კა (კარს)ა  
 5  
  
 10  
 15 ( ) აჰა  
 ესერა (რი ესე) არს ჩემ  
 თანა ვა ხესმა ჳმ  
 (აჲ)

## 19 (83v, სვ. 1)

(პოვა ი)იგი მიდ  
 (გომილ) სიც(ნ)ა  
 (ქელნი პირსა თუსს)ა...ა და  
 ( )მი თუსი  
 5 ( )მ თუ..  
 ( )სა და  
 ( )გი პირ  
 ( )ყანა  
 ( ) ძამ)ასა ზე  
 10 (და ტიროდ)ა მწა  
 (რედ და სიტყ)ოდა  
 (რლითა პირით)ა აღ  
 (ვიხილნე თუ)აღნი ჩემ  
 (ნი თისა მიმ)ართ  
 15 (დისა ჩემისა) ანუ  
 (რასა სჯლო)ცვიდე

## 18 (83r, სვ. 2)

ლოზი (ოჲ და აღიხილ)  
 ნა თო(ჯალნი თუსნი)  
 ზეცად (და თქუა)  
 თო ვინა(ა ღირს)

## 20 (83v, სვ. 2)

ვინმე არს რნ ქმნა  
 ესე ბოროტი სახლსა  
 შინა ჩემსა და შე  
 ავინა ესე ჩემ ზედა  
 5 აღხესრულა საქ  
 მც იგი ადამისი რ  
 ქამსა ოდენ გალო  
 ბისასა მოვიდა  
 გუელი იგი და პო  
 10 ვა ევჰაჲ მარტოჲ  
 და აცთუნა იგი  
 და იგივე საქმე შემე  
 მთხვა მე და აღდ  
 გა იოსებ ძაძისა  
 15 მისგან მოხუწო  
 და მარიაჲს დქ. რ



21 (86r, სვ. 1)

დე წმიდასა შინა წმი  
დათასა და საზრ  
დელსა მოსილებდ ქე  
ლისაგან ანგელოზი  
5 სა ხ მარია მ ტირო  
და მწარედ და სიღ  
ყოდა ვდ უბრა  
ლო ვარ მე და არა  
ვიცი მამაკაცი სრქ  
10 უა მას იოსებ (ვი)  
ნაჲ არს მიდგომი  
ლებჲჲ იგი შენი ხ  
მან სრქუა ცხო  
ველ (არ)ს თი ღი ჩემი რ  
15 წმიდა ვარ მე და არა  
ვიცი და შეხეშინა იო  
(სებს ფრ)იად და და  
(ღუმნა)

22 (86r, სვ. 2)

სვპო(ვო განმცემელ)  
სისხლი(სა უბრალოჲ)  
სა სა(შეგლად სიკუ)  
დილის(ა და რაჲმე)  
5 ვყო მ(ისთჳს ად იღუ)  
მალ გ(ანსუტეო ეგე)  
ჩემგა(ნ და მოხი)  
წია ღა(მწ და აჰა)  
ესერა (ანგელოზი თისაჲ)  
10 გამო(სეცხადა მას)  
ჩუენ(ებით და სრქ)  
უა (იოსებ ნუ გე)  
შინინ (მიყვანებად)  
ყრმი(სა მაგის რ)  
15 რლ ეგ(ე მაგის თანა)  
არს (სულისაგან)  
წმი(დისა არს)

23 (86v, სვ. 1)

(ბილისაგან) და ხა  
(დიდებდა ღა) იწლისა  
(სა რნ მოს(ც)ა მას  
(ესევეთარი) მად  
5 (ლი და სცვიდ)ა იგი  
(ქალწულსა) მას  
(და მოვიდა) ანა  
(მწიგნობარი) და  
(სრქუა ი)ოსებს  
10 (რახსა)თჳს არ  
(ა სეჩუენე კრებ)ო  
(ჳლსა ჩუენსა)  
(ხ მან სრქუა) მას  
(რ დავეშუერ) გზისა  
15 (მისგან და გან)ვისო  
(ჳენე დღე ერთ) ოდენ  
(და მისხედა ღა) იხი

24 (86v, სვ. 2)

შენ ხეწამებოდე უშ  
ჯულოებაჲ ქმნა  
ფრიად და სრქუა  
მას მღდელთ მოძ  
5 ღუარმან მან რაჲ  
არს რი სუქმნიეს  
მას ხ მან სრქო  
ჳა ქალწული იგი  
რ(ლ) წარიყუანა ტა(ძ)  
10 რისაგან თისა (შე)სა  
გინა იგი და პარვით  
ყო ქორწილი მისი  
და არა გამოხუც  
ხადა ძეთა (იწ)ლი(სა)  
15 თა მისუგო  
მღდელთ მოძღუარ  
მან მან იო(სებ)

## 25 (69r, სვ. 1)

- მსახურნი იგი და  
 პოვეს ეგრე ვა იგი  
 მან თქუა  
 და მიიყუანეს იგი  
 5 იოსების თანა გან  
 საკითხავსა მას  
 და სრქუა მღდელთ  
 მოძღუარმან  
 მან მარიამ რაჲ  
 10 (ს)ქმენ ესე რაჲსა  
 თვს დახიმდაბლე  
 (სული შენი) და დახი

## 26 (66v, სვ. 1)

- (ვი)წყე ოი ღი შენი რი  
 აღხიზარდე წმიდა  
 სა შინა წმიდათასა  
 და საზრდელსა მო  
 5 ხილებდ ქელისაგან  
 ანგელოზისა და  
 გესმოდა გალობაჲ  
 მათი და ხიმოთ  
 ხევედ წინაშე მათ  
 10 სა აწ რაჲ ესე სქმ  
 ენ ს იგი ტიროდა

## 27 (69r, სვ. 2)

- და სიტყოდა ცხო  
 ველ არს ოი ღი ჩემი  
 ვდ წმიდა ვარ მე წ(ი)  
 ნაშე მისსა და არ(ა)  
 5 ვიცი მამაკაცი  
 და იოსებს სრქუ(ა)  
 მღდელთ მოძღო(ვ)  
 არმან მან იოს(ებ)  
 რაჲ ესე სქმენ დ(ა)  
 10 მან თქუა ცხო  
 ველ არს ოი ღი ჩემ(ი)  
 და ცხებული მისი

## 28 (66v, სვ. 2)

- ვდ უბრალო ვა(რ)  
 მე მაგისგან  
 და სრქუა მა(ს)  
 მღდელთ მოძღუ  
 5 არმან მან ნო(ვ)  
 ცილსა სიტყვ ად  
 თქუ ჭეშმა  
 (რი)ტი პარვ(ით)

29 (69v, სვ. 1)

- (ი)შლისთა და არა  
დახმდაბღე თა  
ვი შენი ჭელსა ქუე  
(შ)ე მტკიცესა ღისასა  
5 რამცა სიკურთ  
(ხ)ა ნათესაფი შენი  
(ხ) იოსებ დუმნა  
(ხ)რქუა მას მდდ  
(ე)ლთ მოძღუარ  
10 (მ)ან მან მომეც  
(მე) ქალწული რლ  
(წ)არხიყვანე ტად

31 (69v, სვ. 2)

- იგი მდდელთ მოძღუ  
არმან მან და ხა  
სუა იოსებს და წარ  
აელინა იგი უდაბ  
5 ნოდ და მოვიდა  
იგი ცოცხალი  
და ხასუა მარიამს  
ცა და წარაფლინა  
მთად კერძო და  
10 მოვიდა იგი ცოცხა  
ლი დახუკვრდა  
ყოველსა მას ერ(სა)

30 (66r, სვ. 1)

- (რ)ისაგან ოისა  
(დ)ა ცრემლოვოდა  
(ი)ოსებ და თქუა  
მდდელთ მოძღლო  
5 (ვ)არმან მან გა  
სუა თქუენ  
წყალი იგი მხი  
(ლ)ებისაჲ ოისაჲ და

32 (66r, სვ. 2)

- რ არა სიბოვა მათ  
თანა ცოდვაჲ  
და თქუა მდდელთ  
მოძღლარმან  
5 მან უკუეთუ  
ონ ღნ არა გამო  
აცხადა ცოდვაჲ  
თქუენი არცა  
და მე განგიკითხავ  
10 თქუენ და გან  
სუტევენა იგინი

## 33 (12r, სვ. 1)

და წარიყვანა მარი  
 ამი იოსებ და წარ  
 ვიდა ვანად თვსა  
 სიხარულით და ხა  
 5 დიდებდა ლა იშლისა  
 სა ბრძანებაჲ გა  
 მოჴდა აგუსტოს  
 კეისრისაგან აღ  
 წერად ყოველისა რა  
 10 ოდენი-იგი ხიჴოს ბეთ  
 ლემს ჰურიასტანი  
 სასა და თქო

## 34 (13v, სვ. 1)

ჯა იოსებ მე აღსუი  
 წერო ძეთა ჩემთა  
 თანა ხ ქალ(წ)უ  
 ლი ვრმე ვყო ა  
 5  
 იშლისათა  
 10 რ არა (მივ)ის ასული  
 და თქუა ესე (არს)

## 35 (12v, სვ. 2)

დღჳ ოჲ და ყავ(ნ ვა)  
 ხნებაჲს და და(ხუსს)  
 ნა კაპრაულსა (თვსსა)  
 და წარსუბყრ(ა იო)  
 5 სეჲ წინაშე მისს(ა)  
 დ: შესუდგა სა(მო)  
 ველ ძჳ მისი და (მი)  
 ხიწინნეს იგინი მ(ე)  
 სამესა მილიონს(ა)  
 10 და მოხიქცა იო(სეჲ)  
 და იხილა მარ(იამ)  
 მწუხარედ (და)

## 36 (13v, სვ. 2)

თქუა ვინ ო(ჴწ)  
 ყის რლ იგი არს მ(ის თა)  
 ნა ხაიძულე(ბს)  
 მას.. და მისს(ედა)  
 5 მერმე და იხი(ლა)  
 მხიარულად (იგი)  
 და ხრქუა (მას მარი)  
 (ამ რაჲ) არ(ს)  
 ( )დ( )  
 10 ( ) ოდეს)  
 ნე მხი(არულსა და)

37 (19v, სვ. 1)

ოდესმე მწუხა  
 (რეს)ა და თქუა  
 (მარ)იამ რ ორსა ხუ  
 (სედ)ავ ერთსა რ  
 5 (ტირ)ს და სიტყებს  
 (და ე)რთსა რ ზიხარებს  
 (და მ)ხიარულ არს  
 (და მის)იწინეს გზასა  
 (მა)ს საშოვალ და  
 10 (სრ)ქუა მას მა  
 (რე)ამ იოსებ გარ  
 (და)მსუ კაპრაუ

39 (12v, სვ. 2)

ქუაბი ერთი და შე  
 იყუანა იგი მუნ  
 და დაადგინა მის  
 ზედა ძენი მისნი  
 5 და გავიდა ძებად ყრ  
 მისა აღმქუმელი  
 სა ჰებრაელისა სო  
 ფელსა მას ბეთლემი  
 სასა მე იოსებ  
 10 ვიდოდე და აღვიხი  
 ლენ თუალნი ჩემნი  
 სიმრგულესა ცის(ა)

38 (13v, სვ. 1)

(ლისა) ამისგან  
 (რ)ლ ესე არს ჩემ თანა  
 (მას)წრაფებს მე გა  
 (მო)სლვად და გარ  
 5 (დამ)ოიყუანა იგი  
 (მიე)რ და სრქუა  
 (მას) ვე წარგიყუა  
 (ნო) შენ და დახუთა  
 (რო სი)რცხული შენი  
 10 (რ ადგილ)ი ესე უდაბ  
 (ნო არს) და პოვა

40 (13r, სვ. 2)

სა ზა და ვიხილე სიმ(რ)  
 გულმ ცისაჲ მდგო  
 მარტ და აღვიხი  
 ლენ ჰაერთა ზედა  
 5 და ვიხილენ ჰაერნი  
 განკვრეებულნი  
 და მფრინველნი ცისა  
 ნი დაყუდებულნი და  
 მისუხედე ქუეყა  
 10 ნასა და ვიხილე ვა  
 რცლი ერთი მდგო  
 (მარტ )



## A

## თქუმული ღმრთისმშობელისა შობისათჳს

## I

1. ახილვასა მას ათორმეტთა ტომთასა იყო იოვაკიმ მდიდარ ფრიად და შესწირვიდა მსხერპლთა მრჩობლთა და იტყოდა გულსა თჳსსა: «იყოს ნამეტნავი უფროდს ყოვლისა ერისა, მოტევებისა ჩემისაჲ უფლისა მიერ ღმრთისა ჩემდა საღმრთებელად».

2. და მოახლებულ იყო ღღმ იგი უფლისაჲ დიდი, და შესწირვიდეს ძენი ისრაჲლისანი შესაწირავსა მათსა. და აღუდგა წინაშე პირსა მათსა რუბენ და ჰრქუა იოვაკიმს: «არა ჯერ-არს შენდა პირველად შესწირვად შესაწირავისა შენისა, რამეთუ მკვდრი არა აღვიდგინებებს ისრაჲლსა შორის».

3. და შეწყუნა იოვაკიმ ფრიად ამის სიტყუსათჳს და მოჰვლიდა იგი ათორმეტთა ტომთა ერისა თჳსისათა და იტყოდა იოვაკიმ გულსა თჳსსა: «წარვიდე და ვიხილნე ტომნი ერისა ჩემისანი, უკუეთუ მე ხოლო მარტოსა არა აღმიდგინებებს მკვდრი ერსა შორის». და გამოკითხნა ყოველნი მართალნი. და აღუდგინა ყოველთა მკვდრი ისრაჲლსა შორის. და მოიჯსენა მათ მამათმთაერისა<sup>1</sup> აბრაჰამისი, რამეთუ უკუანაძსენელთა დღეთა მოსცა მას ღმერთმან ძმ თჳნი ისაი.

4. და შეწყუნა იოვაკიმ ფრიად და არა ერუენა ცოლსა თჳსსა. მიიქცა<sup>2</sup> პირი თჳსი და წარვიდა უდაბნოდ და აღჰმართა კარავი მისი მუნ და იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე<sup>3</sup>. და იტყოდა იოვაკიმ გულსა თჳსსა: «არა გარდავიდე მე არცა ჭამად არცა სუმად, ვიდრე არა მომხედოს მე ღმერთმან ჩემმან, და იყოს გული ჩემი საჭმელ და სასუმელ ჩემდა».

## II

1. ხოლო ცოლი მისი ორსა გოდებასა გოდებდა: «ვეგოდებ ქურიეობასა ჩემსა და ვეტყვებ უშვილობასა ჩემსა».

2. და მოიწია ღღმ იგი უფლისაჲ დიდი, და ჰრქუა ივთინა მწვეალმან მისმან: «ვიდრემდე დაგემდაბლოს თავი შენი? აჰა ესერა მოიწია ღღმ იგი უფლისაჲ დიდი და არა ჯერ-არს შენდა გლოვაჲ; რამეთუ რომელი მომცა მე დედოფალმან საქმისათჳს სასყიდლად ჩემდა, არა ჯერ-არს დაბურვად, რამეთუ მწვეალი ვარ შენი, და მას ხატი აქუს სამეუფოჲ; შენდა ჯერ-არს იგი».

3. ჰრქუა მას ანა: «განმეშორე ჩემგან; ესე არა მიყოფიეს, და უფალმან ღმერთმან დამამდაბლა მე ფრიად, ნუუკუე ზაკუევით ვინმე მოგცა შენ და მოხუელ ზიარ».

<sup>1</sup> მამადმთაერისა. <sup>2</sup> მოსალოდნელი იყო: მიიქცა. <sup>3</sup> ღამე.

A

ყოფად ცოდვისა შენისა». ჰრქუა მას იეთინა მეველმან მისმან: «ღმერთმან დაჰქ-  
მა საშობა შენი და არა გცა ნაყოფი მუცლისა შენისაჲ ისრმლსა შორის».

4. და შეწყუნა ანა ფრიად და ვანიძუარცა სამოსელი იგი საგლოელი და შეი-  
მოსა სასძლოდათა. და ქამსა ოდენ მეცხრესა შთავიდა სამოთხესა თვისსა და იხილა  
ხმ ერთი უზურულისაი და დაჯდა მას ქუეშე და ევედრებოდა იგი უფალსა და  
იტყოდა: «ღმერთო მამათა ჩუენთაო, მაკურთხე მე და ისმინე ევედრებასა ჩემსაჲ  
ვითარცა აკურთხე საშობა სარამსი და მიეც კმ მისი ისაკი».

III

1. და აღიხილნა თუაღნი თვისნი ანა და იხილა ბუღმ ერთი სირისაჲ ხესა მას  
ზედა, რომელსა ქუეშე ჯდა იგი, და ჰგოდებდა თავსა თვისსა და იტყოდა: «ვამ მე,  
ვინ მშვა მე, ანუ რომელმან საშობან მიტვრთა მე, რამეთუ მე ხოლო მარტომ  
საწყევარ ვიქმენ ძეთა შორის ისრამლისათა? მაყუედრეს და შეურაცხ-მევეს მე,  
და გამოყედ ტაძრისაგან უფლისა ჩემისა».

2. ვამ მე, ვის ვემსგავსე მე? ვერცა ვემსგავსე მე მფრინველთა ცისათა, რა-  
მეთუ მფრინველნიცა ნაშობიერ არიან წინაშე შენსა, უფალო, ვამ მე, ვის ვემსგავ-  
სე მე? ვერცა ვემსგავსე სირთა ქუეყანისათა, რამეთუ სირნიცა ნაყოფიერ არიან  
წინაშე შენსა, უფალო.

3. ვამ მე, ვის ვემსგავსე მე? ვერცა ვემსგავსე წყალთა ქუეყანისათა, რამეთუ  
წყალნიცა ნაყოფიერ არიან წინაშე შენსა, უფალო. ვამ მე, ვის ვემსგავსე მე? ვერ  
ვემსგავსე პირუტყუთა საცხოვართა, რამეთუ პირუტყუნიცა ნაშობიერ არიან წინა-  
შე შენსა, უფალო. და რამეთუ დღეღანიცა იგი ზღუსანი დაწყნარებულ არიან, და  
იმღერიან თევზნი მას შინა და შენ გაკურთხევენ, უფალო. ვამ მე, ვის ვემსგავსე მე?  
ვერ ვემსგავსე მე ქუეყანასა, რამეთუ ქუეყანაცა მოართუამს ნაყოფსა ქამსა  
თვისსა და შენ გაკურთხევს უფალსა».

IV

1. და ამა ესერა ანგელოზი უფლისაჲ წარმოუდგა და ჰრქუა მას: «ანა, შეის-  
მინა შენი უფალმან ღმერთმან და მოხედვა-ყო ევედრებასა შენსა; რამეთუ მიუდგე  
და შეე შენ, და ითქუმოდეს ნათესავი შენი ყოველსა ქუეყანასა და ყოველსა სო-  
ფელსა». და თქუა ანა: «ცხოედ არს უფალი ღმერთი ჩემი უკუნისამდე, უკუეთუ  
ვმევე ქალი ანუ წული, მოვჰგუარო<sup>1</sup> იგი ნიჭად უფალსა ღმერთსა ჩემსა და იყოს  
იგი მისა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა».

2. და ამა ესერა ორნი მოციქულნი მოვიდეს და ჰრქუეს ანას: «იოვაკიმ,  
ქმარი შენი, მოეაღს სამწყსოსა თვისსა თანა». რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ მო-  
ვიდა იოვაკიმისა და ჰრქუა მას: «იოვაკიმ, იოვაკიმ, შეისმინა უფალმან ევედრებაჲ  
შენი; გარდაგულე ამიერ, რამეთუ ანა ცოლი შენი მიუდგეს და შვეს».

<sup>1</sup> მოჰგუარო.

## A

3. და გარდამოვიდა მიერ მათი იოვაკიმ და მოუწოდა მწყემსთა თვისთა და ჰრქუა მათ: «მომგუარენით აქა ათორმეტნი ტარიგნი უბიწონი, და იყენენ ათორმეტნი იგი უფლისა ღმრთისა ჩემისა; და მომგუარენით მე ათორმეტნი ზუარაკნი უბიწონი, და იყენენ ზუარაკნი იგი მდღელთათჳს და მოხუცებულთა, და ასი ვაცი ყოვლისა ერისათჳს».

4. და აჰა ესერა იოვაკიმ მოვიდოდა სამწყესოსა თჳსსა თანა; დადგა ანა წინაშე ბჭეთა თანა და იხილა იოვაკიმ მწყემსთა თჳსთა თანა მომავალი, მიეგებგოდა ანა და მოესზა ქედსა მისსა და ჰრქუა მას: «აწ უწყი, რამეთუ უფალმან ღმერთმან მაკურთხა მე ფრიად, და აწ ესერა ქურივი და უშვალომ არღარა ვარი მე». და განისუენა იოვაკიმ სიხარულით სახლსა შინა თჳსსა»<sup>5</sup>.

## V

1. და ზვალის დღე შესწირვიდა შესაწირავსა თჳსსა იოვაკიმ, რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა: «უკუეთუ უფალმან ღმერთმან მიღხინა მე, ჰეპელი იგი მდღელისაჲ მის გამომეცხადენ მე». და ვითარ შესწირვიდა შესაწირავსა თჳსსა იოვაკიმ, მიხედა და იხილა ჰეპელი იგი მდღელისაჲ. და აღწდა იგი საკურთხეველსა უფლისასა, და არა იხილა ცოდვაჲ თაფისა თჳსისა თანა და თქუა იოვაკიმ: «აწ უწყი რამეთუ უფალმან ღმერთმან მიღხინა მე და მომიტყენა მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი». და გარდამოვიდა ტაძრით უფლისაჲთ განმართლებული და შევიდა სახლსა თჳსსა.

2. და აღივსნეს ექუსნი თუენი, და მეშჳდესა თუესა შუა ანა. და ჰრქუა ყრმისა აღნიქუმელსა მას: «რამ ცმეე?» და მან ჰრქუა მას: «ქალი». და თქუა ანა: «განდიდნა სული ჩემი დღესა ამას». და მიაწვირა ყრმაჲ იგი. და ვითარცა აღივსნეს დღენი იგი, განიბანა შობიერობისაგან მისისა და მისცა ბუძუჲ<sup>6</sup> ყრმასა მას და უწოდა სახელი მარიამ.

## VI

1. ხოლო დღითი დღედ განმტყაცნებოდა ყრმაჲ იგი; და ვითარ იყო იგი ექუსის თჳს, დაადგინა იგი ქუეყანასა ზედა ღეღამან მისმან გამოცდად, უკუეთუ დგეს ვითარ. და აჰა შჳდ გზის წარდგა ფერჯი და მოვიდა დედისა თჳსისა თანა, და აღიტაცა იგი დეღამან თჳსმან და თქუა: «ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, არღარა დასდგა ფერჯი შენი ქუეყანასა ზედა ვიდრე მიყვანებაჲმდე შენდა ტაძრად უფლისა». და მოუწოდა ასულსა ებრაელსა, რამთა ამღერებდეს ყრმასა მას.

2. და ვითარ იყო ყრმაჲ იგი წელიწდის ერთის, ყო პური დიდი იოვაკიმ და მოუწოდა მდღელთ მოძღუართა და მდღელთა და მწიგნობართა და მოხუცებულთა და ყოველსა ერსა ისრაელისსა, და მოიყვანა იოვაკიმ წმიდაჲ მარიამ წინაშე მდღელთ მოძღუართა და მდღელთა. და აკურთხეს იგი და თქუეს: «ღმერთო მათ

<sup>5</sup> თჳსა.

<sup>6</sup> ბუძოჲ.

## A

მათა ჩუენთაო, აკურთხე ყრმაჲ ესე და მიეც ამას სახელი სახელოვანი საუკუნოდ  
 ეოველთა შორის ნათესავთა». და თქუა ეოველმან ერმან: «ამენ». და მიიყვანეს  
 იგი წინაშე მღდელთა, და მათცა აკურთხეს იგი და თქუეს: «ღმერთო მამათა ჩუ-  
 ენთაო, მოიხილე ყრმასა ამას ზედა და აკურთხე ესე კურთხევითა სულიერითა რო-  
 ნელსა მსხოვერი არა აქუს».

3. და აღიქუა დედამან მისმან იგი სიწმიდისა მისგან სასუენებელისა და მის-  
 ცა ძუძუი ყრმასა მას და ვალობდა ანაჲ ვალობასა მას უფლისასა და თქუა: «ვა-  
 ებდე ვალობათა უფალსა ღმერთსა ჩემსა, რამეთუ მომხელა მე და მოსპო ყუედრე-  
 ზაჲ ჩემი მტერთაგან ჩემთა და მომცა მე ნაყოფი სიმაართლისაჲ. ვინ უთხრას ძე-  
 თა ისრაჲლისათა და ბეთა რუბენისთა, ვითარმედ ანა აწოებს ყრმასა? ისმინეთ  
 ათორმეტთა ტომთა, რამეთუ ანა აწოებს». და მიაწვინა იგი სასუენებელსა სიწ-  
 მიდისასა. და გამოვიდა ანა და მსასურებდა მათ. და ვითარ ოხვანი ევეს სერო-  
 ბისაჲ მას, გამოვიდეს იგინი მსხარულნი და აღიდებდეს ღმერთსა ისრაჲლისასა.

## VII

1. ხოლო ყრმასა მას შეეძინებოდეს თუენი მისნი. და ვითარცა იყო ყრმაჲ  
 იგი ორის წლის ოდენ, ჰრქუა იოვაკიმ ცოლსა თვსსა: «აღვიყვანოთ ყრმაჲ ესე  
 ტაძრად უფლისა და მივსცეთ უფალსა აღნათქუემი ჩუენი, რომელ აღუთქუთ მას,  
 ნუუკუე მოავლინოს ჩუენ ზედა უფალმან ძიებაჲ აღნათქუემისა ჩუენისაჲ და უწი-  
 რავ იყოს შესაწირავი ჩუენი». ჰრქუა ანა: «ვჰვებდეთლა მესამედ წლადმდე, რაჲ-  
 თა არა ეძიებდეს ყრმაჲ ესე მამასა გინა დედასა». და ჰრქუა იოვაკიმ: «ამენ, იყავნ  
 ვგრე».

2. და ვითარ იყო ყრმაჲ იგი სამის წლის, ჰრქუა იოვაკიმ ცოლსა თვსსა «მოუ-  
 წოდით ასულთა ებრაელთასა უბიწოთა, და აღიღონ თითო სანთელი, და იყავნ  
 აღნთებულ, და წინა-უძლოდიან, რაჲთა არა ვარე-უკუნისილოს ყრმამან ამან და  
 წარაყვანოს გონებაჲ თვისი ტაძრასაგან უფლისა». და მიიქუა იგი მღდელთ მოძ-  
 ლუარმან და ამბორის-უყო მას და აკურთხა იგი და თქუა: «ჰ მარიაჲ, ვანდიდა  
 უფალმან სახელი შენი ეოველსა შორის ნათესავსა, რამეთუ უკუნანაკუნელთა დღე-  
 თა გამოიუცხადოს ღმერთმან მკსნული ძეთა ისრაჲლისათა».

3. და დასუა იგი მესამესა აღსავალსა საკურთხეველისასა, და მოსცა მას  
 უფალმან ღმერთმან მადლი, და იმოთხვიდა მას შინა ფერქითა თვისითა, და შეი-  
 ყუარა იგი ეოველმან სახლმან ისრაჲლისამან.

## VIII

1. და გარდამოვიდოდეს მამაჲ და დედაჲ მისი მსხარულნი და აღიდებდეს  
 ღმერთსა და აქებდეს უფალსა, რამეთუ არა ვარე-უკუნისილა ყრმამან მან მათდა.  
 ხოლო იყოფოდა მარიაჲ ტაძარსა შინა უფლისასა ვითარცა ტრედი მსოლოჲ და  
 მოიღებდა საზრდელსა კელითა ანგელოზისაჲთა.

2. და ვითარცა იქმნა იგი ათორმეტის წლის ტაძარსა მას შინა უფლისასა,  
 და თქუეს: «ვითარ-მე ვყოთ, რამეთუ განმწვსნა მარიაჲ, ნუუკუე შეავინოს ტაძა-



## A

რი უფლისაჲ?» ჰრქუეს მღვდელთ მოძღუარსა მას, რამეთუ: «შენ სდგა წინაჲსკ საკურთხეველსა უფლისასა; შევედ სიწმიდესა მას წმიდათასა და ილოცე მისთვის, და რაჲცა გამოგიცხადოს უფალმან ღმერთმან, იგიცა ვყოთ».

3. და შევიდა მღვდელთ მოძღუარი იგი და მოიღო ათორმეტი იგი ექუანი წმიდასა მას შინა წმიდათასა, სადა-იგი ილოცვიდა მისთვის. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ ერუენა მას და ჰრქუა: «ზაქარია, ზაქარია, განვედ და შეკრიბენ ქურიენი ერისა მისისანი, და მოიდენ თითოეულმან კუერთსი, და რომლისაცა თანა ახლო სასწაული, მისაცა იყენ ცოლად». და განვიდეს ქადაგნი ყოველსა სოფელსა ჰურიასტანისასა და დაჰბერეს წესტუსა უფლისასა, და მესხეულად მოვიდეს ყოველნი ქურიენი ნათესავისა მისისანი.

## IX

1. და იოსებცა დაადგო ერუაჲ მისი და აღიღო კუერთსი და მოვიდა მათ თანა შემთხუეად. და ვითარცა შეკრბეს და მოვიდეს იგინი მღვდელთ მოძღურისა მის, და აქუნდა კუერთსები, და მოიღო მათგან

## A

და შევიდა ტაძარსა მას უფლისასა და ილოცვიდა. და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ, აღიღო კუერთსები და მისცემდა თითოეულად. და სასწაული არა იქმნა მათ შორის. სოლო უკუანაჲსკენელი კუერთსი მოიღო იოსებ, და აჰა ესერა გამოვლა კუერთსისა მისისაგან ტრედი და აღფრინდა იგი თავისა ზედა იოსებისსა. და ჰრქუა მღვდელთ მოძღუარმან მან: «იოსებისდა ხუედრებულა ქალწული ესე უფლისაჲ მიყვანებად და დასამარხავად თავისა თვისისა».

2. მიუგო იოსებ და ჰრქუა: «მენი მისხენ, და მე მოხუცებულ ვარ, და ესე ჭაბუკი არს, ნუუკუე საკიცხელ ვიქმნე ძეთა შორის ისრაშლისათა». ჰრქუა მღვდელთ მოძღუარმან იოსებს: «გეშინოდენ უფლისა ღმრთისა შენისა და მოივსენე, რაჲ-იგი უყო უფალმან ღმერთმან დათანს და აბირონს და კორეს, ვითარ-იგი განელო ქუეყანაჲ და დანთქნა იგინი და ყოველნი სიტყუს მგებელნი მისნი. და აწ გეშინოდენ,

## B

[1] ძარსა მას უფლისასა და ხილოცვიდა. და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ, აღიღო კუერთსები იგი და გამოვიდა და მისცემდა მათ თითოეულად. და სასწაული არარაჲ გამოიწნდა მათ შორის. სოლო უკუანაჲსკენელი იგი კუერთ[2](სი მოიღ)ო იოსებ და აჰა ესერა ტრედი გამოვდა კუერთსისა მისგან და აღფრინდა იგი თავისა იოსებისსა. სრქუა მღვდელთ მოძღუარმან მან იოსებ(ს): «შენდა ხუე)დ(რე)ბულა ქალწული ესე უფლისაჲ მიყვანებად და [3]დამარხვად თავისა შენისა».

2. მი(ხუ)გო იოსებ და სრქუა: «მენი მისხენ, და მე მოხუცებულ ვარ და იგი ჭაბუკ არს; ნუუკუე საკიცხელ სუქმნე ძეთა შორის ისრაშლისათა». სრქუა მღვდელთ[4] მოძღუარმან იოსებ(ს): «გეშინოდენ უფლისა ღმრთისა და მოივსენე, რაოდენ ხუყო ღმერთმან დათანს და კორეს და აბირონს, ვითარ-იგი განელო ქუეყანაჲ და შთანთქნა ყოველნი სიტყუს-გებისა მისი-



A

იოსებ, ნუუკუე მოიწიოს სახლსა შენ-  
საცა ზედა».

3. შეეშინა იოსებს და წარიუყანა  
დასამარხავად თავისა თვისისა და ჰრქუა  
მას: «წარმოგიყვანე შენ, მარიამ, ტა-  
ძრისაგან უფლისა ღმრთისა შენისა, და  
აწ დაგიტყეებ შენ სახლსა შინა ჩემსა.  
და წარვალ შშნებად, და მოვიდე შენ-  
დავე; სოლო შენ უფალმან დაგიცვე-  
ნინ».

X

1. მერმე იყო ზრახვამ მდღელთ  
მოძღუართა მათ: «ფქმნეთ კრეტსაბ-  
მელი ტაძრისათჳს უფლისა». და თქუა  
მდღელთ მოძღუარმან: «მოუწოდეთ  
ქალწულთა უბიწოთა ტომთა დავი-  
თისთა». და წარვიდეს მსახურნი იგი  
და მოიძინეს და პოვნეს შუდნი ქალ-  
წულნი. და მოეჭსენა მდღელთ მოძ-  
ღუარსა მას ყრმისა მის მარიამისი,  
რამეთუ იყო იგი ტომისაგან დავითი-  
სა და იყო იგი უბიწო უფლისა. და  
წარვიდეს მსახურნი იგი და მოიყვან-  
ეს ტაძრად უფლისა. და ჰრქუა  
მდღელთ მოძღუარმან მან: «წილ-უგ-  
დეთ, ვის-ძი ხუდეს ესე დ(ა) ამიატონი  
ძოწყული». და ესე ყოველი ხუდა მა-  
რიამს. და ჰეშმარიტი იგი ძოწყული  
მეწამული წარილო მარიამ და წარვი-  
და სახედ თჳსა. მას ქამსა დადუმნა ზა-  
ქარაა... ვიდრემდე აღიტყუა ზაქარაა.  
სოლო მარიამ წარილო ძოწყული იგი  
მეწამული და სთვიდა მას.

XI

1. და ქამსა ერთსა წარილო სარწ-  
ყული და წარვიდა ვსებად წყლისა. და  
იყო ვჰმად მისა მიმართ და ჰრქუა:

B

სათჳს და აწ გეშინოდენ [5] იოსტე,  
ნუუკუე მოხიწიოს ესე სახლსა შენსა».

3. და შე(სეშ)ინა იოსტეს და წარი-  
ყანა იგი დასამარხავად თავისა თჳსი-  
სა და ჰრქუა მარიამს: «წარმოგიყუა-  
ნე [6] შენ ტაძრისაგან უფლისა  
ღმრთისა (და) აწ დაგიტყეებ შენ სახ-  
ლსა შინა ჩემსა, და მე წარვალ (შშნ)  
ებად და მოვიდე შენდა. სოლო უფალ-  
მან დაგიცვეინ შენ».

X

1. მერმე ზრახვა-სიყო მდღელთა  
მათ და თქუეს: «ფქმნეთ ჩუენ კრეთ-  
საბ[7]მელი ტაძრისათჳს უფლისა». და  
თქუა მდღელთ მოძღუარმან მან:  
«მოხუწოდეთ ჩემდა ქალწულთა უბი-  
წოთა ტომისაგან დავითისა». და წა-  
რვიდეს მსახურნი იგი და გამოიძიეს  
და პოვნეს შუდნი ქალ[8]წულნი. და  
მო(სეჭ)ესენა მდღელთ მოძღუარსა მას  
ყრმისა მარიამისი, რამეთუ ხიყო იგი  
უბიწო ღმრთისა. და წარვიდეს მსა-  
ხურნი იგი.

და ჰრქუა მდღელთ მოძღუარმან  
მან: წ(ი)ლ-(ხო)ჯგ[9]დეთ, ვინ სთას  
ოქროდ ესე და ამიატონი და ბისონი  
და ნიეთი წარისა და იაკინთშ და  
მეწამული ჰეშმარიტი ძოწყული. და  
სხუედა მარიამს ჰეშმარიტი იგი ძო-  
წყული და მეწამული და წარილო და  
წარვიდა სახედ თჳსა. დ[10]ა მას  
ქამსა დადუმნა ზაქარაა და მდღელობ-  
და მის წილ სამუელ, ვიდრემდე აღ-  
ხიტყუა ზაქარაა. სოლო მარიამ წა-  
რილო მეწამული იგი და ძოწყული და  
სთვიდა.

XI

1. და წარილო სარწყული და წარ-  
ვიდა ვსებად წყლისა. [11] და ხიყო  
ვჰმად მისა მიმართ და თქუა: «გიხარო-

## A

«გისაროდენ, მიმადლებულო, უფალო შენ თანა; კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის». და მიმოიხილა მარიამ მარჯულ და მარცხელ, ვინაჲ-ძი არს ესე მისა მიმართ, და შეძრწუნებული შევიდა სახედ თვსა. და დადგა სარწყული იგი და დაჯდა სავარძელსა ზედა.

2. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ დადგა წინაშე მისაჲ<sup>7</sup> და ჰრქუა: «ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე უფლისა, და შენ მიუდგე სიტყვთა მისითა და შეე ძმ». და ვითარცა ესმა ესე მარიამს, განიზრახვიდა გულსა თვსსა და ჰრქუა: «უკუეთუ მიუდგე სიტყვთა უფლისა ღმრთისა ცხოველისაჲთა, ვითარცა ყოველმან დედაკაცმან, ეგრეთ მე ვშევა?»

3. მოვიდა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას: «არა ეგრე, მარიამ, არამედ სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მადლისაჲ გუარვიდეს შენ; ამისთვისცა რომელ-იგი შენგან შობად არს, წმიდა არს და ძე ღმრთის ერქუას მას». მაშინ ჰრქუა მარიამ: «აჰა ესერა ედგა მე მსხვეალი უფლისაჲ; შეუაჲნ მე მსგავსად სიტყვსა შენისა!» და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი.

## XII

1. და მარიამ შესთა ძოწეული იგი მეწამული და მოართუა მღვდელთ მოძღუარსა მას, და აკურთხა იგი მღვდელთ მოძღუარმან და ჰრქუა მარიამს: «განადიდა უფალმან სახელი შენი, იყო შენ კურთხეულ ყოველსა შორის ნათესავსა ქუეყანასა ზედა».

## B

დენ, მადლითა სავსეო, უფალო შენ თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!» და მიმოდასხედვიდა მარიამ მარჯუენით და მარცხენით, ვინაჲ-ძი ხი[12]ყო ვნაჲ იგი მისა მიმართ. და შეძრწუნებული შევიდა სახედ თვსა და დადგა სარწყული იგი და მოიღო ძოწეული და დაჯდა საგრძელთა ზედა და სთვიდა.

2. და აჰა ესერა ანგელოზი უფლისაჲ დადგა წინაშე მისსა (და ჰრქუა): [13] «ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე უფლისა და შენ მი(ხ)უდგე სიტყვთა წმიდითა მისითა და სშეე ძმ». და ვითარცა ესმა ესე მარიამს, განიზრახვიდა გულსა თვსსა და თქუა: «უკუეთუ მე მისუდგე (სიტყვთა უფლისა ღმრთისა) [14] ცხოველისაჲთა ვითარცა ყოველმან დედაკაცმან შეის, ეგრეთ მე ვშევა?»

3. და მოვიდა მისა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას: «არა ეგრე, მარიამ, არამედ სული უფლისაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მადლისაჲ გუარვიდეს შენ. ამისთვის [15]ცა რომელი-იგი ხიშუეს შენგან, წმიდა ძე ღმრთის ხეწოდოს და ჰრქუა სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იჴსნეს ერი თვსი ცოდვითაგან». და თქუა მარიამ: «აჰა ესერა მქევალი უფლისაჲ წინაშე მისსა. შეუაჲნ მე სიტყვსაებრ შენისა!»

## XII

1. და შესთა ძოწეული (იგი მეწამული) [16] და მოხართუა მღვდელსა მას. და აკურთხა იგი მღვდელმან მან და თქუა: «მარიამ, განადიდა სახელი შენი უფალმან ღმერთმან, და ხიყო შენ კურთხეულ ყოველსა შორის ნათესავსა ქუეყანისასა».

A

2. და მსიარულ იქმნა მარიამ და წარვიდა სახედ თვსა. და აღვიდა ელისაბედის თანა ნათესაფისა თვსისა; და ვითარ დაძრევა კარსა, ესმა ელისაბედს, დააგდო შეწამული იგი და მირბიოდა კარად, განულო და აკურთხა იგი და თქვა: «ვინაჲ არს ესე ჩემდა, ვითარმცა მოვიდა დედაჲ უფლისაჲ ჩემდა?» «და აჰა ესერა რომელი ესე არს ჩემ თანა, ვითარცა ესმა ჳმად მოკითხვისა შენისაჲ, ჰკრთებოდა და გაკურთხევიდა შენ სიხარულით». სოლო მარიამს დაავიწყდეს საადუმლონი იგი; რომელსა ეტყოდა გაბრიელ ანგელოზი უფლისაჲ, და აღიხილნა თუალნი თვსნი ზეცად და თქვა: «უფალო დემერთო, ვინაჲ დირს ვარ მე, რაითა უოველნი ნათესაფნი ქუეყანისანი მნატრიდენ მე?»

3. და დაყო სამი თუეჲ ელისაბედის თანა ნათესაფისა თვსისა; და დღითი დღედ შუცელი მისი აღივსებოდა. და შეეშინა მარიამს და მოვიდა სახედ თვსა, და იფარვიდა თავსა თვსსა ძეთაგან ისრაჴლისათა. სოლო იყო იგი ათექუსმეტის წლის, რაჟამს იქმნა საადუმლოჲ ესე.

XIII

1. და ვითარ იყო იგი მეექუსესა თუესა, მოვიდა იოსებ შედნებისა მისგან თვსისა და ჰოვა იგი მიდგომილ; იცნა ჳელნი ჰირსა თვსსა და დააგდო ტვრთი ზურგისაგან თვსისა ქუეყანასა ზედა და ტირიოდა მწარედ და იტყოდა: «რომელითა-მე პირითა აღვიხილნე თუალნი ჩემნი უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა? ანუ რასამე ვილოცვიდე ქალისა ამისთვის? რამეთუ ქალწული მოვიყვანე ტაძრისაგან უფლისა ღმრთისა ჩემისა, და არაჲ ვიცი, ვინაჲ არს, რომელმან ქმნა ესე, ანუ ვინ არს, რომელმან მომნადირა მე. ჩემ

B

2. და მსიარულ ხემ[17]ნა მარიამ და წარვიდა იგი ელისაბედისა ნათესაფისა მისისა და და(სრე)კა კარსა.

აჰა ესერა (რომელი-ესე) არს ჩემ თანა, ვითარცა ხესმა ჳმად

[18]ლოზი (უფლისაჲ და აღიხილ)ნა თუალნი (თვსნი) ზეცად (და თქვა): «უფალო, ვინა(ა დირს)

XIII

1.

[19](ჰოვა ი)გი მიდ(გომილ). ხიცნა (ჳელნი ჰირსა თვსსა) (და ტირიოდა) მწა(რედ და სიტყ)ოდა: (რომელითა-მე პირითა) აღ(ვიხილნე თუ)ალნი ჩემ(ნი) უფლისა მიმართ (ღმრთისა ჩემისა)? (ანუ რასა სჯლო) ცვიდე

[20]ვინმე არს, რომელმან ქმნა ესე ბოროტი სახლსა შინა ჩემსა და შეავინა ესე? ჩემ ზედა აღხესრულა საქმე

## A

ზედა აღესრულა საქმე იგი ადამისი, რამეთუ ქამსა ოდენ გალობისა მისისასა მოვიდა გუელი და პოვა ევა მარტომ და აცტუნა იგი; და იგივე საქმე შემემთხვა».

2. და აღდგა იოსებ და მოუწოდა მარიამს და პრქუა მას: «მარიამ, შეუყარებულო ღმრთისაო, რაჲ ესე ჰუავ და დაიმდაბლე სული შენი, რომელი აღიზარდე წმიდასა შინა წმიდათასა და საზრდელსა ჭელითა ანგელოზისაითა მოიღებდ?»

3. ხოლო მარიამ ტიროდა მწარედ და იტყოდა, ვითარმედ: «უბრალოჲ ვარ მე, და არა ვიცი, ვინაჲ არს ესე ჩემ თანა; ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მამაკაცი მე არა ვიცი».

## XIV

1. და შეეშინა იოსებს ფრიად და დადუმნა მისგან და განიზრახვიდა ვითარმედ: «ვითარ-რაჲ ვყო მისთვის? უკუეთუ დაეფარო ცოდვაჲ მისი, ვიპოვო შინა-განმცემელ სისხლსა უბრალოსა დასარჩელად სიკუდილისა. და რამეჲ ვყო მისთვის? არამედ იღუმალ განუტეო ეგე ჩემგან». და მოიწია ღამე.

2. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოცხადა ჩუენებით და პრქუა: «იოსებ, ძეო ღმრთისაო, ნუ გეშინინ მიუყანებად მარიამისა, რამეთუ რომელ-ეგე მაგისგან არს; სულისაგან წმიდისა არს; ჰშვეს მძ და უწოდიან სახელი მისი იესუ. რამეთუ მან იქსნეს ერი თუსი ცოდვითა მათთაგან». და განიღუძა იოსებ მილისა მისგან და აღიდებდა უფალსა ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეთარი მადლი. და სცვიდა იგი ქალწულსა მას.

## B

იგი ადამისი, რამეთუ ქამსა ოდენ გალობისასა მოვიდა გუელი იგი და პოვა ევაჲ მარტომ და აცტუნა იგი. და იგივე საქმე შემემთხვა მე».

2. და აღდგა იოსებ ძამისა მისგან, მოსუწოდა მარიამს

(აღსეზარ)

[21] დე წმიდასა შინა წმიდათასა და საზრდელსა მოხილებდ ჭელისაგან ანგელოზისაჲ.

3. ხოლო მარიამ ტიროდა მწარედ და სიტყოდა, ვითარმედ: «უბრალო ვარ მე და არა ვიცი მამაკაცი». სრქუა მას იოსებ: «ვინაჲ არს მიდგომილება იგი შენი?» ხოლო მან სრქუა: «ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ წმიდა ვარ მე და [მამაკაცი] არა ვიცი».

## XIV

1. და შეეშინა იოსებს ფრიად და დადუმნა

[22] სჰო(ვო განმცემელ) სისხლი(სა უფრალოჲსა) სა(შეგლად სიკუ)დილისა. და რამეჲ ვყო მისთვის? არამედ იღუმალ გ(ანსუტეო ეგე) ჩემგ(ნ. და მოხი)წია ღამე.

2. და აჰა ესერა ანგელოზი უფლისაჲ გამო(ცეცხადა მას) ჩუენ(ებით და სრქ)უა: (იოსებ, ნუ გე)შინინ (მიუყანებად) ფრმი(სა მაგის, რამეთუ), რომელ-ეგ(ე მაგის თანა) არს, (სული-საგან) წმი(დისა არს).

[23] (მილისაგან) და სადილებდა ღმერთსა ისრაჲლისა(სა, რომელმან მოხ-ც)ა მას (ესევეთარი) მად(ლი. და სცვი-დ)ა იგი (ქალწულსა) მას.



A

XV

1. და მოვიდა ანა მწიგნობარი და პრქუა იოსებს: «რამათს არა ერუენე კრებულსა ჩუენსა?» სოლო მან პრქუა მას: «რამეთუ დავშუერ გზისა მისგან და განვისუენე დღე ერთი ოდენ». და მიხედა და ისილა მარიაჲ მადგომილად.

2. და წარვიდა მსწრაფლ მდღელთ მოძღურისა მის და პრქუა მას: «რომელსა-იგი შენ ეწამებოდე, ურჩულოუბაჲ ქმნა ფრიად». პრქუა მას მდღელთ მოძღუარმან: «რამ არს, რომელი უქმნიდეს მას?» პრქუა მას ანა: «ქალწული იგი, რომელ წარიუყანა იოსებ, შეაგინა იგი და პარვით ყო ქორწილი მისი და არა გამოუცხადა ძეთა ისრაშლისათა». მიუგო მდღელთ მოძღუარმან მან: «იოსებ ესე ქმნა?» ანა პრქუა: «მიავლინე მსახურნი და პოვო ქალწული მადგომილად». და წარვიდეს მსახურნი იგი და პოვეს ევრთ, ვითარცა-იგი ანა პრქუა; და მიიყვანეს იგი იოსების თანა განსაკითხავსა მას.

3. მიუგო მდღელთ მოძღუარმან მან: «რამ ესე ჰქმენ, მარიაჲ? რამათს დაიმდაბლე სული შენი და დაივიწყე უფალი ღმერთი შენი, რომელი იხარდებოდე წმიდასა შინა წმიდათასა და საზრდელსა მიიღებდ ქელითა ანგელოზისაჲთა, და გესმოდა გალობაჲ იგი მათი, იმითხევდ წინაშე მათსა? აწ რამ ესე ჰქმენ საქმშ უშუერი?» სოლო მარიაჲ ტიროდა მწარედ და იტყოდა: «ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, წმიდა ვარ მე წინაშე მისსა და მამაკაცი მე არა ვიცი».

4. და იოსებს პრქუა: «რამ-ესე საქმშ ჰქმენ?» სოლო მან პრქუა: «ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული მისი, რამეთუ უბრალო ვარ მე მამისგან». პრქუა მას: «ნუ ცილსა იტყუ;

B

XV

1. (და მოვიდა) ანა (მწიგნობარი) და (სრქუა ი)ოსებს: («რამსა)თს არა (სენუენე კრებულსა ჩუენსა)? (სოლო მან სრქუა მას: («რამეთუ დავშუერ გზისა (მისგან და გან)ვისუ(ენე დღე ერთ) ოდენ. (და მიხხედა და) ისი

2. [24] შენ ხეწამებოდე, უშჯულოებაჲ ქმნა ფრიად. და სრქუა მას მდღელთ მოძღუარმან მან: «რამ არს, რომელი სუქმნიეს მას?» სოლო მან სრქუა: «ქალწული იგი, რომელ წარიუყანა ტაძრისაგან უფლისა, (შე)ხაგინა იგი და პარვით ყო ქორწილი მისი და არა გამოხსუცხადა ძეთა ისრაშლისათა». მისუგო მდღელთ მოძღუარმან მან: «იოს

[25] მსსურნი იგი და პოვეს ევრე, ვითარცა-იგი მან თქუა. და მიიყვანეს იგი იოსების თანა განსაკითხავსა მას.

3. და სრქუა მდღელთ მოძღუარმან მან: «მარიაჲ, რამ (ს)ქმენ ესე? რამათს დახმდაბლე სული შენი და დახი [26] (ვი)წყე უფალი ღმერთი შენი, რომელი აღსიზარდე წმიდასა შინა წმიდათასა და საზრდელსა მოხიდებდ ქელისაგან ანგელოზისა და გესმოდა გალობაჲ მათი და სიმოთხევდ წინაშე მათსა? აწ რამ ესე ჰქმენ?» სოლო იგი ტიროდა [27] და სიტყოდა: «ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, ვითარმედ წმიდა ვარ მე წინაშე მისსა და არა ვიცი მამაკაცი».

4. და იოსებს სრქუა მდღელთ მოძღუარმან მან: «იოს(ებ), რამ ესე ჰქმენ?» და მან თქუა: «ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი და ცხებული მისი, [28] ვითარმედ უბრალო ვარ მე

## A

არამედ ჭეშმარიტი თქუ; პარვით ჰყავ ქორწილი შენი და არა გამოუცხადე ძეთა ისრაჴლისათა და არა დაიმდაბლე თავი შენი ჴელსა ქუეშე მტკიცესა ღმრთისასა, რადთამცა იკურთხა ნათესავი შენი». ხოლო იოსებ დუმნა.

## XVI

1. პრქუა მღდელთ მოძღუარმან მან: «მომეც ქალწული, რომელ წარიყვანე ტაძრისაგან ღმრთისა». ხოლო იოსებ ცრემლოოდა. მაშინ პრქუა მღდელთ მოძღუარმან მან: «გასუა თქუენ წყალი მცნებისა უფლისაჲ, და გამოაცხადოს უფალმან ცოდვია თქუენი».

2. და მოიღო, და ასუა იოსებს და წარავლინა იგი უდაბნოდ; და მოვიდა იგი ცოცხალი. და ფრიად დაუკვრდა ყოველსა ერსა. და ასუეს მარიამს და წარავლინეს იგი მთად კერძო; და მოვიდა იგიცა ცოცხალი. და დიდად დაუკვრდა, რამეთუ არა იპოვა მათ თანა ცოდვია.

3. და თქუა მღდელთ მოძღუარმან: «უკუეთუ უფალმან ღმერთმან არა გამოაცხადა ცოდვია თქუენი, არცა მე განგიკითხნე თქუენ». და განუტევნა ივინი. და წარიყვანა იოსებ მარიამ და წარვიდეს ვინად თჳსა სიხარულით და ადიდებდეს ღმერთსა ისრაჴლისასა.

## XVII

1. ხოლო ბრძანებაჲ გამოჴდა ავუსტოს კეისრისაგან აღწერად, რადენნი იყვნეს ბეთლემს შინა ჰურიასტანისასა. ხოლო იოსებ თქუა: «მეცა აღვიწერო ძეთა ჩემთა თანა. არამედ ქალწული ესე ვითარ ვყო? ვითარ აღვიწერო?»

## B

მაგისგან» და სრქუა მას მღდელთ მოძღუარმან მან: «ნუ ცალსა სიტყუჳ, არამედ თქუ ჭეშმარიტი! პარვით

[29] ისრაჴლისათა და არა დახიმდაბლე თავი შენი ჴელსა ქუეშე მტკიცესა ღმრთისასა, რადთამცა სიკურთხა ნათესავი შენი. ხოლო იოსებ დუმნა.

## XVI

1. (ს)რქუა მას მღდელთ მოძღუარმან მან: «მომეც მე ქალწული, რომელ წარსიყვანე ტაძ[30]რისაგან უფლისა». და ცრემლოოდა იოსებ. და თქუა მღდელთ მოძღუარმან მან: «გასუა თქუენ წყალი იგი მსიღებისაჲ უფლისაჲ და

2. [31] იგი მღდელთ მოძღუარმან მან და ხასუა იოსებს და წარავლინა იგი უდაბნოდ. და მოვიდა იგი ცოცხალი. და ხასუა მარიამსცა და წარავლინა მთად კერძო. და მოვიდა იგი ცოცხალი. დასუკვრდა ყოველსა მას ერსა[32] რამეთუ არა სიპოვა მათ თანა ცოდვია.

3. და თქუა მღდელთ მოძღუარმან მან: უკუეთუ უფალმან ღმერთმან არა გამოაცხადა ცოდვია თქუენი, არცა მე განგიკითხნე თქუენ. და განსუტევნა ივინი. [33] და წარიყვანა მარიამ იოსებ და წარვიდა ვინად თჳსა სიხარულით და სადიდებდა ღმერთსა ისრაჴლისასა.

## XVII

1. ბრძანებაჲ გამოჴდა ავუსტოს კეისრისაგან აღწერად ყოველისა, რადენნი იგი სიყოს ბეთლემს ჰურიასტანისასა. და თქუ[34]ა იოსებ: მე აღსუიწერო ძეთა ჩემთა თანა. ხოლო ქალწული ვითარ-მე ვყო?



**A**

ცოლად ჩემდაა? რამეთუ მრცხუნენს. არამედ ასულად ვთქუა? იციან ძეთა ისრაშლისათა, რამეთუ არა მივის ასული». და თქუა: «ესე არს დედაჲ უფლისაჲ; იყვენ; ვითარცა ჰნებაეს».

2. და დაუსხნა კარაულსა თუსსა და წარემართნეს, და შეუდგა მათ სამოელ ძმ მისი. და მიიწიეს მესამესა მელიონსა. და მოიქცა იოსებ და ისილა მარიამ მწუსარედ და თქუა: «ვინ უწყის, თუ რომელ-იგი არს მის თანა, იგი აურევებს მას». და მერმე მისედა იოსებ და ისილა იგი მსიარულად. ჰქუა მას იოსებ: «რაჲ არს, მარიამ? ესედაჲ პირსა შენსა ოდესმე მსიარულად და ოდესმე მწუსარედ». ჰქუა მარიამ: «რამეთუ ორსა ერსა ვსედავ: ერთსა, რამეთუ ტირს და ეტყებს, და ერთსა, რამეთუ მსიარულ არს და ისარებს».

3. და მივიდეს საშოვალ ოდენ გზასა მას. ჰქუა მარიამ იოსებს: «გარდამსუ კარაულისა ამისგან, რამეთუ რომელი-ესე ჩემ თანა არს, მასწრაფებს მე გამოსლვად». და გარდამოიყვანა იგი მიერ და ჰქუა მას: «ვიდრე წარგიყვანო შენ და დავეფარო სირცხული შენი? რამეთუ ადგილი ესე უდაბნოჲ არს».

XVIII

1. და ჰოვა ქუაბი ერთი და შეიყვანა მას შინა და დაადგინა მას ზედა ძენი თუსნი; და გამოვიდა ძიებად ყრმისა აღმქუმელისა ებრაელთაგანისა ქალაქსა ბეთლემსა.

2. სოლო მე, იოსებ; ვითარცა მოვიდოდე და ადვიხილენ თუაღნი ჩემნი სიმრგულესა ცისასა, და ვიხილენ ჰაერნი განკვრებულნი და მფრინველნი დაჟუდებულნი; და მივსედე და ვიხილე ქუეყანაჲ და ვარცილი ერთი მდგო-

**B**

ისრ-

ამლისათა, რამეთუ არა მივის ასული. და თქუა: ესე (არს) [35] დღმ უფლისაჲ და უაენ, ვითარცა ხნებაეს.

2. და და(ხუსს)ნა კაჰრაულსა (თუსსა) და წარბზებურ(ა იო)სებ წინა შე მისსა და შეხუდგა სამოველ ძმ მისი და მიხიწინენს იგინი მესამესა მელიონსა. და მოხიქცა იო(სებ) და ისილა მარიამ მწუსარედ და [36] თქუა: «ვინ უწყის, რომელ-იგი არს მის თანა, იგი ხაიძულეებს მას». და მიხს(ედა) მერმე და ისილა მსიარულად იგი და ხრქუა (მას: «მარიამ, რაჲ) არ(ს ოდეს)-მე მსი(არულსა და [37] ოდესმე მწუს(არესა)». და თქუა მარიამ: «რამეთუ ორსა ჰუ(ხედ)ავ: ერთსა, რამეთუ ტირს და ხიტყებს, და ერთსა, რამეთუ სიხარებს და მსიარულ არს».

3. (და მის)იწინენს გზასა მას საშოვალ. და (ხრ)ქუა მას მარიამ: «იოსებს, გარდამსუ კაჰრაუ [38] (ლისა) ამისგან. რომელ-ესე არს ჩემ თანა, მასწრაფებს მე გამოსლვად. და გარდმოიყვანა იგი მიერ და ხრქუა მას: «ვიდრე წარგიყვანო შენ, და დახუფარო სირცხული შენი, რამეთუ ადგილი ესე უდაბ(ნო არს)».

XVIII

1. და ჰოვა [39] ქუაბი ერთი და შეიყვანა იგი მუნ და დაადგინა მის ზედა ძენი მისნი. და გავიდა ძიებად ყრმისა აღმქუმელისა ჰებრაელისა სოფელსა მას ბეთლემისასა.

2. მე იოსებ ვიდოდე და ადვიხილენ თუაღნი ჩემნი სიმრგულესა ცისა [40] სა და ვიხილე სიმრგულმ ცისაჲ მდგომარმ. და ადვიხილენ ჰაერთა ზედა და ვიხილენ ჰაერნი განკვრებულნი და მფრინველნი ცისანი დაჟუდებულნი. და მიხუსედე ქუეყანასა და ვიხილე ვარცილი ერთი მდგო-

## A

მარტ და მას ზედა მუშაკნი, და ჯელნი მათნი მიყოფილ ივენეს ვარცლსა მას; და რომელნი იცოხნიდეს, არა იცოხნიდეს; და რომელთა აღმოაქუნდა, არა აღმოაქუნდა; და რომელნი მიჰყოფდეს პირსა, არა მიჰყოფდეს, არამედ პირნი უოველთანი ზეცას იხედვიდეს. და ვიხილენ ცხოვარნი წარქცეულნი, და ცხოვარნი იგი დგეს. და აღუპურა მწყემსსა არჯანი ცემად მათდა, და ზე ეპურა ჯელი. და მივხედვე ჯეგსა მდინარესა და ვიხილენ თიკანნი, და პირნი მათნი დაესხნეს წულსა და არა სუმიდეს. და უოველნივე წამსა ერთსა რბიოდეს და განკვრეებასა შეეპურნეს.

## XIX

1. და ვიხილე დედაკაცი ერთი ვარდამომავალი მითთ და მრქუა მე: «კაცო, ვადრე ზუალ?» სოლო მე ვარქუ: «ყრმის აღმქუმელსა ებრაელსა ვეძებ». მომიგო და მრქუა: «ებრაელსა?» სოლო მე ვარქუ: «ჰე»<sup>1</sup>. და მრქუა მე: «ფინ არს, რომელი-ევე შობს ქუაბსა მას შინა?» და ვარქუ: «რომელი ცოლად ნეთხოვა მე. იგი არს». და მრქუა მე: «არა ცოლი შენი არს?» და ვარქუ მე: «მარიამ არს, რომელ-იგი აღიზარდა წმიდასა შინა წმიდათასა, ტაძარსა შინა უფლისასა, და წილით მხუდა მე იგი, არამედ არა არს იგი ცოლი ჩემი, და მიდგომილბაჲ აქუს სულისაგან წმიდისა». და მრქუა მე ყრმისა აღმქუმელმან: «ეგე ჰეშმარიტად სთქუ, რამეთუ არა ცოლი შენი არს». და ვარქუ მას: «მოვედ და იხილე». და მოვიდა იგი ჩემ თანა.

2. და დავდეგით წინაშე ადვილსა მას ქუაბისასა, და ღრუბელი ნათლისაჲ ჰფარვიდა ქუაბსა მას. და თქუა ყრმის აღმქუმელმან მან: «ვანდიდნა სული ჩემი დღესა ამას, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა დიდებული საკვრველი და სასწაული, რამეთუ ცხოვრებად იშვა ისრანელსა შორის». და მეუსულად ღრუბელი იგი განდგებოდა და ქუაბისა მისგან და გამოჩნდა ნათელი დიდი ქუაბსა მას შინა, ვითარმედ ვერ მეძლო თუალთა შედგმად, და მცირედ ნათელი იგი მიფინებოდა. და გამობრწყინდა ყრმაჲ იგი და მოიძო მუბუჲ დედისა თვისისა მარიამისგან. დალაღ-ყო ყრმის აღმქუმელმან მან და თქუა: «ჰ, დიდ არს დღენდელი ესე დღე ჩემდა, რამეთუ ვიხილე ხილვად ახალი».

3. და გამოვიდა ყრმის აღმქუმელი ქუაბით და შეემთხვა მას სალომე და ჰრქუა: «ახალი ხილვად მაქუს მე შენდა თხრობად». სოლო მან ჰრქუა: «რად არს?» და მან ჰრქუა მას: «ქალწულმან შვა, რომელსა ვერ იხილავს ბუნებად მისი». და ჰრქუა მას სალომე: «ცხოველ არს უფალი ღმერთი ჩემი, უკუეთუ არა დაესდვა თითი ჩემი და არა განვიხილო, არასადა მრწმენეს, ვითარმედ ქალწულმან შვა და ქალწულებასავე ჰვიეს».

## XX

1. და შევიდა ყრმის აღმქუმელი იგი მარიამისა და ჰრქუა მას: «გამოისახე თავი შენი, რამეთუ არა მცირე ღუაწლი წინა-გიც შენ». და დასდვა თითი სალომე და ცნა; დალატ-ყო წმითა მადლითა და თქუა: «ვამე ურჩულობათა ჩემთა და ურწმუნობათა, რამეთუ განცვადე ღმერთი ცხოველი, და აჰა ესერა დაიწუების ჯელი ჩემი და წარმეარდების ჩემგან».

## A

2. და მოიდრიკნა მექლნი უფლისა მიმართ სალომე და თქუა: «უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, მომიქსენე მე, რამეთუ აბრაჰამისი, ისაკისი ვარი მე, და ნუ განმაქარვებ მე ძეთა შორის ისრაჲლისათა, არამედ მიმზადლე გლახაკთა; შენ იცი უფალო, რამეთუ სახელითა შენითა ვმსახურებდი და სასყაღელი ჩემი შენ მიერ მომაქუნდა».

3. და ამა ესერა ანგელოზი უფლისაჲ დაადგრა და ჰრქუა: «შეისმინა უფალმან ედრებაჲ შენი, სალომე, მივედ და მიუყე კელი შენი ყრმისა მაგის და აღიქუ ეგე და იყოს ეგე შენდა ცხორება და სიქადულ».

4. და მოვიდა სალომე და აღიქუა ყრმია იგი და თქუა: «თაყუანის-ცემ ამას, რამეთუ მეფე იშვა ესე ისრაჲლისაჲ». და მიყსულად განიკურნა სალომე და გამოვიდა მიერ ქუაბით განმართლებული. და ამა ესერა კმაჲ იყო ანგელოზისა მიერ: «სალომე, ნუვის უაზრობ, რაჲ-ესე იხილე საკურველი, ვიდრე შესლვამდე ყრმისა მაგის იერუსალმელ».

## XXI

1. და ამა ესერა იოსებ განმზადებულ იყო განსლვად ჰურიასტნად. და შფოთი დიდი იყო იერუსალმეს, რამეთუ მოგუნი მოვიდეს მზის აღმოსავალით და იტყოდეს: «სადა არს რომელ-იგი იშვა მეფეჲ ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი მზის აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა».

2. ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს, შეძრწუნდა ჰეროდე და ყოველი იერუსალმში მის თანა. და მიავლინნა მსახურნი და მოუწოდა მოგუთა მათ და მდღელით მოძღუარათცა მათ თანა და ჰკითხვიდა<sup>9</sup> ტაძარსა შინა და ჰრქუა: «ვითარ წერილ არს ქრისტესთვის, სადა შობად არს იგი?» სოლო მათ ჰრქუეს: «ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრე წერილ არს წინაჲსწარმეტყუელისა მიერ: და შენ, ბეთლემ, ქუეყანაჲ ეგე იუდაისი, არასადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდაისთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყოსოს ერი ჩემი ისრაჲლი». და ჰრქუა ჰეროდე მოგუთა მათ: «რაჲ სასწაული იხილეთ შობილისა მისთვის მეუფისა?» სოლო მათ ჰრქუეს: «ვიხილეთ ვარსკულავი ფრიად დიდი, რომელი უფროჲს ბრწყინვიდა სხუათა ვარსკულავთასა და დაჰფარვიდა მათ. და ჩუენ ევრე ვცანთ, ვითარმედ მეფე იშვა იერუსალმისაჲ, და მოვედით თაყუანის-ცემად მისა». მაშინ ჰრქუა მათ ჰეროდე: «წარვედით და გამოიკითხეთ, და რაქამს ჰპოვოთ, მითხართ მე, რაჲთა მეცა მივიდე და თაყუანის-ცეცე მას».

3. და გამოვიდეს მოგუნი პირისაგან მეფისა; და ამა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა-უძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა თავსა მის ყრმისასა. და იხილეს ყრმაჲ იგი მოგუთა მათ მარიამის თანა ღედისა თვისისა; და მოილეს ჰურბგელთა მათთაგან ძღუენი: ოქროჲ, მური და გუნდრუკი, და მოართუეს და დაცუვეს და თაყუანის-სცეს მას.

4. და მოილეს ბრძანებაჲ ანგელოზისაგან, რაითა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ წარვიდენ იგინი სხუთ გზით სოფლად თვსა. და წარვიდეს იგინი, ვითარცა უბრძანა მათ ანგელოზმან უფლისამან.

და ჩუენ ამას ყოველსა ზედა მივეციით დიდებაჲ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომლისა ჰშუენის დიდებაჲ, ქებაჲ და თაყუანის-ცემაჲ, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

<sup>9</sup> ჰკითხვიდა



ლ. ბარამიძე

## პირველი თურმეობითი წარმოების წოდებები თავისებურება ქართული ენის შინა კილოებაში

გარდამავალ წმნათა თურმეობითი პირველის წარმოებას ძველი ქართულიდანვე დაჰყვა ერთი თავისებურება: წმნათა ერთი, დიდი ნაწილი დაირთავს იე სუფიქსს, რომელიც ამ მწკრივის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს, მეორე კი სპეციალურ სუფიქსს არ შეიცავს, იმეორებს ამ წმნათა აწმყო-მყოფადის ფორმებს (დამიწერ-იე-ს... მომიკლ-აე-ს). იე სუფიქსიანია ყველა წმნა, გარდა ავ და ამ თემის-ნიშნისა. წარმოების პირველ ტიპში გაერთიანებულია სრულიად სხვადასხვა აგებულების წმნები — როგორც თემის-ნიშნისა, ისე უთემის-ნიშნისა, ხმოვან-მონაცვლეები და სხვ. თემის-ნიშნისაგან აქ შემოდის ი, ებ, ობ, ოფ, და ემ-იანი წმნები. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ეს თემის ნიშნები წმნას შეიძლება ვადმოჰყვეს პირველ თურმეობითშიც. მაშინ მწკრივის აფიქსი (ძველი ქართ. იე, ახ. ქ. ი) მას მიერთვის (ძვ. ქ. მიმიც-ემ-იე-ს, მიყ-ოფ-იე-ს... ახ. ქ. ამიშენ-ებ-ი-ა, გამიკეთ-ებ-ი-ა...).

ცალკე ჯგუფს ქმნიან ავ და ამ თემის-ნიშნისა წმნები, რომელთაც პირველი თურმეობითის საწარმოებლად სპეციალური აფიქსი არ სჭირდებათ (ძვ. ქ. მიხილ-ავ-ს, მითქუ-ამ-ს). ავ, ამ-იანი წმნები სხვა მხრივაც იქცევენ ყურადღებას. როცა საშუალო ქართულში გარდამავალ წმნათა თურმეობითი პირველის 1-ლსა და მე-2 პირს მეშველი დაერთო, ავ, ამ-იანი წმნები ერთხანს განუყიდნენ და შედარებით მოგვიანებით შეუერთდნენ დანარჩენ წმნებს ([1] 116—119). გარკვეულ პერიოდში ერთმანეთის გვერდით იხმარებოდა უშობივარ, უშობიხარ... და მოუკლავ მას მე, მოუკლავ მას შენ... ნაცვლად მოსალოდნელი მოუკლავარ, მოუკლავხარ ფორმებისა.

ენაში ადრევე დაწყებულია პირველ თურმეობითში ავ, ამ-იან წმნათა უღლების გათანაბრება სხვა გარდამავალ წმნებთან. პირველი ნიმუშები მე-3 პირში შეინიშნება: დამისახავს—დამისახია, დაგითესავს—დაგითესია ([2] 29). შემდეგ ეს მოვლენა მოედო მთელს ენას, გავრცელდა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში და შემოვიდა სალიტერატურო ქართულშიც ([3] 129), ([2] 30—32). ავ და ამ თემის-ნიშნისა წმნებში ი დაბოლოების გაჩენა ახსნილია ენაში უნიფიკაციის ტენდენციის არსებობით. ენაში გამოყენებული ორი პარალელური ფორმიდან გაბატონდა ერთ-ერთი და ფორმათა წარმოება ერთგვაროვანი გახდა ([4] 458), ([5] 210—211), ([2] 32).

პირველი თურმეობითის მსგავსი ვითარებაა სტატეკურ ზმნათა აწმყოში, რაც განსაზღვრულია მათი გენეტური კავშირით ([6] 445—446), ([7] 98). აქაც გამოიყოფა ზმნათა ორი ჯგუფი — ე ბოლოსართიანი და ავ, ამ თემის-ნიშნის-ნი. ეს უკანასკნელი მწკრივის აფიქსს არ დაირთავს. სტატეკურ ზმნათა ავ და ბოლოებაც იცვლება გარკვეული დროიდან, ერთავს ი სუფიქსს: ჰ-კიდ-ავ-ს — ჰკიდ-ი-ა, ახლ-ავ-ს — ახლ-ი-ა ([8] 98—102).

თურმეობითი პირველის წარმოების მიხედვით ქართული ენის დიალექტებს ორ ჯგუფად ჰყოფენ სპეციალურ ლიტერატურაში: პირველში მოქცეულია დიალექტთა უმეტესობა, ე. წ. ბარის კილოები, მეორეში — მთის კილოები. თუ ბარის კილოებში ი-ა დაბოლოება იკავებს გზას, მთის კილოებში პირიქით, ავ იფართოებს გამოყენების არეს, ვეხვდება როგორც ი-ა დაბოლოებიანი წარმოების ადგილას, ისე ავ, ამ-იანებში. პროფ. ვ. თოფურია წერს: „უნიფიკაცია გატარებულია თურმეობითი I-ის ფორმებისა თითქმის ყველა დიალექტში. აღსანიშნავია, რომ აქ ორი მიმართულება იჩენს თავს: ერთი მიმართულებაა — გააბატონოს -ი-ა სუფიქსები და მოშალოს -ავ და ამ თემატური ნიშნები, მეორე კი, პირიქით, გაავრცელოს -ავ და გარკვეულ შემთხვევებში -ივ. პირველი ტარდება ბარის კილოებში — ქართულურში, კახურში, იმერულში და სხვაგან — და აქედან ლამობს ლიტერატურულ ენაშიც შემოჭრას (მინახია, უთქვია...), -ავ კი მოდებულია ხევსურულში, ფშურში, თუშურში და ფშაურიდან ვაჟას შემოტანილი აქვს სალიტერატურო ენაში“ ([4] 458).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებს, დასახელებულთ გარდა, მიეკუთვნება მთიულური, მოხეური, თიანური, გუდამაყრული. პირველი თურმეობითის წარმოების მიხედვით ესენი ბარის კილოებს უჭერენ მხარს. ხევსურულში, თუშურსა და ფშურში გავრცელებული ავ (ავის) დაბოლოების ნაცვლად, რომელიც ყოველგვარ ზმნაში გვხვდება, ზემოაღნიშნულ კილოებში ია სუფიქსები გვაქვს. მაგ., მ თ ხ ე უ რ შ ი: შ ე უ ყ ო რ ე ბ ი ა: დიალ. ქრესტ. 172,26; დაუსოვია სტრაჟნიევი: იქვე, 172,29; გაუგია: იქვე, 172,28; დაუსონია: იქვე, 174,39; გაუკეთებიათ: იქვე, 175,1; მოუსყანია: იქვე, 177,12; უბოვნია: იქვე, 184,18 და სხვ. ია გვხვდება ავ და ამ-იან ზმნებშიც: უნახია: იქვე, 172,27; უჩგერია (უჩაგრავს): იქვე, 176,5; შაუკრია (შეუკრავთ): იქვე, 172,29; უჯნიათ: ქართ. დიალ. 29,23; შაურთია (შეურთავს): იქვე, 27,21; გოვიმართია (გაგვიმართავს): იქვე, 36,21... უთქმიათ: დიალ. ქრესტ. 181,16; 184,17; 184,19; წამაუსხმია (წამოუსხამს): ქართ. დიალ. 27,12...

მ თ ი უ ლ უ რ შ ი: მოურკვია: ქართ. დიალ. 63,4; მიუცია: იქვე, 62,15; აუღია, წამაუღია: იქვე, 62,17; უყიდნია, გამაუგზავნიათ: იქვე, 63,17; მოუტაცნიათ: კაიშ. 160,24; მიუტანია, აუშენებია, უფლია: იქვე, 160,27...

ი გვაქვს ამ-იან ზმნებშიც: მოუსვია ნაბღის ბეწვი: ქართ. დიალ. 63,11; ჩაუსვია: იქვე, 63,37; ცხენზე შემოუსვია: იქვე, 63,36.

გვხვდება სხვა ტიპის ფორმებიც, რომლებსაც სუბ. პირის ნიშანი ს მოკვეცილი აქვთ: ჩაუსომ ი ქალი (ჩაუსვამს): იქვე, 63,28; ჩაუტომ (ჩაუცვამს): იქვე, 63,26; 63,29; 63,35; უთქომ: იქვე, 63,4. გვინახავთ: იქვე, 76,35; გინახავთ: 76,34...

მთიულურის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „არის შემთხვევები -ია წარმოებისა -ავხ-ტიპის ნაცვლად, აგრეთვე -5-ია-ს გამოყენებისა“ ([9] 53).

თ ი ა ნ უ რ შ ი ა ვ და ა მ თემის-ნიშნისანი ზმნები ია დაბოლოებითა ცხედრებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ს, როგორც წესი, დაკარგულია: ა) დაუკლია, დამიწნია, დამიხნია, დამიდგია... ბ) დაგინახავ ბალები, ვაჟასა წამოუკრავ, საკლავიც დაუკლავ, კარგა უთქომ... ([10] 203).

მაშასადამე, გამოდის, რომ თურმეობითი პირველისა და სტატისკური აწმყოს წარმოების მხრით ქართული ენის კილოთაგან ცალკე დგას მხოლოდ სამი დიალექტი — ხევსურული, თუშური და ფშაური. როგორც აღინიშნა, ამ კილოთა თავისებურება ის არის, რომ პირველი თურმეობითისა და სტატისკური ენებითის აწმყოს ფორმებში საყოველთაოდ გატარებულია ავ ან მისი ვარიანტი ავის ([11] 16, ([4] 458), ([7] 84), ([12] 120—126), ([13] 51—52). სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ჩანს, რომ ავ (ავის) დაბოლოების ხმარება განსაკუთრებით დამახასიათებელია ხევსურულისათვის, რომელშიც ის ნორმას წარმოადგენს; თუშურსა და ფშაურში ავ (ავის) შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე ყოველგვარი ზმნის თურმეობით პირველსა და სტატისკურ აწმყოში, ოღონდ ამის გვერდით საკმაოდ გავრცელებულია ი-ა დაბოლოება ([13]), რომელიც სალიტერატურო ქართულისთვის არის დამახასიათებელი გარკვეული ტიპის ზმნებში და კილოთა უმრავლესობაშიც გაბატონებულია.

ხევსურულსა, თუშურსა და ფშაურზე დაკვირვებამ გამოავლინა სხვა თავისებურებანიც, რომელთაგან უმთავრესია ის, რომ ავ (ავის) დაბოლოება ამ დიალექტებში მხოლოდ მეტამე პირს ახასიათებს, 1-ლი და მე-2 პირები (სუბიექტური სტატისკური ვნებითისათვის, პირდაპირი თემატური გარდამავალ ზმნებში) გადასულია დაბოლოებაზე ისევე, როგორც ქართული ენის სხვა კილოებში. ამასთან, მხოლოდ ი ვაკეკს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაშიც, როცა ფორმაში ჩნდება მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ან სუფიქსი.

მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, თურმეობით პირველსა და სტატისკურ აწმყოში ზმნათა უღლების სრული სურათის წარმოსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია მესამე პირის საკითხის განხილვაც აღნიშნულ კილოებში.

## ხმსურული

I თურმეობითი. როგორც ცნობილია, ხევსურულში ავ (ავის) ვაკეკს ყოველგვარ ზმნაში, მათ შორის იმათშიც, რომლებსაც სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან ი (იე) დაბოლოება აქვთ. ავ და ამ თემის-ნიშნისანებში, რომლებსაც სალიტერატურო ენაში დღემდე შემოუნახავთ უნიშნობა, ვანსხვავებული ვითარებაა. ავ-იან ზმნებს მეორე ავ თითქოს საერთოდ არ დაერთვის, ამ-იანებში კი ზოგჯერ ავ-იც გვხვდება. ეს ავ ემატება თემის-ნიშნისან ფუძეს, რომელსაც ჩვეულებრივ კუმშავს კიდევ (იარაღები აუსხამ, უთქვაბ... უთქ-მ-ავ, აუსხ-მ-ავ). ხევსურულისათვის იმ შემთხვევებში, სადაც ავ არის გატარებული სალიტ. ქართულის ი-ს ნაცვლად, ამოსავალი სწორედ ავ და ამ თემის-ნიშნისანი ზმნებია: ამათ ემსგავსება ყველა დანარჩენი ფორმა და არა ვგვონია, რომ ავ მთის კილოებში უძველესი ვითარების გადმონაშთი იყოს და მწკრივის ნიშნად იყო გამოყენებული იმთავითვე. ამაზე მიგვიბრუნებს ის ვარაუდი, რომ თვით ავ და ამ თემის-ნიშნისანი ზმნები ჩვეულებრივ არაფერს დაირთავს: უხილ-





ავ, უნან-ავ... უსე-ამ (უსეამს), დაუდგ-ამ (დაუდგამს). ავ-იანებზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი თემის ნიშანი საკმარისად იქნა მიჩნეული და მეორე ავ აღარ დაერთო, მაგრამ ამ-იანი ზმნები? რატომ იხმარება ისინი, როგორც წესი, ამ დაბოლოებით, რატომ მათაც არ დაემატა ავ? გადახვევა ამ გზიდან გაერთიანების ტენდენციის ახალი ნაკადის მოქმედების შედეგია: უთქვ-მ-ავ, დაუდგ-მ-ავ... გვხვდება მხოლოდ შატილურ-მიდმანხურში, არსოტული ამ-იან ზმნებში ავ-ს არ იყენებს ([12] 122). როგორც ჩანს, შატილურში ამ-ავ დაბოლოება ახალია, ის ჯერ კიდევ არ გავრცელებულა მთელს ხევსურულში.

მოვიყვანო საილუსტრაციო მასალას:

1. სალიტ. ქართ. ი, ხ ე ვ ს. ავ (ავის): სალიტერატურო ქართულში ი მოსდევს ან უთემის-ნიშნო ფუძეს (მიუც-ი-ა), ან თემის-ნიშნიანს, თუ ზმნა ებ-იანია (აუშენ-ებ-ი-ა). ამ ტიპის ზმნებს სხვა თემის ნიშნები პირველ თურმეობითში არ გადაჰყვება ([6] 447—448). ხევსურულში ებ-ის გარდა, პირველ თურმეობითში გვხვდება სხვა თემის ნიშნებიც: **ობ, ემ**.

ა) უთე მის-ნიშნო ზმნები<sup>1</sup>: უქოცავ ახნაურები: ხევს. პოეზ. 6,4; აუტანავ: იქვე, 13,3; სისხლ... უღვრავ: იქვე, 52,13; შაუყრავ... ლაშქარი: იქვე, 81,3; მიგიღავ: იქვე, 330,1; უპოვნავ: იქვე, 517,19...

ე ბ-ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი: მაუტყუებავ: გაბ. 157,11; თავ დამინებებავ: იქვე, 135,20; დაუბარებავ: ხევს. პოეზ. 674,3; შაგიშინებავ: იქვე, 388,9...

ო ბ-ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი: ცუდ კაც არ უშობავ გზაზე; გაბ. 174,11; დედი-სერთა არ უშობავ ის თარეში: ჭინჭ. 372,7 (სალიტ. ქართ. უშვია, გაუშვია); უანზობავ ეშმას: გაბ. 157,1; უამზობავ: იქვე, 175,31; 185,15 (სალიტ. ქ. უამზია). ზოგი **ობ-იანი** ზმნა პირველ თურმეობითში ებ-ს გვიჩვენებს, რადგან მყოფადის ფუძეს იყენებს და არა აწმყოსას<sup>2</sup>. ამ იონურს ძალიან უუკადროებავ: გაბ. 186,1. უკადროობს, მაგრამ იუკადროებს: იქვე, 188,13.

დ) **ემ** თემის ნიშანი: ახალ ქართულში ემ პირველ თურმეობითში აღარ გადაჰყვება. ხევსურულში პარალელური ფორმები გვაქვს: **ემ-იანი** და **ემ** სუფიქსის გარეშე: მიუცემავე: გაბ. 158,4; 164,16; მიუცავ: იქვე, 176,5; მიგიცავ: ხევს. პოეზ. 588,12. ორივენიანი ფორმა ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით გვხვდება: შენდ მაუცავის უფალსა: ხევს. პოეზ. 617,2 და შენდ მაუცემავე უფალსა: იქვე, 617,10. პარალელური ფორმები სხვაეც შეინიშნება, ოღონდ თემის ნიშანია **ებ**: გაუგონებავ: ხევს. პოეზ. 106,9; 536,15; 610,2; გამიგონავ: იქვე, 334,5; გაგიგონავ: იქვე, 160,2...

ე) მოსალოდნელი ავ თემის ნიშნის მავიერ ზოგჯერ გვხვდება **ებ**: შაუჯაზ-მებავ: ხევს. პოეზ. 607,4 (შეუჯაზმავს); გაუმართებავ სიათი: იქვე, 38,15; 38,8 (გაუმართავს); შაუხენებავ: გაბ. 158,26 (შეუხენდავს).

ვ) ახალი ქართულის უთემის-ნიშნო ფორმათა ნაცვლად იხმარება ებ-იანი ფორმები: ჩაუგდება: ჭინჭ. 352,6 (ჩაუგდია); უომებავ: გაბ. 203,22 (უომია); უენებავ: იქვე, 156,12 (უენია); დაუდებავ: ქართ. დიალ. 24,32 (დაუდვია); უფიქრებავ: გაბ. 176,9 (უფიქრია) და სხვა.

2. ავ და ამ თემის-ნიშნიანი ზმნები:

ა) ავ-იანი ზმნები: ავ-იან ზმნებს პირველ თურმეობითში მე-3 სუბ. პირის ნიშანი ს ეკარგებათ. ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზია აღნიშნულ ფორმათა

<sup>1</sup> ივლისხმება ის, რომ თემის ნიშანი არ აქვთ პირველ თურმეობითში, საერთოდ შეიძლება ჰქონდეთ.

<sup>2</sup> როგორც საერთოდ გვაქვს მედიოაქტივში.

დამთხვევა სასხვისო ქცევის აწყო-ყოფადან: (უკლავს) დაუკლავს მეზობელს სტუმრის ქათამს და დაუკლავს მეზობელს ქათამი სტუმრისთვის ([14] 108—109), ([5] 210—211), ([2] 32).

მსგავსი მოვლენა შენიშნულია ბარის კილოებშიც: ქართლურში ([5] 210—211), კახურში ([14] 108—109), აგრეთვე მთიულურსა ([9] 53) და თიანურში ([10] 188) და იგივე კვალიფიკაცია ეძლევა. მაგ., კახური დიალექტის შესახებ გამოკვლევებში ავტორები წერენ: „კახურში, როგორც ქართლურსა და ზოგიერთ სხვა აღმოსავლურ კილოში, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ხ** არა აქვს ზოგჯერ ავ და ამ თემის-ნიშნის მოქმედებითი გვარის ზმნებს პირველ თურმეობითში და ამ სახით განემსგავსებიან ამავე თემატური ნიშნების მქონე აწყოთ თუ ყოფადის ზმნებს“ ([14] 108).

ხევისურულში ეს წესი მკაცრად არის გატარებული.

მაგალითები: ავ: უხახავ; ხევს. პოეზ. 33,1; მაუკლავ: იქვე, 49,30; შეუკრავ: იქვე, 103,6; თორმეტ პატრონა დაუწვავ: იქვე, 216,24; ვის გაუწირავ მკვდარი? იქვე, 224,45; დაუკრავ თოფი: ვაბ. 174,20...

ავიხ: ეს დაბოლოება საერთოდ ცოტაა, ამ ტიპის ზმნებთან კი ექვსიოდე მაგალითიდან ხუთი ერთ სიტყვაზე მოდის: ვაუბედავის: ვაბ. 158,13; ხევს. პოეზ. 475,3 და სხვ. მეორეა გამიკლავის: იქვე, 670,19.

ბ) ამ-იანი ზმნები: გვაქვს ამ, ამის, ამავე დაბოლოებანი:

ამ: იარაღები აღსხამ: ხევს. პოეზ. 49,5; სისხლ უსევამ: იქვე, 95,3; დაუდგამ (დაუდგამს): იქვე, 215,2; მაუსხამ... გარ: 158,6; შაურტყამ კმალ: იქვე, 160,28...

თუ ფუძე ბოლოვდება უ-ვ-თი, ის თემის ნიშნის ა-სთან ერთად გვაძლევს ო-ს: ვ-ა-ამ-ომ. მაგ.: ჩაუტომ: ვაბ. 204,7 (←ჩაუტე-ამ);

უთქომ: იქვე, 159,35 (←უთქე-ამ); გვხვდება ნარევი ფორმაც, ვ-თი<sup>1</sup>: უთქომ: ვაბ. 182,19;

ამ-ის ძალზე იშვიათია: უთქვამის: ჭინჭ. 330,23; ხევს. პოეზ. 223,5; იქვე 265,14; შეგებამის: იქვე, 163,2. სულ ოთხიოდე მაგალითია.

ამ-ავ: უნიფორმაციის პროცესი მე-3 პირში ენას ბოლომდე მიჰყავს, როცა ამ-იან ზმნებსაც ურთავს ავ-ს. მაშასადამე, ჯერ ი-ა დაბოლოებანი ზმნები დაემსგავსა ავ, ამ-იანებს და გაიჩინა ავ, ზოლო შემდეგ იწყება ამ-იან ზმნათა დამსგავსება ყველა დანარჩენთან იმიტო, რომ მასაც გაუჩნდა ავ დაბოლოება. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, დასრულებული არ არის.

მაგალითები: უთქმავ: ქართ. დიალ. 15,33; მაუსხმავ: იქვე, 15,9; გამაურთმავ: იქვე, 14,3 (←გამაურთვ-ამ-ავ); დაუდგმავ: ჭინჭ. 351,19; დაუსმავ: იქვე, 430,13 (დაუსვამს)...

ამ+ ავ+ ის ერთ სიტყვაში გვხვდება: უთქმავის: ქართ. დიალ. 14,12; უთქომავის: ჭინჭ. 353,5 (←უთქე-ამ-ავ-ის, ფუძე აქ არ იკუმშება). ეს ფორმა სულ ახალი ჩანს, ის არ გვხვდება „ხევისურულ პოეზიასა“ და ბ. გაბურის ხევისურულ მასალებში.

3. ი-ა დაბოლოება:

ა) სალიტ. ქართულის ი სუფიქსიან ფორმებში არც თუ იშვიათად ხევისურულშიც ი გვხვდება: გვიბრუნებია: ხევს. პოეზ. 479,15; გამაუვლია: ქართ. დიალ. 23,42; გიქნია, წაგიტანია, მოგიტანია, მოგიყვანია, ავიტანია: ხევს. პოეზ.

<sup>1</sup> უთქვამ, უთქომ—უთქომ. შდრ. ([12] 20).



273,1-5; ჩავიბრუნებია: იქვე, 746,24; შალცდენია: იქვე, 541,28; წაუკაფია: 162,33 და სხვა<sup>1</sup>.

ბ) ი-ა სუფიქსებივე დაერთვის ზოგჯერ სალიტ. ქართულის ავ, ამ-იან ზმნებსაც: მომიკლია: ქართ. დიალ. 23,22; უჩეგრია: ხევს. პოეზ. 745,4 (უჩავრავს); გაგითელია: იქვე, 463,11; ვაგვიწირია: იქვე, 469,25; გითქმია: იქვე, 568,2.

### აწმყო: 1. სტატიკური ვნებითი

როგორც აღინიშნა, პირველი თურმეობითის მსგავსი ვითარებაა სტატიკური ვნებითისა და სტატიკური შინაარსის მქონე საშუალო გვარის ზმნათა აწმყოში: სალიტ. ქართულის ი-ა დაბოლოებიანი სტატიკური ზმნები ავ-ს დაირთავენ, ხოლო ავ-იანები მე-3 სუბ. პირის ხ-ს იკვეცენ იმავე მიზეზით, რითაც ვარ-დამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში.

ა) სალიტ. ქართ. ი-ა, ხევს. ავ (ავის); ღბავ: ხევს. პოეზ. 545,10; გიბავ: იქვე, 378,4; მბავ... კმალია: იქვე, 674,29; ღგონავ: იქვე, 135,23; კელ ხკილავ: იქვე, 142,4; მიკილავ: იქვე, 258,8; აჩნავ: ვაბ. 143,27; 188,20; ხყრავ: იქვე, 243,6; უგავ (უგია): ხევს. პოეზ. 727,24; ღრევაგვ (პრევიათ, ურევიათ): ჭინჭ. 354,33; ტალავარი სცეავ: ხევს. პოეზ. 209,17; შდრ. სცოვ (—სცეავ): იქვე, 403,1...

ბ) სალიტ. ქართ. ავ, ხევს. ავ (ავის); გვიჭერავ: ხევს. პოეზ. 478,5; მხურავ (მხურავს): იქვე, 187,9; მიხურავ: იქვე, 436,2; წითელ ხყრავ ჭვარია: იქვე, 135,9; თოფსავ სპილოს ძვალ უკრავავ (უკრავს): ჭინჭ. 353,31...

გაგრცელბებულია ორი ზმნა — ღგულავ (აპირებს) და სტანავ (ახლავს, ურეგია). ესენი მხოლოდ მთის კილოებში გვხვდება და შესაძლოა, იმთავითვე ავ ჰქონდათ: ღგულავ: ხევს. პოეზ. 150,2; მგულავ: იქვე, 345,27... მტანავ: ვაბ. 191,21; გიტანავ: ხევს. პოეზ. 539,17...

ავ-ის საკმაოდ ხშირია: მგულავის: ხევს. პოეზ. 308,8; ხკილავის: იქვე, 4,4; გვიწყვავის: იქვე, 2,7; ღგდავის: ვაბ. 195,5; ილიაში წალდი მჩრავის: ხევს. პოეზ. 726,3; ღგონავის: იქვე, 366,6...

### 2. საშუალო გვარის ზმნები

მდგომარეობის გამომხატველი საშუალო გვარის ზმნების ერთი ნაწილი ფუძეს შეხორცებულ ავ სუფიქსს შეიცავს (ჰყავს, ჰგავს), ან ვ აქვს ფუძის ბოლოს (აქვ-ს). ამით ხ ჩამოსცილდება მე-3 პირში, ან ის დაბოლოებას მიიღებენ (ხყავ, ღგავ, აქვ... ხყავის, ღგავის, აქვის...). ამით ასე თუ ისე ეს ზმნები სტატიკურ ვნებითებს ემსგავსებიან ფორმით. ზოგი ზმნა, სალიტ. ქართულში ი-ა დაბოლოებაზე გადასული, ხევსურულში ავ-ს დაირთავს (აკლს—აკლია, აკლავ).

მყავ: ვაბ. 191,12; გყავ: ხევს. პოეზ. 135,9; გყოვ: იქვე, 136,2; ღგავ: ვაბ. 166,30; გიგავ: ხევს. პოეზ., 261,3; შაღგავ: იქვე, 695,1; შაუგავ: იქვე, 392,5; სძინავ: ვაბ. 152,4; აქვ: იქვე, 144,10; მაქვ: ხევს. პოეზ. 128,26; გიქვ: იქვე, 165,2; გვაქვავ (გვაქვსო): ვაბ. 182,16; გოქვ: ხევს. პოეზ. 136,17; გვოქვ<sup>2</sup>: ვაბ. 242,8...

ასევეა: გვაკლავ: ხევს. პოეზ. 337,2; აკლავ: იქვე, 223,43; უკლავ: ვაბ. 177,10; შამიძლავ: იქვე, 134,33; შაუძლავ: იქვე, 130,17...

<sup>1</sup> ნახე აგრეთვე: ([12] 129).

<sup>2</sup> ნარევი ფორმაა: გოქვ, გოქვ—გოქვ.



ავ-ის: აქვის: გაბ. 152,18; ხგავის: ხეგს. პოეზ. 768,9; ღგავის: იქვე, 457,3; მსავის: იქვე, 632,6; გყავის: იქვე, 65,20...

მე-3 სუბ. პირის ს სამშალი ვვარის ზმნებში ზოგჯერ შენარჩუნებულია, რაც, როგორც ჩანს, დაუწვევებელია სტატეკურ ვნებითებსა და გარდამავალ ზმნებში<sup>1</sup>. მაგ.: გაქვს: ხეგს. პოეზ. 33,5; აქვა: იქვე, 38,7; მყავს: იქვე, 351,10; ქართ. დიალ. 23,29 და სხვა.

ხევეტრულის შემთხვევაში აღნიშნული ყველა თავისებურება მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია თუშურისა და ფშაურისათვის. ამ კილოებს ხევეტრულისაგან ვანახვავებს თითქმის მხოლოდ ის, რომ ეს თავისებურებები ზოლომდე არ არის მიყვანილი, მკაცრად არ არის გატარებული წარმოების ერთი წესი. ავ და ი-ა დაბოლოებები აქ თავისუფლად მონაცვლეობენ, რასაც ბარის კილოების გავლენით ხსნიან. აღნიშნავენ, რომ „საერთოდ ფშაური სხვა მთის კილოებთან შედარებით უფრო განიცდის ბარის (ქართლური) მეტყველების გავლენას“ ([15] 124). იგივე უნდა ითქვას თუშურის შესახებაც: კახურის გავლენით უნდა იყოს მასში შესული მრავალი სიხსნე.

### თუშური და ფშაური

#### I თურმეობითი

თურმეობითი პირველი თუშურისა და ფშაურში თითქმის თანაბრად იყენებს ავ და ი-ა დაბოლოებებს. მეორე მხრით, გაფართოებულია როგორც ავ (ავის) ხმარების არე, ისე ი-სა: ავ გვხვდება სალიტ. ქართლის ი-ა დაბოლოებიან ზმნებში და ამ-იან ზმნებში, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, ი-ა გვაქვს ავ-ამ-იან ზმნებთანაც და იქაც, სადაც მოსალოდნელი იყო სალიტერატურო ქართლის მიხედვით.

ა) სალიტ. ქართ. ი-ა, თუშ. და ფშაური ავ (ავის):

თუშური: ვადუტარება: უთ. 41,17; უწუხება: იქვე, 39,2; გიჯობება-ვაგ (გიჯობებიაო): იქვე, 29,29; წუქცილება: იქვე, 26,5; მომიყვანავის: იქვე, 180,6; აუტენხავს: იქვე, 26,2 და სხვა.

ფშაური: გაუქანება (ლაში): ქართ. დიალ. 143,10; ვადმაუხენება: იქვე, 141,6; ყური არ უგდავ, არც კი დაუცლავის იარადის კმარება: იქვე, 132,35; მათქსოვავ: ფშ. მილ. 21,27; ვაუტაცება: დიალ. მას. 375,28; უფექრება: იქვე, 375,41 და მისთ.

ბ) სალიტ. ქართ. ი-ა, თუშ. და ფშაური ი-ა:

თუშურში ი-ა დაბოლოების ამოკვეცილია მახვილის გავლენით<sup>2</sup> ([13] 51).

თუშური: უფექრი: უთურგ. 24,9; დუწუცი: იქვე, 24,14; გუწლი: იქვე, 41,15; თოლ ვამუტახრი: იქვე, 42,42; მიუცი: იქვე, 59,2...

ფშაური: ამიჩენია: ფშ. მილ. 27,16; შაგიმჩნევია: იქვე, 27,18; დაუჭერია: დიალ. მას. 381,20; ამიკიდა: ფშ. მილ. 16,5; ვახსენებია: რაზიკ. 199,36 და სხვა.

<sup>1</sup> მხოლოდ ორიოდე მაგალითი შეგვხვდა: ა) ტარ უკრავს სპილოს ძვლასო: ხეგს. პოეზ. 225,41 და ბ) მინახავს: იქვე, 345,11; უთქვაო: გაბ. 162,2; ხეგს. პოეზ. 471,32.

<sup>2</sup> ზოგჯერ შენარჩუნებულია ლექსებში ან და ვავობის წინ: დაკობობია: უთ. 138,1.



ბ) ი-ა და ბოლოებია:

თუ შუარი: უწყვია: უთურგ. 52,8; გინთი: იქვე, 52,14; აგია: იქვე, 58,10; გიბი: იქვე, 71,4; აშქვი: იქვე, 152,2; მიგდია: იქვე, 209,2; ღბია: იქვე, 46,160; სტანი: იქვე, 147,7...

ფშაური: მგონია: ფშ. მილ. 20,7; წელთამც ნუ გრტყია ხმალია: რაზიკ. 66,133; მკილია: იქვე, 71,145; სტანია: იქვე, 52,92; უბია: იქვე, 233,204; უგდია: იქვე, 231,198); ჰგონია: იქვე, 99,71; გვიწყვია: იქვე, 133,179 და სხვა.

რაც შეეხება საშუალი გვარის ზმნებს, სავსებით ისევე იხმარება, როგორც ხევსურულში: აქვ, ჰყავ, ჰგავ... აქვის, ჰყავის, ჰგავის და სხვა. მხოლოდ ხევსურულთან შედარებით უფრო ხშირად გვხვდება სალიტ. ქართულის მსგავსი ფორმები: აქეს, ჰგავს, ჰყავს.

როგორც ცნობილი იყო სპეციალური ლიტერატურიდან და შემოთავ. ვუჩვენეთ, ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა აწმყოს მე-3 პირში ძირითადად გატარებული ავ (ავის) სუფიქსი, რითაც ეს კილოები განსხვავდებიან ქართული ენის დანარჩენი დიალექტებისა და ქართული სალიტერატურო ენისაგანაც<sup>1</sup>. როგორც ჩანს, მთის კილოებში განვითარების სხვა გზა არის დაცული. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ძველია ეს მოვლენა, აღრიხდელი ვითარების ნაშთია, თუ — ახალი, გვიან გაჩენილი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, გვიჭრობთ, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძოცემულ ზმნათა უღლების მთლიან სურათს გავითვალისწინებთ.

ირკვევა, რომ პირთა მისხედვით განსხვავებული ვითარებაა, კერძოდ, როგორც შემოთ აღნიშნეთ, 1-ლი და მე-2 სუბიექტური პირები (გარდამავალ ზმნაში ინვერსიულად პირდაპირი ობიექტი) აღნიშნულ დიალექტებში ქართული ენის სხვა დიალექტების მსგავსად იწარმოება: დაირთავს ი სუფიქსს და მეშველ ვარ, ხარ ზმნას. ძალზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფორმათა უნიფიკაცია აქაც მომხდარა: ი სუფიქსი მეშველი ზმნის წინ იხმარება ყოველგვარ ზმნაში, მათ შორის ავ და ამ თემის-ნიშნის ზმნებშიც. მასასადამე, ამ მხრით ქართული ენის დიალექტები განვითარების ერთ ხაზზე დგანან და უპირისპირდებიან ქართულ სალიტერატურო ენას.

გარდამ. ზმნათა პირველი თურმეობითი

ა) სალიტ. ქართ. ი-ვ არ/თ/, ი-ხ არ/თ/ — ხევს., თუშ., ფშაური ი-ვ არ/თ/, ი-ხ არ/თ/:

ხევსურული: ოსიკას ვულ ექსებ ივარ, ნაცვალო, შენსა დედასა: ხევს. პოეზ. 579,1; ნუმც გაუზ დივარ დედასა; ჭინკ. 390,14; დედასამც ნუ გაუზ დიორ, დედგა რუსენზედ მდარეო! ხევს. პოეზ. 461,10; მალექსეს ახელღებმა, ამ აუღივარ ძირითა: იქვე, 569,1...

მე არცა გამიგონი ხარ ვადაჩენილი ჯარზედა: ხევს. პოეზ. 520,16. ნეტაინ თქვენსა დედასა, თქვენ დაუზ დიხართ შვალადა: იქვე, 298,1.

ფშაური: ქალუმს უშაირ ებივარ ლელსა და ხოშისას: რაზიკ. 247,274; დავითოს ულ ექსებ ივარ: იქვე, 197,28;

<sup>1</sup> ვადაჩვენა ამ გზიდან (ვგულისხმობთ ი სუფიქსის გამოყენებას აღნიშნულ ფორმებში, ასევე მე-3 სუბ. პირის ხ-ს წარმოდგენას) განვითარების ახალი ტენდენციების მარკენებელია და სხვა კილოებთან დაახლოების ან ზოგჯერ სალიტ. ენის გავლენის შედეგია.



ფშაურის ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი ძირითადად დაცულია ვაჟას ნაწერებში. მაგ.: თავი დაურჩევ: II ტ., გვ. 89; ბოროტების ვხა გაუშევა; იქვე, გვ. 90 და სხვა. ასევეა 1-ლ და მე-2 პირებშიც: არ ვ უ ლ ე ს ი ვ ა რ ქ ა რ თ ვ ე ლ ს ა: I, 30; არც ვის უქივართ: I, 154; მე გავუშვივართ: 1, 56...

ეხლა ვგრე გამიშვიხარ, საკვლად კი გამოფთხილდი: რაზიკ. 99, 74; შენამც ნუ გამიგონიხარ უკლთნი ჩატირებული: იქვე, 136, 193.

თუ შური: ნეტა შენს დედას, ქალაქო, შენ უზარდიხარ ქალადავ, ცხვა საქმე არა ხქონია, შენ უწერიხარ წიგნადავ! უთურგ. 132, 4-5.

ბ) სალიტ. ქართ. ავ-ვართ/, ავ-ხართ/ — ხევს., თუშ., ფშაური ი-ვართ/, ი-ხართ/:

1-ლი და მე-2 პირის ფორმები გამოქვეყნებულ ტექსტებში ძალზე იშვიათია, ამიტომ ორიოდ მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ ის გარემოება, რომ სხვაგვარი წარმოება თითქოს არ ჩანს, ამათ სასარგებლოდ მეტყველებს<sup>1</sup>: ის აღარა ვარ, ბიძო, რაც გინახივარ გველია: ვაჟა, I, 53; ის აღარა ვარ, ძმობილო, რაც გინახივარ წინადა: იქვე, 1, 114.

შენდ კი უშველავ დიდს არსოტია გვაზს, რომ არ მოუკლიხარ აგვათ: ვაბ. 185, 29. შდრ. შენ იმას მოუკლიხარ: მოხ., დიალ. ქრესტ. 185, 23.

#### სტატყურ ზმნათა აწმყო

სალიტ. ქართ. ი-ვართ/, ი-ხართ/ — ხევს., თუშ., ფშაური ი-ვართ/, ი-ხართ/:

ხევსურულთ: მკონე, არ ვგონივარ მთელი: ხევს. პოეზ. 459, 20; ქალის კელში ორავ, ქალს უჭერი ორავ (უჭერივართ): ვაბ. 125, 5; მე თუ ყაჩაღი გგონიორთ, სად ნაჭვის თოფი, კმალია? ხევს. პოეზ. 227, 8; სად ვხყრიორთ, სად? რას ვაკეთებთ აქ? ჭინჭ. 341, 26; მაშ საფელ თუ ერთუც არ შეგწიენით, რაად უსახლიორთ ერთუც: ვაბ. 129, 30.

მთაში ნუ დგდიხარ, ირემო, ბარად ჩამოდი ნისლითა: ხევს. პოეზ. 31, 1; მგონიხარ ნახალიზარი: იქვე, 42, 7; ამინ სწერიხარ ქვასო: იქვე, 723, 9.

თუ შური: მეავ ცნეწ ვიქნებივ, თუ თავსთან ვხყუდივარივ, კელ ნუ მოხკიდიდივ, თუ ფეკებსთან ვხყუდივარივ ცნეწ ავადმყოფისივ, მემბრ უთხრიდივ: უთურგ. 49, 35-36.

ფშაური: ცასა გკიდივარ შიბითა: რაზიკ. 18, 3; წყლისა ნაკვეთასა გკიდივარ: იქვე, 135, 191; შამამხედენით, ქალებო, წითელ-წყითელა ვყუდივარ: იქვე, 207, 74; ახლა თუ კარგად ვანნივარ (მივანნივარ): ფშ. მილ. 37, 11; ვუპყრივარ: ვაჟა, I, 244, ვყუდივარ: იქვე, 221;

ერთი მინთიხარ სანთელი: ფშ. მილ. 24, 2; რად არა გდიხარ ჭკვითაო? რაზიკ. 197, 28; რატო თქვენ კერაჩი არა პყრიხართ? დიალ. ქრესტ. 151, 28; ჩემს წყლულს ოცნებას ზედ აკერიხარ აღმასის დილადა: ვაჟა, I, 162; ჩემს გულში სანთლად ანთიხართ: იქვე, 90, 5...

ზემოთ მოყვანილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ ხევსურულსა, თუშურსა და ფშაურში ჩვენთვის საინტერესო ზმნათა უფლება ასეთია: I თურმ.: უშაირებ-ი-ვარ, უშაირებ-ი-ხარ, უშაირებ-ავ// უშაირებ-ავ-ი-ს;

მაუყვან-ი-ვარ, მაუყვან-ი-ხარ, მაუყვან-ავ//მაუყვან-ავ-ი-ს;

<sup>1</sup> იგივე დაგვიდასტურეს ამ კილოებზე მთლანურად გამოკითხულმა პირებმა.



ასევე: მაჟკლ-ი-ვარ, მაჟკლ-ი-ხარ, მაჟკლ-ავ//მაჟკლ-ავ-ი-ს;  
უნახ-ი-ვარ, უნახ-ი-ხარ, უნახ-ავ//უნახ-ავ-ი-ს.  
აწმყო: ვღგონ-ი-ვარ<sup>1</sup>, ღგონ-ი-ხარ, ღგონ-ავ//ღგონ-ავ-ი-ს;  
ვზიდ-ი-ვარ, ხკიდ-ი-ხარ, ხკიდ-ავ//ხკიდ-ავ-ი-ს;  
უჭერ-ი-ვარ, უჭერ-ი-ხარ, უჭერ-ავ//უჭერ-ავ-ი-ს და მისთ.

როგორც ვხედავთ, 1-ლ და მე-2 პირში არსად ჩანს ის ავ, რომელიც ასე დამახასიათებელია მე-3 პირისათვის.

ამათი ანალოგია უნდა გვქონდეს საშუალო გვარის რამდენიმე ზმნაში, როგორცაა ჰყავს, ჰგავს, რომელთაც მე-3 პირი ერთნაირად აქვთ ნაწარმოები (ღგავ, ღგავის; ხყავ, ხყავის), 1-ლ და მე-2 პირებში კი ვარიანტებს გვიჩვენებენ: ა) ვყყევარ, ვღგევარ; ბ) ვხყყვივარ, ვღგვივარ; გ) ვხყვზვარ, ვღგვივარ.

მაგალითები:

ა) ფერად შავს ვღგვორთ ყორანსა: ხევს. პოეზ. 520,40; ვინჯას თათარსა ვყყევართ: რაზიკ. 14,21; ჰყყევხარ; იქვე, 49,69;

ბ) კარგას ვხყყვივარ ვაქვაცსა: ხევს. პოეზ. 373,3; ვყყვივარ ყარაულითა: რაზიკ. 64,129; სამშობლოვ, ჩვენცა ვყყვივართ: ფშ. მილ. 62,3; მოტეხილ ხესა ვგვევივარ: იქვე, 188,4.

გ) სმა-ქამით: ბაჰყის შევეღგვივარ: ხევს. პოეზ. 628,2; იელ-ნაჰამსა ვღგვივართ თხასათ: ჭინჭ. 429,18; ქარს ღგვიხარ მადლის მთისასა, წყალს ღგვიხარ ჩამანადენსა: ხევს. პოეზ. 366,12; შალღვიხარ ლეგათ მყვარათა: იქვე, 563,7; ალვის ხეს ღგვიხართ: იქვე, 486,2 და სხვ.

ჰყვიხარ: ხევს. პოეზ. 589,11; კელ-პირსამც აბანიებ, უნცროსადამც ხყვიხარ: ვაბ. 137,32...

ფუძისეული ენმოვნიანი ვარიანტი უფრო დამახასიათებელი ჩანს ფშაურისათვის ისევე, როგორც უკუშველი ფორმები (ყყევარ... ვყვივარ). შეკუშული ფორმები კი თითქოს მხოლოდ ხევსურულში გვხვდება და უფრო გავრცელებულია ვიდრე სხვა ვარიანტები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვხყვივარ, ვღგვივარ და მისთ. ფორმები ისუფიქსიანი სტატიკური აწმყოს ანალოგიით არის გაჩენილი და გვიანდელია: ვღგონივარ, ღგონიხარ, ღგონავის... შდრ. ვღგვივარ, ღგვიხარ, ღგავის. ასევე უნდა იყოს მიღებული ი-ნიანი უკუშველი ფორმებიც: ვხყვივარ, ვღგვივარ... ეს დასკვნა ბუნებრივი გვეჩვენება, თუ ვავიხსენებთ, რომ ამ ზმნებმა მე-3 პირშიც სტატიკურ ვნებითებს აუბეს მხარი: ღგავ, ღგავის...

ზემოთ თქმულის მიხედვით ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმების უნიფიკაცია ორი გზით წარმართულა: 1) ყოველგვარი ზმნა სალიტერატურო ქართულის ისუფიქსს იღებს 1-ლსა და მე-2 პირებში და 2) ასევე ყოველგვარი ზმნა ავ (ავის) დაბოლოებას გვიჩვენებს მე-3 პირში. ამასთან დაკავშირებით სხვაგვარად უნდა ვადაწყდეს საკითხი იმ ი-სა, რომელიც ზოგჯერ იჩენს თავს მე-3 პირში: ავის დაბოლოების ი იგივე არ არის, რაც 1-ლი და მე-2 პირების ი, რომელიც მეშველი ზმნის წინ ჩანს<sup>2</sup>. ავის ასე დაიშლება:

<sup>1</sup> სუბ. მე-2 და ობიექტ. მე-3 პირის ნიშნების მიხედვით ამ კოლოებში, შესაძლოა, განსხვავებული ვითარება იყოს.

<sup>2</sup> სხვა თვალსაზრისისათვის ნახე ი. ქაჯეთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგ. ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954 წ., გვ. 124; 160—161.

ავ თემის ნიშანია, ს — სუბიექტური მე-3 პირისა, ხოლო ი ფორმათგანმასხვევებელია: გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველისა და სასხვისო ქცევის აწმყო-მყოფადის გასარჩევად იხმარება ისევე, როგორც მხოლოდ ავ სხვა შემთხვევებში<sup>1</sup>. შეიძლება გვეფიქრა, რომ ი ვს კომპლექსის გამყარია, მაგრამ იგივე კომპლექსი იმავე კილოების აწმყო-მყოფადში არ საჭიროებს გათიშვას, ყოველთვის უტვლელად არის წარმოდგენილი (გაჭირებულს კვლს არ გაუ მართავს: გაბ. 130,7; ნადირს მა გ ი კ ლ ა ვ ს ჩარვალელი: ხევს. პოეზ. 749,4; ეგვიც მა უ კ ნ ა ვ ს ყანასა: იქვე, 688,2 და სხვა). ფორმათგანმასხვევება უნდა იყოს მიზეზი ამ-იან ზმნათა პირველ თურმეობითში (resp. სტატ. ზმნათა აწმყოში) ს-ს დაკარგვისა, სხვაგან ხ ყოველთვის დაცულია (წყალს დაუსხამს: ხევს. პოეზ. 122,7; მა უ ბ ო მ ს კარის იარაღს: იქვე, 121,4 და სხვ.).

სალიტ. ქართულს ი-ა დაბოლოებიან ფორმებში ხევესურულსა და სხვა კილოებში გამოვლენილი ავ სუფიქსი გვიანდელი უნდა იყოს და იმავეთვე მხოლოდ მე-3 პირში უნდა გვექნოდა<sup>2</sup>, რადგანაც 1-ლი და მე-2 პირები ასედაც განსხვავებული იყვნენ თავისი მეშველი ზმნით; შდრ. მყოფ.: მე მოუკლავ მტერს გულს, შენ მოუკლავ მტერს გულს, ის მოუკლავს მტერს გულს და I თურმ.: მოუკლივარ მტერს, მოუკლიხარ მტერს, მოუკლავ მტერს ის.

ამასვე გვაფიქრებინებს კიდევ ერთი გარემოება: ხევესურულში მრავლობითი რიცხვის მე-3 პირიც 1-ლ და მე-2 პირებს უტყერს მხარს, ი სუფიქსით იწარმოება. მაგ., თურმ. პირველი: უტყო-ი-ან, დაუბარებ-ი-ან, უნახ-ი-ან და სხვ. ასევეა სტატ. ვნებითის აწმყოში<sup>3</sup>: უტყერ-ი-ან, ხყერ-ი-ან, ღბ-ი-ან და მისთ.

მთის კილოებში ნ-არიან სახელობითში დასმულ სახელს ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვს ის სინტაქსური ძალა, რომელიც მას ძველ ქართულში ჰქონდა: ასეთი სახელი ზმნაში აჩენს სათანადო სუფიქსს. გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში და სტატიკურ ზმნათა აწმყოში ეს არის ან სუფიქსი, რომელიც სუბიექტის მრავლობითობის სუფიქსია წარმოშობით. ყველაზე მტკიცედ ეს წესი დაცული ჩანს ხევესურულში, უფრო ნაკლებად — ფშაურსა და თუშურში ([13] 37, 53).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიცემითში დასმული სახელის სინტაქსური ძალა ძველ ქართულში სუსტი იყო: ასეთი სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებდა, როცა თბიექტი იყო, და ვერც მაშინ, როცა სუბიექტი იყო. ხევესურულში ეს წესი ნაწილობრივ დღესაც დაცულია. მიცემითში დასმული სახელი, თუ ზმნას მე-3 პირის სუბიექტად შეეწყობა, თითქმის ვერასდროს ითანხმებს მას, სულერთია, ნ-იან მრავლობითშია სახელი თუ ებ-იან მრავლობითში<sup>4</sup>. მაგ.: ქმოსტელთ უ ს წ ა ვ ლ ა ვ რუსული: ხევს. პოეზ. 576,1 (უს-

<sup>1</sup> საყურადღებოა ამ მხრივ ის, რომ გარდა ამ ზმნათა პირველ თურმეობითისა და სტატიკურთა აწმყოში ამ ი-ს გარეშე ვს კომპლექსი დაუშვებელი ჩანს ([12] 139). თუმცა ეს ი სულაც არ არის აუცილებელი: მხოლოდ ავ დაბოლოებაც კმარა.

<sup>2</sup> ე. წ. ნ ჩართულ ფორმებში ეს ნ ავ-ია წინ არის ნოქცული, რაც სინტაქსისა ან ფორმათგანმასხვევითი თვალსაზრისით. მაგ.: გაქცეულ... ხაშფა, დაუ ყ ვ ი რ ნ ე ბ ა ვ : გაბ. 176,10; ნუმიც ვ ი ზ ი დ ნ ა ვ ი ს კელია: ხევს. პოეზ. 163,3; ზოგიც ი-ა სუფიქსებს დაიბრუნეს: მე შენავი მიტირნიათ: იქვე, 712,1; მთ უ შ ა ტ ნ ი ა წყალსთ: იქვე, 626,1.

<sup>3</sup> მრავლობითში თურმეობითი პირველის ი სუფიქსით წარმოება შენაშნულია სხვც. ლიტერატურაში ([12] 129). სტატიკურ ვნებითთა მრავლობითზე იმავე წმროში ახაფერია თქმული.

<sup>4</sup> ამ საკითხზე მსჯელობის დროს მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითი და სტატიკურ ზმნათა აწმყო.





წავლიათ); კვესურთ უ თ ქ ო მ: გაბ. 159,20 (უთქვამთ); შატილიონთ მიტყ...  
 რაგ თოფი: ჭინჭ. 351,4...

შეთანხმება არა გვაქვს ებ-იანი მრავლობითისაც: ქისტებს უ პ ა რ ა ე ცხე-  
 ნები (უპარავთ): ხევს. პოეზ. 216,1; თუშებს მ ა უ ტ რ ა ე მარჯვენა კელი,  
 წ ა უ ყ რ ა ვ... ჯაჭვი, წ ა უ ღ ა ე თოფი: გაბ. 161,19-20 და სხვა.

შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს, მაგრამ უკვე სისტემატურად არის  
 გატარებული მე-2 პირის სუბიექტის შეთანხმება ზმნასთან: ცხვარი ა გ ი ღ ა ე თ:  
 ხევს. პოეზ. 171,4; შილდა-საბუე გ ა გ ი ე ლ ა ე თ: იქვე, 121,7; ლუდ თუ არ  
 გ ა დ უ ღ ე ბ ა ე ი ს თ ა ე: ქართ. დიალ. 11,1 და სხვა.

როგორც აღინიშნა, სამაგიეროდ სახელობითში დასმული სახელი ყოველთ-  
 ვის ითანხმებს ზმნას, რაც ძველი ვითარების ვადმონაშთი ჩანს. ასეთ შემთხვე-  
 ვებში თურმეობითი პირველისა და სტატიკური აწმყოს საწარმოებლად ი-ს გა-  
 მოჩენა განსაკუთრებით საყურადღებოა. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:  
 სამკლავენ უ ტ მ ა რ ე ბ ი ა ნ: ხევს. პოეზ. 45,6; და უ ტ ე ნ ი ა ნ კაბანი: იქვე,  
 440,2; და უ ბ ა რ ე ბ ი ა ნ... კვესურნი: გაბ. 162,3; და უ ყ უ ღ ე ბ ი ა ნ დრო-  
 შანი: ჭინჭ. 372,11; ვაშლი ჩ ა მ ა უ ყ რ ი ა ნ: ქართ. დიალ. 24,9 და სხვა.

გამონაკლისს ამ საერთო წესიდან არც ავ და ამ თემის-ნიშნის ზმნები წარ-  
 მოადგენენ: შეთანხმების შემთხვევაში ისინიც ი ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ წარმოებაზე გადა-  
 დიან. ი-ს წინ ვ (←ავ) იკარგება, მ (←ამ) შემონახულია: უ ნ ა ხ ი ა ნ ...კვესურ-  
 ნი: გაბ. 159,13 (შდრ. ძვ. ქართ. უნახვან); ასევე, იქვე, 162,28; უ ბ ე გ რ ი ა ნ  
 კვესურნი: იქვე, 180,1 (ძვ; ქ. უბეგრვან); ზურაბ ერისთავს კმირად უ ლ ა შ ქ-  
 რ ი ა ნ კვესურნი: იქვე, 158,3 (ულაშქრავს — ულაშქრვან); არ მი ლ ა გ ი ა ნ  
 გვიმანი: ხევს. პოეზ. 255,1... ი დევს და უ თ ქ მ ი ა ნ ი ცხრანი ძმანი: ქართ.  
 დიალ. 24,8; შდრ. ძვ. ქართ. დაუთქმან. და უ თ ქ მ ი ა ნ ი მ ზ ო ბ ე ლ ნ ი ც ა: იქვე,  
 24,24; საგნის-საკვეთელნი ჩ ა უ ს ხ მ ი ა ნ ცეცხლში: იქვე, 24,25 (ჩაუსხმან)  
 და სხვა.

შეთანხმება მაშინაც გვაქვს, თუ სახელი მხოლოდითშია, მაგრამ შინაარსით  
 მრავალს გამოხატავს: გა მ ა უ შ ვ ი ა ნ ჩვენ ხალხი: ჭინჭ. 382,5; ზვიადი, ბავაი  
 და ჯოყოლა ერთად და უ ტ ო ც ი ა ნ: იქვე, 353,16; ან კიდევ, როცა სახელი  
 ებ-იან მრავლობითშია: ძალიენ უ შ ა რ ა ლ ე ბ ი ა ნ ლეკებს თუშები: იქვე,  
 367,1.

რაც ზემოთ პირველი თურმეობითის შესახებ ითქვა, ძირითადად ეხება  
 სტატ. ზმნათა აწმყოსაც.

1. მიცემითში დასმულ სახელს მე-3 პირისას ზმნა რიცხვში არ ეთანხმება:  
 ქისტებს ღ გ ო ნ ა ე: გაბ. 166,1 (პგონათ); იმათ ღ გ ო ნ ა ე ი ს: გაბ. 217,3;  
 მტრის ნახვა ახალგაზრდათა კიდევ უ რ ჩ ე ვ ა ე კორწილსა: ხევს. პოეზ. 266,10  
 (ურჩევნათ); არ ს ქ ა რ ბ ა ე ცხენის მჭამლებს: გაბ. 170,9...

2. მიცემითში დასმული მე-2 პირთან შეწყობილი სახელი ზმნას ითანხმებს  
 რიცხვში: სიკვდილიმც ნ უ გ ი წ ე რ ა ე თ ა ე: გაბ. 157,22 (გიწერათო); მანდე-  
 ლიმც გ ხ უ რ ა ე თ დიაცისაო: ხევს. პოეზ. 91,3; გ ს ხ ა ე თ ჯაქე-იარაღი: იქვე,  
 169,7; არცა-რათი გ კ რ ა ე თ ჭკვისაო: იქვე, 193,1 და მისთ.

წ-არაიანი მრავლობითის სახელობითში დასმული სახელი აქაც ითანხმებს  
 ზმნას რიცხვში და ავ დაბოლოებას ცვლის ი ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ:

სამნი გ გ ტ ა ნ ი ა ნ სხვანიო: ხევს. პოეზ. 2,6 (შდრ. თუშური გვტანვან);  
 ლევთ უ ჭ ე რ ი ა ნ მონია: იქვე, 65,19; თათნი ვადაზე ხ კ რ ი ა ნ თ: იქვე,  
 177,11; ტარნი უღელში დ ბ ი ა ნ ა: იქვე, 206,15; საძროხეში ვირნ მი ბ ი ა ნ:



იქვე, 414,2; ზედ რო ს კ ი დ ი ა ნ ღვიანი: ჭინჭ. 409,34; ზედ ირმის ტანს  
ს კ რ ი ა ნ ა: იქვე, 390,19; ვისაც ჩოგვის ძველ ს ც ვ ა ნ ა რ: ხევს. პოეზ. 609,2  
და მისთ.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში — ხევსურულში  
თუშურსა და ფშაურში — სხვა კილოთაგან განსხვავებულია მხოლოდ მხოლოდ  
ბითი რიცხვის მე-3 პირის წარმოება, რომელსაც ავ სუფიქსი დაერთვის, ყველ  
სხვა შემთხვევაში გვაქვს ი სუფიქსი ქართული ენის დანარჩენი კილოების  
მსგავსად. კერძოდ, ი სუფიქსიანია: 1) ყოველგვარი ზმნის 1-ლი და მე-2 პირ  
ორივე რიცხვში (აქვე შემოდის სალიტ. ქართულის ავ და ამ თემის-ნიშნის  
ზნნებიც) და 2) მე-3 პირი მრავლობითი რიცხვისა. თუ იმასაც გავისხენებთ, რომ  
მხოლოდბითი რიცხვის მე-3 პირშიც სამივე კილოში ზოგჯერ ი გვაქვს, მაშინ  
წივძლება ითქვას, რომ ი სუფიქსიანი წარმოება სხვა დიალექტების მსგავსად  
მთის კილოებშიც გაბატონებულია.

### შემოკლებანი

- გაბ. — ქვესურული მასალები, ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, ბროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს  
რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ, ქართული საენათმეცნიერ  
საზოგადოების წელიწადული, I-II, 1923 — 1924.
- დაიდ. მას. — შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ., 1974.
- დაიდ. ქრესტ. — შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ,  
თბ., 1956.
- ვაჟა, ტ. I — II — ვ ა ჟ ა ფ შ ა ე ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I და  
II, თბ., 1961.
- კაიშ. — ლ. კ ა ი შ ა უ რ ი, მთიულური ტექსტები წიგნში: მთიულურის დარგობლივი ლექსიკა  
თბ., 1967.
- რაზიკ. — ხალხური სიტყვიერება, III, პირველი სერია, II, ხალხური ლექსები, ჩაწერილი თ ე  
დო რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, მის. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1953.
- უთ., უთორგ. — თ. უ თ ო რ გ ა ი ძ ე, თუშური ეპოქა, თბ., 1961.
- ფშ. მიღ. — ფშაური მიღქმებანი, შეკრება, ლექსიკონი დაურთო და გამოსცა ვ. ხ ო რ ნ ა უ ლ  
მ ა, თბ., 1939.
- ქართ. დაიდ. — ივ. გ ი გ ი ნ ი ე ზ ე ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული  
დიალექტოლოგია, თბ., 1961.
- ჭინჭ. — ა. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურლის თავისებურებანი, თბ., 1963.
- ხევს. პოეზ. — ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931.

### ლიტერატურა

1. ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქარ  
თულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964.
2. ზ. ჭუშბურაძე, ავ და ამ თემის-ნიშნის ზმნათა უღლებნისათვის პირველ თურმეობით  
ში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბ., 1976.
3. ა. ჩიქოვაძე, აურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების  
სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944.
4. ვ. თოფურია, ნამუცის სხეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იქვე, VI, 1955.
5. გრ. იშნაიშვილი, ქართული დიალექტი, 1974.
6. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953.
7. ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იქვე, VI, 1955.
8. ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქარ  
თულში, სადისერტაციო ნაშრომი, მანქანზე გადაბეჭდილი, 1965.
9. ა. ჩიქოვაძე, მთიულურის თავისებურებანი, ენისმცის მოამბე, II, 1937.





- 10. გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი: ახალგაზრდა მეცნიერ-მეუპაგოა შრომების კრებული, 1970.
- 11. ა. შანიძე, ქართული კილოები შთაშვი: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, 1957.
- 12. ა. კინკარაძე, ხეცსურელის თავისებურებანი, 1960.
- 13. თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960.
- 14. ა. მარტოროსოვი, ვრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956.
- 15. ვ. თოფურიძე, ი. გიგინეიშვილი, ი. ქაჯთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1961.



კ. დანელია

### ეპოპოს სტიქომეტრიის ძველი ქართული რელაქციები

#### შესავალი

ბიბლია ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი საყრდენი წერილობითი წყაროა. ლიტურგიკულმა პრაქტიკამ აუცილებლობის სახით ნოიონოვა თავიდან გაბმულად დაწერილი ბიბლიური ტექსტების გარკვეულ მონაკვეთებად დანაწილება. ძველი აღთქმის წიგნთაგან თავიდან დაყოფა მხოლოდ ე. წ. პოეტური ხასიათის თხზულებებს (ფსალმუნს, ეკლესიასტეს, ქება ქებათას, სოლომონის სიბრძნეს...) ჰქონდა, რომლებსაც სტიქერონ ანუ მუხლედ წიგნებს უწოდებდნენ ძველ ქართულ წყაროებში. შემდგომ უპირველესად დაიყო მოსეს ხუთწიგნეული მცირე (669) და დიდ (50—54) ნაწილებად (პარაშებად). დღესდღეობით ძველი აღთქმის წიგნთაგან მხოლოდ ფსალმუნის დაყოფის საკითხებია ჯეროვნად შესწავლილი ქართულ ხელნაწერებში [მხ. შანიძე, ფსალმუნის წიგნის ძველი ქართული თარგმანები (სადოქტ. დისერტ.) თბ. 1974, გვ. 53—82]. ცხადია, ბიბლიური ტექსტის დაყოფის საკითხები ცალ-ცალკეა შესასწავლი თვითეული თხზულებისა, უკიდურეს შემთხვევაში თემატიკურად გაერთიანებული ისეთი წიგნებისა მაინც, როგორცაა, ვთქვათ, მოსეს ხუთწიგნეული, წინასწარმეტყველთა წიგნები, ოთხთავი, სამოციქულო და სხვა.

„ქართული ოთხთავის ორი ძველი რელაქციის“ 1945 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ა. შანიძე 30 წლის წინ წერდა: „რაც შეეხება ძველ სტიქომეტრიულ სისტემას, მას ამ გამოცემაში მოვერიდეთ, რადგან საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის ქართული ხელნაწერების მიმართ“. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით შემდგომშიც არაფერი გაკეთებულა.

სამოციქულოს ძველ ქართულ რელაქციებში სტიქომეტრიული აპარატი მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს აქვს, გვიანდელ რელაქციებში კი სხვა ტიპის დანართები მოეპოვება უკვე სამოციქულოს სამივე წიგნს (საქმ., კათ., პავ.). პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიების 1974 წ. გამოცემაში სტიქომეტრიულ დანართთაგან დაიბეჭდა მხოლოდ „თავნი“, ე. ი. ის ნაწილი, რაც საერთოა ძველი და გვიანდელი რელაქციებისათვის, და „უწყებანი“, რომლებიც მხოლოდ CD-ს მოეპოვება.

გამოცემის შესავალში ნათქვამი იყო: „განზრახულია პავლეს ეპისტოლეთა ძველი რელაქციების სტიქომეტრია სრულად დაიბეჭდოს ცალკე“ (გვ. 24). წინამდებარე გამოცემა ამ განზრახვის შესრულებას წარმოადგენს.

სამოციქულოს სტიქომეტრია, რომელიც ტრადიციით IV თუ V საუკუნის მოღვაწე ევთალე ალექსანდრიელს მიეწერება, წარმოადგენს უძველეს ფილოლოგიურ შრომას, კრიტიკულ აპარატს. მასში უმთავრესად გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო სამოციქულოს ტექსტის უძველეს დაყოფას — საკითხავებად, თავებად, მუხლებად განაწილებას. პავლეს ეპისტოლეთა ევთალესეული დანართი იმავე დროს უნდა გადმოეღოთ ქართულად, რა დროსაც თვით ეპისტოლეთა ტექსტი (V საუკ.). ქართული კულტურის ისტორიისთვის საინტერესოა არა მარტო ევთალეს შრომის ქართულად გადმოთარგმნის ფაქტი, არამედ იმ საკითხების გარკვევა, თუ როგორ (რა სიზუსტით) არის თვით ეპისტოლეთა ტექსტში გატარებული უძველესი დაყოფის ევთალესეული პრინციპები. ამდენად, დანართებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბიბლიური წიგნების ქართული რედაქციების ისტორიის შესასწავლად, არამედ ქართული პალეოგრაფიისთვისაც, რადგან მასში უხვად მოიხილება ნაწერის დაყოფისა და წერის პროცესთან დაკავშირებული ძველი ტერმინები. რადგან დღეს მეცნიერებაში მიაჩნიათ, რომ სამოციქულოს სტიქომეტრიული დანართის ბერძნული ტექსტი უნდა შეიცავდეს სხვადასხვა დროისა და ავტორების ნამუშევართა ფენებს, ძველი ქართული თარგმანის ჩვენებას გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა თვით ბერძნული ორიგინალის სტრუქტურის (პლასტების) შესასწავლადაც.

**I. ზოგადი ცნობები:** ერთ-ერთი ძველი, ფილოლოგიური ხასიათის თხზულება, რომელსაც თავისი დანიშნულების მიხედვით პირობითად „სტიქომეტრიას“ უწოდებენ, წარმოადგენს სამოციქულოში შემავალ წიგნთა თავისებურ დანართს, შესავალს. პრაქტიკული, ლიტურგიკული საკითხების გამო, წაკითხვისა და გაგების გაადვილების მიზნით, ევთალემ და მისი საქმის გამგრძელებლებმა ფილოლოგიურად გააანალიზეს სამოციქულო (პავლეს, მოციქულთა საქმისა და კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტი). მათ სამოციქულოს ბერძნული ტექსტი დაყვეს საკითხავებად, საკითხავები — თავებად, თავები — სტიქონებად, ამოწერეს და დაალაგეს ყველა ბიბლიური დამოწმება (ციტატი), შეადგინეს რამდენჯერმე გამეორებულ დამოწმებათა სიმფონია (სათანხმებელი) და არა თუ სამოციქულოს წიგნებს ზოგადად, არამედ მათში შემავალ ცალკეულ თხზულებებს — ეპისტოლეებსაც სათითაოდ შეუდგინეს შესავალი — „უწყება“ (თხზულების დანიშნულების, დაწერის ისტორიისა და მოკლე შინაარსის მათუწყებელი) და „თავები“, რომელთა დასახელება ნათელს ხდის, თითოეული თხზულების რომელ ნაწილში (თავში) რა საკითხებზეა თხრობა.

ცნობები ევთალეს თხზულების შესახებ ძალზე ცოტაა ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში. მას ვაკვრით, ორიოდე სიტყვით ახსენებენ კ. კეკელიძე ([2], 223), ილ. აბულაძე, ([3], 017, 023), შედარებით ვრცლად ეხება მას ქ. ლორთქიფანიძე ([4], 44—80).

აღსანიშნავია, რომ სამოციქულოს ძველ ქართულ რედაქციებში ევთალეს „სტიქომეტრიის“ სრული ტექსტი მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს ეერთვის. გვიანდელ რედაქციებში (გიორგისეულსა და ეფრემისეულში) კი ვითარება სხვაგვარია: „სტიქომეტრიის“ ნაწილი (მხოლოდ „უწყებანი“ და „თავნი“) ერთვის სამოციქულოს სამივე წიგნს. გვიანდელი რედაქციის ეს ტექსტი თავ-თავის ნაწილში გამოსცეს კიდეც ილ. აბულაძემ ([3], 212—222) და ქ. ლორთქიფანიძემ ([5], 35—39; 51—53; 66—67...). ცხადია, სამოციქულოს,

ყრდოდ, პავლეს ეპისტოლეების ძველი ქართული რედაქციებისათვის წამდ-  
ვარებული „სტიქომეტრიის“ გამოცემის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო  
ქართული ფილოლოგიისათვის, არამედ ახალი აღთქმის ტექსტის ისტორიისათ-  
ვის საერთოდ: ევთალიანას დიდძალ, მაგრამ ხშირად ერთმანეთის გამომრიცხ-  
ველი შინაარსის მქონე ლიტერატურას ემატება უძველესი ქართული თარგმა-  
ნის ჩვენება.

ვეთალეს, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში აღუქმანდრეულ დიაკვნად  
ჩსენება, ვილაც „ნეტარი მამის“ ბრძანებით სავანეებო დანიშნულების თხზუ-  
ლება (ე. წ. „სტიქომეტრია“) თავდაპირველად დაუწერია და წარუძღ-  
ვარება მხოლოდ პავლეს 14 ეპისტოლისათვის V საუკუნის I  
ნახევარს (მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, 458 წელს). ტექსტების სტიქომე-  
ტრიული დაყოფა უფრო ადრე (დაახლოებით 396 წლისათვის) სირიულში ყო-  
ფილა ცნობილი ([46], 114) და ვეთალეს იმით უსარგებლია. ეს დაყოფა ასე  
ხდებოდა: სტრიქონზე თავსდებოდა იმდენი სიტყვა, რამდენს წაყიხვაც შეიძ-  
ლებოდა შეუჩერებლივ, პაუზის გარეშე. პაუზა კეთდებოდა სტრიქონის ბოლოს  
რადგან სტრიქონები აზრობრივ დაყოფასაც ემყარებოდა, სიტყვათა (ასო-ნიშან-  
თა) რაოდენობა მათში, სტრიქონებში თანაბარი არ იყო.

გვიან კი (დაახლოებით 490 წლისათვის, ზოგის აზრით, 460 წელს) მსავსა  
შრომა ვეთალეს გაუწევია მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებზე.  
მათთვისაც შეუღდენია დანართები. ვეთალემ რომ დანართები თავდაპირველად  
პავლეს ეპისტოლეებს შეუღდენია, ეს შემთხვევითი არ ყოფილა, მისი მიზეზი  
ყოფილა უპირველესად თვით პავლეს თხზულებათა მნიშვნელობა; რიგითაც  
თავიდან პავლეს თხზულებებს სამოციქულოში პირველი ადგილი ეჭირა  
(შემდგომ კი მესამეზე გადაინაცვლა).

პავლე მოციქული, რომელიც ადრეული ლიტერატურით მიჩნეული იყო  
ქრისტეს თანამედროვედ, ე. ი. I საუკუნის მოღვაწედ, გვიანდელი, ახალი ლი-  
ტერატურით, ითვლება II საუკუნის I ნახევრის მოღვაწედ; წარმოშობით  
იუდეველი, იგი ფარისეველთა სექტის ერთგული მიმდევარი იყო და სდევნიდა  
ახლად ჩასახულ ქრისტიანულ მოძღვრებას, შემდგომ კი ხდება ამ მოძღვრების  
ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი და გამავრცელებელიც. პავლე მოციქულს განსა-  
კუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა ქრისტიანული ღვთისმეტყველების განვითარ-  
ებაზე. მასთან პირველად არის გამოთქმული ის ქრისტოლოგიური მოძღვ-  
რებანი, რომლებიც შემდგომ განვითარებულია სხვა მოციქულთა წერილებში.

1 პავლეს მისიონერულ მოღვაწეობასა და მოძღვრებაზე ბოლო საუკუნეებში უამრავი  
შრომაა შექმნილი, რომელთაგან აღსანიშნავია: ინგლისელი თეოლოგის ფარარის ათ-წიგნაანი  
„Жизнь и труды Св. апостола Павла“ (С.-Пб., 1905), ფრანგი მეცნიერის ე. რენანის  
შვიდ-ტომიანი „История первых веков христианства“, რომლის მესამე წიგნი პავლეს ეძინება  
(Э. Ренан, Св. Павел, С.-Пб., S. L.), გერმანელი ფილოსოფოსის, პროფ. დრევესის ორ-ტო-  
მიანი „Миф о Христе“ (I, 1923, II, 1925, М.), გერმანული თეოლოგის ვრედლეს მონოგრაფია  
„Павел“ (1907, М.), მისივე, „Происхождение книги Нового Завета“ (1925, М.), გერმა-  
ნული დოქტორანტის ა. ფულხაერის „Религия Иисуса и начало христианства до ва-  
кеейского собора“ (სერაოში: Религия и церковь в свете научной мысли и свободной кри-  
тики. кн. 1—3, М., 1907), პროფ. ნ. გლუბაკოვსკის ორ-ტომიანი „Евангелие апостола  
Павла“ (I, 1905; II, 1910, Пет.), პროფ. ეიპერის „Возникновение христианства“ (1918  
М.), მისივე „Рим и раннее христианство“, (1954, М.), პროფ. კოტლევის, „Основ-  
ные вопросы происхождения хр.-ва“, (1964, М.—Л.), ი. ლენცმანის „Происжде-  
ние хр.-ва“ (1958, М.) და სხვა.



სახარებებსა და ქრისტიანული მწერლობის პირველ ნაწარმოებებში II საუკუნისა.

პავლე მოციქულმა იუდაიზმის წიაღში ჩასახულ ქრისტიანულ სექტას დამოუკიდებელი რელიგიის სახე მისცა. დამახასიათებელია რომ პროფ. არტ. დრევსი, რომელიც აესო ქრისტეს პიროვნების ისტორიულობას არღვევს და უარყოფს, პავლეს შესახებ წერს: „*Вез Исуса возникновение христианства вполне объяснимо; без Павла его объяснить нельзя*“. ([37] 30).

პავლეს ეპისტოლეთა მნიშვნელობა ადრევე ჰქონდათ შეგნებული ქრისტიან ავტორებს. ამიტომ არის, რომ III—V საუკუნეებში არა ერთ ავტორს (ორიგენს, ეფრემ ასურს, იოანე ოქროპირს...) მრავალჯერ უცდიათ პავლეს ეპისტოლეთა სავანებო ანალიზი. პავლეს ეპისტოლეთა ტექსტის კითხვისა და გაგების გასაადვილებლად, როგორც ვთქვით, ევთალეს (IV თუ V საუკუნეში) მოუცია სამოციქულოს ტექსტის ფილოლოგიურ-ტექნიკური ანალიზი.

ევთალესა და სამოციქულოს დანართებზე დიდძალი სპეციალური ლიტერატურა არსებობს, რომელთა ნაწილის გაცნობაც კი ცხადყოფს, რომ ისეთ ძირითად საკითხებში, როგორცაა ავტორობა, დაწერის დრო, თხზულების თავდაპირველი კომპოზიცია და სხვა, აზრთა სხვაობა არის<sup>1</sup>.

ა) ავტორი: ლიტერატურული ტრადიცია (სამოციქულოს ტექსტის შემცველი ზოგი ბერძნული და სომხური ხელნაწერები) დანართების ავტორობას ალექსანდრიელ ევთალე დიაკონს მიაწერს. ეს ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში დაამკვიდრა დანართების სრული ბერძნული ტექსტის გამომცემელმა დ. ცაკანიმ ([47]). მას იზიარებენ სხვებიც: ვალანდი ([48], 619—623), ტიმენდორფი ([46], 153—157; 639), პარდენშვეერი ([49], 283—285) და სხვები.

1889 წელს პარიზში პავლეს ეპისტოლეთა დანართების ბერძნული ტექსტი გამოუქვეყნებია Omonts-ს ერთი ძველი და დანიანებული H ხელნაწერის მიხედვით ([50], [54], 1495), ხოლო ერჰარდს მსგავსივე ტექსტი უპოვნია ნეაპოლურ ნუსხაში, რომლის ბოლოსიტყვაობის (კოლოფონის) პირველ სტრიქონში მას ამოუკითხავს *Εὐχρηστος* და ამის საფუძველზე დანართების ავტორად გამოუცხადებია ევავრე პონტელი (399) ([51]). ერჰარდის ეს მოსაზრება არ გავრცელებულა.

უფრო გავრცელებული და მისაღები შეხედულებით, სამოციქულოს დანართები, რა სახითაც ისინი მოღწეულან ჩვენამდე, მხოლოდ ევთალეს ნაწარმს კი არ წარმოადგენს, არამედ სხვადასხვა დროის მოღვაწე პირებისასაც; ამ აზრისა არიან დობშუცი ([52]), რობინზონი, ([53]), პაულის ენციკლოპედიის ავტორები ([54], 1495 — 1497) და სხვები.

პავლეს ეპისტოლეთა დანართების შემცველ ძველ ქართულ ხელნაწერებში ევთალეს სახელი არ იხსენებია. საქმე ისაა, რომ პავლეს დანართების დასაწყისი აკლიათ ხელნაწერებს, ამიტომ არ ვიცით, იყო თუ არა მათში ევთალე ნახსენები. ო. ნუსხა ერთადერთია, რომელიც შეიცავს დანართების შესავალს (პროლოგს), მაგრამ ავტორზე მითითება მასშიც არ არის. დანართების სომხურ თარგმანში კი არის მითითება ევთალეზე ([63], 267—268). ჩანს,

<sup>1</sup> დანართებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ არასრული, მაგრამ არსებითი მნიშვნელობის ცნობები მოცემულია ქ. ლორთქიფანიძის საქანდიდატო შრომაში ([4], 47—70).

ქართული და სომხური თარგმანების ავტორები სხვადასხვა ტიპის წყაროებით სარგებლობდნენ.

ბ) დაწერის დრო: ევთალეს ცხოვრებისა და სამოციქულოს დანართების შედგენის დრო ზუსტად არ არის დადგენილი; ქრონოლოგია სულ მცირე სამი საუკუნის (IV—VII) საზღვრებში მერყეობს. ცაკანისა და გალანდის აზრით, ევთალეს 458 წელს შეუდგენია დანართები პავლეს ეპისტოლეთათვის ([48a], 620—622), ხოლო უფრო გვიან (გალანდით, 460 წელს, ცაკანით, 490 წელს) — მოციქულთა საქმისა და კათოლიკე ეპისტოლეებისთვისაც. კ. ტ. ი. შენდორფსაც დანართები 458 წელს თუ ცოტა გვიან შესრულებულად მიაჩნია.

რობინზონის აზრით, ([53], [4], 67), ევთალეს სამოციქულოს დანართები შეუდგენია 323—372 წლებს შორის (332 წელი ქვედა ზღვარია, ევსეების საეკლესიო ისტორიის დაწერის დრო, რომლიდანაც ევთალეს ცნობები მოჰყავს, ხოლო 372 წელი ზედა ზღვარია, გარდაცვალების თარიღი წმ. ათანასესი, რომელიც ცოცხლად იხსენება დანართებში).

ხოდენი დანართთაგან ევთალესად თვლის მხოლოდ შესავალს (პროლოგს), რომელიც 670 წელს უნდა იყოს შედგენილი ([55], [49], 285). ეს შეხედულება ნაკლებად არის გავრცელებული.

პაულის ენციკლოპედიის ცნობით, ევთალესად მიჩნეული დანართების შედგენის დროის ქვედა ზღვარად შეიძლება ჩაითვალოს ევსეების ქრონიკები (IV საუკუნის I ნახევარი), ხოლო ზედა ზღვარად 500 წელი ([54], 1495).

როგორც ჩანს, ევთალესა და დანართებზე ერთიანი და სარწმუნოდ დამტკიცებული შეხედულებები არ მოიპოვება. როგორც ერთი ავტორი ამბობს, „ძლიერი ვიდახარები, რომლებიც აქამდე გამოცემულ ევთალეს მასალაში იგრძნობა, მიგვიითიფებს, ვიყოთ ფრთხილად, რომ ვავარკვიოთ მნიშვნელობა, დრო, საფუძვლები და წარმოქმნის სახე ევთალეს კორპუსისა“ ([54], 1497).

გ) ბერძნული და სომხური ტექსტის გამოცემები. სამოციქულოს დანართთა ბერძნული ტექსტის ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვან გამოცემად ითვლება ლ. ცაკანის სუბლიკაცია ([47]). გამოცემის საფუძვლად ცაკანის ვატიკანური ნუსხა აულია და ვარიანტებში სხვა ხელნაწერთა ჩვენებაც მოუცია, დაურთავს ევთალეს თხზულების ლათინური თარგმანი და გამოკვლევაც. ამ გამოცემის ტექსტი ოდნავ შემოკლებით გაუმოკრებიათ გალანდის ([48b], 197—320) და მინს ([59]). მინს სტიქომეტრიული დანართებისათვის დაურთავს ტექსტის ცაკანისეული ლათინური თარგმანი და კრიტიკული აპარატი, ხოლო წინ წარუმიძღვარებია გალანდის გამოცემიდან გადმოღებული ცნობები (Notitia). ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მინის გამოცემა, რომელიც კარგ გამოცემად არ ითვლება ([54], 1495).

ევთალესეული დანართები მთლიანად არის თარგმნილი სომხურ ენაზე და გამოცემულიცაა ([61]). ოღონდ სადაოა, როდის ითარგმნა, V საუკუნეში, როგორც მკვლევართა უმეტესობა ფიქრობს, თუ VII საუკუნეში, როგორც ტერმოვესიანის ვარაუდობს ([63], 267).

II. ა) ქართული ხელნაწერები და რედაქციები: ევთალეს თხზულების ძველი ქართული თარგმანი ამჟამად ჩვენთვის ცნობილია ოთხი ხელნაწერის მიხედვით: S 407 (X ს.), S 1398 (XI ს.), S 1138 (X ს.), ქუთ. № 176 (XI ს.). სამწუხაროდ, ტექსტი ოთხსავე ხელნაწერში ნაკლებადაა წარმოდგენილი. ეს გასაგებია: „სტიქომეტრია“ სამოციქულოს ძველ ქართულ რედაქ-



ციებში მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს ახლავს, ხოლო ეს უკანასკნელი კი უსწრებს მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს. ჩვეულებრივ, ფუტო ხელნაწერთა შესავალი ნაწილი ზიანდება ხოლმე. მართალია, არც ერთი ხელნაწერი სრულად არ შეიცავს „სტიქომეტრიის“ ტექსტს, მაგრამ მოღწეული ნაწილები ერთმანეთს ავსებენ და, ამდენად, ევთალეს თხზულების ძველი ქართული თარგმანი მაინც სრულად არის მოღწეული.

რადგან ზემოდასახელებული ხელნაწერების რაობა ცნობილია აღწერილობებიდან ([6], 212—221), ამ მხოლოდ მათ სტიქომეტრიულ ნაწილს შევეხებით მოკლედ.

1) **ტ** (S 407): სამოციქულოს ძველი ქართული რედაქციის შემცველ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი ნუსხაა, რომელსაც „სტიქომეტრიის“ ნაწილში (1r—30v) მხოლოდ ერთი ფურცელი აკლია. ამას ცხადყოფს როგორც შესაბამისი ბერძნული ტექსტის ჩვენება, ასევე თვით ხელნაწერის რვეულების სათვალავი, მეშვიდე ფურცელზე არის პირველი (ა) რვეულის მაჩვენებელი, ე. ა. აკლია ერთი ფურცელი. იწყება აქედან: „პგონებდა ვნების დიდად მოძღურებისა იგი“... (3,2). გამოცემას ეს ნუსხა დაედო საფუძვლად.

2) **ყ** (S 1138): ადრე აღინიშნებოდა, როგორც A 345. ვრცლად აქვს აღწერილი (განსაკუთრებით „სტიქომეტრიის“ ნაწილში) თ. ჟორდანიას (Опис., გვ. 329—345), მასვე აქვს ხელნაწერის „სტიქომეტრიული“ დაყოფა შედარებული სლავურ-რუსული ტექსტის ბეჭდურ დაყოფასთან. რვეულების სათვალავის გათვალისწინებით ხელნაწერს „სტიქომეტრიის“ შემცველ ნაწილში (1r—25v) დასაწყისიდან 11 ფურცელი უნდა აკლდეს. იწყება: „და ჟამი იგი მიქცევისა ჩემისაჲ მოიწია (9,28). 1-ლი ფურცლის შემდეგ ერთი ფურცელი კიდევ აკლია, აქედან: „კულად ზეცად აღ/მადლებაი“ (11,2), ვიდრე: „იყო/ფგოდა პრომთა ქალაქსა“ (13,3). მომდევნო ნაწილი კი სრულადაა წარმოდგენილი.

3) **ზ** (S 1398): ხელნაწერი მეტად დაზიანებული და ნაკლებია. მისი დასაწყისი ნაწილი, რომელიც „სტიქომეტრიის“ ფრაგმენტს წარმოადგენს, ადრე ცალკე ნომრით (A 369) აღინიშნებოდა, დღეს კი ეს ნაწყვეტი შეერთებულია თავის ძირითად ნაწილთან. თ. ჟორდანიას ცნობით, A 369 შეიცავდა 30 ფურცელს, დღეს კი 14 ფურცლითაა წარმოდგენილი. რადგან მეშვიდე ფურცლის verso-ზე მე-3 (გ) რვეულის მაჩვენებელი მოიპოვება, შეიძლება ვთქვათ, ხელნაწერს დასაწყისში აკლია 1-ლი და მე-2 რვეული და მე-3 რვეულის 1 ფურცელი, სულ 17 ფურცელი. 1-ლი ფურცლის recto-ზე ნაწერი გადასულია და არ იკითხება. მოღწეულ ფურცელთა ზედა ნაწილი საერთოდ მძიმედ არის დაზიანებული.

იწყება (ამოკითხულის მიხედვით): „ფილიპშთ ბ. კორინთელთა მიმართ ა და ბ“ (19,16), მთავრდება. „თაგები ვალატელთა მიმართ ეპისტოლესა: ა“ (14 v).

4) **ღ** (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 176 ხელნაწერი). მხოლოდ ეს ნუსხა შეიცავს „სტიქომეტრიის“ დასაწყის ნაწილს, რის მეშვეობითაც ხერხდება თხზულების ძველი ქართული თარგმანის სრული ტექსტის აღდგენა. ხელნაწერს „სტიქომეტრიის“ შემცველ ნაწილში (87r—95v) საგრძნობლად აკლია; ბოლო ნაწილს, სადაც „თაგების“ დასახელება, სრულეობით არ შეიცავს. იწყება: „სწავლის მოყურებზასა და მოწრაფებზასა მიგჰყევ:...“ 1,1 (87r), მთავრდება: „უკუეთუ გინდეს გამოძიების“... 38,4 (95v). გამოცემაში **ტ**-ს ნაკლები შესავალი შევსებულია **ღ**-ით.



რედაქციული მიმართება ამ ოთხ ხელნაწერს შორის ასეთია: C და Z ნუსხებში სრულებით ერთი ტიპის ტექსტია წარმოდგენილი, რომელიც „სტიქომეტრიის“ ყველაზე ძველ (A) რედაქციად უნდა ჩაითვალოს. ამ რედაქციის გამდუშავებული, ბერძნულ წყაროსთან უფრო დაახლოებული სახე წარმოდგენილია K-სა და L ნუსხებში (B რედაქცია). M-სა და N-ს ტექსტები ისე ახლოს როდია, როგორც T-სი და Z-სი, პირიქით, მათ შორის სხვაობა საგრძნობია და ქვერედაქციებადაც კი შეიძლება ჩავთვალოთ მათში დაცული ტექსტები.

სამოციქულოს B რედაქციის ორ ხელნაწერს (Sin. 58/31 და Ath. 42) დანართები არა აქვს და არც სამოციქულოს ტექსტში არის „თავების“ დასახელება.

ბ) დ ა ნ ა რ თ ე ბ ი ს ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა ძ ვ ე ლ ს ა და გ ვ ი ა ნ დ ე ლ რ ე დ ა ქ ც ი ე ბ შ ი :

როგორც აღვნიშნეთ, სამოციქულოს გიორგისეულ და ფერემისეულ რედაქციებსაც მოეპოვებათ „სტიქომეტრია“, მაგრამ სხვა მოცულობისა და შინაარსისა. „სტიქომეტრიის“ ძველსა და გვიანდელ ქართულ რედაქციებს შორის შემდეგი არსებითი სხვაობანია: 1) ძველ რედაქციებში „სტიქომეტრია“ მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს აქვს, გვიანდელში კი — კათოლიკე ეპისტოლეებსაც და მოციქულთა საქმესაც. 2) პავლეს ეპისტოლეთათვის განკუთვნილი „სტიქომეტრიის“ ძველი რედაქციის ტექსტი სხვაგვარი შედგენილობისა და შინაარსისაა, ვიდრე გვიანდელი რედაქციებისა (ამაზე ქვემოთ). 3) გვიანდელ რედაქციებში სამოციქულოს სამსავე თხზულებას (მოციქულთა საქმეს, კათოლიკე და პავლეს ეპისტოლეებს) ერთნაირი სისტემით შედგენილი „სტიქომეტრია“ აქვს, რომელიც მხოლოდ „უწყებასა“ და „თავებს“ შეიცავს. „უწყებაში“ მოკლედ არის გადმოცემული, თუ რომელი ეპისტოლე რა მიზნითა და მიზნით დაიწერა, ვის ეხება და რას გადმოსცემს მოკლედ. მას მოსდევს „თავნი“, სათაურების დასახელებით, რომლის მიზანია, მკითხველისათვის ადვილად გასაგები გახადოს, ყოველი ეპისტოლის კონკრეტულ ნაწილში (თავებში) რასაკითხებზეა მსჯელობა, თხრობა. როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგისეული რედაქციის ხელნაწერებში (Z/1) „უწყებანი“ და „თავნი“ ერთად არის და წინ უძღვის ეპისტოლეთა ტექსტს. მაგრამ პრაქტიკულად უკეთ მოხმარების მიზნით ზოგ ნუსხაში (N-ში) ეს დანართი დაუშლიათ და ყოველი ეპისტოლისათვის თავ-თავისი „უწყება“ და „თავნი“ წაუშლდვარებიათ. ფერემისეულ რედაქციაში სწორედ ეს უკანასკნელი პრინციპია გატარებული.

4) „თავების“ დასახელება, რომელიც პავლეს ეპისტოლეების წინ არის, ძველ რედაქციებში ტექსტის შიგნითაც მეორდება სათანადო ადგილებში, ხოლო გვიანდელ რედაქციებში თავების სათაურების დასახელებები ტექსტის შიგნით არ მეორდება, მხოლოდ თავების რიცხობრივი მაჩვენებელია მოყვანილი.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციების წინ დართული „თავების“ დასახელების ტექსტი რედაქციულად განსხვავებულია ეპისტოლეთა შიგნით შეტანილი „თავების“ დასახელების ტექსტისაგან. ეს კი მოსალოდნელი არ იყო; რადგან „თავების“ დასახელება, რომელიც წინ ერთვის ეპისტოლეებს, თხზულებათა ცალკეული თავების სათაურებია, ისე ვთქვათ, სარჩევია, და როცა თვით თხზულებათა ტექსტში სათანადო ადგილებში ეს სათაურები მეორდება, ისინი ამ სახითვე უნდა იყოს მოყვანილი, რო-



გორც წინ დართულ დასახელებაში. მაგრამ, როგორც ვთქვით, ასე არ არის ძველ ქართულ რედაქციებში. მაგ., ვასახელებთ რომელია მიმართ ეპისტოლის „თავებს“.

„თავები“ სტიქომეტრიაში“

1. პირველად იგავით წინადაწარ თქმული საშველისათვის წარმართთა ზედა, რომელნი არა იმარხვენ ბუნებითა.

2. და საშველისათვის ისრაჴლსა ზედა, რომელნი არა იმარხვენ შჯულისასა.

3. უმეტესობისათვის ისრაჴლისა, რომელი არს აღთქუმისაჲ.

4. მადლისათვის, რომლითა კაცნი ხოლო განმართლდებიან არა ნათესავით განმორჩეულად, არამედ ღმრთისა მოციემითა, სწორად აბრაჴამის სახედ.

5. დამარხულისათვის სასოებისა.

6. შემოყვანებისათვის საცხოვრებლად ჩუენდა, რომელი კაც იქმნა იესუ ქრისტე დაცემისა მის წილ დასახამიოვან მიწის ნათესავისა ადამისა.

7. თანა-ნადებისა მის სარწმუნოებასა ზედა საქმესა კეთილსა.

8. აღმალვებაჲ მადლსა მას შინა ცხოვრებისაჲ შჯულსა ქუეშე ყოფისათვის.

9. დაშვისა ცოდვისათვის.

10. კაცობრივისათვის ბუნებისა ვნებითა, რომელი უძლურ იქმნ შჯულისა მიმართ შეთქუმისა.

11. განმარცუვისათვის ბუნებისა ვნებათა სულისა, წმიდისა მიმართ შეთქუნულებათა...

„თავები“ ეპისტოლეთა ტექსტში<sup>1</sup>

1. აწ პირველი შემდგომად დასაბამისა საშველისათვის წარმართთაჲსა, რომელთა არა დაიმარხნენ ბუნებითნი იგი წესნი.

2. საშველთათვის ისრაჴლისათა, რომელმან არა დაიმარხნა სახენი იგი წესნი.

3. უმჯობესობისათვის ისრაჴლისა, რომელი წარჩინა აღთქუმათა მათ.

4. მადლთა მათთვის, რომლითა მით ხოლო განმართლდენ კაცნი და არა ნათესავთაგან გამოჩევიათა, არამედ ღმრთისათა ნიჴთა მათ მიერ ერთად პატივყოფილნი მსგავსად სახისა მისგან აბრაჴამისა.

5. დამარხულისათვის სასოებისა.

6. შემოსლვისათვის ცხოვრებად ჩუენდა, რომელი კაც იქმნა იესუ ქრისტე დაცემულისა მის წილ მიწის ნაშობისა ადამისა.

7. თანა-ნადებისათვის სარწმუნოებასა ზედა საქმისათვის კეთილისა.

8. მონებისათვის მადლსა შინა ცხოვრებისა.

9. დაშვისათვის ცოდვისა.

10. კაცობრივისა ბუნებისა ვნებათა, რომელნი უძლურ ჰყოფენ შჯულისა მიმართ შეთქუმისა.

11. განმარცუვისათვის ბუნებისა ვნებათაჲსა სულისა წმიდისა მიმართ შეერთებისა...

<sup>1</sup> ტექსტი მხოლოდ C ხელნაწერის მიხედვით მოცეკავს. სრულად ეს ტექსტი დაბეჭდილია ბეულეთის დანართად: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები... გვ. 480—518.



მთლად ნათელი არ არის, რამ განაპირობა ასეთი რედაქციული სხვაობა „სტიქომეტრიაში“ მოყვანილი „თავების“ ტექსტსა და თვით ეპისტოლეების წიგნით გამეორებულ „თავების“ ტექსტს შორის. ბერძნული და სომხური ტექსტების ჩვენს ხელთ არსებულ გამოცემებში<sup>1</sup> „თავების“ დასახელება თვით ეპისტოლეებს შიგნით არ მოიპოვება. ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ „თავების“ დასახელება თვით ეპისტოლეთა შიგნით ქართული რედაქციის თავისებურება იყოს. მაგრამ ეს ასე რომ იყოს, მაშინ ს რ უ ლ ი მ ს გ ა ვ ს ე ბ ა აქნებოდა „სტიქომეტრიაში“ მოყვანილ „თავების“ ტექსტსა და თვით ეპისტოლეებში გამეორებულ ტექსტს შორის. რადგან ეს ასე არ არის, უნდა ვიფიქროთ, „თავების“ დასახელება ეპისტოლეთა შიგნითაც უნდა ყოფილიყო პირველწყაროში და მათაც მოელ ტექსტთან ერთად ხელახლა თარგმნიდნენ. ამით უნდა აიხსნას რედაქციული სხვაობა „თავების“ წინა ტექსტსა და წიგნითა ტექსტს შორის:

III. ტექსტისათვის: ა) ტ ე ქ ს ტ ი ს დ ა ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს. თხზულების ტექნიკურად უკეთ გამოყენების, კერძოდ, დამოწმებათა საშუალებების გაიოლების მიზნით, პავლეს ეპისტოლეთა მთელი სტიქომეტრიული აპარატი 14 ნაწილად (თავად) დაყვავით და დაყოფის მაჩვენებელი რომელი ციფრები კვადრატულ ფორმულაში ჩავსვით. თავის მხრივ პირველ 13 ნაწილში მცირე თხრობითი მონაცემები (აბზაცები) გამოყვავით, ხოლო ასეთ მონაცემებში — წინადადებები და არაბული ციფრებით აღვნიშნეთ: შ ა ვ ი თ — მონაცემებისა, ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი თ — წინადადებებისა. გამოხატვისი დაწვებულია V და VII თავებში: თითო მაჩვენებელი უზის რომელიმე ეპისტოლეში დამოწმებული ციტატების წყაროების დასახელებას, ხოლო მეორეში (VII თავში) — თითოეულ ციტატას (ამით ციტატების რაოდენობაც საცნაური ხდება). რაც შეეხება XIV თავს, რომელშიც ეპისტოლეების თავებად ძველი დაყოფის აღმნიშვნელი სათაურებია მოყვანილი, მხოლოდ ხელნაწერისეული დაყოფითაა წარმოდგენილი. ვთქვათ, „თავებიდან“ მოყვანილ სიტყვას მიწერილი აქვს I კორ. თ. 9, ბ. ეს ნიშნავს, რომ დამოწმება არის I კორ. ეპისტოლის მე-9 თავის მე-2 (ბ) ქვეთავის დასათაურებია.

ბ) ტ ე ქ ს ტ ი ს გ ა მ ა რ თ ვ ა. ტექსტს საფუძვლად ო ნ უ ს ხ ა დაედო, მაგრამ საჭირო შემთხვევაში სხვა ნუსხათა მონაცემებსაც ვაფუძნებდით და ძირითად ტექსტში აისახა. მცდარი თუ საეჭვო ლექსიკურ-გრამატიკული ფორმები, რომლებიც უმეტესად გრაფიკული მსგავსების საფუძველზეა წარმოშობილი, მეტ-ნაკლებად ყველა ნუსხაში მოიპოვება. ვასახელებთ ასეთ ადგილებს:

1) 3,1: (პავლე) „გ ა რ ე-მ ი ი ქ ე ე ო დ ა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა მ ი ს ქ ა დ ა გ ე ბ ი ს ა“. მოსალოდნელი იყო: „გარე-მიიქეოდა ჭეშმარიტებისა მის ქადაგებისა“ ან: „გარე-მიიქეოდა ჭეშმარიტებისა მის ქადაგებასა“.

2) 6,5: „რამეთუ მერმეცა უნდავე მაწინა პავლე ო მ ე რ თ ს ა (წმინდა Παύλον θμειε...) „ომერთსა“ შემთხვევით უნდა იყოს გამოტოვებული, ამიტომ ეს ტექსტში აღკადვიეთ.

3) 7,4: „ლ უ კ ი ა ასისთავიან“ ო. უნდა: ო უ ლ ს ი ა, როგორც ეს არის ო-ში (Δυσίαζ). ჩანს, მრგლოვანი ხ წაკითხულია ო-დ. თანაც, მოსალოდნელი იყო

<sup>1</sup> ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტის ტიშენდორფის კრიტიკული გამოცემა ([56]), სომხური ტექსტის ზოპრაპიანის გამოცემა ([62]).

არა ას ის თ ა ვ მ ა ნ, არამედ ა თ : ას ის თ ა ვ მ ა ნ, რადგან ამის ფარდად ბერძნულ წყაროშია *χλιαρχος*. მაგრამ ამ შემთხვევაში ტექსტი არ შეგვიწინააღმდეგობა, რადგან სავკვთა, აქ მექანიკურ შეცდომასთან გვეტონდეს საქმე.

4) 8,3: „უწინარეს მესამისა კლანდისა, რომელ არს პანემოსი თითუჲ, ამისა მარტურობასა დღესასწაულობენ“. ბერძნული წყაროს ნიხედვით პ ა ნ ე მ ო ს ს ქ ა რ თ უ ლ შ ი აკლია მახზღვრელი „მეხუთჲ“, რაც აღვადგინეთ კიდევაც: „რომელ არს მეხუთჲ პანემოსი თითუჲ“ (πέντατη πανέμοσ ημερα...).

5) 9,24: „გარსა ონესიფორტსსაცა ს ა ხ ლ ს ა მოწრაფებასა წამებს მრავალსა“ **ԸԿ**. გასწორდა **Ը**-ს ჩვენების მიხედვით, რომელშიც ს ა ხ ლ ს ა სიტყვის ნაცვლად ხ ო ლ ო იკითხება (μῆτρος τῆ Ὀνησιφόρου σπανθηῦ πλεῖστον μαρτυρασι).

6) 11,4: „ს ა ვ ლ ე“ **Ը**, უნდა: პ ა ვ ლ ე, როგორც ეს არის **ԸԿ**-ში. ბერძნულ წყაროშია *Παύλος*. ჩანს, **Ը**-ში მთავრული **Ս** წაეცათხულია ს-დ. ასოს მცდარ აღქმას, შესაძლოა ის ფაქტორიც აძლევდა საფუძველს, რომ ნათლისღებაშიც პ ა ვ ლ ე ს ე რ ქ ე პ ა ს ა ვ ლ ე (საქ. მოც. 9,4; 13,9...) და ზემოდასახელებული ადგილი, სადაც სტეფანე მოციქულის მოკვლასეა საუბარი და პავლე ამ მოკვლის მსურველად არის დახატული, იწყნარებს პავლეს ძველ სახელს.

7) 15,2: „მეყსეულად კლავდისნი წელნი მცირედ უნაკლულეს ათოთხმეტისა წლისა, რომლისა მ ს ხ ო რ ა დ აღდგა ნერონ“ **Կ**. მ ს ხ ო რ ა დ ფორმის ნაცვლად **Ը**-ში მ ტ ე რ ა დ იკითხება, რაც აშკარა შეცდომაა, ხოლო **Ը**-შია შე მ დ გ ო მ ა დ, რომელიც დაბოვებულია იერიითად ტექსტში. ბერძნულ წყაროშია *δωδεκάμηνος*, რომელიც არსებითად შე მ ც ე ლ ე ლ ს, მიმდევარს ნიშნავს. შეუძლებელი არაა, ამასვე ნიშნავდეს შე მ დ გ ო მ ი სიტყვაც: რომლისა შე მ დ გ ო მ ა დ აღდგა ნერონ“, ე. ი. რომლის მ ო მ დ ე ვ ნ ო ლ (მ ი მ დ ე ვ რ ა დ, შემცვლელად) დადგა ნერონით.

საკითხავია, რაღაა ნ ს ხ ო რ ა დ? ასეთი სიტყვა ძველ ქართულში საძიებელია; თანაც მცდარი ფორმააო, ამისი თქმაც კირს; ვრადიკული მსგავსება მასაღა „შემდგომად“ ფორმას შორის არ არის, რომ პირველი მეორისგან მცდარი აღქმის შედეგად მიღებულად ჩავთვალოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ მ ს ხ ო რ ა დ მნიშვნელობით ნიშნავდა შე მ ც ე ლ ე ლ ს. ამ მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სიტყვა ნახშირი სინურ ნრავალთავშიც: რამეთუ მ ს ხ ო ვ რ ა დ ნათესავისათვის კაცთაჲსა მოსრულ ვარ; რაითა თანა-ნაღები ივა მათი გარდავიკალო, 81,17 პრაფ. ი. იმნაიშვილს, სამწუხაროდ, არ განუმარტავს ეს სიტყვა ([19], 203).

8) 17,3: მეცხრესა ინდიკტიონსა ხ უ თ ე უ ლ ე ს ა წლისა გარე-მოქცევასა, თითუესა იენისსა...“ ბერძნული წყაროს მიხედვით ქართულ თარგმანში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო არა „ხუთეულზე“, არამედ „ათ ხუთმეტ“ წლიან ციკლზე („გარე-მოქცევაზე“), ე. ი. მეორე ინდიკტიონზე: *εἰς ἑξήκοντα ἔτη καὶ πεντηκονταετηρικήν περίεσθαι*. ასე რომ „ხუთეულისა წლის“ ნაცვლად უნდა იყოს: „ათხუთმეტეულისა წლისა“.

10) 19,3: „მენანდროსის ზრახებისაჲ ა; იე; დემოდტსი ლაკონიკტსი ი გ ო ვ ე ა; იღ“ **ԸԿ**. გასწორდა: ი გ ა ვ ი. ასეა **Ը**-ში და მას ბერძნული წყარო უჭერს მხარს, სადაც *παρὰ τὴν* არის.

11) 22,13: „ესე სასუმელი ახალი შჯული არს სისბლისა ჩემისაჲ. ამას ჰყოფდით; რაოდენ-გზის ჰყოფდეთ, ჩემდა მოსაკსენებლად ჰყვიოთ“ **ԸԸ**. ეს

ციტატი მათეს სახარებიდან არის (26,28), რომელიც კორინთელთა მიმართ მისივე ეპისტოლეში მეორდება (11,25). მოსალოდნელი იყო არა ჰყოფდეთ, არამედ ჰსუმიდეთ, როგორც ეს არის 4-ში და როგორც ამას ბერძნული წყარო გვაფიქრებინებს, რომელშიც *μη πηγυθε* იკითხება. მაგრამ ჰყოფდეთ გვაქვს არა მართო „სტიქომეტრიაში“, არამედ თვით ეპისტოლის ტექსტის (I კორ. 11,25) ძველ რედაქციებშიც, ხოლო გიორგისეულ რედაქციაშია: „ამას ჰყოფდით, რაოდენ გზისცა სუმიდეთ ჩემდა მოსაქსენებელად“.

გასწორებისაგან თავი შეეკავეთ, რადგან შესაძლებელია ობ ამ შემთხვევაში გარკვეული ტიპის წყაროს ემყარებოდეს.

12) 35,3: „წარმდებად არაფის მივსცე, არცა ვეშურობ სარგებელსა, ხოლო ვამსახურო მეგობართა“ ობ4. რადგან წინადადებაში ზმნები II კავშირებითის ფორმითაა (მივსცე, ვამსახურო), ცხადია, უნდა: ვეშურო; და ასეც გასწორდა.

13) XIV (I კორ. თ. 1, ბ); „რომელსა შინა რომლისა სიბრძნისათვის იტყვს“ გასწორდა ასე: „რომელსა შინა ღმრთისა სიბრძნისათვის იტყვს“. შეიძლებოდა, რომ ღმრთისა ფორმის ნაცვლად საღმრთოთა საღვედგინა, რასაც ბერძნულ წყაროსთან ერთად (*παρὸ θεῶν καὶ ἀγγέλων*) CD რედაქციებიც დაუჭერდა მხარს. მაგრამ ჩვენ ის ფორმა აღვადგინეთ, რომლის მცდარი წაკითხვით შეიძლებოდა გაჩენილიყო რომლისა. ცხადია, საღმრთოთა საარაირეთა რომლისა ფორმაში, ხოლო შემოკლებულად დაწერილი ღმრთისა (NNT) კი უნდა იყოს მცდარად წაკითხული, როგორც რომლისა ობ4.

14) XIV (I კორ. თ. 1; გალ. თ. 1): „წინააღწარ იგავთათნა“; „წინააღწარ იგავით თხრობაჲ“. ორივე ადგილას „წინააღწარ იგავი“ მცდარად გადმოსცემს ბერძნული წყაროს *προειμίον* სიტყვას, რომელიც ნიშნავს შესავალს, დასაწყისს. CD-შია „შემდგომად დაწყებისა“, რაც კალკია *προειμίον*-ისა. ეს უკანასკნელი სიტყვა აღრეულია *προειμίον* სიტყვაში, რომელიც იგავს ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ძველი რედაქციების „წინააღწარ იგავი“ არ შეგვისწორებია, რადგან ამით წაიშლებოდა ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულების ერთი აშკარა კვალი.

15) XIV (კოლ. თ. 1); „მიადლობაჲ კოლასელთაჲ შესახლებულე ბულ-თა ღმერთისა სასოებითა ობ4. დიტოგრაფიული შეცდომა გასწორდა ასე: შესახლებულთა.

16) XIV (II ტიმ. თ. 7): მოწოდებაჲ თავისა თვისაჲ ბაძეასა, წინააღმდგომა მეგობართა, მორჩილებითა ღმრთისაჲთა“ ობ4. კონტექსტის მიხედვით მოსალოდნელი იყო არა მეგობართა, არამედ მგმობართა: *ἐξ ἐναντίας τοῦ θεοῦ καὶ ἀνθρώπων*. რადგან შეცდომა გრაფიკულ საფუძველზეა წარმოშობილი, გასწორდა ტექსტი. აღსანიშნავია, რომ ეს სათაური ტექსტის შიგნით განსხვავებული სახითაა მოყვანილი: „...წინააღმდგომად უკეთურთა მორჩილებითა ღმრთისაჲთა“. ცხადია, უკეთურთა უფრო ზუსტად გადმოსცემს ბერძნული ტექსტის *θεῶν*-ს, ვიდრე მგმობართა, მაგრამ გასწორებისას უკანასკნელს მივეცი თპირატესობა, როგორც ტექსტის თავდაპირველ სავარაუდო ფორმას



ბ) ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროსთან  
მიმართების საკითხი

ქართული თარგმანი ბერძნულ წყაროზე ჩანს დამოკიდებული. მართალია, შედგენილობა-მოცულობის თვალსაზრისით ქართულ თარგმანსა და ბერძნულ წყაროს შორის არსებობს უმნიშვნელო სხვაობა, მაგრამ ეს ფაქტი ქართული თარგმანის ბერძნული წყაროდან მომდინარეობის საწინააღმდეგოდ არ გამოდგება, რადგან ბერძნული ტექსტის მინისეული გამოცემა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, რამდენადმე შეკვეცილს წარმოადგენს.

ქართული თარგმანის ბერძნული წყაროდან მომდინარეობის სასარგებლოდ ლაბარაკობს ძეგლის ლექსიკა, კალკები და შეცდომები, საკუთარ სახელთა ფორმები. განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

1) ლექსიკა: ქართულ თარგმანში ქარბადა წარმოდგენილი ბერძნული სიტყვებია. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ბერძნული ლექსიკა ყოველთვის არ არის ღირებული და გადაწყვეტი მნიშვნელობისა დასმული საკითხის გადასაწყვეტად. აქ ორგვარი შემთხვევა უნდა გაირჩეს. ერთი, სიტყვები, რომლებიც ქართულსა და ბერძნულ წყაროებში ერთსა და იმავე ადგილზე კი არის ნახმარი, მაგრამ შეიძლება, ასეთი ბერძნული სიტყვები საერთოდ ნახესხეზად და შემოსულად ჩაითვალოს ქართულში. ასეთებია: დიაკონი (δίακονος), ევანგელე (εὐαγγέλιον), კინონი (κινυν), კათოლიკე (καθολικη), მარტური (μάρτυς), სტიქონი (στιχον) და სხვ. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ეს სიტყვები ქართულ თარგმანს უშუალოდ ბერძნული წყაროდანაც ვადმოპოვოდა. მაგრამ, რადგან ეს სიტყვები ჩვეულებრივ იხმარება ისეთ ძველ ძეგლებში, რომლებიც ქრონოლოგიურად ჩვენს ძეგლთან თანხვედრილად ან ახლოს მდგომად ივარაუდება, ჩვენ მოკლებული ვართ საკონტროლო საშუალებას და, ამდენად, ქართული თარგმანის მომდინარეობის გასარკვევად მათ გადასმწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივსცემთ.

მეორე, სიტყვები, რომლებიც უშუალოდ ბერძნული ტექსტოდან უნდა იყოს ვადმოსული ქართულ თარგმანში, რადგან ისინი არა თუ ძეგლის თარგმანის დროისათვის (V საუკ.), არამედ შემდეგაც არ დამკვიდრებულან ქართულში, ასეთებია: ავგუსტე (Αὐγούστος), კინაბარი (κινάβαρι), პანემოსი (πανέμοιος), სტრატოტი (στρατῳτατής), ტომარი (τόμαος).

2) ლექსიკური კალკები და შეცდომები: კალკები და მათ საფუძველზე წარმოშობილი ლექსიკური შეცდომები, იურიდიული ტერმინით რომ ვთქვათ, სარწმუნო „ნივთიერი სამხილი“ არის თარგმანის მომდინარეობის დასაბეგნად. მაგალითები:

ა) 7,5: შეიპყრეს იგი და წარმართთათმთავრისა მოიყვანეს“. წარმართთათმთავარი პირდაპირი და არასწორი ვადმოცემა ბერძნული წყაროს ჰუმარქუდ სიტყვისა, რომელიც ნიშნავს ერისთავს, მთავარს, ქვეყნის რომელიმე კუთხის მმართველს. საეკვთ არ არის, რომ ბერძნული კომპოზიტის პირველი კომპონენტი ვააზრებულია ჰუმოს სიტყვად, რომელიც ერსაც ნიშნავს და წარმართსაც.

ბ) XIV (პრომ. თ. 6): „შემოყვანებისთვის საცხოვრებელად ჩვენდა, რომელიცაც იქმნა იესუ ქრისტე დაცემისა მის წილ დასაბამითგან მიწისნათესავისა ადამისა“. ...δυν τῶν πασῶντος ἐξ ἀρχῆς τῶν γηγενῶνς Ἀδᾶμ. ქართული



თარგმანის „მიწის ნათესაისა“ პირდაპირი ვადმოცემა ბერძნული *γῆθεν* (სი-  
ხოლო სწორი თარგმანი მოეპოვება ვიორგი ნთაწმიდელს, ესა „მიწისაგანისა“,  
რომლის მნაშვნელობაა: მიწიერი, მიწისგან მომდინარე. სომხურ თარგმანშია:  
*ի սկզբან: ს რ კ ე ა ბ ო ზ ი ს ა ყ ა მ ა ყ*, ე. ი. დასაბამითგან მიწის ნაშობი-  
სა აღამისა.

საინტერესოა, რომ ეს სტიქომეტრიული დასათაურება, რომელიც თვით  
ეპისტოლის ტექსტში მეორდება (პრომ. 5,12), განსხვავებულ სახითაა წარმოდ-  
გენილი: „შემოსლვისათჳს ცხოვრებად ლეუნდა, რომელ კაც იქმნა იესუ ქრის-  
ტე დაცემულისა მის წილ მიწის ნაშობისა აღამისა“.

ე) XIV (კორ. თ. 1; გალ. თ. 1): „წინადასწარ იგავით თანა, რაჲთა არა  
ურთიერთას განეთულ იყვენ“. „წინადასწარ იგავით თხოვრება თავისა  
თჳსასა მიცვალებისა ჰურიიებრისაგან ვამოცხადებით“.

ქართული თარგმანის „წინადასწარ იგავი“ მკლარი ვადმოცემა ბერძნული  
წყაროს *πρωίμων* სიტყვისა. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს დასაწყისს, შე-  
სავალს. ქართულ თარგმანში ბერძნული სიტყვის პირველი (პრა) კომპონენ-  
ტი ვადმოღებულია „წინადასწარ“-ით, ხოლო მეორე ნაწილი გრაფიკული მსგავ-  
სების გამო გააზრებულია იგავის მნიშვნელობის *παρρησια* სიტყვად. სომხურ  
რედაქციაში კი ასეთი შეუსაბამობა არ არის. ბერძნული ტექსტის *μετὰ τὸ πρω-*  
*τίμων* სწორად არის თარგმნილი: *კან ჩსკყანსენ* (ე. ი. „დასაბამსა თანა“).

დ) XIV. (II ტიმ. თ. 7): ახლად კელის შემყოფელთათჳს საქ-  
ნესა, რომელი უჯდების ტიმოთეს“, *Περὶ τῶν ἀπιστομητῶν τῶν, οἱ δὲ ἀνα-*  
*τῆσαι τὸν Τιμόθεον*. ბერძნული ტექსტის *περὶ τῶν ἀπιστομητῶν* ქართულ  
თარგმანში უნდა ვადმოცემულიყო მხოლოდ „კელის-შემყოფელთათჳს“ ფორ-  
მით („კელის-შემყოფელი“ ნიშნავს „შემცველელს რაიმესი—საქმისა, წესისა,  
მოძღვრებისა...“); ამდენად, ზედმეტად არის ნახმარი „ახლად“ და „საქმესა“.  
უნდა ვიფიქროთ, რომ „საქმესა“ ქართულ თარგმანში ნახმარია „კელის-შემყო-  
ფელ“ კომპოზიტის დასაზუსტებლად. კელის-შემყოფელი საქმისა  
იგივეა, რაც შემცველი საქმისა. აღსანიშნავია, რომ ვიორგი მთა-  
წმიდელს დასახელებული ფრაზის ზუსტი და კონკრეტული თარგმანი მოუცია:  
*განმარყუნელთა მათთჳს*. რაც შეეხება „ახლად“-ს, ის არის ბერძნუ-  
ლი სიტყვის პირველი (*ἀπιστο*) კომპონენტის პირდაპირი და უადგილო თარგმანი.

აღსანიშნავია, რომ ეს დასათაურება (II ტიმ. 7) თვით ეპისტოლის ტექსტში  
(II ტიმ. 4,1) განსხვავებულად იკითხება: „მათთჳს, რომელნი იგი მებე-  
ნობით კელსა-შემყოფელდ, რომელნი მკლამ იყვნეს ტიმოთესა“. სიზუს-  
ტე არც სომხურ თარგმანშია დაცული: *ს ქანს სურამსაყენ*, ე. ი. „განმა-  
ახლებელთა მათთჳს“.

3) საკუთარი სახელები: ზოგ პირის სახელს შენარჩუნებული  
აქვს ბერძნული ნომინატივის ოს დაბოლოება: არისტარქოს (*Ἀριστάρχεις*)  
12,3-10, არქიპოს (*Ἀρχιππος*) 28,7. ასეთი ფორმები ცნობილია ძველი ქართულის  
სხვა ძეგლებშიც ([11], 145). საყურადღებოა ისეთი ფაქტი, როცა ქართულ  
თარგმანში ფუძედ არის გაგებული ბერძნული აკუზატივის ბრუნვის ფორმა:  
კილიკიასა ქალაქსა მყოფ, საჩინოსა ტარსუნს, 1,16. „ტარსუნს“ ვადმოს-  
კემს ბერძნული ტექსტის *τῆν Ταρσύν*-ს, ე. ი. ბერძნული აკუზატივის ნიშანი *ν* (ნ)



ფუძისეულად არის ჩათვლილი ქართულ თარგმანში. ბერძნულში ნომინატივის ფორმა *Ταρχος, ἡ* ([57; 1491]). ამდენად, ბერძნული წერილობითი წყაროს მიხედვით ქართულში უნდა ყოფილიყო ტარსოს (ტარსონ) ან ტარს, მაგრამ ტარსუნ სიტყვაში რომ უნი გვაქვს მოსალოდნელი ოს-ნაცვლად, ესეც ერთგვარ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციასთან პოულობს პარალელს. ბერძნული *παλατῆς* ქართულში აკუნატივის ფორმით დამკვიდრდა ოღონდ მოსალოდნელი ოს დაბოლოების ნაცვლად უნ-ით: ფსალმუნთა. ა. შანიძის აზრით, „ოს-ნის უ-ნად ქცევას უთუოდ ხელი შეუწყო ბავისმიერმა შანმა“ ([10], 313). ცხადია, ასეთი ასხნა ტარსუნ სიტყვაზე ვერ გავრცელდება, რადგან ფუძეში მ-ანი არა აქვს. ასევე ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ფაქტი ოს-ნა და უ-ს გრაფიკული მონაცვლეობით აიხსნას.

ცნობილია, რომ ბერძნულის ზოგიერთ (უფრო ჩრდილო) დიალექტებში ი (ომიკრონი) ძალზე დახურული ხმოვანი იყო და გამოთქმაში უახლოვდებოდა ვიწრო უ ხმოვანს. ა. თუ მშბის აზრით, შეიძლება ჩრდილო-ბერძნული დიალექტი ედოს საფუძვლად სომხურში არსებულ ფორმებს: *kat'ulikōs* (კათალიკოს), *tumar* (თომარ) ([12], 63). ასე რომ, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ქართული ტარსუნ ასახავდეს არა სათანადო ბერძნული სიტყვის ზუსტ გრაფიკულ სახეს, არამედ მის დიალექტურ გამოთქმას.

IV. ძველი ქართული თარგმანის თარიღისათვის: პავლეს ეპისტოლეების უძველესი ქართული თარგმანის თარიღი ისევე უცნობია, როგორც სხვა ბიბლიური წიგნებისა. პავლეს თარგმანის დრო რომ ცნობილი იყოს, მასზე დართული „სტიქომეტრიის“ თარგმნის თარიღიც გარკვეული იქნებოდა, რადგან სტილისტურ-გრამატიკული ნიშნებით ორივე თხზულება აშკარად მსგავსია. კ. კეკელიძის მტკიცებით, პავლეს ეპისტოლეები ქართულად V საუკუნისათვის თარგმნილი უნდა ყოფილიყო, რაც იქიდან ჩანს, რომ იაკობ ხუცესს ციტატები მოჰყავს მისგანო ([2], 412). ამ აზრს სხვა ადგილებზეც ([2], 415) იმეორებს მკვლევარი, როცა ასწორებს თ. ჟორდანიას შეცდომას, რომ თითქოს პავლეს ეპისტოლეები 399 წელს ყოფილიყოს თარგმნილი. სტიქომეტრიაში აღნიშნულია (17,3), რომ პავლეს გარდაცვალებიდან მიმდინარე წლამდე, რომელიც არის მეოთხე წელიწადი არკადი კეისრის მეფობისა, ხოლო მესამე — ჰონორისა, გავიდა 335 წელიწადიო. მაშასადამე, ასკენის თ. ჟორდანიას (Ошце, 1,330), სამოციქულო ქართულად უთარგმნაით არკადის მეოთხესა და ჰონორის მესამე წელს, ესე იგი 399 წელს ქრისტეს შემდგომ<sup>1</sup>. „მართალია, როგორც შუშანიკის მარტვილოზიდიან ვგებულობთ, პავლეს ეპისტოლეები ქართულად V საუკუნეში უკვე ყოფილა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი 399 წელს ითარგმნა. საქმე ისაა, რომ შემომოყვანილი დათარგმნა ეკუთვნის არა ქართველს, არამედ იმ ბერძნული ნუსხის გადამწერს, რომლიდანაც მომდინარეობს, უშუალოდ თუ რომელიმე თარგმანის საშუალებით, ქართული ტექსტი ([2], 415).

ჩვენც ვფიქრობთ, რომ იაკობ კურტველის თხზულებაში ბიბლიური ციტატების ქონა მართლა შეიძლება იმას მიანიშნებდეს, რომ დამოწმებული ძეგლთა

<sup>1</sup> იმპერატორმა თეოდოსმა 395 წელს სიკვდილის წინ რომის იმპერია სამართავად თავის ორ შვილს გაუყო: აღმოსავლეთი ნაწილი უფროს ვაჟს არკადიუსს ერგო, ხოლო დასავლეთი ნაწილი კი — უმცროს შვილს ჰონორიუსს.





თარგმანები არსებობდა „შეშანიკის წამების“ დაწერამდე, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტს არ შეიძლება გადაამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეს ბიბლიურ წიგნთა ქართულად თარგმნის დროის დასადგენად, რადგან ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, ქართველ მწერალს ბიბლიური ციტატები ქართული თარგმანიდან მოპყავდა თუ ბერძნული ორიგინალიდან, მით უმეტეს პავლეს ეპისტოლეთა ციტატები თვით ძველი ქართული რედაქციების იკითხვისგან სწორად შესტად არ მიპყვება.

პავლეს ეპისტოლეთა და მისი დანართის — სტიქომეტრიის თარგმანის დროის განსაზღვრისათვის, ვფიქრობთ, ანგარიშ-გასაწეგია ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოება: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოციქულოს ძველ ქართულ რედაქციებში მოიპოვება დანართები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ პავლეს ეპისტოლეთათვის. ეს ასეა არა იმიტომ, რომ მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს ასეთი დანართები აკლდეთ, არამედ იმიტომ, რომ მათ საერთოდ არ ჰქონიათ ასეთი დანართები ძველ ქართულ რედაქციებში, როგორც ეს ამ თხზულებათა შემცველ ხელნაწერთა შედგენილობიდან ჩანს. ეს შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ. რომ დანართები თავდაპირველად მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს ეხებოდათ (460 თუ 490 წლისთვის) — მოციქულთა საქმისა და კათოლიკე ეპისტოლეებისთვისაც იმიტომ ლოგიკური იქნება თუ დავასკვნით, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქცია, რომელიც დანართებს („სტიქომეტრიას“) იცნობს მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს შენამდგე, სანამ კუთვნილს, შესრულებული უნდა იყოს ბერძნულში მოხდავისივე დანართები გაუჩნდებოდა ბერძნულში მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს. მაშასადამე, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქცია შესრულებული ყოფილა არაუადრეს IV საუკუნეში ან V საუკუნის დასასრულისა და ეს რედაქცია ტექსტუალურ-კომპოზიციური (და არა წმინდა ენობრივი) თვალსაზრისით პირვანდელი სახით დაუცავთ X საუკუნის ხელნაწერებს. პირვანდელი სახით, იმიტომ ვამბობთ, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქციის შემცველი ხელნაწერები, როგორც ვთქვით, არ იცნობენ ვრცელ უწყებებს პავლეს ნაწილში და საერთოდ დანართებს — სამოციქულოს სხვა ნაწილში. ბერძნულში კი სამოციქულოს დანართთა მთელი აპარატის ჩამოყალიბება IV—VII საუკუნეთა ფარგლებს არ სცილდება. დანართები რომ გვიან იყოს დართული „სამოციქულოს“ ძველი რედაქციის შემცველ ხელნაწერებში, ისინი სამივე თხზულებას (პავლეს, კათოლიკეს და საქმეს) ერთნაირი ტიპისა ექნებოდა.

V. სტიქომეტრიის ძველი ქართული თარგმანის შედგენილობა. ვეთალეს თხზულებაში მხოლოდ ეპისტოლეთა ტექსტის დაყოფაზე როდია მსჯელობა.

1 დანართები რომ პირველად მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს გაუკეთდა და მერმე (მოგვიანებით) მოციქულთა საქმესა და კათოლიკე ეპისტოლეებს, ეს სადღოდ არ ითვლება სპეციალურ ლიტერატურაში; საცილობელი ისაა, თუ რა დროს უჩნდება სახელდობრ დანართები სამოციქულოს დანარჩენ ნაწილებს (საქმეს, კათოლიკეს), და ვეთალესია ისინი თუ სხვათა ნაშთდვაწარა.





სამწუხაროდ; ჩვენ არ ვიცით, რა ეწოდებოდა პავლეს ეპისტოლეში მისი თებს ძველ ქართულ თარგმანში, ან ვის თვლიდნენ მის ავტორად, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მის შემცველ ყველა ხელნაწერს (L-ს გარდა) დასაწყისში აკლია. L-ში კი თხზულებას დასათაურება არ მოეპოვება, პირდაპირ ტექსტი იწყება; მაგრამ ეს დასაწყისი სინგურითაა შესრულებული, კერძოდ: „სწავლის მოყუარებასა და მოწრაფებასა მიეპყვე შენისა სიყუარულისასა, მამაო პატიოსანო“. რადგან „სტიქომეტრიის“ ძველი ქართული თარგმანი არსებითად ბერძნულ წყაროს მიჰყვება, შეიძლება, დასაწყისი ნაწილი ბერძნული წყაროს მიხედვით გამოვყოთ; და მოკლედ დავასახსიოთ თხზულების შემადგენელი ნაწილები.

I. [წინა სიტყუაჲ] (Πρόλογος, Migue, გვ. 695—713). თხზულების ამ ნაწილში რიტორიკული შესავლის შემდეგ პავლეს წარმომავლობასა და აღზრდა-განათლებლას თხრობა, შემდგომ გადმოცემულია პავლეს მისიონერული მოღვაწეობა, მისი დევნა და აღსასრული რომში, „უწინარეს ნესამისა კალანდისა თიბისასა, რომელ არს პანემოსი თათუჴ, ამისა მარტჯრობასა დღესასწაულობენ“. შემდგომ ნათქვამია: სიკვდილამდე პავლემ ბევრი მოაქცია „კეთილის მოქმედად“ და „ყოვლად კარგითა მითათოთხმეტთა სამოციქულოთა წიგნთა მათგან ყოველთა კაცთა მიუწერა ცხოვრებისა სლგაჲ“. ამას მოსდევს თოთხმეტთა ეპისტოლის დაწერის მოკლე, მაგრამ თანმიმდევრული ისტორია, რომელშიც თათოველი ეპისტოლის დაწერის მიზეზსა და მიზანდასახულებას ლაპარაკი. ეს არის, ასე ვთქვათ, მოკლე, მაგრამ არსებითად ისეთივე დანიშნულების ცნობა, როგორც შემდგომ „უწყების“ (პარამითე-ის) სახით არის მოცემული ყოველი ეპისტოლისათვის. ბერძნულ წყაროში (მინის გამოცემის მიხედვით) ორივე სახის (მოკლე და ვრცელი) „უწყება“, ქართულ რედაქციებში კი — ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ძველში მხოლოდ მოკლე უწყებებია, გვიანდელში კი — მხოლოდ ვრცელი. თანაც სამოციქულოს გვიანდელ ქართულ რედაქციებში „სტიქომეტრიის“ მხოლოდ ნაწილი („უწყება“ და „თავნი“) მოიპოვება, მათთვის უცნობია: შესავალი, საკითხავთა შეკრება, პროგრამა, საღმრთო წამებათა ჩამოჯვლა-დასახელება და თვით წამებათა (ციტატათა) ტექსტის გადმოცემა და ა. შ. დღემდე არ არის ნათლად გარკვეული, ვეთაღეს სახელით მოღწეული „სტიქომეტრია“ ბერძნულში რადროს როგორი შედგენილობისა იყო, ვისი ჩანარებით ივსებოდა იგი, ამიტომ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ბერძნულ ტექსტის მინისეულ გამოცემასთან ქართული რედაქციების შედარების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს „სტიქომეტრიის“ თარგმნი ქართულად საკმაო სიზუსტით ხდებოდა. შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულისაგან განსხვავებული ელემენტები ბერძნულში შემდგომი გვიანდელი ჩანამატი იყოს და „სტიქომეტრიის“ უძველესი ქართული თარგმანი წარმოგვიდგენდეს ბერძნული წყაროს შემდგომდროინდელი ჩამატებებისაგან თავისუფალ, ე. ი. პირვანდელ სახეს. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ „სტიქომეტრიის“ უძველესი ქართული თარგმანი შესაძლოა დასაყრდენად გამოდგეს ვეთაღესეული აპარატის ბერძნული ტექსტის პირვანდელი შედგენილობის გასარკვევად.

ევთაღე გვაუწყებს, რომ მოკლე „უწყებების“ შემდეგ „განვაწესეთ თავებისა მის განგებაჲ, ერთისა ბრძნისა ვისივე და ქრისტეს მოყუარისა მამათა ჩუენთავანისა ქმნული, არა ხოლო ესე, არამედ საკითხავთაცა

შინა განჭეშმარიტებული განგეზა და განკუეთოა და საღმრთოთა წამებთა კეთილად გამოჩინებისა პონაა ხუროდ გამოვთქუთ და თავად-თავად განვაგეთ“. აქედან აშკარაა, რომ ევთალეს უსარგებლია ვიღაც „ბრძენი მამის“ ნაშრომით, როდესაც ეპისტოლეთა ტექსტს თავებად ჰყოფდა. აღნიშნავენ, რომ სამოციქულოს სირიული ტექსტი 396 წლისთვის იცნობდა ტექსტების სტიქომეტრიულ დაყოფას და ევთალემ იქიდან გადმოიღო ([46], 114). გარდა ამისა ევთალეს მოუცია საკითხავების (ე. ი. დიდი მონაკვეთების) უზუსტესი დაყოფა («განჭეშმარიტებული განკუეთოა», ἀκριβέστατον ἄματον), ბიბლიურ ციტატათა («საღმართთა წამებათა», τῶν θεῶν μαρτυριῶν) განწესება თავების მიხედვით.

ევთალემ, სანამ ამ დაყოფათა პრინციპებს გადმოსცემდეს, კვლავ უბრუნდება პავლეს მისიონერული მოღვაწეობის დაწვრილებით ქრონოლოგიას ევსებოს თხზულებებზე დაყრდნობით. შესავლიდან ვიგებთ, რომ ევთალეს ევსებოს ორი შრომა გამოუყენებია. აღნიშნულია: ა) „საკმრად შეპრაცხე მცირედითა სიტყვთა ქამიცა იგი დასწავებად ქადაგებისა პავლესი ქრონიკონისა განკანონთა დასაევსებისი, რომელ იყო პამფილუანი, რომელმან თავად-თავად განაწესა. არამედ წიგნი კელთა მოვიღე და განვყავ და ვბოვე ვნებათა მაცხოვრისა ჩუენისა მეათრეამეტესა წელსა ტიბერის კეისრისასა ყოფილად (11,1-2). აქ ნახსენებია საეკლესიო ისტორიის მამად აღიარებული ევსებო-პამფილეს (260—340) „ქრონიკა“, რომლის I ნაწილში მსოფლიო ისტორიის საკითხებია გადმოცემული, მეორეში კი — ქრონოლოგიური ცხრილები და განმარტებანი. ევთალეს სიტყვები, რომ ევსებომ „თავად-თავად განაწესა“, უნდა გულისხმობდეს არა პავლეს ეპისტოლეთა თავებად დაყოფას, არამედ ოთხთავისთვის შედგენილ შრომას, „კანონებს“ ანუ სიმფონიას<sup>1</sup>.

ბ) „ხოლო ევსები შემდგომად ქამთა ჭეშმარიტად გამოიკითხა და მალწყა წუენ და მეორესა მას ტომარსა საეკლესიო დასა უწყებასა აბისი მარტურობა აესენა“ (...ιστορίαν ἴκυσαι καὶ ἐν τῷ θεσπέφω τέρψαι τῆς Ἐκκλησιαστικῆς Ἱστορίας τούτου καὶ τῆ μαρτυρίας). აქ ევთალემ ახსენებს ევსებოს „საეკლესიო ისტორიის“ მეორე ნაწილს, მეორე ტომს („ტომარს“). ევსებოს ამ ათ-ტომიან თხზულებაში გადმოცემულია ქრისტიანობის ისტორია ჩასახვის მომენტიდან ვიდრე 324 წლამდე. ევსებოს ამ შრომებზე დაყრდნობით ევთალემ მოგვითხრობს ნერონ კეისრის მძევნავარებას: ნერონმა „მოკლა პირველად აგრიპინა, დედაა თვისი, და მერმე მამის დაა მისი, და ოკტავია, ცოლი თვისი, და სხუანი ბევრნი ნათესავისა მისისა მახლობელინი“, დევნა დაუწყო ქრისტიანებს და ქრისტეს ვნებიდან ოცდამეთექვსმეტე, ხოლო თავის გამეფებიდან მეცამეტე წელს თავი მოჰკვეთა პავლემ მოციქულსო.

[II] მარტურობა პავლემ მოციქულისა (Μαρτυριον Παύλου τῆν ἀποστόλου, Migne, გვ. 713). შესავალ ნაწილში რამდენიმეჯერ იყო თხრობა პავლეს წამებაზე და აქ კვლავ მარტვილობაზე ლაპარაკი თითქოს ზედმეტი

<sup>1</sup> ცნობები ევსებოს შესახებ ამოღებულია შემდეგი წყაროებიდან: Н. Розанов, Евсевий, епископ кесарийский, 1881. Проф. А. Лебедев, Греческие церковные историки: Чтения Моск. Общ. любителей дух. просвещения, 1890. Православная богословская энциклопедия, под редакцией проф. А. Лопухина. т. V, 1904. ევსებოს შრომებს Migne-ის პატროლოგიაში 6 ტომი ეთმობა (XIX—XXIV).

ჩანს. მაგრამ ეს II ნაწილი, რომელიც არსებითად პავლეს წამების ქრონოლოგიის იძლევა, მოყვანილია ევსების „საეკლესიო ისტორიიდან“. ევსების შრომა ევთალეს სარწმუნო წყაროდ მიიჩნია: „გრწმენინ აწ ევსებისი ჟამთა-მწერლისაჲ და უწყებაჲ ესე, ვითარცა მეგობარმან, გონიერად შეიწყნარე“. გამოდის, რომ ევთალე ამ თავის მონათხრობსა და ევსებისეულ ცნობებს ვერ აერთიანებს, ვერ კრავს კომპოზიციურად, ანდა „სტიქომეტრიის“ სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა ავტორის ხელი უნდა ერიოს, როგორც ამას საერთოდ შენიშნავენ ევთალეს თხზულებაზე (რობინსონი, დობშუცი, ბარდენჰევერი...) ([4], 58—62). ჩანს, როგორც ამას ქართული თარგმანი გვიჩვენებს, ევთალეს შრომას V საუკუნეშივე დაკარგული ჰქონია პირვანდელი სახე და შევსებული ყოფილა ჩამატებით.

[III] შეკრებაჲ საკითხავთაჲ, და რომელი მათ შინა თავები არს, და წამებანი თითოეულთა წიგნთაგან, და კჳალად რაოდენ მათ შინა მუკლები არს (Ἀνακειφαλαῖστος τῶν θναυγώσεων καὶ τῶν ἔχρασι κεφαλῶν, καὶ μαρτυριῶν καὶ ἑκάστη ἐπιστολῆς τῶν Ἀποστόλων καὶ ἄσων ἑκάστη τῶντων σιχῶν συγγῆνε: Migne, გვ. 715—720).

ამ თავში მოცემულია, თუ შეიძლება ითქვას, სტატისტიკური ცნობები, თუ თითოეულ ეპისტოლეში რამდენი საკითხავი, თავი, დამოწმება და სტიქონია. რადგან ეპისტოლეების ტექსტი დიდ მონაკვეთებად—საკითხავებად არის დაყოფილი, თანმიმდევრულად ნაჩვენებია თითოეულ საკითხავში რამდენი თავი, დამოწმება („წამება“) და სტიქონი („მუკლი“) მოიპოვება. თავებისა და დამოწმებათა საერთო რაოდენობის აღნიშვნასთან ერთად გვერდით მოცემულია კონკრეტულად რიგის მაჩვენებელი. მაგ., კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლესთან აღნიშნულია: საკითხავსა ბ: თავი გ (ვ, ზ, შ), წამებაჲ დ (ბ, გ, დ, ე), მუკლი ხვ. ეს ნიშნავს, მეორე საკითხავში შედის სამი თავი (მე-6, მე-7, მე-8), ოთხი დამოწმება (მე-2, მე-3, მე-4, მე-5) და 156 სტიქონი — მუხლი. აი ასეთი ცხრილის ბოლოს დასკვნის სახით ნათქვამია: „განვყავ საკითხავები და გამოვწერტე კარგად-კარგად ყოველივე სამოციქულთა წიგნი ჭეშმარიტად ერგასის-ერგასისად სტიქონად (მუკლად 4) და თავები თითოეული-სა საკითხავისაჲ თანა-დაუწყრე და მას შინა რაოდენნი წამებანი ითქუნეს და მერმე კჳალად რაოდენ მუკლად-მუკლად არს“. ევთალე გარკვევით ამბობს: საკითხავები დავყავი და ყველა სამოციქულო წიგნი „გამოვწერტე“ (ἐστῆκε), ე. ი. სტიქონებად დაგანაწილე თანმიმდევრულად; რიგ-რიგად („კარგად-კარგად“), ზუსტად („ჭეშმარიტად“, ἀκριβῶς) ორმოცდაათ-ორმოცდაათ სტიქონად, თითოეულ საკითხავს თავ-თავისი თავები მივუწერე, აგრეთვე დამოწმებათა და სტიქონთა რაოდენობის მაჩვენებელიც აღვნიშნეო.

უხლა საკითხავია, როგორ არის ეს დაყოფა გატარებული თვით სამოციქულოს, კერძოდ, პავლეს ეპისტოლეების ძველ ქართულ რედაქციებში? ევთალესეული დაყოფა ეპისტოლეთა ტექსტში გატარებულია საკმაო სიზუსტით: ტექს-





ტში აღინიშნება საკითხავების<sup>1</sup>, თავების და სტიქონების (ცხელი 50-50-ის შემდეგ) სათვალავი, აგრეთვე დამოწმებებში ევთალესეული ნუმიერაციით. ოღონდ გარკვევით ჩანს, რომ საკითხავი კი არ შეიცავს 50 სტიქონს, არამედ საკითხავებში ხდება სტიქონების დათვლა და ყოველი 50 სტიქონის შემდეგ მისი რაოდენობის მაჩვენებლის დასმა. ამიტომია, რომ სტიქონთა რაოდენობის მაჩვენებლებია: 5, 6, 7, 8, 9, 10, 15, 20, 30, 40, 50, 100, 150, 200 და ა. შ.). სტიქონების ათვლა თითოეული ეპისტოლისათვის ცალ-ცალკე ხდება. რადგან ბერძნული ტექსტის სტიქონი მოცულობით ზუსტად არ ემთხვევა ქართული თარგმანის სტიქონს, მთარგმნელთა წინაშე ორი არჩევანი იდგა: ან სტიქონთა რაოდენობის მაჩვენებელი დაესვათ იქ, სადაც ეს სითანადო ბერძნულ ტექსტს ჰქონდა, ან დაეთვალათ სტიქონები თარგმანში და წესისამებრ (ე. ი. ყოველი 50 სტიქონის შემდეგ) გაეზარებინათ, დაესვათ სტიქონთა რაოდენობის მაჩვენებელი. ქართულში პირველი გზა აურჩევიათ, რომ ბერძნული ტექსტის დაყოფას არ დაშორებოდნენ. ამის გამოა, რომ სამოციქულოს ძველი ქართული რედაქციის სხვადასხვა ხელნაწერში სტიქონთა დაყოფის მაჩვენებელი ბერძნული წყაროს მიხედვით (ყოველი 50 სტიქონის შემდეგ) ერთდარიმავად გილებზე მოდის, თუმცადა ყველა ხელნაწერის გვერდებზე სტიქონთა რაოდენობა ან სტიქონებში სიტყვათა რაოდენობა ერთნაირი როდია, და, ამდენად, სტიქონთა რაოდენობის აღნიშვნებს შორის 50—50 სტიქონი არ არის.

[IV] ზემო-წერილი (Πρόρρημα; Migne, გვ. 720). ეს „ზემო-წერილი“ ანუ მითითება (წინასწარი ცნობა) ეხება მომდევნო V თავში ვადმოცემულ „წამებთა“ ანუ დამოწმებათა წესს. აღნიშნულია: „რომელ-იგი მე დანი-თა არს რიცხვ, რაოდენ არს თავები, მის ზოლო აუწყებს. ზოლო რომელ-იგი ზანდუკითა არს, აუწყებს თითოეულსა წიგნისა წამებთა განწესებასა ერთბამად რაოდენ შინაგან ეგრევე მსგავსად თანა-დაწერილსა მის რიცხუსა მათ თუ სიტყუათა სამოციქულთა და კარგთა, 18, 18. აქ გარკვევითაა ნათქვამი: შავი საწერლით (მეცლანით) შესრულებული რიცხვი აღნიშნავს, თუ რამდენი თავია (ანუ რამდენი დამოწმებაა საერთოდ), ზოლო წითლით<sup>2</sup> („ხანდუკათ“) კი აღინიშნება თითოეული ძეგლიდან მოყვანილი ციტატების („წამებთა“) საერთო რაოდენობა და ამ დამოწმებათა რაოდენობა თითოეულ ეპისტოლეში ც. შემდგომ კი აწესებს („განკარგებს“, *κατα-*

<sup>1</sup> სამოციქულოს ბერძნულ ხელნაწერებში სტიქონეტრიით საკითხავების რაოდენობა: საქ. მოც.—16, კთ.—10, პავ.—31. თვითონ პავლენი საკითხავებად ასე იყოფა: პრობ.—5, I კორ.—5, II კორ.—4, გალ.—2, ეფეს.—2, ფილპ.—2, კოლ.—2, I თეს.—1, II თეს.—1, I ტიმ.—1, II ტიმ.—1, ტიტ.—1, ფილმ.—1, ებრ.—3 (N. T. gr., v. III, Prolegomena, scriptis C. R. Gregory, 1894, გვ. 160—161).

<sup>2</sup> ძველი ტრადიციის ტექსტის შემდეგ ქართულ ხელნაწერებში (პირველ ყოვლისა ო-სა, შემდეგ ხელ-ში) საკითხავებად დაყოფა გატარებულია საკმაო სისუსტით, ზოლო ვეიანდელი რედაქციული ფენის შემდეგ ხელნაწერებში (შ-ში) საკითხავების აღნიშვნა აღრუ-ლია და მეტწილად გამოტოვებულია. CD ვერსიებში სულ არ გამოიყოფა საკითხავები.

<sup>3</sup> მითითება სტიქონების დანიშნულების სათვალავთა სტიქონებისა ფერას მეცლანით შესრუ-ლების შესახებ ქართულ ხელნაწერთა „სტიქონეტრიის“ დაცული არაა, ყველა მაჩვენებელი წითლითაა აღნიშნული.



ჯეათი) თვით სამოციქულოს შიგნით მსკავისი (რამდენჯერმე გამოვრებული ციტატების) რიცხს.

[V] თავად-თავად აღწერილი საღმრთოთა წამებათა ('Ανακταξιασιν; Μισαυ μαρτυριών; Migne, გვ. 720—725). აქ ჩამოთვლილია თითოეულ ეპისტოლეში რომელი ძეგლებიდანაა დამოწმებული, რა რაოდენობით და რა რიცხით. მაგ., პრომიელთა მიმართ ეპისტოლისათვის მოყვანილია დამოწმებანი: დაბადებისაჲ ვ: ვ, მ, თ, ია, იბ, იგ, გამოსვლათაჲ ვ: იე, ივ, მ და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ დასახელებულ ეპისტოლეში დაბადებიდან 6 დამოწმებაა, კერძოდ, რიგით მე-6, მე-8, მე-9, მე-11, მე-12, მე-13. ასე იმიტომ კეთდება, რომ ყოველი ძეგლის დამოწმებანი დათვლილია ცალკეული ეპისტოლისათვის და საერთოდაც; ყველა ეპისტოლისათვის.

შემდგომ აღნიშნულია პავლეს ეპისტოლეებში მოყვანილი „ერთბამად ყოველნი წამებანი“ დამოწმებული ძეგლებისა. ამას მოსდევს მითითება, თუ საიდან მიიწერა თითოეული ეპისტოლე და ვისი დახმარებით. საყურადღებოა უკანასკნელი გარემოება. ევთალე აღნიშნავს, რომ უშუალოდ „პირისაგან პავლმსისა“ დაიწერა ხუთი ეპისტოლე (პრომ., ეფეს., I ტიმ., II ტიმ., ტიტ.), ხოლო სხვა ეპისტოლეთა დაწერაში მონაწილეობა მიუღიათ: სოსთენეს (I კორ.), სილოვანეს (II კორ.), „ყოველთა მისთანა მყოფთა“ (გალ.), სილოვანესა და ტიმოთეს (I თეს., II თეს.), მხოლოდ ტიმოთეს (ფილიპ., კოლ., ფილემ.). ხოლო „ზედა-დაწერელად და სახელ-უღებელად დაიწერა პავლე მოციქულისა მიერ ეპისტოლმე ა: ჰებრაელთა მიმართი“. საინტერესოა უკანასკნელი ცნობა. მართლაც, ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე არსად იხსენება (სხვა ეპისტოლეებში — კი), რაც საფუძველს იძლეოდა, მკვლევრებს ამ ეპისტოლის ავტორებად სხვადასხვა პირი (ბარნაბა, ლუკა, კლემენტი) მიეჩნიათ. მაგრამ საბოლოოდ 397 წელს კართაგენის კრებამ ეს ეპისტოლე პავლესად ცნო (რიგით მეოთხმეტედ) ([36], 74—76; [41], 209; [39], 479). ქართულ რედაქციებში (მსგავსად აღმოსავლური ტრადიციის ბერძნული წყაროებისა) <sup>1</sup> ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მეათე ადგილი უჭირავს რიგით და არა მეოთხმეტე; ევთალეს „სტაქომეტრიაშიც“ ეს ეპისტოლე მეათე ადგილზე სახელდება. ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს რიგის შეცვლა, მისი ბოლოში გადატანა ქართულში მხოლოდ ბეჭდურ გამოცემებშია (ვახტანგ VI-ის 1709 წლის გამოცემიდან მოყოლებული). ამ შემთხვევაში ლათინური ვულგატასთან ერთად სლავური წყაროს ვითარებაც არის გათვალისწინებული.

[VI] ზედაწერილი (Πρόγραμματα; Migne, გვ. 725). ეს „ზედაწერილი“ ანუ მითითება (წინასწარი ცნობა) ეხება მომდევნო VII თავში მოყვანილ დამოწმებათა ტექსტს. ამ მითითებიდან ჩანს, რომ ევთალეს თანმიმდევრულად ამოუკრებია ეპისტოლეებიდან ციტატები, „ყოველთა წამებათა სიტყუანა“, პირველად მოუყვანია დამოწმებული ძეგლების სახელწოდება, შემდგომ წითლით შესრულებული ცალკე რიცხვით (ასობებით) აღუნიშნავს ციტატების რაოდენობა ეპისტოლეში (თითოეული ეპისტოლისათვის ნუმერაცია ცალ-ცალკე კეთდება), ხოლო შავით — ციტატათა საერთო

<sup>1</sup> ბერძნული ტექსტის ზოგ გამოცემაში (1877, ლონდონი) ებრაელთა მიმართ ეპისტოლე ბოლოშია გადატანილი.



რაოდენობის მაჩვენებელი თვით დამოწმებული ძეგლიდან. შესაძლებელია, რომელიმე თხზულება დამოწმებული იყოს რამდენიმე ეპისტოლეში, მაგრამ ამ თხზულებიდან მოყვანილი ციტატების რიცხითი ნუმერაცია ერთიანი ია. მიგალითად, ვაჟყათ, პრამაელთა მიმართ ეპისტოლეში დაბადებიდან ციტატი ექვსჯერ არის მოყვანილი, როცა მომდევნო, I კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში ამავე დაბადებიდან მოყვანილია ციტატი, ამ უკანასკნელს დამოწმების რიცხის მაჩვენებლად შვიდი უნის, ე. ი. დამოწმებული ძეგლის ციტატების თვლა გრძელდება თავიდან ბოლომდე ყველა ეპისტოლისათვის.

საკითხავია, როგორ არის ვატარებული ეს „ზედა-წერილი“ (ნათითება) მომდევნო VII თავში, რომელშიც ციტატების ტექსტია ამოკრებილი და მოყვანილი? ო-ში ორივე სახის მაჩვენებლები წითლითაა აღნიშნული, ოღონდ I მაჩვენებელი (დამოწმებათა რიცხის მაჩვენებელი ეპისტოლეში) სვეტის მარცხენა მხარეს კეთდება ცალკე („წერილ არს მარტოდ“) ციტატის დასაწყისის წინ და თანმიმდევრულად სახელდება: ა, ბ, გ, დ და ასე უნდევ. ხოლო II მაჩვენებელი (დამოწმებათა რიცხის აღნიშვნა თვით დამოწმებული ძეგლიდან) წინ უსწრებს პირველს და კეთდება მარჯვნივ, დამოწმებული ძეგლის სახელწოდების შემდეგ. ო-ში სხვაგვარადაა აღნიშნული, ორივე მაჩვენებელი სვეტის მარცხენა მხარესაა, მაგრამ სხვადასხვა ფერის საწერლითაა შესრულებული: „ზედა-წერილში“ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, შავი საწერლით აღნიშნება ციტატების რიცხის მაჩვენებელი ეპისტოლეში, ხოლო მის ქვემოთ წითლით—ციტატების რიცხის მაჩვენებელი დამოწმებული ძეგლიდან. ასეთია ვითარება ევთალესეულ აპარატში. მაგრამ თვით ეპისტოლეთა ტექსტში აშეცხვეც აღინიშნება ციტატების წყარო, ოღონდ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არა ისე, როგორც ევთალესეულ აპარატში: თუ ო-ს ხელნაწერებში სვეტის მარცხენა მხარეს, დამოწმებული ძეგლის სახელწოდებასთან, წითლით აღნიშნულია ციტატების რიცხის მაჩვენებელი ეპისტოლეში, ხოლო შავით—ციტატების რიცხის მაჩვენებელი დამოწმებული ძეგლიდან. ო-ში დამოწმებული ძეგლის სახელწოდებასთან ამათვე (ზოგჯერ ტექსტის შიგნითაც) ორივე რიცხის მაჩვენებელი წითლითაა მოყვანილი. ხშირად კი ასეთი მაჩვენებელი სულაც არა აქვს და მხოლოდ დამოწმებული ძეგლის სახელწოდებაა მოყვანილი. ერთი სიტყვით, ევთალესეული „ზედა-წერილი“ ანუ მითითება ქართულ ხელნაწერებში ერთნაირად და უუსიტად არის გატარებული.

[VII] შეკრება საღმრთოთა წიგნთაჲ (Ἀνακτακλίσιας ἑξ ἑνὸν μαρτυριῶν: Migne, გვ. 725—745). ამ ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, დასახელებულია თვით დამოწმებათა ტექსტი. წამება-დამოწმებათა უდიდესი ნაწილი ძველი აღთქმის წიგნებიდანაა. ყველაზე ხშირია დამოწმებანი ფსალმუნებიდან, ესაიას წინასწარმეტყველებიდან, მეორე შჯულიდან, დაბადებიდან და სხვ. საყურადღებოა, რომ დამოწმებულია აბოკრიფული („საიდუმლო“) ძეგლებიც: ელიაჲს საიდუმლოჲსაჲ: 1 კორ. 2,9, მოსეს საიდუმლოისაჲ: გალ. 6,15, იერემიაჲს საიდუმლოისაჲ: ეფეს. 5,14.

აღსანიშნავია, რომ პავლეს ეპისტოლეებში მოიპოვება ციტატები ძველი ბერძენი მწერლების თხზულებებიდანაც, რაც აღნიშნულია ევთალესეულ



აპარატში. ესენი არიან: მ ე ნ ა ნ დ რ ე „სიმღერის მწერალი“ ანუ კომედიოგრაფი (ძვ. წ. III საუკ.); I კორ. 15,33, ე პ ი მ ე ნ ე დ ე კ რ ე ტ ე ლ ი (ძვ. წ. VI საუკ.); ტიტ. 1,2, ლ ა კონიკე, დ ე მ ო დ ე: I კორ. 15,32 (ბერძნული ტექსტის მიხედვით ულგამოცემაში დ ე მ ო დ ე არ იხსენება).

დამოწმებთა მოყვანის შემდეგ ამავე თავში მოცემულია რ ა მ დ ე ნ ჯ რ მ ე გ ა მ ე ო რ ე ბ უ ლ ი ც ი ტ ა ტ ე ბ ის მისათითებელი; ესაა ერთგვარი სიმფონია-სათანხმებელი ანუ „შეტყუებაჲ კანონთაჲ“ (თაჲფაჲსა რთუ აჲართაჲ), რომელიც უჩვენებს, ერთი და იგივე ციტატი რომელ ეპისტოლეებში რომელ დამოწმებად მეორდება.

შედარებამ ცხადყო, რომ ც ი ტ ა ტ ე ბ ის ტ ე ქ ს ტ ი ს დ ი დ ი ნ ა წ ი ლ ი რ ე დ ა ქ ი ე უ ლ ა დ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა რ ო ვ ო რ ც პ ი რ ვ ე ლ წ ყ ა რ ო ს ა ვ ა ნ, ასევე თვით პავლეს ეპისტოლეებში ჩართული (დამოწმებულ) ტექსტის განაც. ეს მოულოდნელი სხვაობა გასაკლები იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ უარემოებას, რომ მთარგმნელები ძირითად ტექსტთან ერთად მასში დამოწმებულ ციტატებსაც ახლად თარგმნიდნენ და იშვიათად მიმართავდნენ დამოწმებული თხზულების ადრე არსებულ თარგმანებს. მით უმეტეს, საეკვლა, რომ პავლეს ეპისტოლეთა ქართულად თარგმნის კამს არსებულები იყვნენ ალექსანდრიის წიგნთა ქართული თარგმანები. ამიტომაც, რომ ასეთ დამოწმებათა ტექსტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ბიბლიური ტექსტისა და საერთოდ ენის ისტორიისათვის. ნათქვამი რომ ნათელი იყოს, მოვიყვანო მასალებს მხოლოდ ფსალმუნის დან დამოწმებული ციტატების შესახებ:

„სტიქომეტრიაში“ დასახელებული ტექსტი	ეპისტოლეში დამოწმებული ტექსტი	პირველწყაროს (ფსალმუნის) ტექსტი (ძველი რედაქციისა)
გ უ ლ ი გ ი წ ყ რ ე ბ ო დ ი ს და ნ უ ს ც ო დ ა ვ თ <sup>1</sup> .	...ეფეს. 4,26 <sup>2</sup> .	გ უ ლ ი ს წ ყ რ ო მ ა ს ა თ ქ უ ე ნ ს ა ნ უ ჰ ს ც ო დ ა ვ თ: 4,5 ([8]).
რ ა ა არ ს კ ა ც ი ..., რ ა მ ე თ უ მ ო მ ძ ი ე ი გ ი (მ ო ხ ე დ ე ნ მ ა ს ლ).	მ თ ჰ ხ ე დ ე მ ა ს: ებრ. 2,6.	რ ა ა არ ს კ ა ც ი ..., რ ა მ ე თ უ მ ო ხ ე დ ე ნ მ ა ს: 8,5.
მ ი უ თ ბ რ ა ს ა ხ ე ლ ი შ ე ნ ა ...	ებრ. 2,12.	უ თ ბ რ ო ბ დ ე ს ა ხ ე ლ ს ა შ ე ნ ა: 21,23.
მ ს ზ ე რ ა ბ ლ ი და შ ე ს ა წ ი რ ა ვ ი არ ა ი ნ ე ბ ე, ხ ო ლ ო კ ო რ ც ნ ი დ ა მ ა მ ტ კ ი ც ე ნ მ ე და ყ ო ვ ლ ა დ დ ა ს ა წ უ -	...არა გ თ ნ და ...ს ა კ უ ე რ თ ხ ი ც ო დ ვ ა თ ა თ ჯ ს არ ა ი თ ხ ო ვ ე: ებრ. 10,5-7.	შ ე ს ა წ ი რ ა ვ ი და მ ს ზ ე რ ა ბ ლ ი არ ა გ თ ნ და, ხ ო ლ ო ხ ო რ ც ნ ი დ ა მ ა მ ტ კ ი ც ე ნ მ ე. ს ა კ უ ე რ თ ხ ი ც ო დ ვ ა თ ა თ.

<sup>1</sup> რადგან „სტიქომეტრიაში“ ციტატები თანმიმდევრულად არის მოყვანილი ეპისტოლეების მიხედვით, ადვილია მისათითებლად არ ვასახელებთ.  
<sup>2</sup> თუ ეპისტოლეში მოყვანილი ციტატი მსგავსაა „სტიქომეტრიაში“ დამოწმებული ტექსტისა, მაშინ მხოლოდ სხვაობებს ვასახელებთ.





„სტიქომეტრიაში“ დასახელებული ტექსტი	ეპისტოლეში დამოწმებული ტექსტი	პირველწყაროს (ფსალმუნის) ტექსტი (ძველი რედაქციისა)
<p>გელი და რომე- ლი ცოდვათათჳს არა, არა სათნო- იყავ.</p> <p>საყდარი შენი, ღმე- რთო, უკუნითი უკუ- ნისამდე, კუერთხი გან- გებისაჲ არს და კუ- ერთხი სუფევისა შენი- საჲ...</p> <p>რათა განჰმა- რთლდე სიტყვათა შენითა და სძლო სჯასა შენსა.</p> <p>ექმენინ ტაბლად მათი მათ წინაშე სა- ფრკე სანადირო და საცთურ და მისაგებელ მათა.</p> <p>უფალმან იცნის ზრახვანი კაცთანი.</p> <p>და შენ დასაბამი- თ გან, უფალო, ქუ- ეყანაჲ დაამყარე, და ქმნულნი კელთა შენთანი არიან ცა- ნი... ყოველნი ვითარ- ცა სამოსელნი და ძუ- ელდენ (განკფ- დენ 4), და ვითარ- ცა შესამოსელ- ნი (ტერეულნი 47) სცვალნე იგინი.</p>	<p>ებრ. 1,8.</p> <p>...შჯულსა პრომ. 3,4</p> <p>...საფრკე მისაგებელ და საცთურ მათა: პრომ. 11,9.</p> <p>...ბრძენთანი: 1 კორ. 3,20.</p> <p>და აფუძნე ცანი არიან</p> <p>დაძუელდენ შესამო- სელნი ებრ. 1,11.</p>	<p>ჳს არა ითხოვე: 39,7.</p> <p>ღმერთო, საყდა- რი შენი უკუნითი უკ- უნისამდე, კუერთხი განგებისა შენისაჲ და კუერთხი სუფევისა შე- ნისაჲ: 44,7.</p> <p>ვითარ მართალ ხარ (რათა განვმარ- თლდე CDE, განმარ- თლდე B) სიტყვათა შე- ნითა და სძლევე (ვსძლო BCDE) სჯა- სა შენსა: 50,6.</p> <p>ექვან (ექმენინ BCDE) ტაბლად მათი მათ წინაშე საბრკე, მისაგებელ და საცთურ: 68,23).</p> <p>უფალმან უწყნის ზრახვანი: 93,11.</p> <p>დასაბამსა შენ, უფალო, ქუეყანაჲ და- ამყარე, და ქმნულ- ნი კელთა შენთანი ცა- ნი არიან... ყოველ- ნი ვითარცა სამოსელ- ნი დაძუელდენ, და შენ ვითარცა შესამო- სელნი სცვალნე იგი- ნი: 101,26-27.</p>

ცხადია, „სტიქომეტრიაში“ ფსალმუნიდან მოყვანილი ადგილები პირდა-  
პირ უცვლელად არ მოდის ეპისტოლეებში დადასტურებული ციტატებიდან და  
არც უკანასკნელი იმეორებს პირველწყაროს (ფსალმუნის ძველ ქართულ თარგ-





მანების) იკითხვისებს, ე. ი. ერთდაიგივე ტექსტის სამივე სახეობაში აღნიშნული დებელი წარმომავლობისაა და, ამდენად, მრავალხორცე საყურადღებო.

[VIII]. პავლე მოციქულისაჲ ჰრომედ მიმართ (Πλινος, Πανλως ἀποστολῆς ἐπὶ Πρωμῆ; Migne, გვ. 692). ამ დასათაურებას ქართულში თითქოს საზღვრული აკლია, ბერძნული წყაროს მიხედვით, — გაცურვაჲ (ე. ი. გაცურვაჲ პავლე მოციქულისაჲ ჰრომედ მიმართ). მაგრამ რადგან არც ერთ ქართულ ხელნაწერში არ არის ბერძნული პლინუს-ს, ფარდი, ამიტომ ეს სიტყვა ტექსტში არ აღგვიდგენია.

ამ თავში მოთხრობილია პავლე მოციქულის ნავით გაცურვა რომს ლუკასა და არისტარქოსთან ერთად კესარიისა და კუნძულ მელიტეს გავლით.

„სტიქომეტრიის“ აღნაგობისა და შინაარსის მიხედვით ეს თავი მოულოდნელი იყო აქ, რადგან პავლეს მოღვაწეობისა და სიკვდილზე დასაწყისშივეა მოთხრობილი. ბერძნულ ტექსტში ეს თავი (პავლეს რომს გაცურვა) მოიპოვება არა აქ, არამედ კათოლიკე ეპისტოლეებზე დართული სტიქომეტრიის დასასრულს (Migne, გვ. 692). უნდა ითქვას, რომ ბერძნულ ტექსტშიც არ არის ეს ეპიზოდი ლოგიკურად თავის ადგილზე.

ბერძნულ წყაროში VII თავის დასასრულს მოყვანილია პავლეს 14-ვე ეპისტოლის დასახელება (Migne, გვ. 745), რაც ქართულ თარგმანში არ მოიპოვება.

ამის შემდეგ ბერძნულში ჯერ ერთი ეპისტოლის „უწყება“ („σπριμωσις“) და „თავების“ დასახელება („Ἐπιμωσις κερφαλίου“), მერმე მეორისა და ა. შ. (Migne, გვ. 748—790). ქართულში კი, კერძოდ, ძველ რედაქციებშიც, ყველა ეპისტოლის „თავების“ ტექსტი ერთად არის გამოთავისუფლებულია ნუსხა, რომელშიც პირველი სამი ეპისტოლის „თავები“ წინ, სტიქომეტრიულ ნაწილში აქვს ერთად, ხოლო დანარჩენი ეპისტოლეებისა კი — შიგ, ტექსტში, თავ-თავის ეპისტოლის წინ. გარდა ამისა ვრცელი „უწყებანი“, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ძველ ქართულ რედაქციებშიც არა აქვთ და არც ჰქონიათ. ეს იმიტომ რომ „სტიქომეტრიის“ შესავალში მოიპოვება მოკლე ცნობები თითოეული ეპისტოლის დაწერის მიზეზისა და დანიშნულების შესახებ. ნაკლებ საფიქრებელია, რომ ვეთაღეს თავის შრომაში ერთდროულად ორჯერ ჰქონოდა თხრობა (ჯერ მოკლედ, მერე ვრცლად) ერთდაიგივე საკითხზე. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვრცელი „უწყებანი“ თავიდან სტიქომეტრიის ბერძნულ წყაროსა ცარ უნდა ჰქონოდა. ვრცელი „უწყებანი“ პავლეს ეპისტოლეთათვის გვიან უნდა იყოს შედგენილი, ალბათ, მაშინ, როცა ასეთი გავრცობილი „უწყებანი“ წაემძღვარა კათოლიკე ეპისტოლეებსა და მოციქულთა საქმეს. სხვა საკითხია: პავლეს ეპისტოლეების ბერძნული ტექსტისათვის შედგენილი ვრცელი „უწყებების“ ავტორი ვეთაღება თუ ვინმე სხვა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ასეთი ვრცელი „უწყებანი“ არა აქვს პავლეს ეპისტოლეთა ძველ ქართულ თარგმანს, თავისთავად საყურადღებოა და ერთ-ერთი დამატებითი არგუმენტია „სტიქომეტრიის“ ბერძნულ რედაქციაში პლასტების გამოყოფისა და მათი მიახლოებითი ქრონოლოგიის აცოდისათვის, კერძოდ, იმის განსაზღვრისათვის, რომ ვრცელი „უწყებანი“ გვიანდელია პავლეს ეპისტოლეთა „სტიქომეტრიის“ შესავალში დაცულ მოკლე „უწყებებთან“ შედარებით.

[IX—XII]. ეს ნაწილები არ მოიპოვება ბერძნული ტექსტის მინისეულ გამოცემაში. ესენი არსებითად დამრავებლობითი ხასიათის შეგონებებია. ევთალესეული სტიქომეტრის სომხური თარგმანიდან ე. წ. ევთალეს შეგონებას პოპულარობა მოუბოვებია, სომხურ ეკლესიაში კანონიკური სახე მიუღია და იკითხება უფლის ზეცად ამდღების დღეს ([63], 267—268).

მე-9 და მე-11 ნაწილები, რომლებიც პავლეს მოწოდებებია, აშკარად მსგავსია, თითქოს პირველის გავრცობაა მეორე. მაგალითად, [9]: მსახური ვარ მე, საღმრთოთა სწავლათა მოძღუარი. უკუეთუ ვისმე მისცე წიგნი, მის წილ წიგნი მოიღე, რამეთუ კუალად-მომცემელნი ბოროტ არიან.

[XI]: თავ ვარ და საღმრთოთა წიგნთა მოძღუარ. უკუეთუ ვისმე მიმცე საგმარად მეგობართა შენთა და გარემოთა შენთა, ნაცვალი ჩემსა წინდი მოიღო, რამათა არა ვისამე გშურდეს ცუდად შეძინებრსათჳს; რამეთუ ყამი ისე იწრაფის.

ასევე მსგავსია შინაარსობლივად მე-10 და მე-12 ნაწილები, რომლებიც მე-9 და მე-11 ნაწილების პავლეს მთწოდებათა სიტყვის-გებას ანუ პასუხებს წარმოადგენენ. მათში კარგად ჩანს, თუ როგორ სულიერ საუნჯედ თვლიდნენ აღრეულ საუკუნეებში პავლეს ეპისტოლეებს:

[X]: საუნჯე გაქუს სულიერად კეთილად და ყოველთა კაცთა სასურველი, შენაწვეგრებული და თითო-ფერთა წერაილითა შემკული, ვფუცავ ჭეშმარიტებასა: წარმდებად არავის მივსცე, არცა ვეშურო სარგებელსა, ხოლო ვამსახურო მეგობართა და ღირსა სარწმუნოა წიგნი მოვიღო.

X [II]: საფასე სულიერ ხარ ჩემდა და ყოველთა კაცთა განშუენებულ და პირად-პირადითა სამკაულითა აღმკულ. აღვითქვამ შენ ჭეშმარიტად, ვითარმედ არავის მივცე შენ უდებთაგანსა და უცხოსა. უკუეთუ ვისმე მივცე შენ ძმათა ჩემთაგანსა გინა საყუარელთა ჩემთა, ნაცვალი შენსა წინდი მოვიღო, რამათა არ მშურდეს ცუდად ვიეთოჳსმე შეძინებისა.

აშკარაა, რომ პირველ მოწოდება-პასუხში (IX—XI) რაზედაც არის საუბარი, არსებითად იმსვე გვაუწყებს მეორე მოწოდება-პასუხიც (X—XII). რადგან ამ ნაწილების ბერძნული ფარდი არ არის მინისეულ გამოცემაში, ამქამად გადაჭრით ვერ ვიტყვი, რა მიმართებაშია ზემოთ დასახელებული ნაწილები ერთმანეთთან.

[XIII]. ამ თავში მოყვანილია ტაბულა ოთხთავის იმ ადგილების ჩვენებით, რომლებსაც პარალელი მოეპოვებათ პავლეს ეპისტოლეებში.

[XIV]. თავთა გამოთქუმაჲ კათოლიკეთაჲ თითოეულთა ეპისტოლეთა პავლემოციქულისათაჲ, რომელთაჲჲქონან რამემეზოგს განყოფანი კინაბართთა (*Ἐπιτομὴ ἀποστολικῶν κειμένων καὶ ἀποστολικῶν ἐπιστολῶν τῶν Ἀποστόλων, ἐχόντων τὴν αἰὲν καὶ μαρτυρῶν ἀποστολικῶν ἐπιστολῶν τῶν ἀποστόλων, Migne, გვ. 749*).

აქ ყველა ეპისტოლის „თავების“ ტექსტია თანმიმდევრულად გადმოცემული. „თავების“ დასახელება კონკრეტულად გამოჰყვეთს თითოეულ ეპისტოლეში საკუთრივ რა საკითხებზეა საუბარი. „თავების“ დასახელება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეპისტოლეთა ტექსტშიც სათანადო ადგილებზეც მეორდება, ოღონდ რედაქციულად განსხვავებულია „სტიქომეტრიაში“ დასახელებული ტექსტისაგან. ევთალესეული თავები, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა დღევანდელ დაყოფას, რადგან ახალი აღთქმის (ასევე ძველის) წიგნების ძველ ქართულ რედაქციათა



ტექსტის ძველებური დაყოფის საკითხი სრულიად შეუსწავლელად დატოვებულია. გიერტი ცნობის მოყვანა, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება.

VI. ახალი აღთქმის ტექსტის უძველესი დაყოფის შესახებ. თავდაპირველად ბიბლიური ტექსტები თავებად და მუხლებად არ იყო დანაწილებული. შემდეგ ლიტურგიკულ-პრაქტიკულმა საჭიროებამ მოითხოვა ტექსტის დაყოფა გარკვეული ზომის ერთეულებად. ახალი აღთქმის ყველა წიგნი ადრევე ერთდროულად და ერთნაირი პრინციპით არ დაყოფილა. ერთ-ერთი უძველესი (V საუკ.) ბერძნული ბიბლიური ნუსხა (ე. წ. ალექსანდრიული) უკვე იცნობს ოთხთავის დაყოფას ნოკლე, მცირე ნაწილებად, თავებად. IV საუკუნის ცნობილი ნოლგაფის ევსეპი კესარიელის ცნობით, ოთხთავის დიდ თავებად დაყოფა მიეწერება ტატიანეს (II საუკ.), ხოლო მცირე თავებად დაყოფა კა-ამონიოს ალექსანდრიელს (III საუკ.). ამონიოსის დაყოფით, მათეს სახარება შეიცავს 355 ნაწილს (თავს), მარკოზისა — 244-ს, ლუკასი — 342-ს და იოანესი — 231-ს<sup>1</sup>. ამონიოსის დაყოფის საფუძველზე ევსეპი კესარიელს IV საუკუნეში შეუდგენია ცნობილი 10 „კანონი“ ანუ ტაბულა-ცხრილი, რომლითაც განისაზღვრება, ესა თუ ის შინაარსობლივად მსგავსი ადგილები სახარებაში სად, რომელ ადგილზე მოიპოვება. ესაა, ასე ვთქვათ, ოთხთავის მსგავსი ადგილების სათანამებელი, თემატური და არა ლექსიკური სიმფონია.

V საუკუნეში ევთალეს თავებად დაუყვია ჯერ პავლუს ეპისტოლეები, შემდეგ კათოლიკენი და მოციქულთა საქმე. VI საუკუნეში ანდრია კაპადოკიელს იოვანეს გამოცხადებაც დაუყვია თავებად და ამით ახალი აღთქმის ტექსტების დაყოფა დასრულებულა<sup>2</sup>.

გასარკვევია, ახალი აღთქმის ძველი ქართული რედაქციები იცნობენ თუ არა ზემოაღნიშნულ დაყოფებს, ან საერთოდ როგორ არის დაყოფილი ტექსტი ძველ ქართულ ხელნაწერებში. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საგანგებო შრომაა საჭირო, ახლა მხოლოდ ზოგიერთ მომენტს აღვნიშნავთ.

ოთხთავის ძველ ქართულ რედაქციებში მოიპოვება ამონიოს ალექსანდრიელისეული დაყოფა და ამ უკანასკნელზე დამყარებული ევსეპი კესარიელის „10 კანონი“.

პროფ. ვლ. ბენეშევიჩმა 1909 წ. პეტერბურგში გამოსცა ტბეთის

<sup>1</sup> ბერძნულ ნუსხებში ოთხთავის თავებად დაყოფა ნიარგვარია. განსხვავებულია არა მართლ თავების რაოდენობა, არამედ თავების ტექსტის მოცულობა. მგ. ზოგ ნუსხაში თავების რაოდენობაა: მთ. — 170, მრ. — 62, ლკ. — 152, ი. — 80, ზოგისაში კი: მთ. — 68, მრ. — 48, ლკ. — 63, ი. — 18 ([46], 141).

<sup>2</sup> ბიბლიური ტექსტების ახალი დაყოფის ცდები გვიან, XIII საუკუნიდან, იწყება. ბიბლიის ლექსიკური სიმფონიის შედგენის საჭიროებამ მოითხოვა ტექსტის უფრო მცირე ერთეულებად (თავებად, მუხლებად) დაყოფა. პირველად სტეფან ლანგტონმა (XIII საუკ.) ვულგატა ანუ ბიბლიურ დაყოფაზე თავებად. ამ დაყოფით ისარგებლა სიმფონიის შედგენისათვის ჰუგო დე სენ-შერმა (XVII საუკ.), რომელმაც თავის მხრივ ყოველი თავი 7 თანაბარ ნაწილად დაყო და თითოეული მათგანი თანმიმდევრულად ლათინური ასოებით აღნიშნა. საბოლოოდ პარიზელმა მეცნიერ-ტიპოგრაფმა რობერტ სტეფანმა ვულგატის 1548 წლის გამოცემაში პირველად გაატარა მუხლებად დაყოფა. აქედან გადავიდა ეს დაყოფა შემდგომ ბერძნულ და სხვა რედაქციებში ტექსტებშიც. დაყოფა შემდგომში შეატყობოდა და სრულიყოფილი ხდებოდა. თუ რა დროიდან გავრცედა ქართულ ბიბლიურ ხელნაწერებში ახალი დაყოფა, ეს შესასწავლია. ახალი დაყოფის ერთ-ერთ ადრეულ შემთხვევად შეიძლება ჯერჯერობით მივიჩნიოთ ე. წ. მცხეთური ბიბლიის დაყოფა, რომელიც სულხან-საბას მიეწერება, და პარსლის ოთხთავისა (973 წ.), რომელიც 1744 წელს გაუქარებია ვახტანგ VI-ის სიძეს — ვახუშტი აბაშიძეს უმცროს შვილს ნიკოლოზს ([7], 037).





(995 წ.) ოთხთავის ტექსტი 913 წლის ობიზური ოთხთავის ვარიანტების ჩვეულებრივად, კერძოდ, მათეს თავი; 1911 წელს კი — მარკოზის თავი, სადაც ტექსტის ახლებურ დაყოფასთან ერთად კიდევებზე უჩვენა ხელნაწერებში ვატარებული თავების ძველებური (ამონიოსისეული) დაყოფაც. მას განზრახული ჰქონდა, რომ ოთხთავის ტექსტის გამოცემის დასასრულს დაურთავდა ხელნაწერებში არსებულ ევსებოსეულ სათანხმებლებს, „კანონებს“ და ამავე კანონებიდან ხელნაწერის აწივებზე არსებულ მითითებებს (ეს უკანასკნელი, გამოცემის სიტყვივით, არის „იძრვისნი ზედათორიცხუნი“ ანუ подвижные клонцыфры ([9], 2). მაგრამ ბენშევიჩის არ დასცალდა ოთხთავის სხვა ნაწილების გამოცემა და მათ შორის ძველებური დაყოფა — სათანხმებლებსაც.

ა. შ ა ნ ი ძ ე, რომელმაც გამოცემა ქართული ოთხთავის ძველი რედაქციები, წერს: „რაც შეეხება ძველ სტიქომეტრიულ სისტემას, მას ამ გამოცემაში მოვერიდეთ, რადგან საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ არის ქართული ხელნაწერების მიმართ. ამიტომ აქ არ მოიპოვება არც გვერდობლივი სიმფონია ამონიოსისეებისა ქვემო აწივებზე და არც შემავჯამლებელი კანონები ოთხთავის წინ ([7], 052). სამწუხაროდ, ეს საკითხი მერმეც არავის შეუსწავლია. თუმცა სპეციალური შესწავლის დარსია და ჩვენ მხოლოდ გაკვრით ვეხებით იმდენად, რამდენადაც მას შეიძლება თემატიკური კავშირი ჰქონდეს სამოციქულოს სტიქომეტრისასთან.“

ოთხთავის ძველ ქართულ ხელნაწერებში, როგორც აღვნიშნეთ, აწივებზე მოიპოვება ამონიოსისეული დაყოფის მაჩვენებლები. ყოველი ახალი მონაკვეთი აზნაყით იწყება და პირველი ასო სტილიზებული და გამოკვეთილია. ამონიოსის დაყოფით აღინიშნება თხრობის (ტექსტის) მოკლე, მაგრამ არათანაბარი ზომის პერიოდები. ეს პერიოდები არ უდრის ახალი დაყოფის არც თავებსა და არც მუხლებს (მაგ., ამონიოსის დაყოფით, მათეს სახარება 355 ნაწილად იყოფა, ახალი დაყოფით კი — 28 თავად და 1067 მუხლად). ხელნაწერებში ამონიოსის მაჩვენებლებთან მითითებულია ევსებოს კანონის მაჩვენებლებიც იმის აღსანიშნავად, რომ დასახელებული ადგილი ამა და ამ კანონში ნახე და იქ გაიგებ, მისი მსგავსი ეპიზოდი (ადგილი) რომელ სახარებებში სად მოიპოვებაო. ამავე დანიშნულებისაა ის სათანხმებლები ევსებოს „კანონიდან“, რომლებიც ქვემო აწივებზე კეთდება ამა თუ იმ გვერდზე მოთავსებული ტექსტისათვის. ამდენად, ასეთი სტიქომეტრიული აპარატის მეშვეობით ოთხთავის მსგავსი ადგილების დაქებნა მკითხველთათვის ძველადვე არ წარმოადგენდა საძინელს.

ე ვ ს ე ბ ი ს „10 კ ა ნ ო ნ ი ს“ სტრუქტურა და დანიშნულება ასეთია: „კანონი“ წარმოადგენს ერთგვარ ცხრილ-ტაბულას, რომელშიც ნაჩვენებია ოთხთავის შინაარსობლივად მსგავსი ადგილების მისათითებელ-საძიებელი ამონიოსეული დაყოფის მიხედვით. საყრდენად აღებულია მათეს სახარება (კანონი 1-7) და ლუკასი (კანონი 8-9) და ამ სახარებებში მოთხრობილ ამბებს, ეპიზოდებს, უფრო სწორად, ამონიოსისეულ თავებს, სექციებს პარალელურ სვეტში უკეთდება მისათითებელი მსგავს ადგილებზე სხვა სახარებებიდან. ამ მხრივ ევსებოს ოდნავ მსგავსი ადგილები და ფრაზებიც კი არ დაუტოვებია მისათითებლის გარეშე.

I კ ა ნ ო ნ ი ოთხ-სვეტიანი ცხრილია. ეს ნიშნავს, რომ მათეს სახარებიდან დასახელებულ თავებს, რომლებიც I სვეტში სახელდება, პარალელები ეძებნება ყველა დანარჩენ სახარებაში და ამიტომ მეორე, მესამე და მეოთხე სვეტებში სახელდება შესაბამისად მარკოზის, ლუკას და იოვანეს სახარებთა თავების



მაჩვენებლები. ამ კანონში მათეს სახარების 70 თავია მსგავსი სამ დანარჩენ სახარებასთან. იწყება **ჭ**-თი და მთავრდება **ტნბ** თავით (ბერძნულსა და ქართულშიც თავების რიცხვობრივი მაჩვენებლები ასოებით გადმოაიკემა).

II კანონი სამ-სვეტიანი ცხრილია, რომელშიც შინაარსობლივად მსგავსი თავების მაჩვენებლები დასახელებულია მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებიდან. მსგავსი თავების რაოდენობა 110-ს შეადგენს, იწყება მათეს იე თავით და მთავრდება **ტნდ**-ით.

III კანონი სამ-სვეტიანი ცხრილია, რომელშიც შინაარსობლივად მსგავსი თავების მაჩვენებლები დასახელებულია მათეს, ლუკას და იოვანეს სახარებებიდან. მსგავსი თავების რაოდენობა 22-ს შეადგენს. იწყება მათეს ა თავით და მთავრდება **რმვ**-თი.

IV კანონი სამ-სვეტიანი ცხრილია მათეს, მარკოზისა და იოვანეს სახარებათა შინაარსობლივად მსგავსი თავებისა. მსგავსი თავების რაოდენობა 26-ია, იწყება მათეს **იშ** თავით და მთავრდება **ტლგ**-ით.

V კანონი ორ-სვეტიანი ცხრილია მათეს და ლუკას სახარებათა შინაარსობლივად მსგავსი თავებისა. მსგავსი თავების რაოდენობაა 81, იწყება მათეს **გ** თავით, მთავრდება **სომ**-ით.

VI კანონი ორ-სვეტიანი ცხრილია მათეს და მარკოზის სახარებათა შინაარსობლივად მსგავსი თავებისა. ასეთი თავების რაოდენობა 47-ია, იწყება მათეს **თ** თავით და მთავრდება **ტნ**-თ.

VII კანონი ორ-სვეტიანი ცხრილია მათეს და იოვანეს სახარებათა მსგავსი თავებისა. ეს ყველაზე პატარა კანონია. მსგავსი თავების რაოდენობა 7-ია, იწყება მათეს **ე** თავით და მთავრდება **სზ**-ით.

VIII კანონი ორ-სვეტიანი ცხრილია ლუკას და მარკოზის სახარებათა მსგავსი თავებისა. ასეთი თავების რაოდენობა 14-ია. იწყება ლუკას **კ** თავით და მთავრდება **ტლთ**-ით.

IX კანონი ორ-სვეტიანი ცხრილია ლუკას და იოვანეს სახარებათა მსგავსი თავებისა. ასეთი თავების რაოდენობა 21-ია, იწყება **ლ**, თავით და **ტპა**-თი მთავრდება.

X კანონი ერთ-სვეტიანია. აქ ის თავებია დასახელებული, რომლებიც მხოლოდ დასახელებულ სახარებაშია და არ შეორდება სხვა სახარებებშიც. ესაა, ასე ვთქვათ, ყველა სხვა მახარებელთაგან განსხვავებული, განუმეორებელი ადგილების დასახელება. ასეთი თავები სახელდება ჯერ მათეს სახარებიდან, რომელშიც მათი რაოდენობა 62-ია, იწყება **ბ**-თი და მთავრდება **ტნე** თავით, შემდეგ მარკოზის სახარებიდან (თავების რაოდენობა 20-ია, იწყება **ით**, მთავრდება **სლდ**-ით), მერმე ლუკას სახარებიდან (თავების რაოდენობა 72-ია, იწყება **ა**-თი, მთავრდება **ტმბ**-ით) და ბოლოს იოვანეს სახარებიდან, რომელშიც თავების რაოდენობა 97-ია, იწყება **დ**-თი და მთავრდება **სლბ**-ით. X კანონიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი სხვათაგან განსხვავებული თავები იოვანეს სახარებაში მოიპოვება.

ეცების „კანონები“ ოთხთავის ძველ ქართულ ხელნაწერებში ჩაწერადა კამარბით შეკრულ ოსტატურად შესრულებულ სვეტებში. ადიშის ოთხთავის ფოტოტიპიურ გამოცემაში „კანონებიც“ მოიპოვება ([42]), ოღონდ ტაბულები

<sup>1</sup> „კანონების“ ბერძნული ტექსტის შინაისეულ გამოცემაში II სვეტის თავზე მარკოზის ნაცულად ლუკას არის დასახელებული შეცდომით, თუმცა მომდევნო ფურცელზე შეცდომა გასწორებულია ([56], 1284—1285).



არეულადაა დაბეჭდილი. I კანონი I ტაბულაშია, ხოლო ყველა დანარჩენი მეოთხეში. ამოვადებული ფურცლების გადაადგილების გამო მეოთხე ტაბულის ზედა ნაწილში VI—X კანონებია, ხოლო ქვედაში კი — II—V კანონები. ა. შანიძემ ჭრუჭის ოთხთავის „კანონების“ ფოტოები წინ დაუთმო ტექსტს ([7], სურ. 6-13). „კანონები“ ფოტოს სახით სხვაც არის ცნობილი ([16], 177—183, ტაბ. 3; [17], 51).

„კანონების“ შედგენილობა და ამის მიხედვით ტექსტის სქოლიოში მისათითებელთა სათანადო განაწილების საკითხები ისევე შესასწავლია, როგორც საერთოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა უძველესი დაყოფის საკითხები ძველ ქართულ ხელნაწერებში. ქართულ ხელნაწერებში ამ მხრივ ერთგვარობას არ უნდა მოველოდეთ, როგორც ეს ჭრუჭისა და აღმის ოთხთავთა „კანონების“ ბერძნულ წყაროსთან სახელდახელო შედარებამ ცხადყო. მაგალითად, VII კანონის ბერძნულ ტექსტში მსგავსი თავების რაოდენობა 7-ია, ქართულში კი ხან 7 (ადიშისაში), ხან 8 (ჭრუჭისაში). ან კიდევ: VIII კანონის ბერძნულ ტექსტში ჯერ ლუკას სახარების თავები სახელდება (პირველ სვეტში), მერმე — მარკოზისა (მეორე სვეტში). ასეა ეს ადიშის ოთხთავშიც, მაგრამ ჭრუჭისაში პირიქითაა, ჯერ მარკოზისა სახელდება, მერმე — ლუკასი; თანაც მსგავსი თავების რაოდენობა ბერძნულში 14-ია, ქართულში კი ხან 12 (ჭრუჭისაში), ხანაც — 13 (ადიშისაში). დასადგენი და გასარკვევია ასეთ სხვაობათა საფუძველი თუ წყაროები.

რაც შეეხება პავლეს ეპისტოლეებს, მათში საკმაო სიზუსტით არის გატარებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვეთალესეული სტიქომეტრიული აბარატი, ძველი რედაქციის ხელნაწერებში აღინიშნება საკითხავების, თავების, სტიქონების და დამოწმება — ციტატების მაჩვენებლები. იღონდ მუხლებად (სტიქონებად) დაყოფა ტექსტში არ არის გატარებული, ე. ი. სტიქონების ათვლა ხდება (50, 100, 150 და ა. შ.), მაგრამ როგორ უნდა განაწილდეს ტექსტი სტიქონებად, არ არის აღნიშნული.

VII. ენობრივი თავისებურებანი. „სტიქომეტრიის“ ძველი ქართული რედაქციები საინტერესოა არა მარტო გრამატიკული ფორმებით, არამედ ლექსიკითაც; განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პალეოგრაფიული ტერმინების სიუხვე, რასაც თხზულების ხასიათი და დანიშნულება განსაზღვრავს.

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია:

ასიმილაცია: ხაჯ→ხგ→შჯ ([16], 303) შჯულითა: 2,1; შჯულსა: 2,1; დაბიტთა: პრომ. 3,13 (←ასპიდთა ძაჲსიან);

აი→ეი: კეისრისა (←კაისრისა): 7,6 (პრბჲ *Καίσαρα*). ნაკლებ საფიქრებელია, რომ აქ ბერძნული αι-ის გვიანდელი ე-თი გადმოცემა იყოს. ასე რომ იყოს კეისარი კი არა, კესარი უნდა ვვქონდეს, შდრ. კესარიას: 16,1 (*Καίσαρειαν*). სსმონებთან მესობლობაში მქედრდება ზოგჯერ და ზ-დ იქცევა<sup>1</sup>. სამთა კალანდათა ივლითისითა: 17,2 (ივლითისითა *τ*) (*τρίων ἡμερῶν Ἰουλιαν*); მელქიშედეკისსა: ებრ. 5,16 *τ* (მელქიშედეკისსა *ϕ*, *Μελχισεδέκ*).

დისიმილაცია: ბერძნული *μαρτυρ-ος*, რომელიც მოწმესა და მოწამეს ნიშნავს, უღისიმილაციო მარტვრ ფორმითაც გვხვდება და დისიმილა-

<sup>1</sup> ნაკლებ საფიქრებელია, რომ ხ-ზ სუბსტიტუციური მოვლენა იყოს, შდრ. ([21], 128).



ციით მიღებულ მარტვლ სახითაც: მარტვრიცა: 9,31 Ⴀლ (მარტვლცაჲ), მარტვრისაჲ: 9,31: Ⴀლ (მარტვლისაჲ Ⴀ); (იმარტვრა: 15,1 Ⴀ) (იმარტვლა Ⴀ).

ბერძნული *ἐπιστολή*, რომელიც ჩვეულებრივ ქართულში ეპისტოლე ფორმითაა გადმოსული, დისიმილაციით ეპისტოლე-დ იქცევა: ებისტოლესა: 10,2, 18,18 Ⴀლ (ეპისტოლესა Ⴀ).

კბ—კდ: უკვლია: 14,4 Ⴀ (—ოკტავია Ⴀლ, 'Οκταβία).

ხმოვანთა რედუქცია: ერთიდაიგივე ფუძე სხვადასხვა ნუსხაში ხან შეკუმშულადაა წარმოდგენილი, ხანაც შეუკუმშველად, მაგალითები:

ა: მელნითა: 18,18 Ⴀლ; 20,4 Ⴀ (მელანითა Ⴀ); საკმრად: 36,22 Ⴀ (საკმარად Ⴀ)...

ე: უსაშინლჭს: ებრ. თ. 19 Ⴀ, მაგრამ: უსაშინელეს Ⴀ.

ო—ვ: რავდენთავე: 6,1Ⴀ (რაოდენთავე Ⴀ), რავდენი: 18,1 Ⴀ (რაოდენ Ⴀ).

უ—ჭ—ვ: თთუესა ივნისსა: 17,3 Ⴀლ (იუნისსა Ⴀ, 'Ιουνίαι), ივლიოს: 33,2 Ⴀლ ('Ιούλιος).

ბგერათა დაკარგვა: იკარგება ვ ხმოვნებს შორის, კერძოდ, მამინ, როცა ის მოექცევა Ⴀ-სა და უ-ს მეზობლობაში: ცხორებისა: 9,2 Ⴀ, გამოედით: 23,6 Ⴀ; დაუტეოს: 25,6 Ⴀლ. ასევე იკარგება 1-ლი სუბიექტური პირის ნიშანი ვ: თავი თვისი მიუტევე: 1,1 Ⴀ. მეცა... უძლო: 1,4 Ⴀ, აღვასრულო სახლსა ზედა ისრაჴლისასა და სახლსა ზედა იუდაისა აღთქუჲმად ახალი არა აღთქუმისა მისებრ, რომელ-იგი აღუთქუ მამათა მათთა დღესა მას, რომელსა უპყარ კელი მათი გამოყენებად მათა: 27,8.

ჭ ხშირად იკარგება თქუმა ფუძეში. თქმული: 1,2 Ⴀ; თქმულთა: 9,1 Ⴀ.

ძ-ის ნიშანი ჰ იკარგება სპირანტი ხ-ს წინ: ხუდა: 6,1 Ⴀ, ხადოს სახელსა უფლისასა 21,25 Ⴀ.

პფ—ფ: აფიასა: 19,17 ('Αμφίαι).

ბგერათა განვითარება, ვ: ეგულვებოდა: 7,7 Ⴀ. მ: მქუჲა Ⴀ (ქუჲა Ⴀლ); 21,19. ნ: ანდრამიტელთაჲთ: 38,4 ('Ανδραμυτῶν). საკითხავია ნ აქ დ ხშულის წინ არის განვითარებული (შდრ. უკმნდა—უკმდა), თუ ბერძნული ბ-ს ნდ-თი გადმოცემასთან გვაქვს საქმე [შდრ. ანდამატი—ანდამანტი, იერ. 17,1 ἀνδῆμας (-αντος)].

ბ გერათა შერწყმა: თხ—ც: მეაცამეტ: 12,2 Ⴀ (მეათსამმეტედ Ⴀ).

კ Ⴀ ნ ტ ა მ ი ნ ა ც ი ა: მეთაცამეტესა წელსა: 15,1 Ⴀ (მეათსამმეტესა Ⴀ).

### მორფოლოგია

სახელთა ბრუნება: 1) უცხო წარმოშობის ზოგიერთი ა ხმოვან-ფუძიანი სახელი არ იკვეცს ა-ს: ეკლესიასათა: 3,2; კილიკიასა: 2,1. მსგავსი შემოხვევები ცნობილია სხვა ძეგლებიდანაც ([22], 104—105).

2) საკუთარი სახელი, რომელიც მსაზღვრელის წინ დგას, ძველ ქართულში ჩვეულებრივ არ იბრუნვის. ასეა ეს ჩვენს ძეგლშიც არსებითად: ოსე წინაწარმეტყუელისაჲ, იოველ წინაწარმეტყუელისაჲ, ნაუმ წინაწარმეტყუელისაჲ, ანბაკუმ წინაწარმეტყუელისაჲ, ესაია წინაწარმეტყუელისაჲ... 19,1. მაგრამ იშვიათად მსაზღვრელის წინ ნახმარი საკუთარი სახელი იბრუნვის: თანა-იყო მოკლესა სტეფანოსს მოციქულისა: 2,2. მარტვრობაჲ პავლეს მოცი-



ქელისაჲ: 17,1 Ⴎ (აქ „პავლეს“ = „პავლ(ს)“. წარსტეს ნე რთის კეის-  
რისსა: 13,1.

3) უჩვეულო შეწყობაა მსაზღვრელ-საზღვრულისა, როცა თითოეული ეპი-  
სტოლის „თავები“ სახელდება, მაგალითად: თავები გალატელთა მიმართ  
ეპისტოლესა, თავები ეფესელთა მიმართ ეპისტოლესა და სხვ.  
მოსალოდნელი იყო „ეპისტოლე“ არა მიცემითში, არამედ ნათესაობით-სახე-  
ლობითში, ვთქვათ, ასე: თავები გალატელთა მიმართ ეპისტოლისაჲ  
(შტრ. გვიანდელი CD რედაქციების: თავნი გალატელთა ეპისტოლისა-  
ნი). გამორიცხული არ არის უცხო წყაროთა გავლენა.

4) „წელიწადი“ დასტურდება წლითი წლად ფორმით: „წლითი წლად  
ქსენებისა მისისასა დღესა კრებასა ჰყოფენ: 8,3. ა. შანიძე აღნიშნავდა,  
რომ წელიწად (წელითი წლად) ფორმაში არ არის დაცული ერთგვარობა ორსა-  
ვე ნაწილში: პირველ ნაწილში შენახულია ფუძისეული ე. მეორეში კი — არა.  
მოსალოდნელი კი იყო წელითი წლად ან წლითი წლად, ე. ი. სმოვ-  
ნის შენახვა ორივე ნაწილში ან მისი ამოღება ორივე ნაწილიდან ([14], 315).  
წლითი წლად ფორმა სხვა ძეგლებშიც აღმოჩნდა: ლ. 2,41DE; ებრ. 10,1-3  
ბას ძველი; ზმნიხედური მნიშვნელობა აქვს, ნიშნავს: წლიდან წლამდე, ყო-  
ველწლიურად (ἐτησίως).

5. ვგვხვდება ვთ მაწარმოებლიანი საკუთარი სახელი თანამყოფთა, თანა-  
შრაბველთა სიმრავლის მნიშვნელობით ([22], 385—390): რამეთუ მარჯუენს  
მისცა პეტრეს ზაარებისაჲ, ვითარცა პავლე ბარნაბაჲს თანა წარმართთა მიმართ  
და ბეტრეეთნი წინადაუტუეთილთა მიმართ: ებრ. (შეს.).

ბრუნვისნი შანი წარმოქმნის აფექსალ ([13], 147):

ივ: კაცობრივისათჳს: ჰრომ. თ. 10; სოფლივისა: I კორ. თ. 19; კაცობრივ-  
სა: კოლ. თ. 6.

ით: სწრაფითი: ებრ. თ. 14; მშუდობითისა: II ტიმ. თ. 5.

(ა)დ: მსახურებადი: ებრ. თ. 2; ყოფადთა, I ტიმ. თ. 7, ბ; სწავლადნი: 9,9.

(ა)დ: ვით. ბრუნვისნი შანი წარმოქმნილ სახელებს ჩვეულებრივ ვნ. გვა-  
რის მყოფადი დროის მიმღეობის შინაარსი აქვთ: მსახურებადი სამსახურებელი  
(ἀσπασαρχῆ), სწავლადნი = განსასწავლნი (ἀσπασαρχῆ, შტრ, კათაკუმევე-  
ლი). ამ უძველესი ფუნქციის გამოვლენაა, რომ ასეთი ფორმა მონაწილეობს ზმნის  
აღწერითი მყოფადის წარმოებაში: ყოფად არს (= იქნება), შტრ. ყოფად ი.

თანდებულეები წარმოქმნის ელემენტთა როლში  
([13], 117): გან-ი: ჰურიათაგანნი: ჰებრ. (შეს.); შტულისაგანნი: გალ. თ. 8.

მიერ-ი: ქრისტესნიერი სიბრძნეს: კოლ. თ. 6; ჰურიათმიერი ...ძვრის-  
ზრახვა: 7,6, მთავრობა ქრისტესნიერი; ეფეს. თ. 9.

თანა: სტეფანეს და მისთანათა მათ; 11,3.

ჩანს თანდებულეებით წარმოქმნილ სახელებს ის მნიშვნელობა უნარჩუნდე-  
ბათ, რაც მათ აქვთ პირვანდელ, თანდებულიანი კონსტრუქციის სინტაგმაში:  
ნიერ და გან-იან სახელებში უმთავრესია მომდინარეობის შინაარსი,  
თან-იანში — თანაობისა და ა. შ.

სუფიქსთა მონაცვლეობა ობ/ებ: მობრალობნ; 16,2C, მობრა-  
ლებნ 4L. ობა/ება: წინამძღურობა: 9,22 C, წინამძღურებაჲ L; ვეცხლის უყუ-  
რულებისასა: II კორ. (შეს.) C, ვეცხლის უყუარულობისაჲსა 4L.

სა—ე/სა—ო: სახლთა... სამეფეთთა: 8,2 C, სამეფეთთა სახლთა L.





ხ ა რ ი ს ხ ი: უფროობითი ხარისხის ფორმები ნაწარმოებია არა მარტო ძირეულ, ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან, არამედ წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ სახელთა და ვნებითი გვარის წარსული დროის მ ი მ ღ ე ო ზ ა თ ა გ ა ნ, რასაც არსებითად ბერძნული წყარო აძლევს საფუძველს: უგანმტკიცებულეს: 3,2 (ἐπιχαρισσερον); უცვალბებულეს: 9,15 (διακλιχταυσι); უსადმრთოესისა: 11 კორ. თ. 4 (νειοτερα). მსგავსი ფორმები ძველი ქართულის სხვა ძეგლებისთვისაც უჩვეულო არ არის ([22], 450).

ზე ზ მ ნ ი ზ ე დ ა: ზე ა დ გ ი ლ ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა ი ჩვეულებრივ და ნიშნავს: ზევით, ზემოთ (ზე ზის იგი ვიჩსა მ. 21,5), მაგრამ მას დ რ ო ი ს გამოხატვაც შეუძლია, რაც ზე-ს მეორეული ფუნქცია უნდა იყოს.

ზე დ რ ო ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა დ ჩვეულებრივ პ ი რ ი ს სახელებთან არის ნახმარი: (პავლე) მარტვრიცა იქმნა ქრისტშსა ჰრომთა ქალაქსა ტ ე რ ტ ვ ლ შ ს ზე: 9,31; (...ἐπι Τερσάλα); მაშინ უკუე ნ ე რ ო ნ ი ს ა (ნ ე რ ო ნ ი ს ს ა 4) ზე სიტყვს-გებასა მას პავლშსსა: 14,3 ԵԿ (...ἐπι Νέρωσι); ნ ე რ ო ნ ი ს ზ ე, კეისრისა ჰრომთაჲსა, წამა პავლე მოციქულმან: 17,2; უსაშინლშს არს ვიდრე მ ო - ს შ ს ა ზ ე მერმშ იგი, ებრ. თ. 19 (... ἐπι Μωυσεω).

ზე დ რ ო ი ს გამოსახატავად უფრო ნათარგმნ ძეგლებშია გამოყენებული, ორიგინალურში კი — იშვიათია და მას სცვლის ბუნებრივი კონსტრუქცია: ბი-რის ან ხელობის სახელი მიცემითშია ან ნათესაობით-მიცემითში (ეს მაშინ, როცა მსაზღვრელი პოსტპოზიციურია): იყო მერვესა წელსა (მრ...) სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარქსენ პიტიახში: ზუშ. 11,5 ([24]). წელსა მეთესა ზუისრო მეფისასა... მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით: ევგტ. 30,1 ([24]) პეტრშს ხ უ ც ს ო ბ ა ს ა... უკანგორის წარწ. 15,18 ([20]); ქ ე ლ - მ წ ი ფ ო ბ ა ს ა ლმრთივ დამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა. ერედვის წარწ. (16,13. იქვე). ამიტომ იქნებ დასაზუსტებელი იყოს ბოლნისის სიონის ტაძრის საამშენებლო წარწერა: ოც წლისა პეროზ მეფისა ზ ე ხ ი ქ მ ნ ა დაწყებაჲ) ამის ეკლესიაჲსაჲ (14,20. იქვე). ზემოდასახელებული მასალების ფონზე უფრო მოსალოდნელი იქნებოდა: პ ე რ ო ზ მეფე(ისაჲსა).

ჩვენს ძეგლში, ისე როგორც სხვა ნათარგმნ თხზულებებში, ზე-ს დროის ზმნიზედად ხშირ გამოყენებას, ვფიქრობთ, ბერძნული წყარო უნდა განსაზღვრავდეს, სადაც ზე-ს ფარდად ყოველთვის ἐπι მოიბოვება. ეს ἐπι თანდებული სახელს ნათ. ბრუნვაში მართავს და მასთან ერთად დ რ ო ს აღნიშნავს ([43], 282). ანალოგიური ვითარება ჩვენს ძეგლშიც (ἐπι Νέρωσι-ნერონის ზე) ოდ-ონდ იმ განსხვავებით, რომ ἐπι თანდებული ბერძნულში, როგორც წესი, პრე-პოზიციურად იხმარება, ხოლო ზე ქართულში — პოსტპოზიციურად. ამდენად საკითხავია, რამდენად ბუნებრივია ქართულისათვის „ნერონის ზე“ ტიპის ფორ-მები და მსგავს ფორმათა კანტი-კუნტად ხმარება ორიგინალურ ძეგლებში აიხს-ნება თუ არა თარგმნითი ლიტერატურის გავლენით? საბოლოო პასუხისათვის მეტი მსალაა საჭირო.

ზმნა: 1) 03 ნიშანი მრჩობლი ჰს-თი გადმოიცემა: ჰსწყუროდის: 21,40 Ե (შდრ. ივ. 25,21).

2) „უნდა“ ზმნა თითქოს ნახმარია წყვეტილის მნიშვნელობით: „(პავლე) მათ ყოველთა სძლო და მოიკრძალნა სარწმუნოებითა, რამეთუ მერმეცა კუა-



ლდ ე ნ დ ა ვ ე მ ა შ ი ნ ა პ ა ვ ლ ე [ღმერთსა] (1,52—53). აქ „უხნდავე“ უნდა ნაწილად წაიკვეთოს: „უ ნ დ ო დ ა კ ი დ ე ვ“; არამედ: „მ ო ხ ნ დ ა, მ ო ე ს უ რ ვ ა კ დ ე ვ“. რადგან ამ ზმნას წყვეტილის ფორმა არა აქვს, უწყვეტელი გადმოსცემს საჭირო შემთხვევაში წყვეტილის შინაარსს (წმრ. „იელტოდა“ = ვაიქცა). პოეტულ შემთხვევაში ამას ადასტურებს როგორც კონტექსტი, ისე ბერძნული წყარო, რომელშიც უნდა იქნას მოიბოვება.

3) „პნვდა“ ზმნა უძველესი „პ ნ უ ე დ ა“ სახითაა წარმოდგენილი ო ს ე ლ ნ ა - წერში: შემდგომად რაოდენთავე ეამთა მერმე კუალად პავლე იერუსალშიმდ აღიღეს ხილვად პეტრესსა, სადაცა-იგი განიყვეს ურთიერთას ყოველი სოფელი და ნაწილი იგი წარმართთაჲ პავლეს პ ნ უ ე დ ა, ვითარცა-იგი ჰურიათა მოძღურებაჲ პეტრესს პ ნ უ ე დ ა: 6,1.

ეს ზმნა „უნიშნო ვნებითა“ კლასს ეკუთვნის. ასეთი ტიპის ზმნათაგანის დამახასიათებელია წყვეტილის I და II პირის ფორმებში ე ს მ ო ვ ნ ის გამოვლენა ფუძეში, მაგ.: ვ-ტფ-ებ-ი, ვ-კუფ-ებ-ი, მაგრამ ვან-ვ-ტფფ, მოვ-კუფედ. ხოლო III პირის ფორმაში, როგორც წესი, ე ს მ ო ვ ა ნ ი ამოღებულია: ვან-ტფ-ა, მო-კუფ-ა. ჩვენი ძეგლის ჩვენება იმიოთა საინტერესო, რომ სწორედ მე-3 პირის ფორმაში ე ჲ ო ნ დ ე ბ ა ე ს მ ო ვ ა ნ ი, ხოლო I და II პირთა ფორმები (შე-პ-ტ-ხუედ, შე-პ-ხუედ) გრძობით გამოუვლენელია. დამოწმებული ხ უ ე დ ფუძის კანონზომიერი შესატყვისობაა კოლხური ხ ვ ა დ (უ-ვ, ე-ა): შე-ხ ვ ა დ-უ „შე-ხ ვ დ-ა“ (—შე-პ-ტ-ხუედ-ა). „ჰხუედა“ ფორმა ცნობილია ოთხთავის ძველი რედაქციებიდანაც (ლ. 1,9 DE, მრ. 15,25 C...) და არქაიზმადია მიჩნეული ა. შანიძის მიერ ([7], 048). თუ რით აიხსნება ზემოდასახელებულ ფორმაში გახმოვანების სრული საფეხურის შემონახვა, ამაზე ასეთი ვარაუდია დაშვებული: უნდა არსებობდეს ათემატური აორისტის ერთი სტრუქტურული ვარიანტი, „სადაც ფუძის გახმოვანების ნორმალურ საფეხურს პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმებში ენაცვლებოდა სიგარდის საფეხური მესამე სუბიექტური პირის ფორმებში: 1. \*პ-ტ-ხუედ, 2. \*პ-ხუედ, 3. \*პ-ხუედა ([25], 256).

4. რ თ უ ლ ი ზ მ ნ ის წ ი ნ ი: მიმოდა (მი-მო-და) შემადგენელი მარტივი ზმნისწინების შინაარსს აერთიანებს, აღნიშნავს მიმართულების იქ ი თ (მი) აქ ი თ (მო). ს ი ვ რ ც ე-ს ი ბ რ ტ ყ ე შ ი: ქადაგებდა სულითა მი მ ო დ ა-აქ ქ უ ნ დ ე ს: 5,5. ეგვევ ზმნისწინი აქვს მიმდებარე ფორმას: იხილა ქადაგებდა იგ ა ნ ა მ ო დ ა მ ბ რ წ ყ ა ნ ვ ა ლ ტ: 3,2 ო. ეს ზმნისწინი სხვა ზმნურ ფუძეებთანაც იხმარება ([26], 299).

5) პრეფიქსიანი ვნებითები:

მი-ი-მ არ თ ა: და მოიღო პავლე მიდღელთ მოძღუართაგან წიგნები მას ეამსა ოდენ დამასკელთა მიმართ ჰურიათა, მი ი მ ა რ თ ა და ფოფინებდა: 4,1; განკითხავად მოციქულისა მი ი მ ა რ თ ა: 12,4.

მი-ი-ვ ლ ი ნ ა: მი ი ვ ლ ი ნ ა ანანიასისა ვისამე მოწაფისა: 4,4; მიერთგან პრომედ წთავართაგან კეისრისა მი ი ე ლ ი ნ ა: 7,7.

მი-ი-წ ი ა: სიმართლესა მას ღმრთის მსახურებისასა მი ი წ ი ა შურსა: 5,4.

მი-ი-წ ი ა: მას ეამსა ოდენ შფოთი მი ი წ ი ა ქალაქსა მას ზედა: 7,2; ეანი იგი ... მი ი წ ი ა: 9,28.

შე-ი-მ კ ო: (პავლე) გვარჯნითა შე ი მ კ ო: 8,2.

წ არ-ი-დ გ ი ნ ა: მეცსეულად წინაშე საყდართა წ არ ი დ გ ი ნ ა პავლე: 14,5.



დასახელებული ზმნები ჩვეულებრივ დღეს ვნებითს აღწერა მოეხდინა, საუღლებელი ზმნის ვნ. გვარის წარსულ დროიანი მიმდებარება და „იქნა“ მეშველი ზმნით ([13], 304; [27], 171; [23], 43—48). ხოლო იხიან წარმოების ყალიბი მოქმედებითი გვარის ზმნებმა დაისაკუთრეს (შეიმკო მან იგი). რადგან ამ ტიპის ზმნებმა ვნებითის ორგანული (ინიანი) წარმოების ფორმები დაკარგეს (ე. ი. ეს ფორმა მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის შინაარსის გამომხატველი გახდა), საკომპენსაციოდ პერიფრაზულ წარმოებას მიმართეს.

6) კონტაქტი: „ქმნა“ ზმნას კაუზატივი ეწარმოება ა—ევ/ა—ი(ვ) აფიქსებით: საშველი რეცა სამართლით ქრისტეს მიმართ სარწმუნოებისათვის აქმნიათ: 3,2 ტ. 7-ში კი ოდენ ა პრეფიქსიანი ფორმა: აქმნა. აქმნია აწყოში აქმნევს ფორმას გულისხმობს, რაც რეალურადაც გვაქვს ძველ ქართულში.

ერთ-პირიან გარდაუვალ ზმნათა კაუზატივი ა—ენ/ა—ევ-ით იწარმოება ჩვეულებრივ: (დვას—იდგენს, ვალს—ავლენს), „რბის“ ზმნის კაუზატივია „არბევს“ (ა-რბ-ევ-ს) ([28], 299). ჩვენს ძეგლში მოიპოვება „ნიმორბიოდას“ კაუზატიური ფორმა „მიმორბევდა“: „ყოველსა სოფელსა მიმორბევდა და ახარებდა ქრისტეს მიმართ კეთილსა მსახურებასა“: 12,2. ოღონდ ამ ფორმაში კაუზატიური შინაარსი დაბნელებულია, რადგან ზმნა სათავისო ქცევის შინაარსს იგუებს: მიმორბევდა იგი მას (სოფელსა).

კაუზატიური შინაარსისა იდიომური მნიშვნელობის რთული ზმნა პურის ცემა: ჰშიოდის თუ მტერსა შენსა, პური ეც მას; უკეთუ ჰსწყუროდის, ასუ მას: 21,38 (შდრ. იგ. 25,21). „პური ეც მას“ ნიშნავს: აქამე მას (უფრო ზუსტად აჭმი(ვ)ე მას (ძამჯე ბარს), ფრაზეოლოგიურად მგავსია სომხ. *հայ սուր*,

უშუალო კონტაქტის შინაარსით პურის ცემა ენაცვლება პურის ჭამა: „მოძღუარ, პური ჭამე“: ი. 4,31 C, ჩაქმე, ფაქე. გიორგისეულ რედაქციაში იდიომური სინტაგმა გამარტივებულია: „რბი, ჭამე“, რაც შესაბამისობაშია ბერძნულ წყაროსთან.

**სინტაქსი**

1) სინტაქსური ასიმილაცია (ატრაქცია): ყოველმან რომელმან ჰხადოს სახელსა უფლისასა, ცხოვრდეს: 21,25 (შდრ. იოვ. 2,22). ასისტავსა მას რომელმან წარიყვანა პავლე ჰრომედ, ივლიოს იყო სახელი მისი: 33,2.

2) უჩვეულო რთული წინადადება: ა) ცნობილია, რომ დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ განმარტავს ან შინაარსობლივ ავრცობს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს, რომელსაც ასახსნელი, მისამართი სიტყვა ჰქვია. ასახსნელი, მისამართი სიტყვა ყოველთვის მთავარშია. ეს ასახსნელი სიტყვა ხან უშუალოდ უსწრებს ამხსნელს (მაგ. იყო ვინმე მღვდელი, რომელსა სახელი ერქუა ზაქარია: სინ. მრავალთ. 25,26), ხანაც ასახსნელ სიტყვასა და ამხსნელ სიტყვას შორის მოქცეულია სხვა სიტყვები (მაგ., ბირველად დედა შენი აღადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს: შუშ. X, III, 18) ([29], 81). ჩვენს ძეგლში კი რთული წინადადება ასეთი კონსტრუქცი-



ლსა: „წარმოძღუნად ეგულვა რომელნი დამასკეს შინა იყვნეს მოწაფენი: 4,1.

გამოდის, რომ მისათითებელი სიტყვა „მოწაფენი“ მთავარში კი არ არის, როგორც წესი, არამედ დამოკიდებულში, ე. ი. მოსალოდნელი იყო: „წარმოძღუნად ეგულვა მოწაფენი, რომელნი დამასკეს შინა იყვნეს“. რადგან მისათითებელმა სიტყვამ დამოკიდებულში გადაინაცვლა, ამით ზღვარი წაიშალა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის, დამოკიდებულმა წინადადებამ დაკარგა თავისთავადი, დამოუკიდებელი სახე და მთავრის ორგანული ნაწილი გახდა. ამიტომაც ზემოდსახელებულ წინადადებას პირობითად თუ ჩავთვლით რთულად. ამის გამო არ გვიხმარია მძიმე „რომელნი“ სიტყვის წინ. მსგავსი წყობის რთული, გაუმიჯნავი წინადადება უჩვეულოა ქართულისათვის. ზემოდსახელებულ ადგილას შეიძლება ბერძნული წყაროს გავლენაც ჩანდეს: *περικλίσσειν δεσπῶν τῶν ἐν Ἀμασειν μασίχων.*

ბ) მისამართის სიტყვის პლეონასტური გავრცობა: ცნობილია, რომ იშვიათად, როცა მთავარი წინადადება გათიშულია დამოკიდებულთ, მისამართ სიტყვას მთავარშივე ემატება ნაცვალსახელი. ნაცვალსახელის ასეთი პლეონასტური ხმარება უჩვეულო არაა ქართველური ენებისათვის ([30], 14) და მათ შორის ძველი ქართულისათვის: „ყოველი ჯურღმულე ბი, რომელ თხარეს მონათა მამისა მისისათა, დაყვეს იგი ფილისტემელთა მათ“: დაბ. 26,15 ([29], 76). ჩანს, მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელის გაჩენა და მისი პლეონასტური ხმარება მხოლოდ დამოკიდებული წინადადების ინტერპოზიციის შემთხვევაში კი არ გვხვდება, არამედ პოსტპოზიციის შემთხვევაშიც. მაგ., ჩვენს ძეგლშია: მის თანა იყო არისტარქოს, რომელსა-იგი ჰეშმარიტად თანატყუდ წინთა შინა მისთა უწეს მას: 13,2. „მას“ ნაცვალსახელის ზედმეტად ხმარება იმით არის გამოწვეული, რომ მთავარი წინადადების სასაზღვრი (მისამართი) სიტყვა შორის აღმოჩნდა დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან. ამიტომ ეს უკანასკნელი ცდილობს ახლოს იქონიოს სასაზღვრი სიტყვა ნაცვალსახელის სახით. ცხადია, „მას“ ნაცვალსახელის ფარდი არ მოეპოვება ბერძნულ წყაროს: *συναῖν δὲ ἀπὸ τοῦ καὶ Ἀριστάρχου, ὅν καὶ εἰκότως συναίχμαζλατον πού τῶν ἐπιστολῶν ἀποκαλεῖ.*

„მას“ ზედმეტად არის ნახმარი ამ წინადადებაშიც: „ხოლო ტიტუს მიმართ, ვითარ-იგი ჭერ-არს ვიეთიმე მიღველობაჲ, მას მიუწერს“: 9,29. თუ ამ წინადადებაში ე. წ. „კომპრომისული ფორმა“ იქნებოდა, „მას“ სიტყვის ნაცვალად მოსალოდნელი იყო „ესრჭით“ (ეგრეჭთ), როგორც „ვითარ-იგი“ კავშირისათვის წესადფერი კორელატი. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, „მას“ ზედმეტია საერთოდ, როგორც ამას ბერძნული წყაროც ადასტურებს: *Ἡ δὲ πρὸς Τίτου, ὁποῖαὸς τινὰς εἶναῖ κληρικῶν διαγράψαι.*

3) სინტაქსური კონტრამინაცია: „ესე არს ჩემ მიერ მათა მიმართ აღთქმეჲჲ, რაჟამს მოუ სპანე ცოდვანი მათნი“: 21,36 (შდრ. ეს 59,20). უკანასკნელი არაბუნებრივი ფრაზა მიღებულია ორი ორდინარული სინტაქსური კონსტრუქციის შერწყმით: ა) მოვსპე (მე) ცოდვანი მათნი, ბ) მოუ სპე (მე) ცოდვანი მათ.

სხვა მაგალითი: „ყოუდრებანი მაყუდრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა“: 21,44 (შდრ. ეს. 68,10). ბუნებრივი წყობით უნდა ყოფილიყო ან:



„დამეცნეს მე“ ან: „დაეცეს ჩემ ზედა“. ამ ორი კონსტრუქციის წერწყმით არის მიღებული უჩვეულო „დამეცნეს ჩემ ზედა“. ასეთი წყობის შექმნაში ბერძნულ წყაროს გარკვეული წილი უნდა ედოს ([31], [32]).

### ლექსიკა

ძველი საყურადღებოა პალეოგრაფიული ტერმინების უხვი ხმარებით, რაც თხზულების ხასიათიდან გამომდინარეობს<sup>1</sup>. ასევე თვალშისაცემია ბერძნული ლექსიკა: ავგუსტე, ზანდუკი, ივლიოსი, იუნისი, კინზაბარი, მელანი, სტიქონი, ტომარი, ევანგელე, ინდიკტიონი, კათოლიკე კალანდა, კანონი, პანემოსი, სტრატოტი ჰვატიონი და სხვა (განმარტებები იხ. ლექსიკონში).

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი სიტყვა:

1. კატაპატონი, კაპატონი: 38,1. ივ. ჯავახიშვილი ნაწერის გვერდის აღმნიშვნელ კაბადონ ტერმინს XVIII საუკუნის ძველიდან იმოწმებს, თუმცა მის ხმარებას უფრო ძველ ძეგლებშიც ვარაუდობს ([18], 63). მართლაც, ჩვენს ძეგლში ეს ტერმინი ძველი (კატაპატონ 4, კაპატონ 7) ფორმითაა დაცული: 38,1. როგორც ილ. აბულაძემ აღნიშნა ([1], 82), ეს ტერმინი ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული. *καταπατος* ძვ. ბერძნულში კიბეს, ჩამოსასვლელს აღნიშნავს, ხოლო საშუალო ბერძნულში—წიგნის, ნაწერის გვერდს. ბერძნულის მიხედვით თავდაპირველად ქართულში უნდა ყოფილიყო კატაპატონ, რომლისგანაც ჰაპლოლოგიით მივიღეთ კაპატონ. ხოლო ამ უკანასკნელ ფორმაში ასიმილაციის შედეგად ბურთ კ-სა და ტ-ს გვერდით ჰ-დ ქცეულა: კაპატონ—კაპატონ. რაც შეეხება ქართულში გვიან ხმარებულ კაბადონ ფორმას, მიღებული ჩანს დისიმილაციური გამჟღავნების შედეგად: კაპატონ—კაბადონ.

აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინს ძველი ფორმით იცნობს ეფრემ მცირე, რომელიც „გარდამოცემის“ ერთ-ერთ კომენტარში აღნიშნავს: „შეისწავე ყოველივე, რააც იმერსა კაპიტონსა წერილ არს, ვიდრე დასრულებამდე ამის თავისა, ვინცა იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ: A-24, 50r. ამ კომენტარის გამომცემელი წერს: — „აქ, ცხადია, რაზეც არის ლაპარაკი. ხოლო გაუგებარია სიტყვები — იმერსა კაპიტონსა“. ხომ არ ნიშნავს ეს სიტყვები „იმ თავს“ (ლათ. caput) ([33], 118).

ცხადია, ეფრემ მცირის მიერ ნახმარი კაპიტონი იგივე კაპატონი და ნიშნავს არა ნაწერის თავს, არამედ გვერდს. უნდა ვიფიქროთ, ან ვადამწერს მოუვიდა შეცდომა (ე წიკითხა 7-დ), ან ეფრემს ეს სიტყვა კაპიტონ ფორმით ჰქონდა შეთვისებული ცოცხალი მეტყველებიდან. უფრო პირველი ვარაუდია მისაღები, რადგან ბერძნულში, თუ ლექსიკონების მიხედვით ვიმსჯელებთ, არ უნდა ყოფილიყო *καταπατος* სიტყვის ი ხმოვნიანი ვარიანტი. მართალია, ბიზანტიური ხანის ბერძნულში არის *καπατα*, მაგრამ ის სხვა სიტყვაა, ლათინურია და თავებს აღნიშნავს: *καπατα*, τὰ (caput) capita = κεφαλαί ([60]). ასეა თუ ისე, ერთი მაინც აშკარაა: ეფრემ მცირის სიტყვები „რააც იმერსა კაპიტონსა წერილ არს“ ამას ნიშნავს: რაც იქეთა (მომდევნო) გვერდზე არის დაწერილი.

<sup>1</sup> ასეთი ტერმინების ნაწილი განხილულია ილ. აბულაძის შრომაში ([1], 80—83).

2. ტ რ ე უ ლ ი: *ს*ზ ნუსხათა „სტიქომეტრიის“ დამოწმებებში მოყვანილია ციტატი ფსალმუნნიდან (101,27), რომელიც ებრაელთა მიმართ ებისტოლენაა გამეორებული (1,10), „ყოველნი ვითარცა სამოსელნი და ძუელდენ და ვითარცა შეესამოსელნი სცვალნე იგინი, და იცვალნენ“. ეს ადგილი *4*ლ ნუსხებში ასე იკითხება: „ყოველნი ვითარცა სამოსელნი განკუფდენ და ვითარცა ტრეულნი სცვალნე (ცვალნე *4*) იგინი, და იცვალნენ“; 27,7. აღსანიშნავია, რომ „ტრეული“ არ მოიპოვება არც პავლეს ებისტოლუმში, სადაც ზემოდასახელებული ციტატია მოყვანილი (ებრ. 1,10) და არც ფსალმუნის ქართულ რედაქციებში; ყველგან მის ფარდად „შესამოსელი“ არის ნახმარა\*.

„ტრეული“ იშვიათი ნმარების სიტყვაა და, როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, „შესამოსელის“ სინონიმად არის გამოყენებული. დასახელებულ ადგილას მისი ბერძნული ფარდი *περιεβαλυσεν*-ი ნიშნავს: საგებს, საწოლს, ზეწარს და ტანსაცმელსაც.

ტ რ ე უ ლ ი ისეა ნაწარმოები ე უ ლ სუფიქსით, როგორც, ვოქვათ, შაღელი. ბამბეული და სხვ. ხოლო ძირეული ტრ იგივეა, რაც სომხური *սին*, რომელიც თხელ, გამჭვირვალე ქსოვილს ნიშნავს. ძველ ქართულში ნახმარი პირეულ ტრ ფორმას იცნობს სულხან-საბა ორბელიანი და მის განმარტებასაც იძლევა: ტრ ი (2 მეფ. 17,28 ZAA) ესე ტრი არს (+სამოსელნი B) ქვეშსაფენელ(ბ)ი და საგებელ(ბ)ი, ორხოვა, ძოლო (+და Z) ფიჩვი, ხირაული, ტბასტო, საბანი, შატქუნი, ნაბადი, თაქნობადი, ქუთი, კალიკი და მისთანანი ([35]).

6. ჩ უ ბ ი ნ ა შ ე ლ ი ეყრდნობა საბას განმარტებას, ოღონდ აფართოებს განმარტებას, ქვეშსაფენელთა სახეობებს უმატებს: ნობს, ხალიხას, ფარდაგს, ჯეჰიმს ([34]).

საბას მიერ მითითებული წყაროს (2 მეფ. 17,28) ძველ ქართულ რედაქციებში მართლაც მოიპოვება ტრ ი: „მოართუეს მას ათი ტაბასტი და ათი ტრ ი და ათი ქუბი, სიავი“ ... ასე იკითხება ეს ადგილი სამ ძველ რედაქციაში: ათონურსა (ოშკურსა), იერუსალიმურსა (№ 113), მცხეთურში (A 51). ხოლო საკმაოდ შეცვლილადაა წარმოდგენილი ეს ადგილი ბაქარისეულ გამოცემაში: „მიიღეს ათი სარეცელი გაწყობილნი, და ქუბი ათი...“.

აღსანიშნავია, რომ მეორე მეფეთა წიგნის ზემოდასახელებულ ადგილას (17,28) ძველ ქართულ რედაქციებში ნახმარი ტრ ი ს ფარდად სომხურ წყაროში მოსალოდნელი *սին* კი არა გვაქვს, არამედ *სანიკიჩ* („სარეცელი“, „ლოგინი“).

ძნელია, ძველ ქართულში ნახმარი ტრ ი ს ზუსტი მნიშვნელობის დადგენა, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ის აღნიშნავდა ზეწარს, საბნის შალითას, შემდეგ კი საგებს-სარეცელს, ხოლო ბოლოს — ყოველგვარ ქვეშსაფენელს (ნობს, ფარდაგს, და მისთანათ).

3. ტ ბ ა: ამ სიტყვის მნიშვნელობა თითქმის ძიებას არ საჭიროებს, იგი „ზღვა არს მომცრო“ (საბა). მაგრამ ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით სრულებით არ არის ნახმარა ჩვენს ძველში: „ნავი იგი მცირე სიტყვსაი შენდა ყუღროებისა ტ ბ ა ს ა“

\* ტ რ ე უ ლ ი იგივე ტ რ ე უ ლ ი უნდა იყოს, რომელიც ტ ა ლ ა ვ ა რ ი ს ფორმით ზესტურულშია შემონახული და ტინისამოსს ნიშნავს (ა. შ.).

მივადგინო“: 1,4. პირველწყაროს მიხედვით, ტბა აქ გადმოსცემს ნავთსადგურის მნიშვნელობის ლაქუ სიტყვას. აღსანიშნავია, რომ „მოციქულთა საქმის“ ძველ რედაქციებშიც ტბა არასწორად არის ნახმარი ლაქუ-ის გადმოსაცემად: „ეთარცა-იგი უმარჯუ იყო ტბაჲ იგი დასაზამთრებელად 24: საქ. მოც. 27,12 ([3]). შდრ... უმარჯუ იყო ნავთსადგური იგი... 7,8. მაგრამ ამავე ბუხლში ძველ ქართულ რედაქციებში მეორედ ნახმარი ტბა დაუტოვებია ვიორგის, ეფრემს კი კვლავ ნავთსადგურ სიტყვით შეუცვლია: „დიზამთრეს ტბასა მას კრეტემასა 24, დაზამთრებად ტბასა მას კრიტისასა 7, დაზამთრებად ნავთსადგურსა მას კრიტისასა 8.“

ეფრემ მცირეს შეუნიშნავს, რომ ძველ რედაქციებში ნახმარი ტბა სწორად ვერ გადმოსცემდა ბერძნული ლაქუ-ის მნიშვნელობას და მას ერთგან: საქ. მოც. 27,8. ტბა სიტყვასთან აშიაზე ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „შეიხსენებ, სადაცა ტბაჲ (ტბები HJ) სწერიან, ნავთსადგურისა ნაცვალად (ადგილსა HJ) სწერიან“ GHJ. სინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ საბას ლექსიკონის ბოლო რედაქციის ნუსხაში შენიშნულია ტბის უჩვეულო მნიშვნელობა და ჩვეულებრივ განმარტებას მისდევს ვაგრძელება: „(27,12 საქმე) ტბას უწოდებენ ნავთსაყუღელსა Z“ ([35]).

რა თქმა უნდა, ძველ ქართულ თარგმანებში რომ ტბა გადმოსცემს ნავთსადგურის მნიშვნელობის ბერძნულ ლაქუ სიტყვას, ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ ტბა სიტყვას ძველ ქართულში ნავთსადგურის მნიშვნელობაც ჰქონდა. არა, აქ სადმე გვაქვს ბერძნული წყაროს არასწორ თარგმანთან. ძველ მთარგმნელს ბერძნულ ტექსტში ნახმარი ნავთსადგურის მნიშვნელობის ლაქუ სიტყვა აღრეული აქვს ლაქუ სიტყვაში, რომელიც აღნიშნავს დამღვარ წყალს, ტბას და ზღვას.

4. დიოსკორელი: პავლე მოციქულის რომში წაყვანა იგულისხმობს მისთვის მიერ სქემბეტურად არის მოთხოვნილი სტიქომეტრიულ აპარატში. მასში ნათქვამია: მკრამდე რომ მივიდნენ, „პოვეს ნაფი ალექსანდრიაჲსაჲ ვიდრე მელიტე ჰალაკადმე. მერმე კუალად ალექსანდრიელევე სხუაჲ პოვეს, სახელით დიოსკორელთაჲ, შევიდეს მასცა და ესრეთ პრომედ მივიდეს“ 33,4-5. „დიოსკორელთა“ გადმოსცემს ბერძნულ ტექსტის *Διοσκουριος* ფორმას და თუ რას ნიშნავს ის, ამის გასარკვევად მივმართეთ პავლეს რომში წარვლინების იმ ეპიზოდს, რომელიც ვრცლად აქვს მოთხრობილი ლუკა მახარობელს (საქ. მოც. თ. 27—28): „შემდგომად სამისა დღისა შევედით ნავსა, რომელსა დაეზამთრა მას ჰალაკსა შინა ალექსანდრიაჲსაჲ [უნდა: ალექსანდრიაჲსაჲ], სახელით დიოსკორესი [უნდა: დიოსკორესისა] (საქ. მოც. 28,11). მაშასადამე, „მოციქულთა საქმით“ გვაქვს დიოსკორე, ხოლო სტიქომეტრიით — დიოსკორელი, პირველი თითქოს გეოგრაფიულ სახელს ჰგავს, მეორე — წარმოცვლობის სახელს, ნამდვილად კი არც ერთი იგულისხმება და არც მეორე. ძველ ბერძნულში *Διόσκουριος* თუ *Διόκουριος*, მესმოდათ, როგორც მსაზღვრულ-საზღვრულისაგან მიღებული კომპოზიტი: *Διός* *κουριος*. „ზევსის (დიოსის) ძენი“ (*Ζεύς*-ის ნათ. ბრუნვის ფორმა *Διός*), მასში გულისხმობდნენ ტყუბ ძმებს — კასტორსა და პოლიდეკს, არგონავტთა ლაშქრობის მონაწილეებს; შემდგომ კი ისინი მიაჩნდათ მგზავრობის, ნაოსნობის



მფარველებად და, თეოფილაქტე ბულგარელის ცნობით, ზომალდის ცხვირზე აკეთებდნენ მათ გამოსახულებას ასეთი აღნიშვნით *Διόσκουρος*: ([44], 709, [45], 411). ცხადია, ჩვენს ძეგლსა და „მოციქულთა საქმის“ შემოთ დასახელებულ ადგილებში ლაბარაკია ისეთ ნაგზე, ზომალდზე, რომელსაც ჰქონდა ნაოსნობის მფარველ კერბთა გამოსახულება *Διόσκουρος*-ის აღნიშვნით.

აღსანიშნავია, რომ ევტრემ მცირეს სწორად ჰქონია წარმოდგენილი ამ სიტყვის მნიშვნელობა, რაც კარგად ჩანს „მოციქულთა საქმის“ (28,11) ტექსტზე გვეყვებული შენიშვნიდან, რომელიც დ ი ო ს კ ო რ ე ს ეხება. იგი წერს: „რამეთუ მათ ქამთა კერბთ მსახურთა ესე ჩუჭულუბამ ჰქონდა და უფროას-ლა აღექსანდრიელთა, რომელ კერბთა სახელებსა დროშმ-ჰყოფდიან ყოველთა საქმართა მათთა ზედა. ამითვე მიზეზითა აღნიშნულ იყო ნავიცა ესე ორთავე დროთა ზედა დ ი ო ს კ ე რ ბ ი ს ა სახელსა ზედა“ ([3], 207, სქოლიო).

დანიშნული ლიტერატურა:

1. ი. ლ. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თს უ-ს შრ., XXIV, 1950.
2. კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
3. საქმე ნოციქულთა, გამოსცა ი. ლ. აბულაძე მ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1950.
4. ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, და მათი ენა (საქ დისერტ., ხელნაწერი) თბ., 1953.
5. კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცა ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1956.
6. პაულეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსცემად დაამზადეს ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე მ და კ. დ ა ნ ე ლ ი ა მ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1974.
7. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდელი ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.
8. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზ. შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1950.
9. სახარება ოთხთავი ორთა ქელნაწერთაგან შიგ და შერ წელთათა, გამოსცა ვლადიმირ ბ ე ნ ე - შ ე ე ი ბ შ ა ნ, ნაკ. ა, სახარება მთელს თავისად, С.-Пб., 1909.
10. სინური მრავალთავი №6 წლისა, სახარებოდ მოაზნადეს კათედრის წევრებმა მ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1959.
11. ს. ყ ა ე ტ ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.
12. ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ბიზანტიური ბერძნულის ფანტიკის საკითხები, I, თბ., 1965.
13. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრაფიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
14. მ ი ს ი ე ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: თს უ, I, თბ., 1952.
15. ე. თ ა ე ა ი შ ვ ი ლ ი, ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი: თს უ-ს შრ., XXXIV, 1950.
16. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფანტიკური დავირკებანი ქართველური ენებში, II, ტფ. უნ. შრ., X, 1930.
17. ი. ჯ ა ე ა ბ ი შ ვ ი ლ ი, სინის მიძის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.
18. მ ი ს ი ე ე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
19. ა. ი მ შ ა ი შ ვ ი ლ ი, სინური მრავალთავი (განოკლევა და ლექსიკონი), თბ., 1975.
20. მ ი ს ი ე ე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, 1976.
21. მ ი ს ი ე ე, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971.
22. მ ი ს ი ე ე, სახელთა ბრუნება და ბრუნებითა ფუნქციები ქვ. ქართულში, თბ., 1957.
23. მ ი ს ი ე ე, ენებათა ვეარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში: ძვ. ქართ. ენის კათედრის შრ., ტ. 11, თბ., 1968.
24. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილ. აბულაძის, ელემენტარული და რედაქციით, თბ., 1964.



25. თ. გამყრელიძე, გ. შაქავაძისა და სონანტა სისტემა და ახლანდელი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
26. ი. ვეწაძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.
27. ნ. ქიქოძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან: იკე. ტ. XIV, თბ., 1964.
28. ჰ. ფოტე, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში: მიმოხილვები, 4-5, თბ., 1958.
29. ი. ვეწაძე, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1959.
30. ნ. აბეცაძე, პიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სივანურში: თსუ-ს შრ., ტ. 53, 1960.
31. კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძვ. ქართ. ვერსიების ზოგიერთი სინტაქსური თავისებურება: თსუ-ს შრ., 105 (ფილოლ. შეტ. სერია), VI, 1965.
32. მისივე, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველ ქართულ ფერალოზობითი ძეგლებში ენაში: საქ. მეც. აკ. „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია) № 4, 1975.
33. რ. შიშინოვი, გარდამოცემის ქართული თარგმანები, თბ., 1956.
34. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ილ. დღონტია რედაქციითა და გამოკლექით, თბ., 1961.
35. ხ.ს. თარბელიანი, ქართული ლექსიკონი: თბ., ტ. IV 2, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით გამოცემული მოამზადა ილ. აბულაძემ, თბ., 1966.
36. В. Вреде, Происхождение книги Нового завета, пер. с немецкого И. М. Хараскова, под редакцией Н. М. Пинкольского, М., 1908.
37. А. Дреус, Миф о Христе, пер. с немецкого, под редакцией и с предисловием П. А. Красикова, М., 1925.
38. Православная богословская энциклопедия, под редакцией проф. А. Лопухина, т. V, Петр., 1904.
39. Православная богословская энциклопедия..., т. II, 1911.
40. Толковая библия, проф. А. П. Лопухина, т. 12, С.-Пб., 1914.
41. А. Робертсон, Происхождение христианства, М., 1956.
42. Материалы по археологии Кавказа. Вып. XIV, под редакцией графини П. С. Уваровой, А. С. Хаханова и Е. С. Такашвили, М., 1916.
43. С. Соболевский, Древнегреческий язык, М., 1948.
44. П. Гильдебрандт, Справочный и объяснительный словарь к Новому Завету, кн. II, Петр., 1882.
45. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворенкий, т. I, М., 1958.
46. *Novum Testamentum graeco ad antiquissimos testes denno recensuit, Apparatum criticum apposuit Constantinus Tischendorf, v. III. Prolegomena, scripsit Caspar Renatus Gregory, Lipsiae, J. C. Hinrichs, 1894.*
47. L. A. Zacagni. *Collectanea monumentorum veterum eccl.-graecae ac lat.*, t. I, Rom, 1698.
48. a. Galandius, *Notitia: Patr. graeca...*, t. 85, 1864.  
b. Galandius... *Veterum patrum Biblioth.*, t. X.
49. O. Bardenhewer, *Geschichte der altkirchlichen Literatur*, III, Berlin, 1912.
„და ნუ განმიყვანებ მე ცალიერსა ყოველთაგან საქმეთა კეთილთა“:  
მამ. სწ. 202,12.

„ხოლო შენ ხედავ ქრისტესა შიშუელსა და მშიერსა და უცხო-  
სა“: მამ. სწ. 11,8.

„ხოლო აწ შრომა-მცა შე განცვბრებულსა და დამპალსა“:  
იობ. 16,8.

„ჰხედვიდა იგი ყოველთა ყოვლითურთ დაცემულსა, მათურად  
სა, ჰირვეულსა და დადუმებულად მგალობელსა“: სინ. მრ. 214,31.

ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „და აწ ხედვიდა სკორეთა ზედა დაცე-  
მულსა და შიშუელსა გუამითა“: სინ. მრ. 214,34.

სხვა მაგალითები ჩვენ მიერ გაანალიზებულ ძეგლებში არ შეგვხვედრია:  
ცხადია, რომ „პრედიაკტული განსაზღვრება“ მოთხრობათსა და მიცემითში მე-  
ტილ იშვიათად გვხვდება.

აქ, განსაკუთრებით მოთხრობითში მღგარი „პრედიაკტული განსაზღვრე-  
ბის“ ნიშნუშებთან დაკავშირებით, ჩნდება ერთი საკითხი — ნაზვასმული ფორ-  
მები წინადადებებში ქვემდებარის როლს ხომ არ ასრულებენ (რა თქმა უნდა,  
ისეთ მაგალითებს ვგულისხმობთ, როცა თავად ქვემდებარე წინადადებაში არ  
არის წარმოდგენილი). როცა შემასმენელი მცორე სუბიექტური პირის ფორმი-  
თაა გადმოცემული, საკითხი ადვილად წყდება — აქ ქვემდებარედ შენ იგუ-  
ლისხმება (მიინდობილმან ღმერთსა დაიძინე — შენ), და მიინდობილ-  
მან სიტყვა „პრედიაკტული განსაზღვრება“, თუ ვნებავეთ, ვითარების გარე-  
მოება ან კიდევ ატრინბუტივია, როგორც მას სხვადასხვა მკვლევარი უწოდებს,  
მოკლედ, ჩვენთვის საინტერესო წევრია. მაგრამ უფრო რთულია ვითარება, რო-  
ცა შემასმენელი მესამე სუბიექტური პირის ფორმითაა გადმოცემული. ვფიქ-  
რობთ, გასაზიარებელია პროფ. ლ. კვაჭაძის მოსაზრება, რომ „ქვემდებარისა თუ  
დამატების გამოტოვებისას, საზოგადოდ, პრედიაკტული განსაზღვრება განსა-  
ზღვრებადვე რჩება, ე. ი., გამოტოვებული წევრის სინტაქსური ფუნქციით არ  
აღიჭურვება“. ([5] 31). ჩვენ სწორედ ამ მოსაზრებას ვეყრდნობოდით, როცა  
მოთხრობითში მღგარი პრედიაკტული განსაზღვრების შესახებ ვისაუბრობდით.



## II. „პრედიკატული განსაზღვრების“ რიცხვი

ძველ ქართულში „პრედიკატული განსაზღვრება“ ყოველთვის უთანხმდება რიცხვში იმ წევრს, რომელსაც ახასიათებს მოქმედების ბომენტთან მიმართებით. ამ მხრივ ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები ერთნაირ სურათს გვიჩვენებს:

„და ირემნი იგი მიივლტოდეს ბერისა შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი“: გარეჯ. 231,11.

„იქმნენით წმიდა კორცითა, რაათა სულითა წმიდა იქმნეთ და მხ ი ა რ უ ლ ნ ი შეხვდეთ ქორწილსა უფლისასა: შ. და ევ. 225,39.

„და იგინი წარვიდიან გ უ ლ კ ლ ე ბ უ ლ ნ ი და ს ი რ ც ხ ვ ლ ე უ ლ ნ ი“: კოლ. 184,11.

„და კაცნი იგი, რომელ იყვნეს მის თანა, დგეს და კ უ რ ვ ე ბ უ ლ ნ ი“: საქმე 9,7.

„შვილნი უცხოთანი განყფდეს დაძულებულნი“: ფს. 17,46.

„ოდეს-იგი ყოველნი შ ი შ უ ე ლ ნ ი და ქ ე დ-და დ რ ე კ ი ლ ნ ი წარვდგეთ წინაშე მისა“: მამ. სწ. 14,36.

„პოვნეს იგინი ზღუასა მას ზედა და ბ ა ნ ა კ ე ბ უ ლ ნ ი“: ვამ. 14,9.

„და იყვნენ ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უ ბ ი წ ო ნ ი“: ლ. 1,6.

„რაათა მტკიცედ სდგეთ ს რ უ ლ ნ ი და გ უ ლ-მ ხ ი ა რ უ ლ ნ ი ნებითა ღმრთისადათა“: კოლას. 4,12.

„ესრე სახედდა აწ მრავალნი კაცთიგანნი მარხვასა, ვითარცა მკეტთა ბრძოლასა, ზ ა რ-გ ა ნ ხ დ ი ღ ნ ი და შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი შევლენედ: სინ. მრ. 110,17.

## III. „პრედიკატული განსაზღვრების“ გადმოცემის საშუალებანი

ფრიალ საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ძველი ქართული წერილობითი ძეგლები ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრების“ გადმოსაცემად მეტყველების ნაწილების გამოყენების თვალსაზრისით. უმთავრესად, ამ წევრებს მიძლეობა გადმოსცემს, მაგრამ ამის გვერდით ზედსართავ სახელსაც ეხვდებით. კვლავ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები აქაც ერთმანეთის გვერდით დგანან და ერთნაირ ვითარებას ასახავენ. წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს:

ა) „პრედიკატულ განსაზღვრებას“ გადმოსცემს ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი:

„რაჟამს დადამდეს, მოვედ შენ ზოლო მ ა რ ტ ო ა“: შუშ. 22,3.

„არა ვითარ პირველი იგი ქალწული ევა მ ა რ ტ ო ა სამოთხესა შინა იქცეოდა“: სინ. მრ. 4,20.

მოგვიანო ხანის ხელნაწერებში ეს სიტყვა ა-ს გარეშეა წარმოდგენილი: „ზოლო ნეტარი იგი ბერი იქცეოდა მოსა მას მ ა რ ტ ო ა“ ზედ. 211,25 (არსებითად, აქ მ ა რ ტ ო ვითარების გარემოებაა. ეს ფაქტი ნიშანდობლივია ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრების“ ვითარების გარემოებასთან სიახლოვის თვალსაზრისით).



„სადა ვინ მივიდა მისა მ შ ი ე რ ი, ანუ წყურთელი<sup>1</sup>, და აბაძვა განაშლი იგი“: კოსტ. 165,34.

„ოდეს გიხილეთ შენ მ შ ი ე რ ი და გამოგზარდეთ? ანუ წყურთელი და გასუთ შენ?“: მ. 25,37.

„მოკვებანდა წმინდაჲ შუშანიკ უტამური“: შუშ. 20,17.

„და ყო ეგრე ესაია და ვიდოდა შიშუელი და უტამური“: ესაია 20,2.

„ტაკუქნი ცალიერნი დგეს მუნ“: ევსტ. 39,22.

„მოვიდის და პოვის იგი ც ა ლ ი ე რ ი“: მ. 12,44.

„შევიდა მუნ შინა სიმწართა ს ა ვ ს ჭ“: შუშ. 13,8.

„მე ს ა ვ ს ე წარვედ და ცალიერი მო მ ა ქ ც ი ა უფალმან“: რუთ. 1,21.

„მაშინ გამოვიდა ეკლესიით მ ხ ი ა რ უ ლ ი ნეტარი გრიგოლ“: ხანტ. 306,40.

„მ ხ ი ა რ უ ლ ი მოწრაფედ ვჰმსახურებდი“: მამ. სწ. 262,2.

„და ვითარცა იხილა იგი მამამან მისმან მ რ თ ე ლ ი და ყოვლითუთო უ ნ ა ლ უ ლ ო ჲ, გარდაჰკდა ჰუნესა“: გარეჯ. 235,36.

„ჯუარისაგან შ ო რ ი ე ლ ნ ი მოვეახლენით ქრისტესა“: სინ. მრ. 324,24.

„პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უ შ ე ი ლ ო ჲ“: ლ. 20,29. და სხვა.

ბ) პრედიკატულ განსაზღვრებას გადმოსცემს მიმღეობა:

რა თქმა უნდა, მიმღეობათა გამოყენების შემთხვევები უფრო მეტია, ეპითაგრესად, „პრედიკატულ განსაზღვრებას“ ვნებითი გვარის მიმღეობა გადმოსცემს, მაგრამ გვხვდება საშუალო გვარის მიმღეობათა ხმარების შემთხვევებიც.

ა. ვნებითი გვარის მიმღეობა:

„[ეპისკოპოსი] განმხიარულებულ ი მოვიდა“. აბიბ. 243,14.

„და დარჩა მეფე მარტოჲ და იარებოდა მათათა ზედა და მადნართა შინა შე შ ი ნ ე ბ უ ლ ი და შე ძ რ წ უ ნ ე ბ უ ლ ი“: მოქც. 4 135,12.

„და სხუანი დგენ კარსა ზედა მსაჯულისასა შეძრწუნებულნი“: მამ. სწ. 127,16.

„და მე განკვრევებული მივეახლე“: მოქც. 141,22.

„და კაცი იგი, რომელ იყვნეს მის თანა, დგეს დაკვრევებულნი“: საქმე 9,7.

„ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროლე მის თანავე“: შუშ. 13,19.

„და პოვა იგი კაცმან შეცთომილი ველსა“: დაბ. 37,15.

და სხვა.

ბ. საშუალო გვარის მიმღეობა

„და წარვიდა მწუხარე“: ზარზ. 327,31.

„ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა ვიხილო მ ხ ა რ უ ლ ი და ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე“: ზარზ. 337,10.

„მაშინ ვიხილოთ მდინარე ცეცხლისაჲ აღმოსავალით ნ ფ ო ფ ი ნ ა რ ე“: მამ. სწ. 211,29.

<sup>1</sup> ა. შანიძე მიუთითებს, რომ მშვიერი და წყურთელი ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებია სხელებია ([9] 52).

„პოვა იგი მკურვალე“: მამ. სწ. 296,6.

„...რომელი-იგი ვაზილე ქუეყანასა ზედა და ზღუასა ზედა მდგომარეჲ:  
გამოცხ. 10,5.

გ) კომპოზიციები „პრედიკატული განსაზღვრების“ გადმოსაცემად.  
ზოგჯერ „პრედიკატულ განსაზღვრებას“ კომპოზიტი გადმოსცემს. ჩვეუ-  
ლებრივ, კომპოზიტის მეორე ნაწილი ვნებითი გვარის მიმღეობაა: „მავნებელი  
იგი ეშმაკი ზარგანკდილი ივლტოდა ლოცვათაგან ნეტარისთა გრიგოლის-  
ია“: ხანცთ. 295,43.

„მივიწინეთ ზარგანკდილნი და შეძრწუნებულნი, თავდადრე-  
კილნი და გულ-განპებულნი ზნელსა მას ვარესკნელისასა ბოროტთა  
საქმეთა ჩუენთათჳს“: მამ. სწ. 92,5. ამ წინადადებაში ოთხი „პრედიკატული გან-  
საზღვრება“, რომელთაგან სამი კომპოზიტითაა გადმოცემული და სამივე მათ-  
განის მეორე კომპონენტი ვნებითი გვარის მიმღეობაა.

„და ივინი წარვიდიან გულკლებულნი“ კოლ. 184,11.

„და შეფშ იგი მრავლისა ტანჯვისა შემდგომად მოკლა და თავმოკუე-  
თილი ჩამოჰკიდა ძელსა სამუჟვალ ქალაქსა დვინისასა“: გობრ. 178,13.

„მოჰყვანდა წმინდაჲ შუშანიკ უკამური და თმაგარდატევებული“:  
შეშ. 20,17.

„წარვიდენ ივინი თავმოდრეკილნი“: მამ. სწ. 13,35.

„ოდეს-იგი ყოველნი შიშუელნი და ქედდადრეკილნი წარვდგეთ  
წინაშე მისა“: მამ. სწ. 14,36.

**IV. ზმნები, რომლებთანაც იხმარება „პრედიკატული განსაზღვრება“**

სამეცნიერო ლიტერატურაში თანამედროვე ქართულთან დაკავშირებით  
სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობს იმ ზმნათა შესახებ, რომელთაც „პრე-  
დიკატული განსაზღვრება“ შეიძლება დაუკავშირდეს. პროფ. ი. იმნაიშვილის  
პირით, „ყველაზე ხშირად ასეთი კონსტრუქცია ზოგიერთ ზმნასთან გვხვდება.  
ასეთი ზმნებია, მავალითად: იდგა, იჯდა, მივიდა, ეკვთა, შევიდა, დაასტერდა,  
დააქერდა, ებრძოდა და ზოგი სხვა. ამათში კი უფრო ხშირად იდგა გვხვდება“  
([1] 212). ამისაგან განსხვავდება მოსაზრება, რომ „ატრიბუტივი შეიძლება ახლ-  
დეს არა მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული რიგის ზმნებს, არამედ ჩვეულებ-  
რივ ზმნათა უდიდეს უმრავლესობას განურჩევლად პირისა, რიცხვისა, გვარისა,  
ქცევისა, კონტაქტისა, ასპექტისა, თუ მწკრივისა“ ([3] 258). არსებობს მესამე  
თვალსაზრისიც, რომელიც შეიძლება ითქვას, შუალედურ ადგილს იჭერს აღ-  
ნიშნულ ორს შორის: „პრედიკატული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს რო-  
გორც გარდაუვალ, ისე გარღამივალ ზმნასაც. უფრო ხშირად იგი ისეთ ზმნებ-  
თან გვხვდება, რომლებიც საგნის მდგომარეობას ან მოძრაობას გამოხატავენ, ან  
კიდევ მხედველობითს, სმენითსა და მეტყველებითს პროცესებს ასახავენ. მაგ-  
რამ, საზოგადოდ, ასეთი განსაზღვრების დაკავშირება მრავალი სხვადასხვა მნი-  
შენელობის ზმნასთანაც არის შესაძლებელი“ ([5] 30).

ძველ ქართულ წერილობითს ძეგლებში დადასტურებულს შემთხვევები  
„პრედიკატული განსაზღვრების“ ზმნებთან შეწყობისა შეხედულებათა ამგვარი  
სხვადასხვაობის საფუძველს არ გვაძლევს. იმ ზმნათა რიცხვი, რომელთაც „პრე-  
დიკატული განსაზღვრება“ უკავშირდება, აშკარად შესწავლილია. ესაა მდგო-



მარეობის, მოძრაობისა და მხედველობითი პროცესების აღმნიშვნელი ზმნები. წარმოვადგენო ზოგიერთ მაგალითს:

„ოდეს სული შენი გუამისა შენისაგან გაეშორებოდის და ვ რ დ ო მ ი ლ ი სარეცელსა ზედა შენსა“: მამ. სწ. 5.18.

„ზარისა მისგან დიდისა და ც ე მ უ ლ ი ი დ ვ ა ქუეყანასა ზედა“: ხანცთ. 305,30.

„არა ვითარ პირველი იგი ქალწული ევა მარტო ა სამოთხესა შინა ეცეოდა“: სინ. მრ. 4,20.

„ხოლო იგი წარვიდა განმხიარულებულ ი სახედ თვსად“: ვარეგ. 235,32.

და ნუ ამერთგან შესტლებულნი და მიმოხილვით და რორინებით ე უ ლ ე შ ე ბ ო დ ი თ უამსა მას მარხვისასა: სინ. მრ. 110,6.

„რამთა არა ც ა ლ ი ე რ ი ეჩუენოს თვსსა უფალსა“: ზედ. 211,28.

„ვითარცა ვიხილე იგი განმწარებულ ი, მეცა ვტიროდე მის თანავე“: შუშ. 13,19.

„რაცამს-იგი იხილა მოკლულთა მათ შორის და ც ე მ უ ლ ი“: სინ. მრ. 278,13.

„აჰა ესერა შვალი შენი იოსებ წარვჰყავ ე გ ვ პ ტ ე დ კ რ უ ლ ი“: აბიბ. 243,29.

„მკუდარნი აღდგენ უხრწნელნი“: I კორ. 15,52.

„და მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია შე მ ო ს ი ლ ი საკურთხეველით შთამოიყვანეს“: ხანცთ. 306,14.

„რამთა მტკიცედ ხდგეთ ს რ უ ლ ნ ი და გ უ ლ მ ხ ი ა რ უ ლ ნ ი ნებითა ღმრთისადათა“: კოლას. 4,12.

„და ესეცა ვთქუათ, რამეთუ მწყობრნი ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა წმიდათსა შე ე რ თ ე ბ უ ლ ნ ი მოიწინეს: ზარზმ. 342,27 (თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება განკურობებული განსაზღვრება გვექონდეს და არა „პრედიკატული განსაზღვრება“).

„(რამეთუ) მრავალნი უძღურნი შე-რა[ი]-ესნეს წმიდათა მათ ძუალთა მისთა, მრავალნი სენნი დაიქსნეს და ვ ა მ ხ ი ა რ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი მოიქცეოდეს: ზარზმ. 345,40.

„წარგზავნა ცრემლითა აღსავსენი“. ზარზმ. 337,16.

„და ირემნი იგი მიივლტოდეს ბერისა შე შ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი“: ვარეგ. 231,31.

„დაყვანეს იგინი თმითა და წუერიითა, ჭაჭვით და ბ ო რ კ ი ლ ნ ი საპურობილედ შეაყენეს“: ეესტ. 33,26.

„ხოლო ზაბ[ი]ლონ გამოითხოვნა მეფისაგან, და შე კ ა ზ მ უ ლ ნ ი განუტევნა“: მოქც. I 108,22.

„და სიტყუასა მას ზედა ანგელოზისასა გარდამოვიდა მიერ მით და პოვა ლუკიანე შე შ ი ნ ე ბ უ ლ ი და შე ძ რ წ უ ნ ე ბ უ ლ ი მდებარე მიწასა ზედა“ ვარეგ. 232,35 (აქ, ფიქტობთ, შე ძ რ წ უ ნ ე ბ უ ლ ი სიტყვის შემდეგ მძიმე უნდა იყოს დასმული. თუ მძიმის გარეშე დავტოვებთ, ეს მაგალითი კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდება, რამდენადაც პრედიკატული განსაზღვრება ნიშნობასთან — მ დ ე ბ ა რ ე — იქნება დაკავშირებული).

„მო-რამ-ეიდენ მაკედონელნი ჩემ თანა და ვპოვნენ თქუენ ვ ა მ ზ ა დ ე ბ უ ლ ნ ი“: II კორ. 9,4.





თითო ზმნასთან დაკავშირებით ზვენ მხოლოდ თითო მაგალითი მოვეყვანეთ, თუმცა ზოგიერთი მათგანისათვის, განსაკუთრებით კი ვიდ ძირის ზმნათა წარსულ-დროიანი ფორმებისათვის, შეიძლება უფრო მეტი ნიმუშის ჩვენება.

და მაინც ეს არ ნიშნავს, რომ სხვა რიგის ზმნებთან, ე. ი. დასახელებულთა ჯარღა, არ გვქონდეს პრედიკატული განსაზღვრება. გვხვდება ათით-ორთა შემთხვევა სხვა ზმნათა განოყენებისაც.

„და მეფე იგი მრავლისა ტანჯვისა შემდგომად მოკლა და თავმოკუთენილი ჩამოაჭიდა ძელსა საშუეალ ქალაქსა დვინისასა“ გობრ. 178,13.

„არცა ლამპარნი მისყრიან აღნებულნი“: სინ. მრ. 32,19.

„და ჭუარი დასწერა ყრმასა მას და მისცა დედისა მისსა განკუთრებულნი“: ხანცთ. 292,8.

„და რომელთა იხილეს, განკვრეებულნი აღიდებდეს ღმერთსა“: ხარზმ. 388,11.

„ზეცისანი განმხიარულებულნი აღიდებდეს ღმერთსა: ზარზმ. 342,31.

„...და მეორემან და მესამემან. და მოწყდეს უშვილონი“: ლ. 20,30-31.

„დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვთა ჩუენთა წარმოჩინებისათვის“: შუშ. 13,16.

„და შეცდომილი შენდა მიმართ ვლადებ“: მამ. სწ. 200,27.

„ესე ყოველი რაჲ იხილა, გამხიარულებულნი ჰმადლობდა ღმერთსა. ზარზ. 339,12.

„ყოველნი დაბადებულნი შიშით სარ-განკდილნი ძწოდიან: მამ. სწ. 123,7.

„ყოველნი ძალნი ზეცათანი შიშით და იწოლით დგენ ჰაერთა ზედა, განმსადებულნი მოელოდინ მოსლვასა უფლისა მათისასა: მამ. სწ. 124,23.

„გამოჩნდინ ნერგი მათი ქუეყანასა ზედა განკმელი: იობ. 24,19.

„ზარ-ტეხილ იქმნის სული იგი, რაჟამს გიხილოს შენ ვარემოჲს მისსა მავალი, და ეძიებნ ადგილსა შეძრწუნებულნი: მამ. სწ. 220,15.

„არამედ ნაყოფისათჳს სიმდაბლისა ვიტყოდი მე სირცხლეულნი კდებულად“: მამ. სწ. 233,18.

„რამათა სიმართლით განიკითხვიდენ მათ შემკობილნი სამოსლითა ბრწყინვალითა“: ხანცთ. 269,37 (ეს მაგალითი საეჭვო ჩანს. ვფიქრობთ, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ მათ სიტყვის შემდეგ მიიმეს დაევაშლით და დანარჩენს სიტყვის განკერძოებულ განსაზღვრებად ჩავთვლიდით).

თუ იმ ზმნებთან, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, „პრედიკატული განსაზღვრების“ შეწყობის ათეულობით მაგალითი შეიძლება მოგვეყვანა, აქ სხვა გვლუვის ზმნებთან დაკავშირებით, ყველა მაგალითი წარმოვადგინეთ, რაც კი ხელთ გვქონდა. როგორც ვხედავთ, თითოეულ მათგანთან ფაქტიურად, პრედიკატული განსაზღვრების ხმარების თითო შემთხვევა გვაქვს. ასე თუ ისე კიდევ შეიძლება მდგომარეობის, მოძრაობისა და მხედველობითი პროცესების აღმნიშვნელი ზმნებისათვის დაგვემატებინა თქმის სემანტიკური ველის ზნები (ვიტყოდი, ჰმადლობდა, ვლადებ, აღიდებდეს), მაგრამ უნდა გავიშოროთ, რომ თითოეულ ამ ზმნასთან „პრედიკატული განსაზღვრების“ ხმარების თითო შემთხვევა გვაქვს, რაც, ვფიქრობთ, არ გვაძლევს სისტემური ხასიათის შესახებ მსჯელობის საშუალებას.



V. რა წევრებს უკავშირდება „პრედიკატული განსაზღვრება“

ახალ ქართულთან დაკავშირებით აღნიშნულია: „პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ ქვემდებარეს განსაზღვრავს, მაგრამ იგი... შეიძლება განსაზღვრავდეს დამატება-ობიექტსაც (პირდაპირსა და ირიბს)“ ([6] 190). არსებითად, ასეთივე მდგომარეობაა ძველ ქართულში. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას „პრედიკატული განსაზღვრება“ თანაბრად უკავშირდება, ირიბ დამატებასთან კი ფრიალ იშვიათად გვხვდება (მაგნი თქვა, რომ მიცემით ბრუნვაში მდგარი „პრედიკატული განსაზღვრება“ მხოლოდ თითო-ორთა შემთხვევაში გვხვდება, ირიბ დამატებას კი სწორედ ასეთ „პრედიკატული განსაზღვრება“ უკავშირდება).

ა) „პრედიკატული განსაზღვრება“ ქვემდებარეს უკავშირდება:

„და მე განკვრეებული მიგვახლ“: მოქც. 141,22.

„ზარისა მისგან დიდისა და ცემული იღვა ქუეყანასა ზედა“: ხანთ. 305,30.

„წარვიდენ ივინი შენგან თავ-მოდრეკილნი“: მამ. სწ. 13,35.

„მამინ მიხვდოდი მწუხარს და ჭირვეული“: ქრ. II, 9,3.

ბ) „პრედიკატული განსაზღვრება“ პირდაპირ დამატებას უკავშირდება: „ვითარცა ვინილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროლე მის თანავე“:

შუშ. 13,19.

„დაყვნეს ივინი თმითა და წუერითა, და ჯაჭვით დაბორკილნი საყრობილედ შეაყენეს: ევსტ. 33,26.

„პოვნეს ივინი ზღუასა მას ზედა დაბანაკებულნი“: ვამ. 14,9.

„პოვეს იგი ტაძარსა მას შინა მჭდომარს შორის მოძღუართა: ლ. 2,46

გ) „პრედიკატული განსაზღვრება“ ირიბ დამატებას უკავშირდება:

„ჰხედვიდა იგი ყოველთა ყოვლითურთ და ცემულსა, მამუთრალსა, ჭირვეულისა და დაღუმებულად მგალობელსა“: სინ. მრ. 214,31.

„ხოლო აწ შრომა-მცა განცვბრებულსა და დამპალსა: იობ. 16,8.

VI. „პრედიკატული განსაზღვრების“ წარმომავლობის საკითხისათვის

ფიქრობთ, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა ადასტურებს პროფ. ი. იშნაშვილის მოსაზრებას: „ამგვარი ვითარების გარემოება („პრედიკატული განსაზღვრება“ — რ. ე.) წარმოშობით განსაზღვრება იყო“ ([1], 212). ასეთივე ვარაუდი აქვს გამოთქმული პროფ. ალ. ლლონტს: „ასეთი მიმღეობა ან ზედსართვე ისტორიულად სახელის განსაზღვრება იყო, მაგრამ შემდეგ ეს სახელს მოშორებია და ზმნას დაკავშირებია“ ([3] 256). ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთ შემთხვევები, როცა ძნელია განსაზღვრა, ძველი ქართულისათვის პირდაპირ წყობით წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელი გვაქვს, თუ „პრედიკატული განსაზღვრება“, უფრო ზუსტად, აქ ატრიბუტულ მსაზღვრელს უკვე „პრედიკატულის“ ნიუანსი უჩანს:

„ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული“: შუშ. 18,9.

„იხილეს კაცი იგი მჭდომარს“: ლ. 8,35.

„პპოო ძე შენა განკურნებულნი“: გარეჯ. 235,31.



„პოვეს ლოდი იგი გარდაგორვებულს სათლავისა მისგან“

ლ. 24,2.

„და ვითარცა იხილა ერთი იგი შესულეებულს: დავ. და ტირ.

189, 10.

„პოვეთ კიცვ დაბმულს“: მრ. 11,2; ლ. 19,3.

„ხოლო ივინი წარვიდეს და პოვეს კიცვ იგი დაბმულს კართა თანა გარეშე შესავალსა“: მრ. 11,4.

„და იღვა ყრმა იგი მწყდარი წინაშე წმიდასა ჭუარსა დილეულოთ-  
გან ვიდრე მწუხრადმდე“: მოქც. 156,21.

„რამეთუ ყრმა იგი მხიარული ვიხილე მე“: სინ. მრ. 130,23.

„მომეც ძმ ჩემი ცოცხალი“: სინ. მრ. 130,10.

„ოდეს პოვა ელია ტაბლა იგი დაგებულს“: სინ. მრ. 129,34.

„იხილნა ცანი განხუმულნი და სული ღმრთისაა გარ-  
დაბმულს“: მრ. 1,10.

ამგვარი მაგალითები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმის შესახებ, რომ „პრედიკატული განსაზღვრება“ ატრიბუტულიდან მოდის და მიანიშნავს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ „პრედიკატული განსაზღვრება“ ძველი ქართულსათვის რეალურად არსებული სინტაქსური ერთეულია. მისი ჩამოყალიბება ჩვენთვის ძველდებით ცნობილ პერიოდზე ადრე უნდა მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. ლ. კვაჭაძის შენიშვნა, რომ „პრედიკატული განსაზღვრება“ სხვა ქართველურ ენებშიც, კერძოდ, სეანურში გვხვდება“ ([5] 35).

VII. ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრების“ კვალიფიკაციისათვის

ჩვენთვის საინტერესო წევრი ერთსა და იმავე ღრის მოქმედებასაც ახასია-  
თებს და საგანსაც (მოქმედს ან სამოქმედოს), ამგვარად, მას არსებითად ორმაგი  
სინტაქსური ბუნება აქვს. სწორედ ეს ქმნის მისი სხვადასხვაგვარად დაფასების  
შესაძლებლობას. ორნიანი კვალიფიკაცია ადვილად უარსაყოფია რომ ეს ატრი-  
ბუტული არ არის, ეს დამაჯერებლად აჩვენა პროფ. ლ. კვაჭაძემ ზემოთ დასახე-  
ლებულ ნაშრომებში. არ არის სწორი ისიც, რომ კითხვის მიხედვით (როგორ  
არა თუ როგორ?) ჩვენთვის საინტერესო წევრს ხან პრედიკატულ განსაზღ-  
ვრებას უწოდებენ, ხან ვითარების გარემოებას (ნ. ბასილაია). კითხვა მხოლოდ  
საკონტროლო საშუალებაა წინადადების წევრის გამოსაცნობად და არა მისი  
კვალიფიკაციის საფუძველი. მაგ., წინადადების ის წევრი, რომელსაც რას  
შეგვება? კითხვა დაესმის, იმითმ კი არაა შემასმენელი, რომ ეს კითხვა და-  
ესმის, არამედ იმითმ დაესმის ეს კითხვა, რომ იგი შემასმენელია. ამ თვალსა-  
ზრისით უნაკლოა მოსაზრება პროფ. ი. იმნაიშვილისა, რომელიც, უპირველეს  
ყოვლისა, წევრის ფუნქციას განსაზღვრავს (ვითარების გარემოებათ) და შემდეგ-  
კითხვას (როგორ?). თუ კითხვას გამოვაცხადებთ წევრის კვალიფიკაციის სა-  
ფუძველად, მაშინ აშკარად საქმე გვექნება სუბიექტურ მომენტთან. მაგ., წინადა-  
დებაში: „და მე განკვრეებულს მივეხსენე“; მოქც. 141,22. განკვრეე-  
ბულს სიტყვას ერთმა მკვლევარმა შეიძლება როგორ? კითხვა დაუსვას,  
მეორემ კი — როგორ?

ვფიქრობთ, არ იქნება აღნიშნული წევრის სათანადოდ დაფასება, თუ მას  
მხოლოდ ატრიბუტული მსაზღვრელის სტილურ ნიუანსად გამოვაცხადებთ. იგი  
ხომ სინტაქსურ კავშირს ამყარებს არა მარტო სახელთან, არამედ ზმნასთან და





სინტაქსურ წყვილში სწორედ ამ უკანასკნელთან შედის. უფრო მეტიც: შეიძლება დავუშვათ, რომ ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრების“ ბრუნვა უშუალოდ მისი ზნა-შემასმენლის მიერ მართვის შედეგი იყოს და არც იყოს გაშუალებული სახელის მიერ შეთანხმებით.

ასე რომ, დავგრაჩა ორი შეხედულება: 1) ჩვენთვის საინტერესო წევრი პრედიკატული განსაზღვრებაა — ე. ი., არსებითად, წინადადების ცალკე წევრია; 2) იგი ვითარების გარეწობაა.

ვითარების გარეწობასთან ამ წევრის სიახლოვე ამკარად ხელშესახებია არა მარტო ახალ ქართულში, არამედ ძველ ქართულშიც:

შევაღიროთ: რაჟთა არა შ ი შ უ ლ ა დ ვიღოდს: გამოცხ. 16,15. და: ვითარცა-ეგე ვალს მონაჲ ჩემი ესაია შ ი შ უ ე ლ ი: ესაია 20,3.

ცხადია, ამ ორ წინადადებაში შ ი შ უ ე ლ ა დ და შ ი შ უ ე ლ ი იდენტური წევრებია.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით „ოთხთავის“ სხვადასხვა რედაქციების შესაბამისი ადგილები:

„და უკუეთუ განუტევენ უ ზ მ ა ნ ი ვანად მათა...“ მრ. 8,3 DE.

„წარ-თუ-უტევენ იგინა უ ზ მ ი თ სახით თჳსა“... მრ. 8,3 C.

უ ზ მ ი თ ვითარების გარეწობაა, მის ადგილას კი DE-ში უ ზ მ ა ნ ა გვაქვს — პრედიკატული განსაზღვრება.

„ხოლო ესმა რაჲ ჰაბუკსა მას სიტყუაჲ ესე, წარვიდა მ წ უ ხ ა რ ე: მ. 19,22C. DE-ში კი გვაქვს: მ წ უ ხ ა რ ე დ; ამკარაჲ, რომ მ წ უ ხ ა რ ე ვითარების გარეწობის ფარდნი წევრია.

ამ წევრის ვითარების გარეწობად ჩათვლას მხოლოდ მისი ორმაგი სინტაქსური ბუნება უშლის ხელს — იგი სახელთანაც ამყარებს კავშირს. აქ ორგვარი თვალსაზრისი შეიძლება წარმოვადგინოთ:

1) ეს ცალკე წევრია წინადადებისა. ამდენად, მას თავისი სახელი უნდა ერთვის. მაგრამ ტერმინი „პრედიკატული განსაზღვრება“ თავისთავად მოუხერხებელია. ჯერ ერთი, ეს წევრი მაინც განსაზღვრებათა რიგში ექცევა და მეორეც, პრედიკატული განსაზღვრება ზმნურ თუ ზმნის განსაზღვრებას ნიშნავს, ზმნას კი შეუძლებელია განსაზღვრება ჰქონდეს. ამდენად, სხვა ტერმინის შემოღება იქნება საჭირო. ვთქვათ, შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ნეიტრალური ტერმინი: მ ო მ ე ნ ტ ო ბ რ ი ვ ი მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი. ეს წევრი ხომ სავანასასი თებს მოქმედების მომენტში და ამ მოქმედების დახასიათებასთან ერთად.

2) შეიძლება ეს წევრი ვითარების გარეწობის რკალში მოვაქციოთ. აქ გასათვალისწინებელია, რომ „ვითარების გარეწობა მნიშვნელობის მიხედვით მრავალფეროვანია... იგი „მნიშვნელობის თვალსაზრისით გარეწობათა ფართო წრეს მოიცავს“. ([6] 144) ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელობა იქნება მოქმედებისა და სავანის ერთობლივი დახასიათება. მაგრამ ისიც ნათელია, რომ თითოეულ ამ მნიშვნელობას თავისი სახელი აქვს. ვითარების გარეწობათა წრეში შემოდის ზონა-ოდენობის, ჯერობის, მსგავსება-შედარების და სხვა სახის გარეწობანი. მაშინ ჩვენთვის საინტერესო წევრსაც უნდა მოეძებნოს სახელი, ვთქვათ, მონენტობრივი გარეწობა (ვითარების გარეწობათა ჯგუფისა). აქ კი კვლავ შეიძლება გამოვავადგეს ტერმინი — მ ო მ ე ნ ტ ო ბ რ ი ვ ი მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი. იგი განსაზღვრება როგორც წინადადების წევრია, რომელიც მოქმედების პროცესში ერთდროულად ახასიათებს სავანსაც და მოქმედებასაც.





**დასკვნები**

1. ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრება“ ძველ ქართულში საკმაოდ ფეხმოკიდებული სინტაქსური ერთეულია. მისი გენეზისი ჩვენთვის ძეგლებათ ცნობილ ეტაპამდეა საძიებელი.
2. ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრება“ შეიძლება გამოიხატოს ზედსართავი სახელით ან მიმღეობით (ენებითი ან საშუალო გეარისა).
3. იგი, არსებითად, მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დგას, მოთხრობითისა და მიცემითის გამოყენების მხოლოდ ორიოდ შემთხვევა დადასტურდა ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებში.
4. ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრება“ ყოველთვის უთანხმდება რიცხვში იმ წევრს, რომელსაც ახასიათებს მოქმედების მომენტთან მიმართებით.
5. იმ ზმნათა რიცხვი, რომელთაც ეს წევრი უკავშირდება, ძველ ქართულში ამკარად შეზღუდულია. ესაა მდგომარეობის, მოძრაობისა და მხედველობითი პროცესების აღმნიშვნელი ზმნები. სხვა ზმნები იშვიათად გამოიყენება.
6. ძველ ქართულში ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრება“ თანაბრად უკავშირდება ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას, ირიბ დამატებასთან კი იშვიათად გვხვდება.
7. ძველ ქართულში ისევე, როგორც ახალ ქართულში, ამკარად ხელშესახება ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრების“ სიახლოვე ვითარების გარემოებასთან.
8. „პრედიკატული განსაზღვრება“ რიგი მიზეზის გამო მოუხერხებელი ტერმინია. ჩვენთვის საინტერესო წინადადების წევრის აღსანიშნავად, რომელიც მოქმედების პროცესში ახასიათებს სავანსაც და მოქმედებასაც, შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „მომენტობრივი მახასიათებელი“.

**შემოკლებათა განმარტებანი**

1. აბიბ. — წმიდისა მღვდელმთაფლისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-სახებრთა მიერ ქართლს, თქუიული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ, ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, 1964.
2. გამ. — წიგნი მეორე გამოსლუათაჲ: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, 1, ნაკ. I, გამოსცა ა. შანიძემ, 1947.
3. გამოცხ. — გამოცხადება იოვანში, გამოსცა ი. იმნიშვილმა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961.
4. გარეჯ. — ცხორებაჲ და მოქალაქებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ: ნ. აბიბ.
5. გობრ. — წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ცხით: ნ. აბიბ.
6. დაბ. — წიგნი პირველი დაბადებისაჲ: ნ. გამ.
7. დავ. და ტირ. — ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტორიჰანისი, საკითხავი: ნ. აბიბ.
8. ევსტ. — მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ: ნ. აბიბ.
9. ესაია — წინასწარმეტყუელებაჲ ესაიასი: ნ. გამ.
10. ზარზ. — ცხორებაჲ და მოქალაქებაჲ ღმერთმემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი: ნ. აბიბ.
11. ზედ. — ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედამწეისაჲ: ნ. აბიბ.
12. იობ. — წიგნი მეცხრე იობისი: ნ. გამ.
13. კოდ. — წამებაჲ ყრმათა წმიდათა რიცხუთ ცხრათაჲ, რომელნი იყუნეს სულითა ძმანი ნათლის-ღებითა წმიდისაგან ემბაზისა, ხოლო შობილ იყუნეს თავის-თავისა ღედისაგან თვისისა: ნ. აბიბ.

14. კოლას. — პეღლე მოციქელისა წიგნი კოლასელთა მიმართ: პეღლენი. პეღლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძიწენიძემ და კორნელი ღანგლოაძე, აკაკი შანიძის რედაქციით, 1974.
15. I კორ. — პეღლე მოციქულისა წიგნი კორინთელთა მიმართ, პირველი: ნ. კოლას.
16. კობ. — ცხორება და წამება წმიდისა ნოწამისა კოსტანტისა ქართველისა: ნ. აბიძ.
17. ლ. — სახარება ლუკასი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდულ ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1944.
18. მ. — სახარება მათსი: ნ. ლ.
19. მამ. ხწ. — მიმათა სწავლანი, გამოსცა ი. აბულაძემ, 1955.
20. მოქც. — მოქცევა ქართლისა: ნ. აბიძ.
21. მრ. — სახარება მარკოზისი: ნ. ლ.
22. რთ. — წიგნი მერკო რუთისი: ნ. გამ.
23. საქმე — საქმე მოციქულთა, გამოსცა ი. აბულაძემ, 1919.
24. ხან. მრ. — სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, 1959.
25. ფს. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა შხ. შანიძემ, 1960.
26. ქრ. II — ი. იმნაიწვილი, ქართული ენის ისტორიული გრესტობათა, II, 1963.
27. შ. და ევ. — ცხორება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოძის და ევაგრესი: ნ. აბიძ.
28. შუშ. — წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა: ნ. აბიძ.
29. ხანცთ. — შრომა და მოღუაწება ღირსად ცხორებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანცთისა და შატბერდისა აღმსვენებელისა, და მის თანა კსენება მიმათა ნეტართა: ნ. აბიძ.
30. ბაბო — წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბობისა, რომელთა იწინა ქართლს შინა, ქალაქსა ტვილისს, კელითა სარკისთაათა, გამოთქმული იოვანე ძისა ბაბანისი: ნ. აბიძ.

#### ლიტერატურის სია

1. ი. იმნაიწვილი, შედგენილი შემასვენელი ძველ ქართულში. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1948.
2. ი. იმნაიწვილი, საბელთა ბრუნება და ბრუნება ფუნქციები ძველ ქართულში, 1957.
3. ალ. დლონტი, ფილოლოგიური ნარკვევები II. 2. ატიბუტიკიანი შემასვენელი ქართულში. სტალინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955.
4. ლ. კვაჭაძე, წინადადების წევრები ქართულში. 1954.
5. ლ. კვაჭაძე, მიმღობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვლიდვიკიონათვის, „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 12, 1957.
6. ლ. კვაჭაძე, თანხედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966.
7. ნ. ბასილაია, პრედიკატული განსაზღვრების შესახებ ახალ ქართულში, ა. მ. გორცის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII—XIX, 1966.
8. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, 1973.
9. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976.



ივანე ივანიშვილი

### ტბეთის ოთხთავი

გამოკლება და ბამხნი

ტბეთის ოთხთავი კარგად ცნობილი ხელნაწერია. იგი 995 წელსაა გადაწერილი. ამჟამად იგი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (ითანე ბატონიშვილის კოლექცია, K 212).

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს<sup>1</sup>. მისი მომგებელი ყოფილა ცნობილი ქართველი პიმოზრაფი და სეკლესიო მოღვაწე იოვანე მტბევარი. ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძი, სადაც ეს იოვანე მტბევარაა მოხსენიებული, გამოაქვეყნა ა. შანიძემ<sup>2</sup>.

ამ ხელნაწერიდან სამი მახარებელი უკვე გამოცემულია. მათეი და მარკოზის თავები გამოსცა ვლ. ბენეშევიჩმა<sup>3</sup>, ხოლო ლუკას თავი — ი. იმნაიშვილმა<sup>4</sup>.

ხელნაწერის დართული ანდერძის ბოლოს იკითხება (ნუსხ.):

„დაესრულა წმიდაჲ ესე წიგნი საყდარსა შინა ტბეთისასა, საყოფელსა წმიდათა მოციქულთასა დასაბამითგან გარდასრულთა წელთა, ქრონიკონსა  $\overline{\text{N}} \text{ იე}$ , ჯელითა ორთა მწყროლთაჲთა დავით ოშკელისაჲთა და გლახკისა არქიპოსისითა, ქრისტემან მიეცინ სასყიდელი შრომისა მათისაჲ სასუფეველსა.

და შეიმოსა ჯელითა სანატრელისა მღვდელსა სტეფანესითა, ქრისტემან აკურთხენ ყოველნი მოლუაწენი ამის წიგნისანი“ (305 r).

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაწერილია ტბეთის ეკლესიაში 995 წელს ( $780 + 215 = 995$ ). გადამწერი ორი ყოფილა: დავით ოშკელი და არქიპოსი. ხელნაწერის ენასაც კარგად ეტყობა ორი გადამწერის ნახელავი. ამის მაჩვენებელია წარედ და წარვედ, მიედ და მივედ, ზოედ და მოვედ (II ბრძანებითი II პირის ფორმები), სასჯელი და საშჯელი, იოჰანე და იოვანე, კთვარნაუმ და კაპერნაუმ, არაბა და არაჲ და სხვები, რომლებიც ხელნაწერის სხვადასხვა ადგილას გვხვდება.

ტბეთის ოთხთავი რედაქციულად ექვთიმე მთაწმიდლის მიერ დამუშავებულ რედაქციას უნდა ეკუთვნოდეს. ამ რედაქციისა აგრეთვე ოთხთავები ურბნისისა

<sup>1</sup> Сведения о памятниках грузинской письменности, вып. 1, 1886, 17—22.  
<sup>2</sup> ითანე მტბევარს ვინაობისათვის: მიმოხილველი, 1, 1926, 220—222.  
<sup>3</sup> სახარებაჲ ოთხთავი ორთა ჯელნაწერთაგან შიგ და შუე წელთათა, პეტერბურგი, 1909 წ. (მათე) და 1911 წ. (მარკოზ).  
<sup>4</sup> ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, 1953, გვ. 65—122; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი I, 1970, გვ. 66—112.



(X ს.), მესტიისა (1033 წ.), პალესტინური (H 1741 — 1048წ.) და სხვები. აქედან ძალიან ახლო დგანან ერთმანეთთან, ერთი მხრივ, ურბნისისა და პალესტინური, ხოლო, მეორე მხრივ, ტბეთისა და მესტიისა. პირველი წყვილი, გორგი მთაწმიდლის რედაქციის სამ ხელნაწერთან ერთად, გამზადებულია გამო-საცემად (პარალელური ტექსტები). მეორე წყვილის ტექსტის დადგენა და სხვა სარედაქციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და მას მალე იხილავს მკითხველი.

ამჟამად კი ცალკე ვებეჭავთ ტბეთის ხელნაწერის დღემდე გამოუქვეყნებლად დარჩენილ უკანასკნელ თავს—იოვანეს სახარებას. ამით სრულდება ის კეთილი საქმე, რომელიც 68 წლის წინათ წამოიწყო ვლადიმერ ბენეშევიჩმა აკად. ნიკო მარის მხურვალე მხარდაჭერითა და დახმარებით.

ტბეთისა და მესტიის ოთხთავთა რედაქციული და ენობრივი ანალიზი ვრცლად მათს გამოცემასთან იქნება წარმოდგენილი. აქ ძალიან მოკლედ აღვნიშნავთ ამ ძეგლების (განსაკუთრებით, იოვანეს თავის) ზოგიერთ ენობრივ თავისებურებას.

## ფონეტიკა (და ორთოგრაფია)

### 1. გ

ორივე ხელნაწერში მ თითქმის ყველგან თავის ადგილზეა, აღრევის შემთხვევები ძლიერ იშვიათია. ეს მაშინ, როცა მ და ე თვით ხანმოკლე ძეგლებშიც არა-იშვიათად გვხვდება ერთიმეორის ალგას. ამ მხრივ ჩვენი ხელნაწერები, ოპიზის ოთხთავსა და სინურ მრავალთავთან ერთად, სანიმუშო ძეგლებია. ყოველ შემთხვევაში, სხვა ოთხთავები, ასე ერთგულად რომ იცავდნენ მ-ს ხმარების არქაულ წესებს, ჩვენ არ გვეულება. მ გვხვდება აქ სახელდობრ შემდეგ შემთხვევებში:

ა) გ-ზე ფუძეგათავებული სახელების სახელობით ბრუნვაში:

ბადმ 21,11<sup>1</sup>; დმ 5,9; 8,56; 9,4; 11, 17,39; 19, 31; 20, 19; მდგომარ 20,14; მღებარ 5,6; 20,7; 21,9; მექტსმ 4,6; 19,14; მეტლმ 20,15; მეთს 11,39; მუფმ 1,49; 12, 13,15; 18, 33,37,39; 19,14; მეფმ 6,15; მოწათმ 9,28; 18, 15, 16; 19, 26; 20, 3,4,8; 21, 20, 23,24; საესმ 1, 14; სასიკუდინმ 11, 4; საქმ 5, 14, 36; 6, 15; 7, 21; 9, 3; 10, 24; 17, 4; სასმ 13, 15; სიმრაელს 5, 3; ლამ 9, 4; ძმ 4, 5, 53; 5, 20, 27; 9, 35; 10, 36; ძმცა 3,16. ყველა ეს მაგალითი ორივე ხელნაწერშია, ამიტომ აღარ მიუწერეთ დამოწმების შემდეგ **BM**. როცა მოყვანილი მხოლოდ ერთ-ერთშია, მაშინ **B** ნიშნავს, რომ ტბეთისაშია, ხოლო **M** — მესტიისაში.

მაგრამ წრფელობითში ყოველთვის ე გვაქვს: დე 2,12; 4,40; მოწათმ 19,38; საუკუნე 12,50; ლამე 19,39; ძე 12,36.

იშვიათად მ-ს ნაცვლიდ ე არის წარმოდგენილი (დაწყებულია მ-ს გამარტივების, ე-სთან გათანაბრების პროცესი: მეორე სასწაული 4, 54 B; ჰსდევით ბადე

<sup>1</sup> რადგანაც ვ. ბენეშევიჩის გამოცემაში (ტექსტისა და სქოლიოებში) ეს და სხვა ფონეტიკური მოვლენები ყოველთვის ზუსტად არაა ასახული, აქ მაგალითებს დავიმოწმებთ ჩვეულებრივ იოვანეს თავიდან, ზოგჯერ აგრეთვე მათეა, მარკონისა და, უფრო მეტად, ლუკას თავებიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევებში ციფრების წინ მიწერილია მახარებელთა ინიციალები (მ. ნ.რ., ლ.). როცა არაფერია მიწერილი, იგულისხმება იოვანე.



მე 21,6 B (მაგრამ: არა ვანსტა ბაღე იგი, 21,11 B). M-ში ორივე შემთხვევაში  
 ო გვაქვს: მეორე, ბაღე.

აქედან ჩანს, რომ ამ მხრივ ძველ წესს უფრო თანამიმდევრულად M მიჰყვება,  
 ვიდრე B. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ო წარმოდგენილია ადამიანთა  
 სახელების სახელობით ბრუნვაში (იოვანე 1,35 B, ლაზარე 12,13 B, ლა-  
 ზარსა 12,9 B და სხვ.), აქ იგი (ო) შესაძლებელია ნაწილობრივ გამართლე-  
 ბული იყოს — გვიჩვენებდეს ადამიანთა სახელების საზოგადო სახელებთან ვათანა-  
 ბრების პროცესს. ეს პროცესი კი თავით უძველეს ძველებშია დაწყებული. შდრ.  
 აიშის ოთხთავის დასაწყისი: აბრაამ შეა ისაკი; ისაკიმ შეა იაკობი  
 (მ. 1,2)<sup>1</sup>.

ბ) ე-ზე ფუძეგათივებული საკუთარი (ადამიანთა) სახელების ნათესაობით  
 ბრუნვაში ფუძისეული ე-სა და ბრუნვის ნიშნისეული ა-ს მაგივრად:

ზებელსნი 21,2<sup>2</sup>; იოპანსი B, იოვანე M 1,19; იოვანეა 3,26;  
 5,36 M; იოვანესთა 3,25; მოსეს (მოწაფენი ვართ) B, მოსესნი [M 9,23;  
 მოსესგან 1,17 M; 7,22; ქოსსნი 5,46; 7,23; პეტრესა 1,44; 20, 4,8; სიმონ-  
 პეტრესი 1,40; სიმონ-პეტრესმან 6,6; სიმონ-პეტრესა 13,6; ფილიპესა  
 1,48 B.

მაგრამ ზოგჯერ ო არაა იქ, სადაც ძველი წესებით საჭიროა (მის ნაცვლად  
 ე გვაქვს):

უფროს იოვანესა 5,36 B (იოვანესა M); მოსესგან 1,17 B (მო-  
 სესგან M).

უფრო მეტია ისეთი შემთხვევები, როცა ო იქაა, სადაც არ უნდა იყოს.  
 ცხადია, აქ ო ე-ს უდრის, მის, ეტყობა, ე-დ გამოთქვამდნენ. მაგრამ, როგორც  
 უნდა იყოს, ასეთ კარგ ხელნაწერში იგი დისონანსს წარმოადგენს. აი ამის ნი-  
 მუშები:

იოვანეს 4,1 B; ბილატს 19,8, 31,38 B; ჰრქუა ფილიპეს 6,5 B  
 (=მიც.). M-ში აქ ძველგან კანონიერი ე გვაქვს (იოვანეს, ბილატეს). აქედანაც  
 ნათლად ჩანს, რომ ე-ს ხმარებაში ძველ ტრადიციებს უფრო მესტიის ოთხთავი  
 (M) იცავს, ვიდრე ტბეთისა (B).

გ) უფრობითი ხარისხის ფორმებში:

უალრს 20,4; უდიდესი 19,11 B; უმეტესი 10,10; უმოლხინს 4,52 B  
 (უმოლხინე M); უმრავლესი 7,31 B; 15,5 B (უფროსი M); უმრავლესნი 4,1;  
 უმჯობეს 11,50 M; 16,7; 18,14 B; უპირადესი B, უპირატესი M 1,30;  
 უძრესი 5,14; უწინარეს 5,7 B; 11,55 B; 12,1; 13,1 B; 17,5; 17,24 M;  
 უცერსიცა 2,10.

არის ე-ს გამარტივების (ე-დ შეცვლის) შემთხვევები, ამასთანავე M-ში გა-  
 ცილებით მეტი, ვიდრე B-ში:

უმჯობეს 11,50 B; უწინარეს 17,24 B. მაგრამ: უდიდესი 19,11 M; უმრავ-  
 ლესი 7,31 M; უმჯობეს 18,14 M; უწინარეს 5,7 M; 11,55 M; 13,1 M.

<sup>1</sup> ო მოთხრობითაში კი (ჰრქუა მათ ბილატს 19,5 B) ყოვლად გაუმართლებელია. მაგრამ  
 ასეთი შემთხვევა ხალხე იშვიათია.

<sup>2</sup> ორნავე ბრუნვას ნივლითებოც აქვეა შენოტანილი.

დ) ზმნიზედებში, რომლებიც წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია (ეგრეთ, ესრით):

ეგრეთ ლ. 11,30; 12,54,55; 13,5 B (ეგრე M); 17,26; 22,26 B (ეგრე M).  
 ი. 3,14; 6,58; 13,13 M (—B).

გვხვდება ვე ნაწილაკით: ეგრეთვე ლ. 17,28 M (ეგრევე B).

მ-ს ნაცვლად ე არის ერთადერთ შემთხვევაში: ეგრეთვე ლ. 5,21 B (ეგრევე M).

ესრით ლ. 1,25; 2,48; 12, 28, 38, 43; 15,7; 15,10 B (ესრე M); 17,24; 23,31; 24,26 M; 24,46.

ი. 8,8, 16; 7,46; 8,59, 11,48; 16,9; 18,22 B (ესრე M); 19,19 B (ესრე M); 20,18 M (ესე B); 21,1.

ერთადერთ ადგილას აქცია გვაქვს ე მ-ს მაგივრად: ესრეთ ლ. 24,26 B (ესრეთ M). როგორც ვხედავთ, ორივე მახარებლის ტექსტში ამ ნუსხლში აღნიშნული წესი მხოლოდ ორჯერაა დარღვეული და ორივეჯერ B ხელნაწერში. M ამ შემთხვევაში იდეალურ სურათს გვიხატავს.

ე) ერთი სიტყვის ძირში: ესაა ზმნი-ებ-ა:

აშმნიებთ ლ. 11,48; აშმნიებნ ლ. 6,48; აშმნიებდეს ლ. 17,28; აღაშმნი ლ. 6,49; აღაშმნიე ლ. 12,18; აღმიშმნი ლ. 7,5; შენშაიღ ლ. 14,28 B; შმნი-ბად 14,28 M; 14,30 B M; შმნიებულ ლ. 21,5. ეს ყველაფერი ორივე ხელნაწერში გვაქვს (ლუკა, იოანე). მაგრამ B-ში ორივე მახარებლის ტექსტში ეს წესი სამჯერაა დარღვეული და მ-ს ნაცვლად ე არის წარმოდგენილი: აშმნიებთ ლ. 11,47; აღაშმნი ი. 2,20; მაშმნიებლთა ლ. 20,17. M-ში სამსავე შემთხვევაში უძველესი ტრადიციაა დაცული, ყველგან მ მოიბოგება: აშმნიებთ, აღიშმნი (sic) და მაშმნიებლთა.

აქ მაგალითები მოყვანილი იყო ლუკასა და იოანეს თავების მიხედვით. არსებითად ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენ ორ (მათეა და მარკოზის) თავებშიც.

რაც შეეხება მ-ს ხმარებას მეორე (აღმოც-მნი-ა) სიტყვის ძირში, ჩვენს ხელნაწერებში იგი არსებითად არ გვხვდება, აქ ყველგან მერმინდელი, გამარტავებული ე გვაქვს, მაგალითად: აღმოსცენდა მ 12,5,26; მრ. 4,5; ლ. 8,6,8 M (B: აღმოცენდა); აღმოსცენდეს მ. 13,7 მრ. 4,7; ლ. 8,7 M (B: აღმოცენდეს); აღმოსცენდის მრ. 4,27 M (B: აღმოცენდის; გამოც., =აღმოსცენდის?).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ ორივე ხელნაწერში გვხვდება მ-ს ხმარების დარღვევის შემთხვევები, მაინც უნდა ითქვას, რომ საერთოდ ძველი წესი აქ, სხვა ხელნაწერებთან შედარებით, უკეთაა დაცული. ხოლო თვით BM-ს შორის უფრო სანიმუშო მესტიის ნუსხაა.

## 2. გულისხმა, გულისხმა-ყო

გულისხმა და მისგან ნაწარმოები ფორმები (გულისხმა-ყო. უგულისხმო...) ძველ ქართულში ზოგჯერ ხანით არც წარმოდგენილი, როგორც აქ ჩვენ გვაქვს მოყვანილი, ხოლო ზოგჯერ—გართ: გულისგმა, გულისგმა-ყო, უგულისგმო... ამ სადავო საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში: ზოგნი ვარს მიიწინევენ სწორ და ამოსავალ ფორმად, ზოგნი—ზანს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. ჩენი „სინური ნრავალთაის ზოგჯერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება: თსუ პრობლემ, ტ. 93, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1960, გვ. 54—60. ლიტერატურა იქვეა და სახელგებულ.



ორივე ჩვენს ხელნაწერში აქ თავიდან ბოლომდე ერთი წესია დაცული: **გვერდის ხაზი გვაქვს, არსად არ არის ჯარი.** აი რამდენიმე მაგალითი:  
 არა გულისხმა-ჰყავ ლ. 19,44; გულისხმა-ყო მ. 12,14; 13,23; ლ. 20,23; 23,7; ი. 4,1; 5,6; 6,15; 12,9; 16,19; გულისხმა-ყავა ლ. 5,22; გულისხმა-ჰყავთ მ. 8,21; გულისხმა-ჰყავთა მ. 13,6; გულისხმა-ყავთ მ. 13,13; გულისხმა-ყავთ მ. 15,10; ლ. 21, 18,34; 20,19; ი. 10,6; გულისხმა-ყავთ მ. 13,13; გულისხმა-ყავთ მ. 13,19; გულისხმა-ყავთ ლ. 8,10; 20; გულისხმა-ყავთ მ. 13,13; გულისხმა-ყავთ ლ. 16,3; ლ. 24,45; 9,45; ი. 12,40; გულისხმის-ყოფად ლ. 2,47; გულისხმის-ყოფად ლ. 16,3; ლ. 24,45; გულისხმთვე მ. 15,16 და სხვა (ყველა). ამ მხრივ BM ხელნაწერები მხარში უდგანან ჩანმეტსა და ჰემეტ ტექსტებს, რომლებშიც ყველგან ხანია და არსად ჯარი.

### 3. ვ შენარჩუნებულია ო-სთან

ა) ცხოვრება-ში ვ ორივე ხელნაწერში შენარჩუნებულია ყველგან, თავიდან ბოლომდე:

ცხოვრება ი. 6,63; 12,50; ცხოვრება ი. 1,4; 5, 24,26, 39; 6, 40, 47, 53, 54; 10, 10,28; 11,25; 17, 2,3; 20,31; ცხოვრებასა ი. 5,29; B (ცხოვრებისა M); ცხოვრებისა ი. 6,68; ცხოვრებისათვის ი. 6,51; ცხოვრებად ი. 4, 14,36; 6,27; 12,25; ცხოვრებისად G, 35,48; 8,12; ცხოვრებისა ი. 5,29 M (ცხოვრებასა B) და სხვა (ყველა).

ბ) ვ გვაქვს აგრეთვე განშორება ზმნის ფუძეშიც. ეს წესი დაცულია ორივე ხელნაწერში თავიდან ბოლომდე, მაგალითად:

განაშორებ მ. 19,6 M (განაშორებ B?); მრ. 10,9; განაშორეს ლ. 9,40; განაშორენ მ. 13,49; განაშორებოდა ლ. 2,37; განაშორა მ. 12,14; 14,13; 27,5; მრ. 3,7; ლ. 4,13; 5,13; 9,10; 22,41; 24,51; ი. 6,15; განაშორენს მ. 2,13; განაშორენით ჩემგან მ. 7,23; ლ. 13,27; განაშორენით მ. 9,24; განაშორის ლ. 5,16; 9,39; განაშორენს მ. 2,12; განაშორებისად მრ. 10,4 M (განაშორებისად B?); განაშორებულ მ. 14,24; 15,8; მრ. 7,6.

როცა B-ში „შორის“ თანდებულნი არა ქ რაგმით (შ-ს), არამედ მთლიანადაა დაწერილი, ო-ს შემდეგ ისიც ვ-ს შეიცავს:

შო ვ რის ი. 8,37,59. ვ არის შენახული აგრეთვე ამ ფუძიდან ნაწარმოებ ზედსართავში: შო ვ რის<sup>1</sup> სოფელსა ლ. 15,13. მაგრამ მთლიანად (უქარაგმოდაა) დაწერილი აგრეთვე უფრო ფორმები: შო რ ი თ ლ. 23,49; შო რ ს ი. 21,8. რაც შეეხება ზმნის ფორმებს, როგორც ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, ვ იქ ყველგან ხელუხლებელია. და ესაა ორივე ხელნაწერში. BM ამ მხრივაც განუყრელად ერთად დგას.

ვ უმეტესად (და არა ყველგან) დაცულია ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ამბოვრს-უყოფდა ლ. 7,38 BM, ამბოვრს-უყო ლ. 22,47 M (ამბორს-უყო B), ამბოვრის-ყოფაჲ, ამბოვრის-ყოფითა ლ. 7,45 BM; პეროვოდა მრ. 9,20 BM, ცრემლოვოდა ი. 11,35 M (ცრემლოვოდა B) და სხვა. მაგრამ ახლა აქ ამაზე აღარ შევიჩრდებით.

შეგნიშნავთ ბოლოს იმასაც, რომ ვ-ს გაჩენას ო-ე ხმოვნებს შორის (სათნო-ვება, სასოვება, სარწმუნოვება...), რომელიც ისე დამახასიათებელია შატბერდული სკოლისათვის (ხელნაწერებისათვის), ძალზე იშვიათად თუ შევხვდებით ჩვენს ძეგლებში.

1 დედანშია: შოვრსსა

4. თავყუანის-ცემა

რთული ზნა „თავყანის-სცა“, როგორც ცნობილია, ამგვარად უნდა იყოს წარმოშობილი: თავყანის-სცა (მას)→თავყანის-სცა→თავყანის-სცა (ვინი გადასმულია, მერმე უმარცვლო უ-ღ არის ქცეული); თავყანის-ვეც. თავყანის-სცა, თავყანის-სცენდა და მსგავსი ფორმები ნორმა ძველი ქართლისათვის. იშვიათად გვხვდება უმეტათეზისო (გადაუსმული) ფორმები (თავყანის-მცემელნი—ბოლნისის სიონის წარწერა). ზოგჯერ კი გვაქვს ერთგვარი გარდამავალი საფეხურის წარმოება, როცა ვ გადასმისას უარს შემდეგ უმარცვლო უ-ღ არის ქცეული, მაგრამ უფრო არქაული ტრადიციით ძველ ადგილასაც დგას: თავყუანის-სცემდა, თავყუანის-სცა, თავყუანის-სცენ და სხვა. აი ამნაირი საინტერესო ფორმებია დიკული ორივე ჩვენს ხელნაწერში, თანაც ყველგან, უგამიანაკლისოდ. მაგალითად:

თავყუანის-ვსცემთ, თავყუანის-სცემთ (თავყუანისცემთ B) ი. 4,22; თავყუანის-ჰსცემედ მრ. 15,19 B (M?); თავყუანის-სცემდა<sup>1</sup> მ. 8,2; 9,18; 15,25; 18,26; 20,20; მრ. 5,6 M (B: თავყუანისცა); თავყუანის-სცენდეს ი. 4. 20; თავყუანის-სცემდეთ ი. 4,21; თავყუანის-სცემდენ ი. 4, 23; თავყუანის-სცა ი. 9,38; თავყუანის-სცეს მ. 2,11; 14,33; 28,9; 28,17 B (M—); ლ. 24,52 M (B—); თავყუანის—ვსცე მ. 2,8; თავყუანის-მცე მ. 4,9 B (M—); ლ. 4,7; თავყუანის-სცე მ. 4,10 B (M—); ლ. 4,8. თავყუანის-ჰცენ (.. სცენ M) ი. 12,20 B.

თავყუანის-ცემაა ი. 4,20,24; თავყუანის-ცემად მ, 2,2; თავყუანის-მცემელნი ი. 4,23; თავყუანის-მცემელთა ი. 4, 23, 24.

ამნაირი გარდამავალი ფორმების ცალკეულ მაგალითებს კაცი სხვაგანაც ნახავს, მაგრამ რომ მთელი ძველი თავიდან ბოლომდე მხოლოდ ამგვარ ნიმუშებს შეიცავს, სხვა არ გვევლება. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ B და M ხელნაწერები ბევრი სხვა ენობრივი და რედაქციული ნიშნებით დგანან ერთმანეთთან გვერდ-გვერდ. ამიტომ აღარაა გასაკვირი, რომ ამ ნიშნითაც ერთმანეთს მიჰყვებოდნენ. ყველა ამას, დამახასიათებელ ნიშანთა მთლიანობას კი რედაქციულ ერთიანობამდე მივყავართ.

წ. განაზნინა... მოაწინა...

საქმე ეხება ფე სუფიქსიან გარდამავალ ზნებს, როცა მეორე სერიის ფორმებს პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია: განაზნეს მას — განაზნივა → განაზნია იგი, ნავრამ: განაზნეს მათ—განაზნივა→განაზნინა ივინი. აქედან ნ-ს დაკარგვით მიღებულია ძველ ქართულში უფრო გავრცელებული განაზნია. ასეთ ზნებში ამავე თვისებას ამჟღავნებს პრეფიქსიანი ვნებითებიც, რომლებშიც პირდაპირი ობიექტი კონვერსიის შედეგად სუბიექტად გვევლინება: ნოიწვიის იგი, მოიწვიან ივინა, მაგრამ: მოიწვივა → მოიწვია იგი, მოიწვიენეს → მოიწინეს ივინი. ერთ-ერთი ნ აქაც ჩვეულებრივ დაკარგულია. აქედან: განაზნინა, მოაწინა, მოიწინეს უფრო

<sup>1</sup> B-ში ზოგჯერ შესაძლო ირიბობიექტური პირის ნიშნად მს გვაქვს. აქა-იქ ორი ხანს ნაცვლად ერთი წარმოდგენილი (თავყუანისცემდა), როგორც ზემოთ მოკვანილ მაგალითში (თავყუანისცემთ), მაგრამ აქ განსაზღვრული აკიბობისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა და ამიტომ ქვემოთ აღარ ვუჩვენებთ სპეციალურად, მათ უმეტესა, რომ ე. ბენუშევიჩის გამოცემაში ხელნაწერის ეს თავისებურება ზუსტად არაა აღნუსხული.





ქელ, ამოსავალ ფორმებად არის მიჩნეული, ხოლო განაზნა, მოაწინა, მოიწინეს, მერმინდელ; გამარტივებულ (6 დაკარგულ) ფორმებად<sup>1</sup>.

აი ანაირი ძველი ფორმები გვხვდება ჩვენს ხელნაწერებში, მაგალითად:

გამორჩინა ლ. 6,11 B (M: გამოორჩინა); განაზნა ლ. 1,51 BM; 1,53 M (B: განავლინა); განარჩინის B (M განარჩინის), განარჩინეს M (განარჩინეს B) მ. 25,32; გარდამოსთხინა ლ. 1,52; მოაწინეს ლ. 1,16; მოიწინეს M (B: მოიწინეს) ლ. 22,7; შეიმთხვნა B (M: შეემთხვნა) ლ. 9,11.

მაგრამ ყველგან ასე არაა; ზოგჯერ მსგავს ფორმებში ერთი ნარი დაკარგულია და გვაქვს ძველ ქართულში უფრო გავრცელებული ფორმები. ამის რამდენიმე მაგალითი შემოთ უკვე არის ნაჩვენები პარალელურად. აქ დავუმატებთ სხვებსაც:

გამორჩინა მრ. 13,20; განაზნის ი. 10,12; განიზნინეთ ი. 16,32; განიზნიენ მ. 26,32; მრ. 14,27; განითხინენ მ. 8,12; შესთხინეს მ. 13,42; შეემთხვნეს მ. 8,28; შოასთხინენ მ. 13,50 M (B: შოასთხიონ ივი).

შემთხვევები დაახლოებით თანაბარია, ცოტათი სკარბობს გამარტივებული, უფრო გვიანდელი ფორმები, რომლებშიც ორი ნარის ერთად მოხვედრის გამო ერთ-ერთი დაკარგულია (სულ 11; უფრო ძველი ნიმუში ცხრა).

### 6. ზმნისწინის გამარტივება

ჩვენს ხელნაწერებში თითქმის ყოველთვის ხელუხლებლად და დაცული აღ ზმნისწინისეული დ მომდევნო დ, ხ, ჯ (და მსგავსი) ბეკრების მენობლობაში, მაგალითად:

აღმაღლდები ლ. 10,15; აღმაღლდა მრ. 16,19; აღმაღლდე ი. 12,32; აღმაღლდეს მ. 9,15; 23,12; (B?); მრ. 2,20; ლ. 5,35; 14,11; 18,14; აღმაღლდა ი. 2,14; 12,34; აღმაღლდესა ი. 9,51.

აღლებად მ. 24, 17 B, 18 B; მრ. 13,15 BM; 13,16 B; ლ. 17,31 B; ი. 5,10 B. მაგრამ: აღებული ი. 20,1 BM.

აღხილვად ლ. 4,18; 13,11; 18,13; ი. 10,21 B (M: აღხილვად).

აღჯდა ი. 3,1 B (აქდა M?); ლ. 5,19; ადჯდეს ლ. 19,4; ადჯცნეს ლ. 9,54.

აღჯცნით მრ. 11,5; ლ. 19, 31, 33; აღჯცნიდეს ლ. 19,33; აღჯცნით მ. 21,2; მრ. 11,2; ლ. 19,30; აღჯცნეს მრ. 11,4; აღჯცნისა ლ. 13,15.

### 7. ასიმილაცია

ასევე ხელუხლებელია დ და არაა ასიმილაცია მომხდარი დაღად-ყო რთულ ზნაში. ესეც ოარივე ხელნაწერის ენას ახასიათებს თავიდან ბოლომდე უგამონაკლისოდ (ღღაღ-ყო და მსგავსი ფორმები ჩვენმა ხელნაწერებმა არ იციან), მაგალითები:

ღაღად-ყო მ. 14,30; 27,50; მრ. 1,23; 9,26; 15, 8,39; ლ. 4,33; 8,28; 9,38; 18,38; ი. 1,15; 7,28,37; 11,43; 12,44; ღაღად-ყვეს მ. 8,29; 14,26; მრ. 6,49; ლ. 23,18; ი. 18,40; 19,6; ღაღად-ყვის ლ. 9,39.

<sup>1</sup> ი. ამის შესახებ ჩვენი „მართალი ნი: სმარება ერთი განსაკუთრებული შენიხვევა ქველ ქართულში“; თავ ურომები, ტ. 96, ფილოლოგიურ მცნიერებათა სკრია, 1963; გვ. 117—137.

### 8. ბგერათა დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში

ბერძნულიდან *ἄσφαζις* და *ἄσφαι* ძველი ქართულის ძველებში ჩვეულებრივად ელისაბედ-ისა და იოსებ-ის სახით გადმოაქვთ, სიტყვის ბოლოში *მკლერი თანხმოვნები გვაქვს—დ და მ. ჩვენს ხელნაწერებში ისინი ყოველთვის ერთი და იგივე თანხმოვნებითაა წარმოდგენილი.*

BM აქაც თავიდან ბოლომდე ერთგულად იცავს ამ წესს. ამ შემთხვევაში უგამონაკლისოდ. მაგალითები:

ელისაბეთ ლ. 1, 5, 7, 13, 24, 40, 41; ელისაბეთცა ლ. 1,36; ელისაბეთს ლ. 1,41; ელისაბეთისნი ლ. 1,51.

იოსებ მ. 1, 19, 20, 24; 27, 57, 59; მრ. 15,43; ლ. 1,27; 23,50; ი. 19,36; იოსებცა ლ. 2,4; იოსები ლ. 2,16; იოსებს მ. 2, 13,19; მრ. 15,45; ი. 4,5; იოსებისა მ. 1,18; ლ. 3, 23, 24, 26, 30; იოსებსი ლ. 4,22; ი. 1,45; 6,42.

B-ში სამჯერ გვაქვს ზანიანი ფორმა: იოსებ მ. 13,55; იოსების (დედა) მ. 27,56; იოსებისი მრ. 6,3. ნესტის სკლანწერი ზანს მხოლოდ მეორე მაგალითში წერს (იოსების) და ამით კვლავ ტუბეთისს მისდევს, ხოლო დანარჩენ ორ ადგილას სხვა ფუძეს წარმოგივლევს. ესაა: იოსებ (მ. 13,55) და იოსებისი (მრ. 6,3). სამივე ამ ადგილის გადმოცემისას თვით ბერძნულიც ყოყმანობს: ზოგ გამოცემაშია *ἄσφαι*, ხოლო ზოგში—*ἄσფαι*. აქ ჩვენი ხელნაწერების გათიშვა ბერძნულის სხვადასხვაგვარი წაკითხვის შორეული გამოძახილია.

### 9. ბგერათა შენაცვლება და გამარტივება (დაკარგვა)

ამდენ ხანს ჩვენ მიერ აღნიშნული ფონეტიკური თავისებურებანი მეტ-ნაკლებად ორივე ხელნაწერს შეეხებოდა. ახლა, დასასრულად, აღნიშნავთ ერთ საინტერესო ფონეტიკურ მოვლენას, რომელიც მხოლოდ B ხელნაწერისთვისაა დამახასიათებელი. ესაა ცხოვნება ზმნის ნებითი გვარის ფორმები: ცხომდებს, ცხომდა, ცხომდეს და მისთანანი. აქ, ჩვენი აზრით, ორ ფონეტიკურ მოვლენასთან უნდა გვკონდეს საკმე: ჯერ ვ-ს მ შენაცვლება: ცხოვნდა → ცხომნდა, ხოლო ამს შემდეგ, მნდ გამარტივდა ნ-ს დაკარგვით: ცხომნდა → ცხომდა<sup>1</sup>. მაგალითები:

ცხომდებოდა ლ. 15,13; ცხომდა ლ. 8,36; სცხომდე ლ. 10,28; ცხომდე მ. 14,36; 24,13; მრ. 5,23; 16,16; ლ. 4,4; 8,50; ი. 3,17; 6,51, 57, 58; 10,7; ცხომდესე ი. 11,25; სცხომდე ი. 5,34; ცხომდენ ი. 5,25.

როგორც ვხედავთ, სადაც ეს ზმნა ლუკისა და იოვანეს თავებში გვხვდება, ვველგან აღნიშნული ფონეტიკური ცვლილებითაა წარმოდგენილი (ამ თავების ფოტობირები ჩვენ ხელთა გვაქვს), ხოლო, რამდენადაც ვ. ბენეშევიჩის გამოცემას დაეჯერება, მათესა და მარკოზის თავებში ზოგან ასეა, ზოგან კი ჩვეულებრივი (ცხოვნდა, ცხოვნდეს...) ფორმით. პირველი სახის მაგალითები შემოთ გვაქვს მოყვანილი. აი მეორე სახის ნიმუშები: ცხოვნდებოდეს მრ. 6,56; ცხოვნდა მრ. 13,20; ვცხოვნდე მრ. 5,28; ვცხოვნდევე მ. 9,21; ცხოვნდეს მ. 4,4; 9,18; მრ. 13,13; სცხოვნდეს (?) მ. 10,22; ეს უკანასკნელი მაგალითი კი მთლად დაუფერებელია (თუ უბრალოდ ლაფსუსი არაა). თუ ვ. ბენეშევიჩის გამოცემაში დღასტურებული ეს მეორენაირი მაგალითები სწორად ასახავს ხელნაწერის სტრატს, მაშინ შეიძლება ნიმუშების ეს ორი ტიპი ორი გადამწერის ნახელავად მივიჩნიოთ

<sup>1</sup>ქართული ენის ისტორიული გრესტომათა, ტ. 1, ნაწილი II, 1971, გვ. 115. იქვეა ნათქვამი ლიტერატურა, სადაც სხვანაირი ასხნაა მოცემული.



დღგრო ნაკლებადაა მოსალოდნელი იხინი სხვადასხვა დედნის უკუვენა იყოს. ამჟამად თუ ისე, ტბეთის თოხთავი ამ მხრივაც თავლნათლივ გამოერშევა სხვა იმდროინდელი ცნობილი ხელნაწერებსასაგან.

### 10. თანხმონათგასაყარი ი მრავლობითში

II ბრძანებითის II პირის ფორმებში, როცა პირდაპირი თბიექტი მრავლობითშია, ზოგჯერ არ არის წარმოდგენილი თანხმონათგასაყარი ი და ფორმა არჩეულ იერს ატარებს:

ილიხილენთ თულნი და აღიპყრენტ თაენი თქუენნი: ლ. 21,8 BM; სხენთ (და ისხენთ M) თაეისა თქუენისა მეგობარნი: ლ. 16,9 B; უტევენთ ქენი, წარვიდენ: ი. 18,8 BM.

სიპტიმატურია, რომ თთხივე მაგალითი ორივე ხელნაწერშია სწორედ ერთსა და იმავე ადგილას. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

არის კიდევ აღდენივე (4) მაგალითი, ოღონდ სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა (B, M) ხელნაწერში:

გიბროლენ მას დცესა შინა და მხიარულ იყვენთ (იყენით M): ლ. 6,23 B; მიუტევენთ (მიუტევეთ B): ლ. 6,37 M; წარგედით და უჩუენენთ (უჩუენენით B) თაენი თტუნენი მდდელთა: ლ. 17,14 M; იხილენთ (იხილენით B) გული ჩენნი: ლ. 24,39; M. აღსანიშნავია, რომ საერთო 12 მაგალითიდან 7 M-შია, ხოლო 5—B-ში. ბოლოს, კვლავ გავიმეორებთ, რომ ყველა 12 მაგალითი ბრძანებითის ნწყრვიდისაა. წყვეტილში სწორედ მსგავს შემთხვევებში არსად არა გვაქვს ერთ ფორმები. ეს გასაკებციაა: მისი განსაკუთრებული ინტონაცია და ხნის ძლიერი ამალღება ორგანულად ვერ ითმენს ყოველგვარ ზედმეტ, მეორეულ, შენდევ დამატებულ ზგერებს. შესაძლებელია, ამით ცდილობდეს ენა ფორმალური განსხვავება შექმნას წყვეტილისა და ბრძანებითის გარეგნულად თანხედენილ ფორმებს შორის. უდრ. ამას ეწვენიორე (გვ. 186—188) განხილული მოვედ-მოედ ტაბის მაგალითები.

## მ ი რ შ ო ლ ო ბ ი ა

### ს ა ხ ე ლ ე ბ ი

#### 1. ბ რ უ ნ ვ ე ბ ი

ა) მიმართულების აღსანიშნავად ხშირად ენაცვლება ერთმანეთს მიცემითი და ვთარებითი. ეს საერთო დამახასიათებელი თვისებაა მთელი ძველი ქართულიწიგნის. უფრო ძველ ძეგლებში ამ მიზნისათვის ვითარებითის გამოყენება ნიშნდობლივ, თუმცა არც მიცემითია იშვიათი.

ჩვენს ხელნაწერებში ორივე ბრუნვა გამოიყენება, შედარებით უფრო ხშირად—მიცემითი. მაგალითები:

7,1 არა უნდა (მი)სლვად ჰურიასტანს BM ჰურიასტანად DE.

9,38 მოვიდა საფლაგსა მას BM საფლავად DE

მაგრამ:

3,24 არღა შევრდობილ იყო სპყრთბილედ BM საპყრობილესა CD

4,5 მოვიდა ქალაქად BDE ქალაქსა CM

4,7 მოსრულ არს... გალილეას B გალილეად MCDE



ბ) ზოგჯერ გან თანდებულაანი ნათესაობითი უბირისპირლება (მარტივნიშობა) მოქმედებით. ეს არა მარტო მიმართულებას აღნიშნისას გვაქვს, არამედ სხვა შემთხვევებშიც; ამასთანავე, ნათესაობითის უმეტესად მხარს უჭერს B ხელნაწერი, მოქმედებითს — M. მაგალითად:

- 8,41 სიძესაგან BCDE სიძით M  
20,2 საფლავისაგან BM საფლავით DE  
21,6 სიმრავლისაგან (თევზთადას) BDE სიმრავლითა MC

გ) ხშირად ძველ წრფელობითს ახალი სახელობითი ცვლის. ჩვენი ხელნაწერები ამ შემთხვევაში თანმიმდევრულად იცავენ წრფელობითს, მაგალითად:

- 1,1 ღმერთ იყო BMC ღმერთი DE  
7,43 განწვალება BME (წვალება C) განწვალება D  
9,8 მთხოველ BMCE მთხოველი D  
9,25 ბრმა ვიყავ BMC ბრმა DE  
10,13 სასყიდლით დადგინებულ არნ BMC ..ბული DE  
18,15 მოწაფე იგი ერთი მეცნიერ იყო მღვდელ-მთხდურისა BMC  
" " " მეცნიერი " მღვდელ-მთხდურისა DE  
18,18 რამეთუ ყინელ იყო BMCD ყინელი იყო E

არის საწინააღმდეგო მაგალითებიც:

- 7,28 არა არს ჭეშმარიტი BM ჭეშმარიტ CDE  
9,24 კაცი ესე ცოდვილი არს BME ცოდვილ CD

მაგრამ ამაიარი შემთხვევები გაცილებით ნაკლებია.

თვით B-სა და M-ს შორის წრფელობითს უმეტესად B—უჭერს მხარს, ხოლო M სახელობითს აძლევს უბირატესობას, მაგალითად:

- 9,17 ბრმა იყო B ბრმა MDE  
9,24 " " BC " "  
10,12 რომელი არა არნ მწყემს BDE მწყემსი MC  
10,19 განწვალება B განწვალება MDE  
წვალება C  
10,41 სასწაულ BC სასწაული BDE  
12,1 მომკუდარ BDE მომკუდარი MC  
12,6 მპარავ B მპარავი MCDE  
19,23 უკერველ BCDE უკერველი M


გვაქვს პირუქუც: წრფელობითს M იცავს, სახელობითს—B:

- 1,6 მოვლინებულ MCE მოვლინებული BD  
9,25 ცოდვილ MC ცოდვილი BDE  
9,30 საკრველ MCE საკრველი BD  
10,33 შენ კაც ხარ MC კაცი ხარ BDE  
19,20 წერილ MC წერილი BDE

მაგრამ ამგვარი შემთხვევები გაცილებით უფრო ნაკლებია. ასე რომ, წრფელობითის ერთგულ მოსარჩლედ მაინც B ხელნაწერი უნდა მივიჩნიოთ.

დ) გარკვეული ხასიათის კონსტრუქციაში ზოგი ხელნაწერი ორმაგი ბუნების წესს მისდევს, სხვები—ცალმაგიას. BM ორმაგს უჭერს მხარს, მაგალითად:





6,45. წერილ არს წინაწარმეტყუელთა სა BM. აქ უნდა ყოფილიყო „წინათა წინაწარმეტყუელთა“, მაგრამ „წინათა“ გამოტოვებულია იმის გამო, რომ იგი ადვილად მსახვედრია და ძალდაუტანებლად იგულისხმება. CD-ში ცალკე წინაწარმეტყუელთა გვაქვს (E-ში—წინაწარმეტყუელსა).

ასეთია კიდევ ეს მაგალითიც:

7,35. ნუთუვე განთესულთა მით წარმართთა სა ევლულების მისლად BM. CDE ში აქაც ცალმაგი ბრუნების ნიმუში გვაქვს: წარმართთა. BM-ის ეს სოლიდარობა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ე) ზოგჯერ სხვადასხვა ბრუნვის არჩევა ზმნების სხვადასხვა მწკრივითაა გამოწვეული, ხან კი გარდამავლობა-გარდაუვალობით (მოქმედებითი და ენებითი გვართ). პარველის ნიმუშია:

6,51. რომელსა მე მივსცემ სოფლის ცხოვრებისათვის BM. აქ აწმყო გვაქვს, ამიტომაც პირდაპირი ობიექტი რომელსა მიცემითა. CDE წყვეტილის პოთხტეს: რომელი მე მივსცე ცხოვრებისათვის სოფლისა (სოფლისადაც C), ამიტომაც, რომ აქ იგივე პირდაპირი ობიექტი (რომელი) სახელობითა. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ BM ნომავალი დროის გამოსახატავად ახალ გზას ადგას: ზმნისწინან აწმყოს იყენებს, მაშინ როდესაც ძველი ხელნაწერები და მათ შორის CDE II კავშირებითს მიმართავენ. საინტერესოა, რომ იგივე წინადადება ცოტა ზემოთ B-შიც ძველებურად II კავშირებითითაა წარმოდგენილი: პური, რომელი მე მივსცე.

მეორის მაგალითია:

8,35. მონამან არასადა (არა M) და იმკვდროს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიმკვდროს უკუნისამდე BCM. შდრ. ამის ADE ხელნაწერების წაკითხვა:

მონაა არასადა და ადგრეს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ამ და ადგრეს უკუნისამდე.

ვ) უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება? ერთგან BM(D)-ში იკითხება: შად სოფელსა ამას მოსრულ ვარ მე: 9,39. აქ სოფელსა ამას ადგილის გარემოებაა: ამქვეყნად მოვედი სამართლისათვისა (გასასამართლებლად). სხვაგან ამის ნაცვლად გვაქვს: შად სოფელსა ამის მოსრულ ვარ მე ACE. აქ განოდის, რომ ქრისტე მოსულა ამ ქვეყნის გასასამართლებლად. მაშასადამე, „სოფლისა ამის“ აქ უბრალო დამატება იქნება. რომელია: სწორი, რომელი ცდება? ამას გვიჩვენებს ბერძნული, სადაც იკითხება: *εις ηριμα ζυν εις τον κειμαον τειμαον ηλμθν*. ბერძნული აქ BMD-ს უჭერს მხარს, *εις τον κειμαον τειμαον* უდრის ამ ხელნაწერების „სოფელსა ამას“, მაშასადამე, ადგილის გარემოებაა: ამ ქვეყნის განსასჯელად კი არ მოსულა, არამედ ხალხის განსასჯელად. ამიტომ სოფელსა ამის შეცდომაა, რომელიც ექვთიმემ გაასწორა. შდრ. ამის თარგმანის სხვა ენებზე: *Ich habe mich in diese Welt gekommen*. აქ, როგორც ვხედავთ, ჩვენს „სოფელსა ამას“ ფორმის შესატყვისი ყველგან ადგილის გარემოებად არია წარმოდგენილი, ყველა ექვთიმეს თარგმანს უჭერს მხარს. BM(D)-ს წაკითხვა, მაშასადამე, ერთადერთი მართებული თარგმანია. ასე გვაქვს ეს ექვთიმეს რედაქციის სხვა ხელნაწერებში (FG...), აგრეთვე, რა თქმა უნდა, გიორგისაშიც (HIK).

ზ) დასასრულ, ბრუნვის არჩევასთან დაკავშირებით კიდევ შევჩერდებით ერთ ადგილზე. BM-ში ერთგან იკითხება:



ამისთვისაც წიბილსა მას წმიდასა ეწოდოს ძე ღმრთის: ლ. 1,35. ანგლ სხვა ხელნაწერში წმიდა არის: წმიდა ეწოდოს, ძე ღმრთის: ADE. FGHIK ხელნაწერებს „ღმრთის“ „მადლის“ ფორმით აქვთ შეცვლილი, აგრეთვე „ეწოდოს“ შემდეგ და აქვთ ჩამატებული ერთგვარი უხერხულობის დასატარავად: ... წმიდა ეწოდოს და ძე მადლის.

როგორია საქმე ბერძნულში? ბერძნული BM-ს ამართლებს: *ἐκ γὰρ τῆς γεννῆσθαισεν ἀγίου κληρονομασται σὺν δὲ πατρὶ.* აქაც, როგორც BM-ში, წიბილი ყრმაა წმიდა უკვე არის, აქ ნათქვამია მხოლოდ, რომ წმიდა წიბილის ღმრთის შვილი ეწოდებოდა (უწოდებნო), და არა წმიდა იო. სხვათა შორის, არც ერთ თარგმანში არ წერია, რომ ამ ყრმას „წმიდა“ ეწოდებოდა („წმიდას“ უწოდებნო), შდრ. *ποσημῶν ἡ ἐκείνου ἁγίου κληρονομασται* (წმიდა არის და ღმრთის შვილი ეწოდებოდა), *ποσημῶν ἡ ῥαδικασμοῦ ἁγίου παρечется Сыном Божиим, дагум wird auch das Heilige, was aus dir geboren wird, Gottes Sohn genannt werden.* როგორც ვხედავთ, აქაც არსად არ არის ნათქვამი, რომ იმ ყრმას წმიდა ეწოდებოდა (წმიდას უწოდებნო). ამიტომ გასაკვირია, რატომ არ მიიღო ვიორგიმ და რატომ არ გაერცვლა BM-ის ეს უწყველად სწორი თარგმანი.

აქ არაფერს ვამბობთ FGHIK ხელნაწერებზე, რომელთაც მანამდე გაერცვლებული ღმრთის (მამა) შეუცვლიათ „მადლის“ ფორმით. მათ, აღბათ, ამ სიტყვის შემცველი რომელიმე ბერძნული ხელნაწერი ჰქონდათ.

## 2. რიცხვი

პარალელურ ტექსტებში მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ხმარება ზოგან ბერძნული დედნის ხედმიწვენიითი სიზუსტის გადმოღების გამოა გამოწვეული, ზოგან ანგარიში ეწევა ქართული ენის თავისებურებას, ქართული ენის შინაგან კანონებს და ამიტომაც ბერძნულის მრავლობითი ქართულში მხოლოდითით ვადმოტანილი; სხვაგან კონტექსტი სხვაგვარადაა აღქმული და ამ მიზეზით არის არჩეული ერთგან მხოლოდითი, ზოლო მეორეგან — მრავლობითი. სხვა შემთხვევაში რიცხვში განსწავლება შეიძლება სხვა მიზეზით აიხსნას.

აქ წარმოვადგენთ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს ისევ მხოლოდ ითვანს თავიდან:

1,40. იყო ანდრეა, ემაღ სიმონ - პეტრესი, ერთი ორთავანი, რომელთაც ესმა იოვანესგან BMCD: ... რომელსა E. შდრ. *ἐξ ἑνὸς καὶ ἑνὸς ἁγίου καὶ ἀποστόλου.* აქ, როგორც ვხედავთ, მრავლობითია. თრივეგან ნაგარადეგია, რომ ანდრეასა და სიმონ-პეტრეს თრივეს ესმათ, ამიტომ თრივეგან მრავლობითი გვაქვს; E-ს რომელსა გულისხმობს, რომ მხოლოდ ანდრეას მოესა, ამიტომაც იქ რომელსა.

2,12. და მუნ დადგრა არა მრავალ დღე BMCE. არა მრავალთა დღეთა D. შდრ. *ὅτι πολλὰς ἡμέρας.* D-ს წაკითხვა ბერძნულს მისდევს კვლადეკვალ, სხვათა არა მრავალ დღე მხოლოდ ქართულ ნიდავზე აიხსნება: ძველ ქართულში დროის გარემოება სწორედ წარფელობითი ბრუნვის (ფუნქს) საშუალებით გამოიხატებოდა. შდრ. იმარხვიდა თრმეოც დღე და ორმეოც დამე: მ. 4,2; მსახურებდა დამე და დღე: ლ. 2,37; იფარვიდა თავსა თვსსა ხუთ თთუე: ლ. 1,24; დაადგრა მარიამ მის თანა სამ თთუე: ლ. 1,56; ცხორებულ იყო ქმრისა თვსისა თანა შდრ. წელ: ლ. 2,36; ესე იყო ქურივი ვითარ ოთხნეოც და ოთხ წელ: ლ. 2,37 C. ამ რიგისა ჩვენი მაგალითიც (დაადგრა არა მრავალ დღე).





ბ) მარტივი და ებ-ა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები; ოღონდ აქ BM უკვე გაყოფილია: პირველს უფრო მარტივი ფორმები ახასიათებს, ნუ-რეს—ება-თი ნაწარმოები:

- |                       |                   |
|-----------------------|-------------------|
| 8,32. ტეშმარიტი BE    | ტეშმარიტება MCD   |
| 3,21. ტეშმარიტსა BDE  | ტეშმარიტებასა MC. |
| გ) 19,12. მოყუარე BDE | მოყუარი M         |

აქ მესტია, როგორც ჩანს, ღიშს ეყრდნობა, რომელსაც იგივე წარმოება აქვს წრფელობითის ფორმით — მოყუარ.

ღ) სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი ებრაული რაბი: DE-ში მარტივად, ხოლო BMC-ში სხვადასხვაგვარი წარმოებით:

- |                 |         |                        |
|-----------------|---------|------------------------|
| 20,16. რაბუნი B | რაბი DE | პრაბუნი M (პრაბუნი C). |
|-----------------|---------|------------------------|

ე) ბოლოს, კიდევ აღვნიშნავთ ერთი წმინდანის საინტერესო (უცნაურ) ფორმას:

16,24. აქაოდენ BM DE. აქამომდე. რაა ეს აქაოდენ? რაიმე თავისებური წარმოებაა, თუ უბრალო ლაფსუსია? ამას შემოწმება და კვლევა სჭირდება. და როგორც უნდა იცოს შედეგი, ორივე წემთხვევაში მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის რედაქციული თვალსაზრისით გვლევას: იგი მოეპოვება სწორედ ერთი და იმავე რედაქციის ორ ხელნაწერს სწორედ ერთსა და იმავე ადგილას.

#### 4. უფრობითი ხარისხის წარმოება

უფრობითი ხარისხის ფორმებში ჩვეულებრივად ძველებური წარმოება გვაქვს შემონახული: უადრეს 20,4, უმეტესი 10,10, უძვრსი, 5,14, უწინარს 12,1, უჯერსიცა 2,10 და სხვა. ამის შესახებ ჩვენ მოკლედ ზემოთაც გვაქვს მსჯელობა ფონეტიკური მოვლენების მიმოხილვისას (გვ. 167) და აქ უფრო ვრცლად აღარ შევჩერდებით.

### ზ მ ნ ბ ი

#### 1. პირი და პირის ნიშნები

აქ ხან ერთი პირი მეორე პირის ნაცვლადაა ნახმარი, ხან ერთისა და იმავე პირის სხვადასხვა ვარიანტი (ექსკლუზივი-ინკლუზივი) არის წარმოდგენილი და სხვა. საერთოდ, პირების (აგრეთვე რიცხვის) მიხედვით განსხვავებული ფორმები მცირეა. აქ ვუჩვენებთ რამდენიმეს:

- |                       |           |
|-----------------------|-----------|
| 10,24. მითხარ ჩუენ BM | გუთხარ DE |
|-----------------------|-----------|

C-ს სხვა ფუძე აქვს გამოყენებული, მაგრამ პირის ნიშნის მიხედვით BM-ს უღვას გვერდით: მარქუ.

სხვაგან B-ს ინკლუზიური ფორმა აქვს ლაცული, M-ს— ექსკლუზიური:

- |                                  |           |
|----------------------------------|-----------|
| 10,24. სულთა ჩუენთა წარგუტი BDE  | წარმტი MC |
| 11,48. მიგვღონ ადგლიცა ჩუენი BDE | მიმიღონ M |

ეს ქართულ ნიადაგზეა მომხდარი. ბერძნულსა და სხვა ენებში, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთნაირი ფორმაა.

13,18. მე გიცნი, რომელნი გამოვირჩიენ BMC, ვიცნი, რომელნი გამოვირჩიენ DE.



რადგანაც ბერძნულსა და სხვა ევროპულ ენებს ორპირიანი ზმნები არა აქვთ, იქ პირდაპირ ობიექტად მხოლოდ III პირია ნაგულისხმევი. ტექსტის აზრის მიხედვით BMC-ს მეორე პირი აღრჩევიათ, ალბათ, იმის გამო, რომ ზემოთ სწორედ II პირებს შეეხება საუბარი: არა თქვენ ყოველთათჳს ვიტყჳ ამასო. ექვთიმეს ეს ვარიანტი გიორგიმაც გაიზიარა და შეიტანა თავის რედაქციაში (HIK).

14,23. და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ BMC, და მოვიდეს მისა... DE. შდრ. *κα: παρς αντςν ελξαστμςμζ ανι μσνγς παρ' αντρ ποιησ-μςμζ, и мы придем к нему, wir werden zu ihm kommen.* მაგრამ ზოგ ბერძნულ გამოცემას მესამე პირის ვარიანტიც ერთვის, რასაც DE უნდა მისდევდეს. აქ პირთან ერთად რიცხვიც სხვადასხვაა: მოვიდეთ მრავლობითაჲ, ხოლო მოვიდეს (მამაჲ) — მხოლოდითა.

გიორგიმაც, რასაკვირველია, ეს სწორი წაკითხვა აქვს შეტანილი მისეულ რედაქციაში.

14,31. აღდევით და წარვიდეთ ამიერ BC, წარვიდით MDE. შდრ. *εξείρσμς, μγωμςν ελξςνμςν, встаньте, поидем отсюда.* წარვიდეთ და წარვიდით, გარდა პირისა, სხვადასხვა მწკრივის ფორმებია.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში BM ხელნაწერები სცილდებიან ერთმანეთს და ცალ-ცალკე დგანან თავიანთი მიმდევრებით.

16,27. გრ წამს, რამეთუ ღმრთისაგან გამოვედ BM, გრ წამ DE. ეს განსხვავებაც ქართულ ნიღაღზეა წარმოდგარი, ევროპული ენების ერთპირიან ზნებს ამის გარჩევის საშუალება არა აქვთ.

17,23. და შევიყუარენ იგინი, ვითარცა შენ შემოყუარე მე BM, შევიყუარენ... DE. ბერძნულში სუბიექტად მეორე პირია გამოყვანილი (ἡγάκησας), როგორც ვაჭქს ჩვენს DE-ში (შევიყუარენ). მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემის ვარიანტში სუბიექტად პირველი პირიც გვხვდება, რაც ასახულია ჩვენს BM ხელნაწერებში. C-შიც პირველი პირია სუბიექტად, ოღონდ მწკრივია სხვა, — II კიე-შირებითა (შევიყუარენ). ექვთიმესეული წაკითხვა (BMFG) ამ შემთხვევაში აღარაა გაზიარებული გიორგის მიერ, რომელსაც თავის რედაქციაში ბერძნულში ფართოდ გავრცელებული შევიყუარენ დაუტოვებია.

21,12. მოდით, ვისადილნეთ BMC, ისადილენით DE. ბერძნულსა და სხვა ევრსიებში აქ II ბრძანებითს II პირია წარმოდგენილი (ἐλθετε ἀρ:αρχσσας, придите, obedайте, kommet nun und esset...). საფიქრებელია, რომ იმ დედნებში (დედნში), რომლებითაც ექვთიმე სარგებლობდა, ბრძანება პირველ პირსაც შეეხებოდა, ე. ი. სადილის ჭამაში იესუსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, რითაც მის მკვდრებით აღდგომას უფრო სარწმუნოდ გახდიდა. შედგომს მუხლში ნათქვამია, რომ პური და თევზი მისცა მათო. ეს ვარიანტი ექვთიმეს უფრო დამაჯერებლად და მიმზიდველად მიუჩნევია და შეუტანია მისეულ რედაქციაში (BMFG...). გიორგის ამ შემთხვევაშიც არ მიუღია ეს ვარიანტი და უფრო გავრცელებული და საყოველთაოდ ცნობილი წაკითხვა აღრჩევია (ისადილენით).

ბოლოს, პირთან დაკავშირებით აქ უნდა დავძინოთ შემდეგი: S<sub>2</sub>O<sub>3</sub> ჩვენს ხელნაწერებში საერთოდ ძველი ქართულის ნორმებს მიჰყვება, აქ ჩვეულებრივად იხმარება ზ და ს: მოჰკილ, ჰპოვე, ჰკითხა, მოჰუარა, სთქუ, დასწერე, მისცა, შესძინა. არაიშვიათია აგრეთვე ჰემეტობიდან სანარევზე გარდამავალი ხანის მსოხოვე, მსცხო, სმთქუთ, მსჯით მსწყუროდის და მისთანა ფორმები. ეს ყველაფერი ცნობილია სხვა ხელნაწერებიდანაც.

აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ M ხელნაწერში ორჯერ გვხვდება ნამდვილი ჰაემეტი ფორმა განკვეთა მრ. 3,24,25. მაგრამ ეგვიპტე ფორმა სხვა ადგილებში (მ. 12,26; ლ. 11,18 და სხვა) უკვე აღარ შეიცავს ჰაეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ გადამწერს დედანში ჰაემეტობის გადინონასითი ჰქონდა და გაუპარა ტექსტში.

შესაძლებელია ჰაემეტობის გადინონასითად ჩავთვალოთ ამავე ხელნაწერში შეხვედრადილი შეთრკგულდეთ მ. 21,21, რომელიც შეჭორგულდეთ ფორმისგანაა წარმომდგარო: მ-ს ო-სთან დაკარგვა ელოდებოდა, და რომ ეს არ მომხდარიყო, გადასმულია და გ-ს წინ შესარჩუნებულია.

## 2. რიცხვი

5,7. სხუაჲ უწინარს ჩენსა შთავიდის და განიკურნის BM (შთავდის C), შთავდიან და განიკურნიან DE. ეს ადგილი სახელის (სხუაჲ) რიცხვით დაკავშირებით ზემოთაც არის მოყვანილი (გვ. 177). სახელისა და ხვნის მხოლოდითი ცნობილ ბერძნულ გამოცემებს ეყრდნობა (*ἄλλοι τὰρ ἔχουσιν ἰατὰβὰ'ναι*). მრავლობითისათვის (სხუანი... შთავდიან) უნდა დაეღუწებოთ, რომ რომელიღაც ბერძნულ (თუ სრიულ) დედანში, რომელსაც DE რედაქციის შექმნისას იყენებდნენ, სწორედ ამის შესატყვისი მრავლობითი იყო. ტექსტს შინაარსის მიხედვით მრავლობითი უფრო ადვილად გასაზრებელია, რადგან, როგორც მესამე შესული გვაუწყებს, იქ იყო „სიმრავლეს უძღურთაჲ, ბრძები, მკელობლები, განკმელები, რომელნი ელიედ წყლისა მის აღძრვასა“. ამისთან წყლის ამღვრევისას ვინც პირველი მოასწრებდა და ჩაეიღოდა წყალში, ის განიკურნებოდათ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ზოგ დედანში მრავლობითი ყოფილიყო (სხუანი... შთავდიან), როგორც DE-ში გვაქვს.

ეჭვთამსუსული რედაქციის ორ სხვა ხელნაწერშიც მხოლოდითი გვაქვს. გიორგიმაც სწორედ ეს წაითხვა შეიტანა თავის რედაქციაში.

7,52. გამოიძიე და იხილე BCDE, გამოიძიეთ და იხილეთ M. მრავლობითი არც ბერძნულშია (*ἔρευνῆσαι καὶ ἴδε*) და არც სხვაგან (*рассмотри и увидишь, forsche in der Schrift und siehe...*). ეჭვთამსუს რედაქციიდანაც იგი მხოლოდ ამ ერთ (M) ხელნაწერშია წარმოდგენილი. ვიორგისაც, რა თქმა უნდა, არ მოეპოვება.

9,11. და მივედ და დავიბანე და აღვიხიენ BM, დავიბანენ DE. სხვადასხვა რიცხვი ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი: ერთ შემთხვევაში ზმნაში ასახულია საგულგებელი პირდაპირი ობიექტის (თუალნი) მრავლობითობა და გვაქვს დავიბანენ, მეორეში—არა და ამიტომაც დავიბანე. C-საც მხოლოდითის ფორმა აურჩევია, ოღონდ სხვა ზმნისწინით — მოვიბანე.

11,7. გუალე, კუალად წარვიდეთ ჰურიასტანდ BDE, გუალეთ M. C-საც მრავლობითი აქვს, მაგრამ აქ ზმნა სხვაია: მოვიდეთ. გუალე, გუალეთ ამ დროსაც იმდენად გავრავებული ფორმებია, რომ ხშირად პირველი ცვლის მეორეს. შდრ. დღევანდელი „მოდი“, წავიდეთ ერთი სათევზაოდ“, „მოდი ერთი, წავიდეთ გიორგისთან“, „მოდი ერთი, ვესტუმროთ გურამს“. ეს შემოკლებული მოდი ადიშის ანგლში კიდევ უფრო გაცვეთილა და მარტო ზმნისწინის აპარა დარჩენილა: აწ მო და მივიდეთ მისა ი. 11,15. სხვებში აქ იკითხება: მოგუალეთ BMF, მოგუალე D.

<sup>1</sup> „და განიკურნა“ (*καὶ ἰαμῆσαι τὴν λαοὺν*) მოეპოვება მხოლოდ ზოგ ბერძნულ გამოცემას, ისიც სწოლოში.



12,17. ე რ ი ი გ ი, რომელ იყო მის თანა, ეწამებოდა მას BMC, ეწამებოდეს DE. კრებით სახელს ზმნა ხან მხოლოდითში ეწყობა, ხან მრავლობითში. და რამდენადაც შეტალაა ერთმანეთისაგან დაცილებული ზმნა და ეს სახელი, იმდენად უფრო ხშირია მრავლობითში შეწყობა. აქაც ეს სურათია ასახული.

13,18. რაათა წერილნი აღესრულნენ BDE, წერილი აღესრულოს MC. ბერძნულსა და სხვა ევრსიებში სახელიცა და ზმნაც მხოლოდითშია: *πῶς ἢ ὑποστῆσαι πλῆρη μῦθου, ἵνα ἐκβληθῆται τὸ πῆμα, ἵνα ἡ γραφή πληροῦται, ἵνα ἡ ἀλήθεια ἴσχυρῶς ἐπιφανῆται, ἵνα ἡ ἀγάπη ἰσχυρῶς ἐκφανεῖται.* და *ἐκβληθῆται τὸ πῆμα, ἵνα ἡ ἀλήθεια ἴσχυρῶς ἐπιφανῆται, ἵνα ἡ ἀγάπη ἰσχυρῶς ἐκφανεῖται.* BDE-ს მრავლობითი შესაძლებელია ისეთ ბერძნულ (სირიულ) დედნებს ეყრდნობოდეს, რომლებშიც მრავლობითის ფორმები იყო. ბერძნულ ცნობილ გამოცემებში კი ეს არა ჩანს.

15,18. უკუთუთ სოფელი გძლობს თქვენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მომიძულა BMC, მომიძულეს DE. აქაც იგივე უნდა ითქვას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი: ბერძნულსა და მისგან გამომდინარე ევრსიებში მხოლოდითია: სოფელმან მომიძულაო, DE ან მრავლობითის შემცველ დედანს ეყრდნობა, ანდა „სოფელი“ გააზრებული (გაპირთვებული) აქვს როგორც „სოფლის მცხოვრებნი“.

21,3 წარვიდეთ სათხევლობად B, წარვიდეთ BDE, CB-ს უკერს მხარს: *πορεύθητε εἰς τὰ ὄρη καὶ ἐκκεῖθεν ἔσται ἡ ἀνάστασις τοῦ υἱοῦ τοῦ ἀνθρώπου, ὅστις ἐκκεῖθεν ἔσται ἡ ἀνάστασις τοῦ υἱοῦ τοῦ ἀνθρώπου, ὅστις ἐκκεῖθεν ἔσται ἡ ἀνάστασις τοῦ υἱοῦ τοῦ ἀνθρώπου.* თვით B-ში ჯერ წარვიდეთ დაუწერილით, მაგრამ თ შემდეგ ამოუფხვკით. ექვთიმეს რედაქციის სხვა ორ (FG) ხელნაწერშიც მხოლოდითია — წარვიდეთ. გიორგისეული ევრსიის სამი ხელნაწერიდან (HIK) პირველ ორს უწერია წარვიდეთ, რაც ნიშნავს: ე კი არა, ეთ უნდა იყოსო, მესამეში მრავლობითია: წარვიდეთ. ხელნაწერების ეს ყოყმანი იმითაა გამოწვეული, რომ ტექსტის ნიშნავს მიმდინარეობის მიხედვით წარვიდეთ (ბრძ. ელო) უფროა მოსალოდნელი (წავიდეთ სათევზაოდ), ვიდრე წარვიდეთ (II კავშირებითი, თხრობითი — წავალ სათევზაოდ). თვით ბერძნულში მხოლოდითია: *ἐπιβῆτε τὰ ὄρη, ἵνα ἡ ἀνάστασις τοῦ υἱοῦ τοῦ ἀνθρώπου ἴσχυρῶς ἐκφανεῖται.*

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ პირისა და რიცხვის არჩევას უმეტეს შემთხვევაში BM ერთადაა, მათ სხვები (უმეტესად DE) უპირისპირდებიან ეს არაა შემთხვევითი. ტექსტის ანალიზის სხვა მონაცემები ამასვე ადასტურებენ. ამის ზოგი მაგალითი ზემოთ ვნახეთ უკვე. ზოგსაც ქვემოთ გავცნობით.

3. მწკრივები

მწკრივების მონაცვლეობა მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებული არაა. უფრო ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან შემდეგი მწკრივები:

- აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი წყვეტილი და II ბრძანებითი
- აწმყო და უწმვეტილი წყვეტილი და II ხოლმეობითი
- აწმყო და წყვეტილი წყვეტილი და II კავშირებითი
- აწმყო და I და II კავშირებითი II ხოლმეობითი და II კავშირებითი
- უწმვეტილი და წმვეტილი და სხვა.

I ბრძანებითი და II ბრძანებითი ამ შენაცვლებულ წყვილთაგან ზოგი უფრო ხშირად გვხვდება და თითქმის სისტემური ხასიათი აქვს, ზოგი — შედარებით ნაკლებად, ხოლო რამდენიმე მათგანი ძალზე იშვიათია. ყველა ამ წყვილის შენაცვლებას თავისი ახსნა მოეძებნება. რომ არაფერი ვთქვათ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითზე, რომლებიც წარამარა ენაცვლებიან ერთმანეთს და არც თუ ძნელი ასახსნელია, წმვეტილისა და უწმვეტილის



მონაცვლეობა გარკვეულ შემთხვევებში საყურადღებო ფაქტორებითაა გაპირობებული: ორივე წარსულ დროს გამოხატავს, ორივე თხრობითი კილოს გავრცელებული ფორმებია, ასპექტის განვითარების გარდამავალ საფეხურზე ორივემ შეიძლება ერთმანეთის მაგივრობა გასწიოს, ფუქემონაცვლე ზმნებში კი, შეიძლება ითქვას, ისინი ყველა წყვილზე მეტად ეწვეიან ერთიმეორის მაგივრობას. შდრ., მაგალითად: იტყოდა და თქუა, ეტყოდა და პრქუა, ლაღებდა და ლიღიდ-ყო და მრავალი სხვა. ახსნა და გამართლება მოუბოვება სხვებსაც, მაგრამ აქ ახლა მათზე ვერ შევჩერდებით (ამ სპეციალურ საკითხზე სხვაგან გვექნება საუბარი). აქ საკმარისი იქნება, აღვნიშნოთ მონაცვლე მწკრივთა მაგალითები. ამ ნიმუშებს ორ ჯგუფად გავყოფთ: ჯერ წარმოვადგინთ ისეთებს, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო ორი ხელნაწერი (BM) ერთად დგას, ერთსა და იმავე მწკრივშია, შემდეგ კი ისეთებს, რომლებშიც ჩვენი ხელნაწერები ცალ-ცალკე დგებიან, სხვადასხვა მწკრივებს განეკუთვნებიან. ორივე შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მათთან უმეტესად სხვა ხელნაწერების (CDE...) მონაცემებიც იქნება გვერდში დაყენებული—ხან BM-ის ჩვენების დასადასტურებლად, ხანაც მათ საწინააღმდეგოდ.

## A

BM

DE

6,39. მომცა BMC

მომცეს DE

შდრ. *მ ზმწახან მი, что он мне дал, die er mir übergaben.* მაშასადამე, მომცა უდგება დედანს და არა მომცეს. ეს მომცა გვაქვს კიდევ ექვთიმეს რედაქციის ორ სხვა ხელნაწერსა (FG) და გიორგის რედაქციაშიც.

6,45. ის წავთხ B, ისწაოხ MC

ის წავთხ DE

ასეა აგრეთვე FG-სა და HIK-შიც

6,51. რომელსა მე მივესცემ<sup>2</sup> MB...მივესცე<sup>2</sup> CDE

BM მიმართავს მომავალი დროის გამოხატვის ახალ სისტემას—ზმნისწინა აწმყოს. ეს არის ექვთიმეს (და გიორგის) რედაქციის ენის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება—სიახლე ენაში, ახალი ქართულის (გრამატიკული) ელემენტების ღრმად შეჭრა, ლექსიკის განახლება, სინტაქსის დახვეწა და გარტივება.

მივესცემ არის აგრეთვე FG და HIK-შიც.

6,63. გეტყოდე BMC

გეტყუ DE

ბერძნულში ორივე ამ წაკითხვას მოეპოვება საფუძველი, გვაქვს *λαλῶ* და *λεξιλέω*. რუსულსა და გერმანულ თარგმანებში აწმყო (говорю, rede). ექვთიმეს რედაქციის სხვა ორ (FG) ხელნაწერს, ცხადია, ამავე რედაქციის BM ხელნაწერების გეტყოდე აქვს გამოყენებული, გიორგის კი *λαλῶ*-ს ფარდი გეტყუ აუარჩევია.

7,2. რომელ არს კარვობისაჲ BM (=FGHIK), იყო DE

7,3. წარედ BM, მივედ C, წარვიდეთ DE. შდრ. *შპარე пойди, begib dich.* ყველგან II პირის ბრძანებითა. ასე გვაქვს აგრეთვე FG და HIK ხელნაწერებშიც (ექვთიმესა და გიორგის რედაქციებში).

9,2. რაათა ბრმაჲ იშვეს BM, რამეთუ ბრმაჲ იშვა CDE. FG და HIK ხელნაწერებიც იშვა-ს შეიცავენ. ეს თავისებური წაკითხვა მიანიც საინტერესოა ამ ორი ხელნაწერის მკვიდრო კავშირის გამოსაჩენად.



9,21. ეგე თავისა თვისათჳს თვთ იტყოდის BM, იტყოდენ DE. BM-ში I კავშირებითია—იტყვისო, DE ბრძანებითს ვეთავაზობს—თქვასო. ტექსტის შინაარსის მიხედვით ორივე გამართლებულია. C-ს მეორე ბრძანებითი აქვს გამოყენებული (თქუნ) და ამით DE-ს ეკედლება. FG და HIK კი აქაც, როგორც ზემოთ, DE-ს წაკითხვას იყენებენ (იტყოდენ).

9,35. შენ გრწამსა ძმ ღმრთისაჲ BM (გრწამს C), გრწამენ DE. ბერძნულშიც და სხვა თარგმანებშიც აწმყოა, თან ყველგან კითხვა ახლავს. DE-ს ბრძანებითი რაღაც გაუგებრობის შედეგია. FG და HIK, რა თქმა უნდა, BM-ის წაკითხვას იმეორებს.

10,2. შევალს BM შევალნ DE

ეს მონაცვლეობა ქართულ ნაღაზზეა წარმოშობილი. ჩვენი ორნაირი აწმოდან BM-მ ერთი გამოიყენა (აწმყო), მეორემ—მეორე (აწმყოს ხოლმეობითი). FG და HIK აქაც BM-ს ეყრდნობიან (C-ს II კავშირებითი გამოუყენებია — შევიდეს).

10,4. განიყვანნის BE, გამოიყვანნის M, განიყვანნეს D.

აქ II ხოლმეობითი და II კავშირებითი უპირისპირდება ერთმანეთს. ამათი შენაცვლება ძველ ქართულში ხშირია. ამ შემთხვევაში BM-ის წაკითხვა აღარ მეორდება FG-ში, რომელშიც D-ს განიყვანნეს აურჩევით, სამაგიეროდ გიორგისეულ ვერსიაში შესულა BE-ის განიყვანნის.

10,5. შეუდგენ BME შეუდგენ D

ბერძნულშიც მომივალი დროა გამოხატული: ἀλλοτρίοι δὲ οὐ μὴ ἀκολουθήσουσι, за чужим же не идут, einem Fremden aber werden sie nicht folgen. FG და HIK აქაც BM-ს მიჰყვებიან.

10,37. ნუ გრწამს BM ნუ გრწამს CDE

აქაც, როგორც ზემოთ (10,2), შენაცვლების ნიღაგი წმინდა ქართულია. ოლონდ ახლა აწმყოს ფორმა DE-ს გამოუყენებია, აწმყოს ხოლმეობითი კი — BM-ს. FG და HIK აქაც BM-ს მისდევენ.

11,27. მე მრწამს BMC მრწამენა DE

ბერძნული πιστεύω აქ DE-ს უჭერს მხარს, მაგრამ ვარიანტებში ნაჩვენები πιστεύω BMC-ს ამართლებს. ასევე აწმყოა რუსულსა და გერმანულშიც: я верую, ich glaube. FG და HIK = BMC.

12,26. უკუეთუ ვინმე მე მმსახუროს, პატივსცეს მას მამამან ჩემმან BMC, მსახურებდეს DE. ამ მუხლის დასაწყისში კიდევ არის ნახმარი ეს ზნა (მმსახურებდეს). ბერძნულში ორივე ერთი ფორმით გვხვდება (δυνασται), რუსულშიც (служит). ქართულშიც BCM-ს გარდა ყველას ერთა სახე აქვს—მმსახურებდეს. მხოლოდ BMC-ს შეუცვლია მეორე შემთხვევაში I კავშირებითი II კავშირებითით. ეს მაგალითიც ხაზს უსვამს BM ხელნაწერთა ტექსტის ერთნაირ წარმომავლობას. მეორე მხრივ, ხელშესახებია მათი კავშირი აღიშნის ოთხთავთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი DE-ს ეთიშებიან და ცალკე დგანან. FG და HIK ხელნაწერები აქ DE-ს მიჰყვებიან (მმსახურებდეს—ორივეგან).

13,8. არა გაქუს ნაწილი ჩემ თანა BM, გაქუნდეს CDE.

ბერძნულში აწმყოა (οὐκ ἔχεις), რუსულშიც (не имеешь), გერმანულშიც (so hast du keinen Teil mit mir). ექვთიმესეული რედაქციის ორი სხვა (FG) ხელნაწერი, რა თქმა უნდა, აქ BM-ს მისდევს, გიორგის კი ამ შემთხვევაში არ გაუზიარებია ექვთიმეს ნახელავი და CDE-ს წაკითხვა (გაქუნდეს) აურჩევია, რაც

იშვიათად ხდება: გიორგი ეჭვითმის მიერ შეცვლილ წაკითხვებს ჩვეულებრივ უყოყმანოდ ტოვებს, ეს ხანდახან მაშინაც ხდება, როცა დიდი წინაპრის მიერ შემოთავაზებული თარგმანი არაა ზუსტი და სიქმის ნამდვილ ვითარებას არ შეეფერება. აქაც ასეა.

15,8. ამით იდიდოს მამად ჩემი BM, იდიდა CDE.

ყველგან მომავალი დროა ამ ადგილას: შდრ. *блженъ, прославится, wird verherrlicht*. FG და HIK ხელნაწერებშიც იდიდოს იკითხება; ამიტომ CDE-ს „იდიდა“ არაზუსტი და მიუღებელი თარგმანია.

21,2. რომელსა ერქუა მარჩხივ BMCE, პრქჳან D. ყველა ქართულ ხელნაწერში, რომელსაც ჩვენ აქ ვიყენებთ (ABCDEFGHIK), ერქუა იკითხება. გამონაკლისია ერთადერთი, ჯრუჭის ოთხთავი (D), რომელიც ამის ნაცვლიდ პრქჳანს გვთავაზობს. ბერძნულის *λεγομενα*-იც ერქუას უჭერს მხარს.

21,8. სხუანი მოწაფენი ნავითა მოვიდეს BMD, მოვიდოდეს CE.

FG, მოლოდინის წინააღმდეგ, არ იმეორებს BM-ს, არამედ CE-ს ეყრდნობა (მოვიდოდეს), გიორგისეული HIK კი „მოვიდეს“ ფორმას აძლევს უპირატესობას (შდრ. ბერძნული *ἦλθον*).

21,12. მოვლით, ვისადილნეთ BMC, ისადილენით DE. ამის შესახებ, ზმნის პირთან დაკავშირებით, ჩვენ ზემოთ გვაქვს მსჯელობა (გვ. 179) და აქ აღარ ვაფიქრობებთ. BMC-ს წაკითხვა, ბუნებრივია, განმეორებულია ექვთიმესეული რედაქციის ორ სხვა (FG) ხელნაწერში, ხოლო გიორგის აურჩევეია DE-ს „ისადილენით“, რომელიც ბერძნული *δευτε δευτε*-ს ზუსტი თარგმანია.

**B**

B

M

2,9. ალაესნეს BDE

ალევსნეს M

FG და HIK = BDE.

3,8. გესმინ B

გესმის MCDE

შენაცვლება ქართულ ნიადაგზეა (ნ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 183). FG-ს როგორც მოსალოდნელი იყო, გესმინ მოეპოვება, ხოლო გიორგის გესმის აურჩევეია.

3,20. იქმს B

იქმს MCDE

„ სძულს B

სძულს „

„ მოვალს B

მოვიდის „

აქ მწკრივთა მონაცვლეობა ქართულ ნიადაგზეა მომზადარი: B-ში აწმყო გვაქს, ხოლო MCDE-ში—აწმყოს ხოლმეობითი (პირველ ორ მხვალითში) და II ხოლმეობითი (მესამეში). სხვა ენებში აწმყო გვაქვს მხოლოდ (*μᾶσεν ჰერჯესა, пенавидит, идет, handelt, scheuet, kommt*), სხვა მწკრივი იქ არცაა მოსალოდნელი ამ შინაარსისათვის. ექვთიმესეული რედაქციის ორი სხვა ხელნაწერი პირველ ორს აწმყოში ხმარობს, მესამეს—II ხოლმეობითში (იქმს, სძულს, მოვიდის), გიორგი უფრო თანამიმდევრულია, ყველას აწმყოს ფორმით იყენებს (იქმს, სძულს, მოვალს).

3,29. უხარინ BE

უხარის MD

FG, მოლოდინის წინააღმდეგ, უხარის ფორმას წარმოვიდგენს, გიორგიც ამასვე უჭერს მხარს.

3,34. მოსცა B მოსცის MDE

C-საც წყვეტილი აქვს, ოღონდ მი ზმნისწინით (მისცა), ხოლო FG და HIK მოსცა-ს იმეორებენ.

4,45. მოვიდოდა B, მოვიდა MDE, მოვიდა C. უწყვეტელი სხვაგან აღარ მეორდება: FG-სა და HIK-საც წყვეტილი გამოუყენებიათ, პირველს მო, ხოლო მეორეს მი ზმნისწინით (მოვიდა, მივიდა). გეზისა და ორიენტაციის ეს ნიუანსი ბერძნულსა და სხვა ევროპულ ენებში არა ჩანს.

5,7. რაეამს წყალი ესე აღირღღუეს BDE, აღიმრღღუეს C, აღიმრღღუს M. შდრ. *Μταν ταρραχμψ τθ σθθρ, κογδα βοσμυτθτθσρ βοδα.* ამის მიხედვით II კავშირებითის ფორმაა უფრო შესაფერისი, როგორც ეს აქვს კიდევაც მოცემული FG და HIK ხელნაწერებს (აღიმრღღუეს).

5,23. მან პატეც-სცა მამასა B, პატეც-ცეს MDE.

შდრ. *σν τμψ τθν πατθρα.* FG და HIK-ც B-ს მიჰყვებიან (პატეც-სცა).

5,45. მე შეგასმინენე თქუნ მამასა BDE, შეგასმინენ M. ბერძნული *εγθ αατηγθρησθ* და სხვა ვერსიები (*я гуду обвиняеть вас*) უჩვენებს, რომ სწორი თარგმანია შეგასმინენე (მომავალი დრო), ხოლო წყვეტილის ფორმა შეგასმინენ აქ არ შეეფერება. ამ მიუღებელ შეგასმინენ-ს იცავს აგრეთვე F ხელნაწერი, სხვები (C და HIK) სწორ შეგასმინენ-ს გვაწვდიან.

6,45. ესმა BDE, ესმეს MC.

შდრ. *θ ααισσασα,* რაც „ესმეს“-ს ამართლებს. კავშირებითი აქვს სწორედ F და HIK ხელნაწერებს, G-ს კი წყვეტილის ესმა უხმარია.

12,6. აქუნ B, აქუნდა MDE.

შდრ. *შჯων, σθ იმელ,* რაც აქუნდა-ს უქერს მხარს. სწორედ ეს აქუნდა არის წარმოდგენილი FG და HIK ხელნაწერებში.

13,20. მე შემიწყენარა B, შემიწყენაროს<sup>1</sup> MCDE.

შდრ. *λαμθμθναι,* რაც წყვეტილის ვერ ეკუთვნის. ამიტომ სწორია II კავშირებითის შემიწყენაროს. სწორედ ეს შემიწყენაროს გვაქვს ჩვენ აგრეთვე FG ხელნაწერებში. გიორგის მომავალი დროის გამომხატველი ამ ძველი ფორმის ხაცვლად ახალი სისტემის ზმნისწინიანი აწყობა შემოუტანია: უკუეთუ ვინმე შეიწყენაროს, რომელი მე მივაფინო, მე შემიწყენარებს, და რომელმან მე შემიწყენაროს, შეიწყენარებს მომავლინებულსა ჩემსა HIK. აღსანიშნავია, რომ ორი მაგალითი ახალი წესის მიხედვით არის ნაწარმოები (შემიწყენარებს, შეიწყენარებს), მაგრამ ორი ძველესობად დაუტოვებია (შეიწყენაროს, შემიწყენაროს). ყველა ოთხივე მაგალითის ახალი სისტემის მიხედვით შეცვლას ვერ ბედავს.

13,29. ივიდე, რაფ-ივი გკკმდეს BCE, გკკმს M.

M-ს გარდა, ყველგან I კავშირებითის ფორმა (გკკმდეს) გვაქვს; სწორედ ეგვევ ფორმა აქვთ დაცული FG და HIK ხელნაწერებს.

14,31. აღდევით და წარვიდეთ ამიერ BC, წარვედით MDE.

ამ ფორმის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა პირთან დაკავშირებით (გვ. 179). ბერძნულში და სხვაგანაც არის I პირის (მრ. რ.) ბრძანებითი, რომელიც ქართულში II კავშირებითით გამოიხატება (წარვიდეთ). II პირის ბრძანებითი აქ არაფერ შუაშია. აღსანიშნავია, რომ ეს სწორი ფორმა არა გვაქვს ჩვენ ექვთიმესელის რედაქციის ორ სხვა ხელნაწერში (FG), არც გიორგის რედაქციის ორ



(IK) ნუსხებში, იგი, BC-ს გარდა, მოეპოვება მხოლოდ გიორგისეული რედაქციის H (ენის) ოთხთავს.

15,6. განვარდა ვარე BCD, განვარდეს ME.

შდრ. *ჰქჰჰჰე ჰქჰ, извергнется вон, wird hinausgeworfen.* აქ ყველან მობავალი დროა განიხილული, ამიტომ სწორი თარგმანი განვარდეს, რაც აღნიშნულთ გარდა, გვაქვს კიდევაც FG და HIK ხელნაწერებში.

15,7. ითხოვეთ, და გვეოს თქვენ BDE, ითხოვეთ M.

შდრ. *აქჰჰჰჰჰე, просите, so bittet.* ყველგან ბრძანებითის ფორმა გვაქვს, გარდა ერთადერთი M-ისა. C-ს II ბრძანებითის ნაცვლად I ბრძანებითი გამოუყენებია—ითხოვდით. ხოლო FG და HIK=BDE (ითხოვეთ).

15,14. უკუეთუ ჰყოფდეთ BCDE, ჰყოთ M.

FG-სა და HIK-ს სწორედ ეს მეორე კავშირებითის ფორმა (ჰყოთ) მიუღიათ.

16,3. არა იცნეს მამა ჩემი BCD, იციან ME.

FG და HIK აქაც ME-ს ეყრდნობიან (იციან).

16,7. მე ჰეშმარტსა გეტყოდე თქვენ B, გეტყვ MCDE.

შდრ. *აქჰჰ, говорю, sage.* საქმე ენება ახლანდელ დროს, ამიტომ გეტყვ იქნება სწორი თარგმანი. ეს გეტყვ მიუღია გიორგის, ხოლო ექვთიმესეული რედაქციის ორ სხვა (FG) ნუსხაშიც, ბუნებრივია, გეტყოდე იციანება.

16,24. არარაა გაითხოვიეს BDE, ითხოვეთ MC.

FG და HIK=BDE (გითხოვიეს).

19,40. ვითარცა ჩვეულვება არს BDE, ჩვეულვება იყო M.

FG და HIK=BDE (...არს).

20,29. რომელთა არა უხილავ BCDE, ვეხილვო M.

ვეხილვო, ბუნებრივია, FG-ში მეორდება; იგი ამაღილას პირველად ხან-მეტ ლექციონარში გვხვდება (ხუხილვო). გიორგის უპირატესობა I თურმეზობისათვის მიუცია და თავის რედაქციაში უხილავ შეუტანია.

4. ფონეტიკური მოვლენის გრამატიზაცია

დასასრულ, აქ უნდა შევეხოთ, არსებითად რომ ვთქვათ, ერთ ფონეტიკურ მოვლენას, რომელიც ენას გამოყენებული აქვს ორი გარეგნულად მსგავსი მწარედის ვასარჩევად. საქმე ენება სლვა ზმნის ისეთ ფორმებს, როგორცაა: მოვედ, წარვედ. შევედ, შთავედ და მისთანანი.

მოვედ, წარვედ... ზმნის II პირის მეორე ბრძანებითი, როგორც ცნობილია, ემთხვევა წყვეტილას I პირს: მოვედ, მივედ, წარვედ, შევედ, ვარდავედ მე (წყვეტილი=მოვედი, მივედი, წარვედი...) და მოვედ მივედ, წარვედ, შევედ, ვარდავედ შენ (II პირის მეორე ბრძანებითი=მოდი, შიდი, წადი...). ასეა მრავლობითნიც: მოვედით, მივედით, წარვედით... წყვეტილიცაა და ბრძანებითიც. გარჩევა მხოლოდ კონტექსტის საშუალებითაა შესაძლებელი, ამასთვის სხვა, გარეგანი, მორფოლოგიური ნიშანი არ არსებობს. ეს ზმნა, თავისი შინაარსის გამო, ძალიან ხშირად იხმარება ენაში, ამიტომ უფრო მეტია საჭიროება, გარეგნულადაც ვარჩეულ იქნეს წყვეტილისა და ბრძანებითის (I და II პირის) ფორმები. ამ აუცილებლობის გამო ენაშიც ჩნდება სათანადო საშუალება, რომელიც არსებითად ფონეტიკურ საფუძველს ეყარება: ერთ შემთხვევაში მოვედ-ში ო—ე ხმოვნებს შორის მოხვედრილი გინი იკარგება: მოვედ→მოედ. შდრ. ანალოგიური მაგალითები სხვა ზმნებში:



კპოვებ→გპოვებ, ჰპოვე→ჰპოვ, ვსაზოვე→ვსაზოვ, სთზოვე→სთზოვ. ეს ფონეტიკურად ზურგავამაგრებული მოვლენა მერმე სხვა შემთხვევებზედაც გავრცელდა და გააქვს წყვილ-წყვილი ფორმები: მივედ და მიედ, შევედ და შეედ, გარდავედ და გარდაედ, განვედ და განედ, წარვედ და წარედ. ასე მრავლობითშიც: მივედით და მიედით, წარვედით და წარედით და სხვა.

მაგრამ რომელს უნდა გამოეყენებინა ვინიანი მოვედ და რომელს უვინო მოედ?

ვინიანი ფორმები წყვეტილმა დაიტოვა (მოვედ მე), უვინო II ბრძანებითმა დასაკუთრა (მოედ შენ—მოდი). ეს შემთხვევით არ მომხდარა. ვინიანი მაგალითები მოქმელსა და დამწერს თავისი ზმნისწინის მომდევნო ვინით პირველი სუბიექტური პირის ნიშანს (საერთოდ პირველ პირს) მოაგონებდა. ამ ვინს პირველი პირის კუთვნილებად აღიქვამდა. ამიტომ ასეთ ფორმებს მხოლოდ წყვეტილში იყენებდა: მოვედ მე, წარვედ მე, განვედ მე. უვინო ფორმები, ცხადია, II ბრძანებითისათვის ჰქონდათ განკუთვნილი: მოედ შენ, წარედ შენ, განედ შენ.

აქ დაგუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ მოვედ, წარვედ და მსგავსი ფორმები წყვეტილში დგას, ე. ი. პირველ სუბიექტურ პირს უჩვენებს, ვინი თავის ადგილზეა ყველგან და არასოდეს არ იკარგება, მაგალითად: გამოვედ მ. 12,44; ლ. 11,24; ი. 8,42; 16,27,28; 17,8; მივედ ი. 9,11; მოვედ მ. 5,17; 9,13; 10,34; მრ. 2,17; ლ. 5,32; 10,35; 12,49,51; ი. 1,31; 5,43; 8,14; 10,10; 12,27, 47; 15, 22; შო-მცავედ მ. 25,27; ლ. 19,23; წარვედ მ. 25,25. ეს მაგალითები კარგად უჩვენებს, რომ ვ-ს შენარჩუნებას წყვეტილის ფორმებში უმთავრესად ის ვითარება განაპირობებს, რომ აქ ფორმა გამოხატავს I სუბ. პირს, რომლის ნიშანიც საერთოდ ვ არის. აქაც ფუძისეული ვ ფორმის პირველ პირად აღქმას ძალიან უწყობს ხელს.

ასეთ განაწილებას ჰქონდა კიდევ მეორე საფუძველიც: ბრძანებითის წარმოთქმას ყოველთვის ახლავს თან განსაკუთრებული ინტონაცია და ხმის ძლიერი აბაღლება. ამას ჩვეულებრივ შედეგად მოსდევს სიტყვის უმანგილო ნაწილის დაკარგვა. შდრ. დღევანდელი მოდი, რომელიც ძველი ქართულის მოვედ-საგანა მიღებულია: მოვედ→მოვედი→მოდი, წარვედ→წარვედი→წალი; მოიტანე→მოიტა, დაცადე→დაცა, დახედე→დახე, დაესენ→დაე და სხვა მრავალი.

რომ ამ უკანასკნელ მომენტს გარკვეული წილი უძევს ვ-ს დაკარგვაში, ამას ამტკიცებს იმავე ვ-ს ამოყარდნა II ბრძანებითის შესამე პირის ფორმიდან: გარდა მოედინ (მ. 27,42 M), რომელიც მხოლოდ შესამე პირს მიემართება და სხვასთან არა აქვს რა საზიარო. მართალია, აქ ვ ყოფილა და მერმე ამოუფხეკიათ, მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს ამოფხეკა არაფერს ამბობს წარმოდგენილი დებულების საწინააღმდეგოდ: ხომ დაწერა იგი ქართველმა კაცმა?! მეორე: ასეთი ამოფხეკილი მაგალითები საზიარო ფორმებშიც გვხვდება: იმავე ხელნაწერში ჯერ დაუწერიათ მოვედით (მ. 28,6M), მაგრამ შემდეგ ვ ამოუფხეკიათ. ვინის ჯერ დაწერა და მერმე ამოფხეკა (ვისაც უნდა ამოუფხეკოს იგი) მხოლოდ ყოყმანს და ორიდან ერთის არჩევის სურვილს უჩვენებს, ე. ი. ორი შესაძლებლობიდან ერთის მიღებას. თვით ორი ვზა ფაქტია.

აქ აღწერილი მოვლენა მკვეთრად დამახასიათებელია ორივე ჩვენი ხელნაწერისათვის. ვერ ვიტყვი, რომ ეს წესი თავიდან ბოლომდე გატარებული იყოს ზედმიწევნით თანმიმდევრულად და უგანონაკლისოდ, მაგრამ ის კი შეიძლება აღინიშნოს, რომ ასე ფართოდ, ასე მრავალფეროვნად (ყველა ზმნისწინით, მხოლობითში, მრავლობითში) ეს საინტერესო მოვლენა ჩვენ სხვაგან არ გვინახავს.

ამდენ ხანს მსგავს მავალითებს აღიშის ოთხთავიდან ვიცნობდით, მაგრამ ახლა თუ ჩვენს ხელნაწერებთან შედარებით მკრთალად გამოიყურება. BM-ში ეს არსებითად ფონეტიკური მოვლენა მორფოლოგიურ-გრამატიკული ფუნქციითაა აღქმული და თითქმის სისტემის ხასიათს ატარებს. მართალია, B ხელნაწერის მათესა და მარკოზის თავებიდან მხოლოდ ერთი მავალითია დადასტურებული (წარედით მრ. 16.7 B), მაგრამ მგონია, რომ ეს გამოცემის უზუსტობის ბრალია. ხოლო თუ აქ გამოცემა არ ცოდავს და ხელნაწერის აღნიშნულ თავებში სხვა მსგავსი მავალითი არ არის, მაშინ ეს ორი სხვადასხვა სახეობა ორი გადამწერის ნახელავად უნდა მივიჩნიოთ (ანდერძში გადამწერებად მოხსენებულია დავით ოშკელი და არქიპოს. ჩვენ მაინც პირველი დაშვება გვგონია სინამდვილესთან უფრო ასლთ მდგომი: წარედ შოედ და მისთანანი მათესა და მარკოზის თავებშიცაა მოსალოდნელი).

ახლა აღვსახავთ ბრძანებითის მავალითებს, რამდენადაც ამის საშუალებას B ხელნაწერის მათესა და მარკოზის გამოცემული თავები იძლევა (სხვა მასალა უდავო უნდა იყოს).

#### გ ა შ ო ვ ე ლ , გ ა მ ო ე ლ

გამოელ ი. 11,43 B, გამოველ M

გამოედით ლ. 9,4 BM

#### გ ა ნ ე ე ლ , გ ა ნ ე ლ

განველ მრ. 1,25; 5,8 BM

განელ ლ. 4,35 B. განველ M

„ „ 5,8 „ „ „

„ „ 13,31 „ „ „

„ „ 14,21,23 „ „ „

გ ა რ დ ა მ ო ე დ ი ნ მ. 27,42 M (გარდამოწედინ B)

#### მ ი ვ ე ლ , მ ი ე ლ

მიველ მ. 5,24 B, მიედ M

მიველ მ. 18,15 BM

„ მრ. 1,44 „

მიედ ლ. 14,10 B, მიველ M

მივედით მ. 2,8 B, მიედით M

„ „ 8,32 „ „

„ „ 10,6 BM

„ „ 11,4 „ მიედით M.

ახლა მოვიყვანთ თვით ტექსტს.

## (236) სახარება იოჰანეს თავისად<sup>1</sup>

### 1

1. პირველითგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთ იყო სიტყუად იგი.
2. ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა.
3. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რათლენი-რაჲ იქმნა.
4. მის თანა ცხოვრებაჲ იყო და ცხოვრებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა.
5. და ნათელი იგი ზნელსა შინა ჩას, და ზნელი მას ვერ ეწია.
6. იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოვანე.
7. ესე მოვიდა მოწამედ, რადთა წამოს ნათლისა მისთვის, რადთა ყოველთა პრწყენეს მისგან.
8. არა თვთ იგი იყო ნათელი, არამედ რადთა წამოს ნათლისა მისთვის.
9. იყო ნათელი ქვეშაირიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომა-ვალსა სოფლად.
10. სოფელსა შინა იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა.
11. თვსთა მოვიდა, და V თვსთა იგი არა შეიწყნარეს.
12. ხოლო რათლენთა-იგი შეიწყნარეს, მოსკა მათ ტელმწიფებაჲ შეიღ ღმრთისა ყოფად, რომელთა პრწყმს სახელი მისი.
13. რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა გორცთაჲთა, არცა ნებითა მა-მაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშენეს.
14. და სიტყუად იგი გორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ ზოგრის<sup>2</sup>, და ვისილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდ-შობილისაჲ მამისა მიერ, საესმ მადლითა და ქვეშაირიტებითა.
15. იოჰანე წამა მისთვის, ღალიდ-ყო და თქუა: ესე არს, რომელისათვს-იგი ვთქუ: რომელი ჩემსა შედგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ ჩემსა არს.
16. რ<sup>3</sup> საესებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიდეთ მადლი მადლისა წილ.
17. რამეთუ მჯული მოსესგან მოგუეცა, ხოლო მადლი და ქვეშაირიტებაჲ იესუ ქრისტეს მიერ იქმნა.
18. (237) ღმერთი არასადა ვინ იხილა, არამედ მხოლოდ-შობილმან ქემან<sup>3</sup>, რომელი იყო წიალთა მამისათა, მან გამოთქუა.

<sup>1</sup> სახარებაჲ იოჰანეს თავისად თავი B.

<sup>2</sup> შ<sup>2</sup> B.

<sup>3</sup> ქემანღმერთმან B.

19. და ესე არს წამება იოჰანსი, ოდეს მიველინეს მისა ჰტრიათა იერუსალმით მდღელნი და ლევიტელნი, რაათა ჰკითხონ მას, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? 20. ხოლო მან აღიარა და არა უვარ-ყო; აღიარა, ვითარმედ: მე არა ვარ ქრისტე.

21. და მათ ჰკითხეს მას: და ვინ უკუე ხარ შენ? ელია ხარა? და მან თქუა არა; წინაწარმეტყუელი იგი ხარა? და მიუგო: არა.

22. და ჰქუეს: გვთხარ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაათა სიტყუაჲ მივართუათ მომავლინებელთა ჩუენთა, რასა იტყუ შენთვის?

23. და თქუა: მე—გმაჲ ლაღადებისაჲ უღიბნოსა: წარჰმართენით გზანი უფლისანი, ვითარცა თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან.

24. და მიველინებულნი იგი იყვნეს ფარისეველთაგანნი.

25. (V) ჰკითხეს მას და ჰრქუეს: და რაჲსათვის ნათელ-სცემ შენ, უკუეთუ არა ხარ ქრისტე, არცა ელია, არცა წინაწარმეტყუელი იგი?

26. ჰრქუა მათ იოჰანე: მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მოგვის<sup>1</sup> თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით,

27. რომელი ჩემსა შენდგომად მოსლევად არს, რომლისა არა ვარ ღირს, რაათა განუჰქსნენ საბელნი ვამლთა მისთანი.

28. ესე ბეთაბრას იყო, წიად იორდანესა, სადა-იგი იყო იოვანე და ნათელ-სცემდა.

29. ხვალისაგან იხილა იესუ, მომავალი მისა, და თქუა: აჰა კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი.

30. ესე არს, რომლისათვის-იგი მე ეთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირადესი ჩემსა არს.

31. მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაათა გამოეცხადოს ისრაელსა, ამისთვის მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემაჲდ.

32. (288) წაჰა იოვანე და თქუა, რამეთუ: ვიხილე სული ღმრთისაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამომავალი ზეცით, და დაადგრა მას ზედა.

33. ხოლო მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემაჲდ წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მას ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-სცეს სულითა წმიდითა.

34. და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისაჲ.

35. ხვალისა დღე დგა კჳალად იოვანე<sup>2</sup> და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.

36. და მიხედა იესუს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა ქრისტე, ტარიფა ღმრთისაჲ.

37. და ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა, იტყოდა რაჲ ძმას, და მისდევდეს იესუს.

38. მოექცა იესუ, იხილნა ივინი, მი-რაჲ-სდევდეს მას, და ჰრქუა მათ: რასა ეძიებთ? ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაბი (რომელ ითარგმანების მოძღუარ), სადა იყოფი?

39. ჰრქუა მათ: მოედით (V) და იხილეთ. და მივიდეს და იხილეს, სადა იყოფოდა, და მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა. და ესამი იყო ვითარ მეთა.

40. იყო ანდრეა, ძმაჲ სიმონ-პეტრუსი, ერთი ორთაგანი, რომელთა ესმა იოვანესგან, და მისდევდეს მას.

<sup>1</sup> უს B. 2 თვან B.



41. პოვა ამან პირველად ძმად თვისი სიმონ და პრქუა მას: ებოვეთ მესია, რომელ არს თარგმანებით „ქრისტე“.

42. ამან მოიყვანა იგი იესუსა. მიხედა მას იესუ და პრქუა: შენ ხარ სიმონ, ძმ იონასი, შენ გეწოდოს კეფა, რომელ ითარგმნებს „კლდე“.

43. ხეაღისაგან უნდა განსლვაჲ გალილეად და პოვა ფილიპე და პრქუა მას იესუ: მომდედე მე.

44. ზოლო იყო ფილიპე ბეთსაიდაით, ქალაქისაგან ანდრეასა და პეტრსა.

45. პოვა ფილიპე ნათანაელი და პრქუა მას: როიელი დაწერა მოსე (239) შეჯღალა და წინაწარმეტყუელთა, ებოვეთ: იესუ, ძმ იოსებისი, ნაზარეთით.

46. პრქუა მას ნათანელ: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაჲსმე ყოფილ? პრქუა მას ფილიპე: მოედ და იხილე.

47. იხილა რაჲ იესუ ნათანელი, მომიადი მისა, და თქუა მისთვის: აჲ კემ-მირიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუეჲჲ არა არს.

48. პრქუა მას ნათანელ: ვინაჲ მიცი მე? მიუგო იესუ და პრქუა<sup>1</sup> მას: პირველ ვიდრე ფილიპესა გამოიხდმდე შენდა, იყავ რაჲ ლელუსა ქუქუმე, გიხილე შენ.

49. მიუგო ნათანელ და პრქუა მას: რაზი, შენ ხარ ძმ ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფე ისრაელისაჲ.

50. მიუგო იესუ და პრქუა მას, რამეთუ: გარქუ შენ, ვითარმედ: გიხილე ლელუსა ქუქუმე, და გრწამს. უფროს ამისსა იხილო.

51. და პრქუა მათ: ამენ ამენ გეტყვ თქვენ: იხილნეთ ცანი განსუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღნავალნი და გარდამომაველ(ვ)ნი ძესა ზედა კაცისსა.

## 2

1. და მესამესა დღესა ქორწილი იყო კანას გალილეაჲსსა, და მუნ იყო დე-დაჲ იესუსა.

2. მიხადეს იესუს და მოწაფეთა მისთა ქორწილისა მას.

3. და ვითარ მოაკლდა ღვინოჲ, პრქუა იესუს დედამან მისმან: ღვინოჲ არა აქუს.

4. პრქუა მას იესუ: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა მოწვენულ არს უამი ჩემი.

5. პრქუა დედამან მისმან მსახურთა მათ: რაჲცა გრქუს თქუნ, ყავთ.

6. იყვნეს მუნ სარწყულნი ქვისანი მდგომარენი ეჯუსნი, მსგავსად განწმედისა მის ჰურითაჲსა, რომელთა შთაასხიან საწყაული ორ-ორი გინა სამ-სამი.


7. და პრქუა მათ იესუ: აღავსენით სარწყულნი ეგე წყლითა! და აღავსნეს იგინი პირსპირ.

8. და პრქუა მათ: აღმოავსეთ აწ და მო(240)ართეთ პურისა უფალსა! ზოლო მათ მოართუეს.

9. და ვითარცა გემოჲ იხილა პურისა უფალმან წყალი იგი, რომელ ღვინო იქმნა, და არა უწყოდა, ვინაჲ იყო, გარნა მსახურთა მათ უწყოდეს, რომელთა აღავსნეს წყლითა, მოუწოდა პურისა უფალმან სიძესა მას

10. და პრქუა: ყოველმან კაცმან კეთილი ღვინოჲ პირველად წარმოდგის და, ოდეს დაითრენიან, მაშინ უჯერსიცა. ზოლო შენ დამპარხე ღვინოჲ კეთილი აქა-მომდე.

<sup>1</sup> რქა B (ჩვეულებრივ: პრქა).



11. ესე ქმნა დისაბიმიად სასწაულთა იესუ კანას ვალილეასასიდა: განთავსა და დიდებაჲ თვისი. და ჰრწმენა მისი მოწაფეთა მისთა.

12. ამისა შემდგომად შთავიდა იესუ კაპერნაუმად, იგი და ღვინაჲ მისი და ძმანი მისნი და მოწაფენი მისნი მის თანა, და მუნ დაიდგრა არა მრავალ დღე.

13. და მოახლებულ იყო პასკაჲ იგი ჰურიათაჲ, და აღვიდა (V) იესუ იერუსალმად.

14. და პოვა ტაძარსა მას შინა მოფარდული ზროხათა და ცხოვართა და ტრედთაჲ და მეკერმენი მსხდომარენი.

15. და ქმნა შოლტი საბღოსიჲ და ყოველი განთასხა ტაძრით: ზროხიჲ და ცხოვარი; და კერძის მწყველთა მათ დაუთხია კერძაჲ და ტაბლები იგი დაუმტუა.

16. და ტრედის მოფარდულთა მათ ჰრქუა: აღდგეთ ესე ამიერ და ნუ ჰყდდთ სახლსა მიმისა ჩემისასა სახლ საფავრო.

17. და მოეცენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ წერილ არს: შურმან სახლისა შენისამან შენებაჲ მე.

18. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუნ, რამეთუ ამას იქმ?

19. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაჰცხენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგი.

20. ჰრქუეს მას ჰურიათა: (241) ორმოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე, და შენ სამთა დღეთა აღადგინო ეგი?

21. ხოლო იგი იტყოდა ტაძრისათჳს გუამისა თვისისა.

22. და ოდეს აღდგა მკუდრებით, მოეცენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ ამისთჳს იტყოდა, და ჰრწმენა წიგნისაჲ და სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მათ იესუ.

23. და ოდეს იყო იგი იერუსალმს პასქასა მას დღესასწაულსა, მრავალთა ჰრწმენა სახელისა მისისაჲ, რამეთუ ხედიდდეს სასწაულთა მისთა, რომელთა იქმოდა.

24. ხოლო თვით იესუ არა არწმუნებდა მათ თავით თვისით, რამეთუ ყოველთა იცოდდეს იგი.

25. და არა უქმდა, რაჲთა წამოს ვინმე კაცისა მისთჳს, რამეთუ მან თვით იცოდა, რაჲ იყო კაცისა მის თანა.

### 3

1. იყო ვინმე კაცი ფარისეველთაგანი, სახელით ნიკოდემოს, მთავარი ჰურიათაჲ.

2. ესე მოვიდა ღამე (V) იესუასა და ჰრქუა მას: რაბი, ვიცი, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღუარად, რამეთუ ვერვის გელ-ეწიფების სასწაულთა ამათ საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკუეთუ არა ღმერთი იყოს მის თანა.

3. მიუგო იესუ და რქუა მას: ამენ ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ გელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისაჲ.

4. ჰრქუა მას ნიკოდემოს: ვითარ გელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუ უკუე შესაძლებელ არსა მუცელსა დედისა თვისისასა შესღვად და მგორედ შობად?

5. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყჳ შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ გელ-ეწიფების შესღვად სასუფეველსა ღმრთისასა.

6. შობილი იგი ჯორცთაგან ჯორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს.

7. ნუ გიკვრან ესე, რამეთუ გარკუ თქუენ, ვითარმედ: ჯერ-არს თქუენდა მეორედ (242) შობაჲ.

8. სულსა ვიდრეცა უნებნ, გრინ, და ვმაჲ მისი გესმინ, არამედ არა იცით, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრტო არს ყოველი შობილი სულსაგან.

9. მიუგო ნიკოდემოს<sup>1</sup> და ჰრქუა: ვითარ შესაძლებელ არს ესე ყოფილ?

10. ჰრქუა მას იესუ: შენ ხარ მოძღუარი ისრაელისაჲ და ესე არა იცია?

11. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ: რომელი ვიცით, ვიტყვთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა ჩუენსა არა შეიწყნარებთ.

12. უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხარ თქუენ, და არა გრწამს, უკუეთუ ზეცისაჲ გითხრა, ვითარ-მე გრწამენს?

13. და არავინ აღჯდა ზეცად, გარნა რომელი გარდამოჯდა ზეცით—ძმ კაცისაჲ.

14. და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უღაბნოსა, ვგრტო ჯერ-არს აღმადღებდა ძისა კაცისაჲ.

15. რაჲთა რომელთა ჰრწმენეს იგი, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ.

16. რამეთუ ესრტო შეიყუარა დემეტრიან სოფელი, ვითარმედ ძმცა თვისი მხოლოდ-შობილი (v) მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი. არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ.

17. რამეთუ არა მოავლინა დემეტრიან ძმ თვისი სოფლად, რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა ცხომდეს სოფელი მის მიერ.

18. რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დასაჯოს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ ძისა დემეტრისა.

19. და ესე არს საშველი, რამეთუ ნათელი მოივლინა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ზნელი უფროჲს, ვიდრეღა ნათელი, რამეთუ იცნეს საქმენი მათნი ბოროტ.

20. რამეთუ ყოველი რომელი ბოროტსა იქმს, სძულს ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რაჲთა არა ემხილნენ საქმენი მისნი.

21. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტსა, მოვიდის ნათელსა, რაჲთა ცხად იცნენ საქმენი მისნი, რამეთუ დემეტრისა მიერ ქმნულ არიან.

22. ამისა შემდგომად მოვიდა იესუ და (243) მოწაფენი მისნი ქუეყანად ჰურიასტანისა და მუნ იყოფოდა მათ თანა და ნათელ-სცემდა.

23. იყო იოვანეცა და ნათელ-სცემდა ენონს, მასლობელად სალიმსა, რამეთუ წყალნი ფრიად იცნეს მუნ, და მოვიდოდეს მრავალნი და ნათელს-იღებდეს.

24. რამეთუ არღა შევრდომილ იყო საპურობილედ იოვანე.

25. და იყო გამოძიებაჲ მოწაფეთაგან იოვანესსთა ჰურიათა თანა ვანწმენისათვის.

26. მოვიდეს იოვანესსა და ჰრქუეს მას: რაბი, რომელ-იგი იყო შენ თანა წიალ-იორდანესა, რომლისათვის წენ სწამე, აჰა იგი ნათელ-სცემს, და ყოველნი ნივლენან მისაჲ.

27. მიუგო იოვანე და ჰრქუა მათ: ვერ გელ-ეწიფების კაცსა მოღებად თავით თვისით არცა ერთ რაჲ, უკუეთუ არა მოცემულ არს მისა ზეცით.

28. თქუენ თვთ მეწამებათ მე, (v) რამეთუ ვთქუ: არა ვარ ქრისტე, არამედ მოვლინებულ ვარ წინაშე მისსა.

<sup>1</sup> ნიკოდემოს B.



29. რომელსა აქუს სხალი, სიძე არს; ხოლო მეგობარი სიძისაჲ რომელი დგას და ესმის მისი, სიხა<sup>4</sup> ულით უხარის გმითა სიძისაჲთა. ესე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს.

30. მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად.

31. ზეგარდამომაველი იგი ყოველთა ზედა არს. და რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყვს, ხოლო ზეცით მომავალი.

32. რომელი იხილა და ესმა, ამას წამებს, და წამებასა მისსა არაგინ მიიღებს.

33. რომელმან მიიღო წამებაჲ მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ქემნარაბ არს.

34. რამეთუ რომელი მოაველინა ღმერთმან, სიტყუათა ღმრთისათა იტყვს, რამეთუ არა ზომით მოსცა ღმერთმან სული.

35. მამასა უყუარს ძე და ყოველი მოსცა ზელთა მისთა.

36. რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ; (244) ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხლოს ცხოვრებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა.

## 4

1. ვითარცა გულისხმა-ყო უფალმან, რამეთუ ესმა ფარსეველთა, ვითარმედ იესუს უმრავლესნი მოწაფენი უხსენ და ნათელ-სცემს, ვიდრე იოჰანეს<sup>1</sup>,

2. და რამეთუ თვთ იესუ არა ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი,

3. დაუტევი ჰურიასტანი და წარვიდა გალილეად.

4. ხოლო განსლვად იყო იგი სამარიაჲთ.

5. და მოვიდა ქალაქად სამარიაჲსა, რომელსა ჰრქეჲან სჯქარ, მახლობელად დაბასა, რომელი მისცა იაკობ იოსევს, ძესა თვსსა.

6. და იყო მუნ წყაროჲ იაკობისი. ხოლო იესუ, მამურალი გზისა სღვისაგან, ჯდა წყაროსა მას ზედა. და უამი იყო ვითარ მეექუსსჲ.

7. მოვიდა დედაკაცი სამარიაჲთ ვსებად წყლისა. ჰრქეჲა მას იესუ: მასუ მე წყალი.

8. რამეთუ მოწაფენი მისნი წარს(v)რულ იყენეს ქალაქად, რაჲთა საზრდელი იყიდონ.

9. ჰრქეჲა დედაკაცმან მან სამარიტელმან: შენ ჰურიად ხარ, ვითარ ითხოვ წყალსა ჩემგან, დედაკაცისა სამარიტელისა? რამეთუ არა შეეახლინაჲ ჰურიანი სამარიტელთა.

10. მიუგო იესუ და ჰრქეჲა მას: უკუეთუმცა იცოდე შენ ნიჭი იგი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყვს შენ: მეც მე წყალი, რაჲთა ვსუა, შენმცა ჰსთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი.

11. ჰრქეჲა მას დედაკაცმან მან: უფალო, არცა საგსებელი გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს. ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოველი?

12. ნუუკუე შენ უფროს ხარ მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვარი მისი.

13. მიუგო იესუ და ჰრქეჲა მას: ყოველი რომელი სუამს (245) წყლისა ამისგან, მერმეცა სწყუროდისე.

<sup>1</sup> იოჰანეს B.



14. ხოლო რომელმან სუის წყლისა მისგან, რომელი მე მიესცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ წყალი რომელი მე მიესცე, იქმნეს მას შინა წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ.

15. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, მეც მე წყალი იგი, რაათა არღარა მწყუროდის და არცა მოვიდე აქა ესებად.

16. ჰრქუა მას იესუ: წარედ და მოხადე ქმარსა შენსა და მოედ აქა.

17. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: არა მივის ქმარი. ჰრქუა მას იესუ: კეთილად სთქუ, რამეთუ არა გივის ქმარი,

18. რამეთუ ხუთ ქმარ გესხნეს, და რომელი აწ გივის, არა ქმარი შენი არს; ეგე ჰქმმარიტად სთქუ.

19. ჰრქუა დედაკაცმან მან: უფალო, ეხედავ, რამეთუ წინაწარმეტყუელი ხარ.

20. მამანი ჩუენნი მთასა ამას თავყუანისცემდეს<sup>1</sup>, და თქუენ (V) იტყუთ, ვითარმედ: იერუსალმსს არს ადგილი, სადა-იგი ჯერ-არს თავყუანის-ცემიად.

21. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, გრწმენინ ჩემი, რამეთუ მოვალს უამი, ოდეს არცა მთასა ამას, არცა იერუსალმსს, არამედ თავყუანისცემდეთ<sup>2</sup> მამასა.

22. თქუენ თავყუანისცემით, რომელი არა იცით, ხოლო ჩუენ თავყუანის-ცემით, რომელი ვიცით, რამეთუ ცხოვრებად ჰურიათაგან არს.

23. არამედ მოვალს უამი, და აწვე არს, ოდეს ჰქმმარიტნი თავყუანის-მცემენნი თავყუანისცემდენ მამასა სულითა და ჰქმმარიტებითა, და რამეთუ მამა ეგვივითართა თავყუანის-მცემელთა ეძიებს.

24. სულ არს ღმერთი, და თავყუანის-მცემელთა მისთა სულითა და ჰქმმარიტებითა ჯერ-არს თავყუანის-ცემიად.

25. ჰრქუა დედაკაცმან მან: უწყი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქვან ქრისტე<sup>3</sup>. ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი.

26. (246) ჰრქუა მას იესუ: მე ვარ, რომელი გეტყვ შენ.

27. და ამას სიტყუასა ოდენ მოვიდეს მოწაფენი მისნი და უკვრდა, რამეთუ დედაკაცისა თანა იტყოდა. ხოლო არაგინ ჰრქუა მას: რასა ეძიებ, ანუ რასა იტყვ მის თანა?

28. დაუტევა დედაკაცმან მან სარწყული იგი და წარვიდა ქალაქად და ჰრქუა კაცთა მათ ქალაქისათა:

29. მოედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა ყოველი, რააცა ექმენ, ნუუკუე ესე არს ქრისტე?

30. და გამოვიდეს ქალაქით და მოვიდეს მისა.

31. და ამას სიტყუასა ოდენ ეტყოდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს: რაბი, ჰამე!

32. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ჰამადი მაქუს ჰამად, რომელი თქუენ არა იცით.

33. იტყოდეს ურთიერთას მოწაფენი იგი, ვითარმედ: მო-გინგენ-ართუა ჰამადი?

34. ჰრქუა მათ იესუ: ჩემი ჰამადი ესე არს, რაათა ეყო ნებად მომავლინებელისა ჩემ(V)ისა და აღვასრულო საქმე მისი.

<sup>1</sup> ასეა B.

<sup>2</sup> თავყუანისცემდენ B.

<sup>3</sup> ქრ B.



35. არა თქვენ იტყვით; ვითარმედ: ოთხლა თოთუე არიან, და მოვალს შექანა აპა. ესერა მე გეტყუე თქვენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალოდ აწვე.

36. და მომკალმან სასყიდელი მიიღოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხოვრებად საუკუნოდ, რაათა მიესვარასა და მომკალსა ერთბამად უხაროდის მის თანა.

37. ამით არს სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტ, რამეთუ სხუაჲ არს, რომელჲან სთესა, და სხუაჲ არს მომკალი.

38. მე წარგავლინებ თქუენ მკად, რომელსა თქუენ არა დაჰშუერით; სხუანი დამაშურალ არიან, და თქუენ შრომელსა მათსა შემოხუედი.

39. ხოლო ქალაქისა მისგანთა მრავალთა პრწმენა მისი სამარტელთა მათ სიტყუთა მის დედაკაცისათა, რამეთუ წამებდა, ვითარმედ: ყოველი, (247) რადეც ვქმენ, მოხრა მე.

40. და ვითარცა მოვიდეს სამარტელნი იგი, ეტყოდეს მას, რაათა დაადგრეს მით თანა. და დაადგრა მუნ ორ დღე.

41. და უფროსსა სიმრავლესა პრწმენა სიტყუათა მისთაჲ.

42. ხოლო დედაკაცსა მას ეტყოდეს: არღრა სიტყუთა შენითა გურწამს, რანეთუ ჩუენ თვთ გუენსა მისგან და უწყით, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტი მაცხოვარი სოფლისაჲ.

43. და შემდგომად ორისა მის დღისა გამოვიდა ნიერ გალილეად.

44. რამეთუ თავადი იესუ წამებდა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელსა თჯსსა სოფელსა პატივი არა აქუს.

45. და ოდეს მოვიდოდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეელთა, რამეთუ ყოველი ეხილვა, რაოდენი ქმნა იერუსალმს დღესასწაულსა მას, და ივინიცა მოსრულ იყენეს დღესასწაულსა მას.

46. მოვიდა იესუ მერნეცა კანად გალილეასა, (v) სადა-იგი ქმნა წყალი ღვინოდ. და იყო ვინმე სამეფოფოსა კაცი მოსრული, რომლისაჲ ძმ სნეულ იყო კავარნაუმს.

47. ამას ესმა, ვითარმედ: იესუ მოსრულ არს ჰურიასტანით გალილეს; მოვიდა მისა და ევედრებოდა, რაათა მივიდეს მის თანა და განკურნოს ძმ იგი მისი, რომელი მიეხო სიკვდიდ.

48. პრქუა მას იესუ: უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს.

49. პრქუა მას სამეფოფოსამან მან კაცინან: უფალო, მოვედ პირველ ვიდრე მოსიკვდიდმდე ყრმისა მის.

50. პრქუა მას იესუ: ვიდოდე, ცოცხალ არს ძმ შენი. და პრწმენა კაცსა მას სიტყუაჲ იგი, რომელი პრქუა მას იესუ, და წარვიდა.

51. და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდა, მონანი მისნი მოეგებოდეს მას, უთხრეს და პრქუეს, ვითარმედ: ძმ შენი (248) ცოცხალ არს.

52. პკითხვიდა მათ: რომელსა ეამსა უმოლხინსს იქმნა იგი? პრქუეს მას: გუშინ მეშვდესა ეამსა დაუტევა იგი სიცხემან მან.

53. მოგონა მამასა მას მის ყრმისასა, რამეთუ მას ეამსა ოდენ პრქუა მას იესუ: ცოცხალ არს ძმ შენი. და პრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა.

54. ესე მეორე სასწაული ქმნა იესუ, მო-რად-ვიდა ჰურიასტანით გალილეად.

1. ამისა შემდგომად იყო დღესასწაული ჰურიასთაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალმად.

2. და არს იერუსალიმს ცხოვართ საბანელსა ტბად, რომელსა პრქვან ჰებრაელებრ ბეთესდა<sup>1</sup>, სუთ სტოვა იყო.
3. ამას შინა იყოფოდა სამრავლჳ უძლურთაჲ, ბრმეები<sup>2</sup>, მკელობლები, განგმელები, რომელნი ელიედ წყლისა მის აღარვასა.
4. [არ მოებოვება]
5. იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოც და ათ(v)რვაჲმეტა წელი დაეყო უძლურებასა შინა.
6. ესე იხილა იესუ მდებარჳ და გულისხმა-ყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძლურებასა შინა, და პრქუა მას: განებაგსა, რაჲთა განიკურნო?
7. მიუგო უძლურმან მან და პრქუა: უფალო, კაცი არა მაქუს, რაჲთა, რაჲმს წყალი ესე აღრდლეს, შთა-მცა-მადლო საბანელსა ამას. ვიღრე მე მივიღოდი, სხუად უწინარჳს ჩემსა შთავიდის და განიკურნის.
8. პრქუა მას იესუ: აღდეგ; აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!
9. განცოცხლდა კაცი იგი და აღიღო ცხედარი თვისი და წარვიდა. ხოლო იყო დღჳ იგი შაბათი.
10. ეტყოდეს მას ჰურიანი: შაბათი არს, და არა ვერ-არს შენდა აღლებად ცხედარი შენი.
11. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა მე, მან მრქუა მე: აღიღე (249) ცხედარი შენი და ვიდოდე.
12. ჰკითხვიდეს მას ჰურიანი იგი და პრქუეს: ვინ არს, რომელმან გრქუა შენ: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე?
13. ხოლო განკურნებულმან მან არა იცოდა, ვინ არს, რამეთუ იესუ მიეფარა, რამეთუ ვერი იყო აღვილსა მას.
14. ამისა შემდგომად პოვა იგი ტაძარსა შინა და პრქუა მას: აჰა ეგერა ცოცხალ იქმენ, ნულარა სცოდავ, რაჲთა არა უძრარსი რაჲმე გეყოს შენ.
15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა პურიათა მათ, ვითარმედ: იესუ არს, რომელმან განმკურნა მე.
16. და ამისთვის სდევნიდეს ჰურიანი იგი იესუს, რამეთუ ამას იქმოდა შაბათსა შინა.
17. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა მათ: მაშაჲ ჩემი მოაქამდე იქმს, და მეცა ვიქმ.
18. ამისთვის უფროჲს ეძიებდეს ჰურიანი იგი მოკლვად იესუს, რამეთუ არა ხოლო შაბათსა დაჰქსნიდა, არამედ (v) ღმერთსაცა მაჲად თჳსა იტყოდა და თავსა თჳსსა სწორს ჰყოფდა ღმრთისა.
19. მიუგო იესუ და პრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: არა ევლ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ არცა ერთს რას თავით თჳსით, უკუეთუ არა იხილოს რაჲმე მამისაგან საქმს, რამეთუ რაოდენსა-იგი მაჲად იქმს, ძმ ევრეგე მსგავსად იქმს.
20. რამეთუ მამასა უყუარს ძმ და ყოველსა უჩუენებს მას, რაოდენსაცა-იგი იქმს, და უფროჲსილა ამისა უჩუენოს მას საქმს, რაჲთა თქუნე ვიკვრდეს.
21. რამეთუ ვითარცა-იგი მაჲად აღადგინებს შეუღართა და აცხოვნებს, ევრეთე ძმ რომელთაჲ ჰნებაეს, აცხოვნებს.
22. არცაღა მაჲად შჯის არავის, არამედ ყოველი სისჯელი მოსცა ძესა,

<sup>1</sup> ბეთეს და B. <sup>2</sup> ბრმეები B.





23. რაათა ყოველნი პატივ-სცემდენ ძესა, ვითარცა პატივ-სცემენ მამასა, რამეთუ რომელმან პატივ-სცეს ძესა, მან პატივ-სცა მამასა, რომელმან მოაელინა იგი.
24. (250) ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი დამარხნეს და პრწმენეს მომაველინებელი ჩემი, აქუნდეს ცხოვრებად საუკუნოად, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს სიკუდილისაგან ცხოვრებად.
25. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მოვალს ყამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რამელთა ისმინენ, ცხოვდენ.
26. რამეთუ ვითარცა-იგი მამსა აქუს ცხოვრებად თავისა თვისსაჲ, ეგრეცა ძესა მოსცა, რაათა აქუნდეს ცხოვრებად თავისა თვისსა<sup>1</sup> თანა.
27. და გელმწიფებად მოსცა მას სასჯელსა ყოფად, რამეთუ ძმ კაცისაჲ არს.
28. ნუ ვიკვრნ ესე, რამეთუ მოვალს ყამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ვემისა მისისაჲ.
29. და გამოვიდოდინ და კეთილისა-მოქმედნი აღდგებოდინ ცხოვრებასა საუკუნესა, (V) ხოლო ბოროტისა-მოქმედნი—აღდგომასა საშჯელისასა.
30. არა ველ-მეწიფების მე საქმედ თავით თუსით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ვშვი, და საშჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომაველინებელისა ჩემისასა.
31. უკუეთუ მე ვწამებდე თავისა ჩემისათუს, წანებაჲ ჩემი არა არს ჭეშმარიტ.
32. სხუად არს, რომელი წამებს ჩემთუს, და უწყი, რანეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, რომელსა წამებს ჩემთუს.
33. თქუენ მიავლინეთ იოვანსსა, და წამა ჭეშმარიტი.
34. ხოლო მე წამებაჲ კაცისაგან არა მოვილო, არამედ ამას ვიტყვ, რაათა თქუენ სცხომდეთ.
35. რამეთუ იგი იყო სანთელი აღნთებული სჩინოად, ხოლო თქუენ ინებეთ ეამ ერთ სიხარული ნათელსა მისსა.
36. ხოლო მე მაქუს წამებაჲ უფროჲს იოვანესსა, რამეთუ საქმს, რომელი (251) მომცა მე მამამან, რაათა აღდგარული იგი, ესე საქმენი წამებენ ჩემთუს, რამეთუ მამამან მომაველინა მე.
37. და რომელმან მომაველინა მე მამამან, მან წამა ჩემთუს. თქუენ არცა ემაჲ მისი გესმა და არცა ხატი მისი იხილეთ.
38. და სიტყუად მისი არა არს თქუენ თანა დადგრომილ, რამეთუ რომელი-იგი მან მოაელინა, ესე თქუენ არა გრწამს.
39. გამოიძიეთ წიგნთაგან, რამეთუ თქუენ ჰგონებთ თავთა შინა თქუენთა, ვითარმედ გაქუს ცხოვრებად საუკუნოად; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთუს.
40. და თქუენ არა ვინებს მოსულად ჩემდა, რაათა ცხოვრებაჲ გაცუნდეს.
41. მე დიდებაჲ კაცთაგან არა მოვილო.
42. არამედ ვიცი თქუენ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა გაქუს თვისა თქუენისა თანა.
43. მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნა(V)რეთ. უკუეთუ სხუად მოვიდეს სახელითა თუსითა, იგი შეიწყნაროთ.

<sup>1</sup> თვისსა B.



44. ვითარ-მე უკუე ჳელ-გეწიფების თქვენ რწმუნებად, რამეთუ დიდებულა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოასა ღმრთისასა არა ეძიებთ?
45. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე თქვენ ჰამასა; არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავთ.
46. უკუეთუმცა გრწმენა მოსტსი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემოვს დაწერა.
47. უკუეთუ მისთა წიგნთაჲ არა გრწამს, ჩემთა სიტყუათაჲ ვითარ-მე გრწმენეს?

## 6

1. ამისა შემდგომად წიადგდა იესუ წიად ზღუესა მას გალილეასასა<sup>1</sup>, რომელ არს ტიბერიასაჲ.
2. და მისდევდა მას ერთი მრავალი, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა უძლურთა ზედა.
3. და აღვიდა მთასა იესუ (252) და მუნ დაჯდა მოწაფითურთ თჳსით.
4. და იყო მოახლებულ ჰასქაჲ, დღესასწაული იგი პურიათაჲ.
5. აღიხილნა თუალნი თჳსნი იესუ და იხილა, რამეთუ მრავალი ერთი მოვალს მისა. ჰრქუა ფილიპეს<sup>2</sup>: ვინაჲ ვიციდლოთ პური, რაჲთა ჰჳმონ ამათ?
6. ამას იტყოდა, რამეთუ გამოსცდიდა მას, ხოლო თვთ უწყოდა, რაჲ ეგულებოდა ყოფად.
7. ჰრქუა ფილიპე: თრასისა დრაჰქნისაჲ პური ეგრე კჳა არს ამათა, რაჲთა კაცად-კაცადმან მცირედ რაჲმე მიიღოს.
8. ჰრქუა ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, ანდრეა, ძმამან სიმონ-პეტრტსმან:
9. არს აქა ყრმაჲ, რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ და ორი თევზი, არამედ ესე რაჲ არს ესოდენთა წინაშე?
10. ჰრქუა მათ იესუ: დასხით კაცები ესე. ხოლო იყო თივაჲ ფრიად აღგილსა მას, და დასხდა კაცები იგი, რიკხვთ ვითარ ხუთ ათას ოდენ.
11. (v) და მოიხუნა პურნი იგი იესუ და ჰმადლობდა და მისცემდა, რომელნი-იგი დასხდეს. ეგრეცა თევზთა მათგანი, რაოდენ უნდა მათ.
12. და ვითარცა განძიდეს, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რაჲთა ნეშტა რაჲ წარწყმდების.
13. ხოლო მათ შეკრიბეს და აღივსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევითა ხუთთა მათგან პურთა ქრთილისათა, რომელ დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჰჳმეს.
14. ხოლო კაცთა მათ ვითარცა იხილეს სასწაული იგი, რომელ ჰმნა, იტყოდეს: ესე არს ჰეშმარიტად წინაწარმეტყუელი, რომელი მოსრულ არს სოფლად.
15. ხოლო იესუ გულისხმა-ყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად მისა, რაჲთამცა ყვეს იგი მეფე<sup>3</sup>, განეშოვრა და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ.
16. და ვითარცა შემწუხრდა, შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად.
17. (253) და შევიდეს ნავსა და მივიდოდეს წიად ზღუესა მას კაპერნაუმდ. და ვითარ შე-ოდენ-რიჳუნებოდა, და არდა მოსრულ იყო მათა იესუ.
18. და ზღუად იგი ქარისაგან დიდისა აღიძრვოდა.
19. და შე-ოდენ-სრულ იყვნეს ვითარ ოც და ხუთ უტევან გინა ოც და ათ,

<sup>1</sup> გალილეასისა B.<sup>2</sup> ფილიპს B.<sup>3</sup> მეფე B.



და იხილეს იესუ, ვიდოდა რაჲ ზღუესა ზედა, რამეთუ ახლოს იყო ნაგსა-მასს მხობა-  
ლო მათ შეეშინა.

20. და თავადმან ჰრქუა მათ: მე ვარ, ნუ გეშინინ!

21. უნდა მათ, რაჲთამცა შეიყვანეს იგი ნაგსა მას. და მეკსეულად იბოვა ნავი  
იგი ქუეყანასა მას, ვიდრეცა ვიდოდეს.

22. ხვალისაგან ერი იგი რომელ დგა წიად ზღუესა მას, უწყოდეს, რამეთუ  
სხუად ნავი არა იყო მუნ, გარნა ერთი იგი ზოლო, რომელსა შესრულ იყვნეს  
მოწაფენი იესუსანი, და რამეთუ არა შევიდა იესუ მოწაფეთა თანა (v) ნაგსა მას,  
არამედ მოწაფენი მისნი შევიდეს.

23. მოვიდეს სხუანიცა ნაენი ტიბერიაათ, მახლობელად აღვილსა მას, სადა-  
-იგი ჰამეს პური, რომელ აკურთხა უფალმან და ჰმადლობდა.

24. ვითარცა იხილა ერმან მან, ვითარმედ იესუ არა მუნ არს, არცა მოწა-  
ფენი მისნი, მოადგინეს მათ ნაგები იგი და მოვიდეს კაფარნაუმედ, ეძიებდეს იესუს.

25. და ჰოგეს იგი წიად ზღუესა მას და ჰრქუეს მას: რაბი, თდეს მოხუდდ აქა?

26. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: მეძიებთ მე არა  
თუ რამეთუ იხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ შეამეთ პურთა მათგან და  
განსქელით.

27. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი  
ჰვიეს ცხოვრებად საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ, რამეთუ  
ამას მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან.

29. ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაჲთა ვიქმოდით საქ(მამა)მესა ღმრთისასა?

29. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისაჲ, რაჲთა გრწმინეს,  
რომელ-იგი მან მოავლინა.

30. მათ ჰრქუეს: რას სასწაულს იქნ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმინეს შენი?  
რასა იქნ?

31. მამანი ჩუენნი ჰამდეს მანანასა უღაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს:  
პური ზეცით მოსცა მათ ჰამად.

32. ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: არა მოსე მოგცა თქუენ  
პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჰეშმარიტი ზეცით.

33. რამეთუ პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდამოგდა ზეცით და მოსცა  
ცხოვრებაჲ სოფელსა.

34. ჰრქუეს მას: უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე.

35. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხოვრებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა,  
არა შიოდის, და რომელსა ჰრწმინეს ჩემი, არასადა ჰსწყუროდის.

36. არამედ გარკუ თქუენ: მიხილეთ მე და არა გრწამს.

37. (v) ყოველი რომელი მომცეს მე მამამან ჩემმან, ჩემდა მოვიდეს; და  
რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვიძო გარე.

38. რამეთუ გარდამოვგედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნე-  
ბაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ.

39. რამეთუ ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ, რაჲთა ყოვე-  
ლი რომელი მომცა მე, არა წარწყმდილო მისგანი, არამედ აღვადგინო იგი უკუა-  
ნაჲსკენელსა მას დღესა.

40. რამეთუ ესე არს ნებაჲ მამისა ჩემისაჲ, რაჲთა რომელი ხედვიდეს ძესა  
და ჰრწმინეს მისი, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი დღესა  
მას უკუანაჲსკენელსა.

41. დრტუნვიდეს მისთვის პურიანი იგი, რამეთუ თქუა: მე ვარ პური, რომელი ზეცით გარდამოვგედ,
42. და იტყოდეს: არა ესე არსა ძმ იოსეფისი, რომლისა მამაა ჩუენ ვეცით? ვითარ უკუე იტყვს აწ ესე. ვითარმედ: ზეცით გარდამოვგედ?
43. მიუგო იესუ და პრეტუ მათ: (245) ნუ სდრტუნავთ ურთიერთას.
44. ვერვის ველ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლი-ნებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანასკნელსა დღესა.
45. წერილ არს წინაწარმეტყუელთასა, ვითარმედ: იყვნენ ყოველნი ღმრთით სწავლულ. ყოველსა რომელსა ესმა მამისა ჩემისაგან და ესწავოს, მოვიდეს ჩემდა.
46. არა თუ მამაა ვის უხილავს, გარნა რომელი იყო ღმრთისა თანა, ამან იხილა მამაა.
47. ამენ, ამენ გეტყვ თქუნენ: რომელსა პრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხოვრებაა საუკუნოა.
48. მე ვარ პური ცხოვრებისაა.
49. მამათა თქუენტა ჭამეს მინანაა უდაბნოსა ზედა და ნოწყდეს.
50. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოვგდა, რაათა უკუეთუ ვინმე ჭამოს ამისგანა, არა მოკუდეს.
51. მე ვარ პური ცხოველი, (v) რომელი ზეცით გარდამოვგედ. უკუეთუ ვინმე ჭამოს ამის პურისაგანი, ცხომდეს უკუნისამდე. და პური, რომელი მე მივსცე, გორცი ჩემი არს, რომელსა მე მივსცემ სოფლისა ცხოვრებისათსა.
52. ილაღვიდეს ურთიერთას პურიანი იგი და იტყოდეს: ვითარ-მე ველ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა გორცი თვისი ჭამად?
53. პრეტუ მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუნენ: უკუეთუ არა შუამოთ გორცი ძისა კაცისაა და მსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაა თავისა თქუნენსა.
54. ხოლო რომელი ჭამდეს გორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაა საუკუნოა, და მე აღვადგინო იგი უკუანასკნელსა დღესა.
55. რამეთუ გორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს.
56. და რომელი ჭამდეს გორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს, და მე მის თანა.
57. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველ ვარ მამისა მიერ; და რომელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხომდეს ჩემ მიერ.
58. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოვგდა. არა ვგრძთ, ვითარ-იგი ჭამეს მამათა თქუენტა მინანაა იგი და მოწყდეს. ხოლო რომელი ჭამდეს ამას პურსა, ცხომდეს უკუნისამდე.
59. ესე თქუა შესაკრებელსა შოვრის<sup>1</sup> და ასწავებდა კაფარნაოსს.
60. მრავალთა მოწაფეთა მისთაგანთა რომელთა ესმა ესე, იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუაა ესე. ვის ველ-ეწიფების სმენად მისა?
61. იცოდა იესუ სულითა თვისითა, რამეთუ დრტუნვენ მოწაფენი მისნი ამის-თვის, და პრეტუ მათ: ესე დაგაპოლებსა თქუნენ?
62. უკუეთუ იხილოთ ძმ კაცისაა აღმა(v)გალი, სადაცა იყო პირველი?
63. სული არს განმაცხოველებელ, ხოლო გორცნი არად სარგებელ არიან;



სიტყუათა რომელთა გეტყოდე თქუნ, სულ არიან და ცხოვრება.

64. არამედ არიან ვინმე თქუნებანი, რომელთა არა პრწამს. რამეთუ იცოდე იესუ პირველითგან, ვინ არიან ივინი, რომელთა არა პრწამს, და ვინ არს მიმცემელი მისი.

65. და ეტყოდა: ამისთვის გარქუ თქუნ: ვერვის ჭელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მოცემულ არს მისა მამისაგან ჩემისა.

66. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთიგანნი უკუნიტცეს და არღარა მის თანა ვიდოდეს.

67. პრქუა იესუ ათორმეტთა მათ: ნუუკუე თქუნცა გნებავს წარსლვის?

68. მიუგო მას სიმონ-პეტრე და პრქუა: უფალო, ვისა მივიდეთ? რამეთუ სიტყუად ცხოვრებისა საუკუნ(257)ოხსად ვაჭუს შენ.

69. და ჩუნ გუარწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა.

70. მიუგო იესუ და პრქუა მათ: არა-მე ათორმეტნი თქუნ გამოგირჩიენ? და ერთი თქუნებანი ეშმაკი არს.

71. ხოლო იტყოდა იუდას სიმონისსა, ესკარიოტელსა, რომელ იყო ერთი ათორმეტთაგანი, რამეთუ ამას ეგულებოდა მიცემად მისი.

## 7

1. ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ გალილეას და არა უნდა სლვად ჰურიასტანს, რამეთუ ეძიებდეს ჰურიანი მოკლვად მას.

2. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ.

3. პრქუეს მას ძმათა მისთა: გარდაგულე ამიერ და წარედ ჰურიასტანად, რაჲთა მოწაფეთა შენთაჲ იხილნენ საქმენი შენი, რომელთა იქმ.

4. რამეთუ არავინ ფარულად რასმე იქმნ და პნებავს, რაჲთამცა განცხადებულ იყო.(v) უკუეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა.

5. რამეთუ არცაღა ძმათა მისთა პრწმენა მისი.

6. პრქუა მათ იესუ: ყამი ჩემი არღა მოწენულ არს, ხოლო თქუნნი ყამი ოდესვე განწადებულ არს.

7. ვერ ჭელ-ეწიფების სოფელსა მოძულეზად თქუნდა, ხოლო მე ესძულ, რამეთუ მე ვწამებ მისთვის, რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ არიან.

8. თქუნ აღედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვად დღესასწაულსა ამას, რამეთუ ყამი ჩემი არღა აღსრულებულ არს.

9. ესე პრქუა მათ და დაიდგრა გალილეას.

10. და ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი დღესასწაულსა მას, მაწინ თავადიცა იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ უპარულად.

11. ხოლო ჰურიანი ეძიებდეს მას დღესასწაულსა მას და იტყოდეს: სადა-მე არს იგი?

12. და იყო დრტვენად ერსა შოფრის<sup>1</sup> მისთვის. რომელნიმე იტყოდეს: (258) კეთილ არს იგი; ხოლო სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აკუუნებს ერსა.

13. და არავინ განცხადებულად იტყოდა მისთვის შინისათვის ჰურიათაჲსა.

14. და ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოდენ-ხოვებულ იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და ასწავებდა.





15. და უკვრდა ჰურიითა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე ამან წიგნი უსწავლელად?

16. მიუგო მათ იესუ და ჰრქუა: ჩემი ესე მოძღურებდა არა არს ჩემი, არამედ მომავლინებელისა ჩემისაჲ.

17. უკუეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მოძღურებისაჲ მის, ვითარ რაჲ არს: ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით ჩემით ვიტყვ.

18. რამეთუ რომელი თავით თვისით იტყვნ, დიდებასა თავისა თვისისაჲ ეძიებნ; ხოლო რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თვისისაჲ, იგი ჭეშმარიტ არს, და სიცრულმ არა არს მის თანა.

19. ანუ არა მოსე მოგცა თქუენ შჯული? (V) და არავინ თქუენგანი ჰყოფს შჯულსა. რაჲსათვის მეძიებთ მე მოკლვად?

20. მიუგო ერმან მან და ჰრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?

21. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ერთი საქმმ გქმენ თქუენ შოვრის, და ყოველთა ვიკვრს.

22. ამისთვის მოსე მოგცა თქუენ წინადაცუეთაჲ. არა თუ მოსცნაგან არს, არამედ მამათაგან, და შაბათსა წინადაცუეთის კაცმან.

23. უკუეთუ წინადაცუეთილებაჲ მოიღის კაცმან შაბათსა, რაჲთა არა განქარდეს შჯული მოსცნა, მე მაზრალებთა, რამეთუ ყოვლადგე განვაყოცხლე კაცი შაბათსა?

24. ნუ ჰსჯით თუალთ-ლებით, არამედ მარჯალი სასჯელი საჯეთ.

25. იტყოდეს ვინმე იერუსალიმელთაგანნი: არა ესე არსა, რომელსა-იგი ეძიებდეს მოკლვად?

26. აჰა ესერა ესე განცხადებულად იტყვს, და არას ეტყვნ მას. ნუუკუე ჭეშმარიტად ცნეს მთავარ(259)თა, ვითარმედ ესე არს ქრისტმ?

27. არამედ ესე ვიციით, ვინაჲ არს. ზოლო ქრისტმ ოდეს მოვიდეს, არავინ უწყოდის, ვინაჲ არს.

28. დაღად-ყო იესუ ტაძარსა მას შინა, ასწავებდა მათ და ეტყოდა: მეცა მიციით და იციით, ვინაჲ ვარ; და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, არამედ არს ჭეშმარიტი, რომელმან-იგი მომავლინა მე, რომელი თქუენ არა იციით.

29. მე ვიცი იგი, რამეთუ მის მიერ ვარ, და მან მომავლინა მე.

30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არავინ დაასხნა მას გელნი, რამეთუ არღა მოწეწულ იყო ყამი მისი.

31. და მრავალთა ერისა მისგანთა ჰრწმენა იგი და იტყოდეს: ქრისტმ ოდეს მოვიდეს, ნუუკუე უმრავლესი სასწაული ქმნესა, რომელი ამან ქმნა?

32. და ესმა ფარისეველთა მათ ერისაჲ მის დრტუნვაჲ მისთვის. და მიაველინეს მდღელთ-მოძღურათა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რაჲთა შეიპყ(ვ)რან იგი.

33. და თქუა იესუ: მცირედ ყამდა თქუენ თანა ვარ და წარვალ მომავლინებელისა ჩემისა.

34. მეძიებდეთ მე და არა მპოვით; და სადა-იგი მე ვიყო, თქუენ ვერ გელ-გეწიფების მოსლვად.

35. იტყოცეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ვიდრე-მე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვპოვით იგი? ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთასა ეგულების მისლვად და სწავლად მუნ წარმართთა?

36. რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა იტყვს: მეძიებდეთ მე და არა მპოვით; და სადა მე ვიყო, თქუენ ვერ გელ-გეწიფების მოსლვად?

37. და დასასრულსა მას ღღესა ღიღისა მის ღღესასწაულისასა დადგა იესუ, ღღად-ღო და თქუა: უკუეთუ ვისმე ჰსწყუროდის, მოვედინ ჩენდა და სუენდინ.

38. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან, მდინა(260)რენი მეცლისა მისისაგან ღიღიან წყლისა ცხოველისანი.

39. ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მოღებად<sup>1</sup> იყო მორწმუნეთა მათ მისა მინართთა, რამეთუ არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა ღიღებულ იყო.

40. მრავალთა ერისა მისგანთა ისმინეს სიტყუაჲ ესე და იტყოდესჲ ესე არს ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი.

41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტე; ხოლო სხუანი იტყოდეს: ნუუკუე გალილეაჲთ მოსლვად არს ქრისტე?

42. არა წიგნი იტყვსა, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დებით, სადა დავით იყო, მიერ მოვიდეს ქრისტე?

43. და იყო განწყვალება მისთჳს ერსა შოგრის.

44. და რომელთამე მათგანთა უნდა შეპყრობაჲ მისი, და არავინ მიყვნა ჯელნი მის ზედა.

45. მოვიდეს მსახურნი იგი მღდელთ-მოძღუართა და ფარისეველთანი, და ჰრქუეს მათ: რად არა მოიყვანეთ იგი?

46. (V) მიუგეს მსახურთა მათ და ჰრქუეს: არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაცი.

47. მიუგეს ფარისეველთა და ჰრქუეს: თქუნცა უკუე შე-გე-ცთომილ ხართ?

48. ნუ მთავართაგანთა ვიეთმე ჰრწმენა მისი ანუ ფარისეველთა?

49. არამედ ერსა მას, რომელმან არა იცის შჯული, დაწყველნი არიან.

50. ჰრქუა მათ ნიკოდემოს, რომელი იგი მოსრულ იყო მისა პირველ, იყო ერთი მათგანი:

51. ნუუკუე შჯული ჩუენი დაშჯისა კაცსა, უკუეთუ არა პირველად ისმინოს მისგან და ცნას, რასა იქმს?

52. მათ მიუგეს და ჰრქუეს მას: ნუ შენცა გალილეაჲთ ხარ? გამოიხიე და იხილე, რამეთუ გალილეაჲთ წინაწარმეტყუელი არა აღდგომილ არს.

53. [არ მოეპოვება]

## 8

1—11 [არ მოეპოვება]

12. მერმეცა ეტყოდაჲ იესუ და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელი შემომიღდეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ.

13. (261) ჰრქუეს მას ფარისეველთა მათ: შენ თავისა შენისათჳს სწამებ, და წამებაჲ შენი არა არს ჭეშმარიტ.

14. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: დაღათუ მე ვწამო თავისა ჩემისათჳს, ჭეშმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ ვინაჲ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ, ვიცი იგი; ხოლო თქუნ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე ვალ.

15. თქუნენ ჯორცთაებრ შჯით, ხოლო მე არავის ვშჯი.

16. უკუეთუ ვშჯიდე მე, საშჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს, რამეთუ არა მარტოა ვარ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

<sup>1</sup> მოღებად/მოცემად B.

17. რამეთუ შევლსა ცა თქუნსა წერილ არს, ვითარმედ: ორისა კაცისა წამებაჲ ქეშმარიტ არს.

18. მე ვარ, რომელი ვწამებ ჩემთს, და წამებს ჩემთს მომავლინებული ჩემი მიამა.

19. პრეტეს მის ჰურიათა: სადა არს მიამა შენი? მიუგო იესუ და პრეტუ მათ: არცა მე მიციტ, არცა მიამა ჩემი. უკეთუმცა მე მიციოდეთ, მიამა(v)ცამცა ჩემი იციოდეთ.

20. ამას სიტყუისა ეტყოდა ფასის-საცაცესა მას თანა და ასწავებდა ტადარსა შინა. და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოწვეულ იყო უამი მისი.

21. მეომე პრეტუ მათ იესუ: მე წარვალ, და შეძიებდეთ მე და ცოდვთა თქუნთა შინა მისწყდეთ, და ვიდრე მე მივალ, ვერ გელ-გეწიფების მოსლვად.

22. იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ნუუკუე მოიკლავს თავსა თვსსა, რამეთუ იტყვს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუნ ვერ გელ-გეწიფების მოსლვად?

23. და ეტყოდა მათ: თქუნ ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე შეცისაგანი ვარ; თქუნ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ.

24. ვარქუ თქუნ, ვითარმედ: მოსწყდეთ ცოდვთა შინა თქუნთა; უკუეთუ არა გრწმენს, რამეთუ მე ვარ, მოსწყდეთ თქუნ ცოდვთა შინა თქუნთა.

25. (242) ეტყოდეს მას: და შენ ვინ ხარ? პრეტუ მათ იესუ: პირველად, რამეთუ მე გიტყვ თქუნ.

26. მრავალი მაქუს თქუნდა სიტყუად და ვანკითხვად, არამედ რომელმან მომავლინა მე, ქეშმარიტ არს, და რა-იგი მესმა მისგან, მას ვიტყვ სოფელსა შინა.

27. ხოლო მათ არა ცნეს, რამეთუ მამასა თვსსა უთხრობდა მათ.

28. მეომე პრეტუ მათ იესუ: ოდეს აღამალოთ ძუ კაცისაჲ, მაშინ სცნათ, რამეთუ მე ვარ და თავით ჩემით არარას ვიქმ, არამედ, ვითარცა მასწავ მე მიამან, მას ვიტყვ.

29. და რომელმან მომავლინა მე, ჩემ თანა არს; არა დამიტევა მე მარტოად, რამეთუ მე სათნოვებასა მისსა ვიქმ მარადის.

30. ამას რაჲ ეტყოდა მათ, მრავალთა პრწმენა მისი.

31. და ეტყოდა იესუ მორწმუნეთა მათ<sup>1</sup> ჰურიათა: უკუეთუ თქუნ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა, ქეშმარიტად მოწა(v)ყენი ჩემნი ხართ.

32. და სცნათ ქეშმარიტი, და ქეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუნ.

33. მიუგეს ჰურიათა მათ და პრეტუს: ჩუნ ნათესაგნი აბრაჰამისნი ვართ და არასადა ვის ვპმონებდით. შენ ვითარ იტყვ, ვითარმედ: განსთავისუფლდეთ?

34. მიუგო იესუ და პრეტუ მათ: ამენ, ამენ გეტყვ თქუნ, რამეთუ: ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ.

35. და მონამან არასადა დაიმკვდროს სახლსა შინა უკუნისამდე, ხოლო ძემან დაიმკვდროს უკუნისამდე.

36. უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ქეშმარიტად თავისუფალ იყნეთ.

37. უწყი, რამეთუ ნათესაგნი აბრაჰამისნი ხართ, არამედ მეძიებთ მე მოკლვად, რამეთუ სიტყუად ჩემი ვერ დაეტევის თქუნ შოვრის.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მათ-ს ზემოთ, მარჯვნივ გაკეთებულია ნიშანი S-S, ალბათ, დაკლებული „მისთა“-ს ჩასამატებლად.

<sup>2</sup> ასეა B (უქარაგმოლ).





38. მე რომელი ვიხილე მამისა ჩემისა თანა, მას ვიტყვ; და თქვენ რომელი ვასმიეს მამისა თქუენისაგან, მას იქმთ.

39. მიუგეს მას და პრქუეს: (263) მამა ჩუენი აბრაჰამი არს. პრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმესამცა აბრაჰამისსა იქმოდეთ.

40. ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტსა გეტყვ თქუენ, რომელი მესმა ღმრთისაგან. ესე აბრაჰამ არა ქმნა.

41. ხოლო თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა. პრქუეს მას: ჩუენ სიძვისაგან არა შობილ ვართ, ერთი მამა ვიცით—ღმერთი.

42. პრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ღმერთი მამა თქუენი იყო, გიყუარდმცა მე, რამეთუ ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ; არა თავით თვსით მოსრულ ვარ, არამედ მან მომავლინა მე.

43. რადასათვს სიტყუანი ჩემნი არა იცნით? რამეთუ ვერ ძალ-გიც სმენდ სიტყუათა ჩემთა.

44. თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულის-თქუმა მამისა თქუენისა გნებას ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკლველი არს (v) დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტება არა არს მის თანა. ოდეს იტყვნ ტყუვილსა, თვისისაგან გულისა იტყვნ, რამეთუ მამაცა მისი მტყუფარი არს.

45. ხოლო მე ჭეშმარიტსა გეტყვ თქუენ, და არა გრწამს ჩემი.

46. ვინ თქუენგანმან მამილოს მე ცოდუისათვს? უკუეთუ ჭეშმარიტსა გეტყვ, რადასათვს არა გრწამს ჩემი?

47. რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს; ამისთვს არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგანნი.

48. პრქუეს მას პურიათა: არა კეთილად ვთქუთა, ვითარმედ სამართელ ხარ შენ, და ეშმაკი არს შენ თანა?

49. პრქუა მათ იესუ: ჩემ თანა ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-ვისცემ მამისა ჩემსა, და თქუენ მაგინებთ მე.

50. ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს, რომელი ეძიებს და შვის.

51. (264) ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ ვინმე სიტყუა ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი რა იხილოს უკუნისამდე.

52. პრქუეს მას პურიათა: აწ გვცნობიეს, რამეთუ ეშმაკულ ხარ: აბრაჰამ მოკულა და წინაწარმეტყუელნიცა, და შენ იტყვ: უკუეთუ ვინმე სიტყუა ჩემი დაიმარხოს, არა იხილოს გემოა სიკუდილისა უკუნისამდე.

53. ნუუკუე შენ უფროს ხარ მამისა ჩუენისა აბრაჰამისა, რომელი მოკულა, და<sup>1</sup> წინაწარმეტყუელნიცა მოწყდეს? შენ ვის ჰყოფ თავსა შენსა?

54. მიუგო იესუ და პრქუა მათ: უკუეთუ მე ვადიდებდე თავსა ჩემსა, დიდება ჩემი არარაა არს. არამედ არს მამა, რომელი მადიდებს მე, რომლისა თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ღმერთი ჩუენი არს.

55. და არა იცით იგი, ხოლო მე ვიცი იგი. უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ: არა ვიცი იგი, ვიყო მეცა მსგავს თქუენდა მტყუფარ, არამედ ვიცი იგი და სიტყუათა მისთა ვიმარხებ.

56. (v) აბრაჰამისა, მამასა თქუენსა, უხაროდა, რაათა იხილოს დღე ესე ჩემი, და იხილა და განიხარა.

57. პრქუეს მას პურიათა მათ: ერვასის წლის არღა ხარ და შენ აბრაჰამი ვიხილავსა?

<sup>1</sup> და/და B.



58. პრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუნ: ვიდრე აბრაჰამისა ყოფად.  
მღე მე ვარ.

59. აღიდეს ქეები ჰტრიათა მათ, რამთა დაჰკრიბონ მს. ხოლო იესუ და-  
ეფარა მათგან და განვიდა ტაძრით და განვლო შოფრის<sup>1</sup> მათსა და წარვიდა  
ესრით.

## 9

1. და ვითარ წარვიდოდა იესუ, ისილა კაცი, ბრმაჲ შობითგანი.

2. ჰკითხვიდეს მოწაფენი თჳსნი და ეტყოდეს: რაბი, ვინ ცოდა: ამან ანუ  
მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმაჲ იშვა?<sup>2</sup>

3. პრქუა მათ იესუ: არცა ამან ცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ  
რამათ გამოცხადნეს საქმეს ღმრთისაჲ მაკას ზედა.

4. და ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა (265), ჩემისასა, ვიდ-  
რე დღეს არსთა: მოვალს ღამეს, ოდეს ვერვის ჯელ-ეწიფოს საქმედ.

5. ვიდრე ვარდა სოფელსა შინა, ნათელი ვარ სოფლისაჲ.

6. და ესე ვითარცა თქუა, პნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიგაჲ ნერწყუსა  
მისგან და ჰსცხო თიგაჲ იგი თუალთა მის ბრმისათა

7. და პრქუა მას: წარედ და დაიბანე საბანელსა მს სილოამისასა, რომელი  
ითარგმანების „მოვლინებულად“. წარვიდა კაცი იგი და დაიბანა და მოვიდა და  
ხედვიდა.

8. ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილვა იგი პირველად, რამეთუ მთხოველ  
იყო, იტყოდეს: არა ესე არსა, რომელ-იგი ზინ და ითხოვნ?

9. სხუანი იტყოდეს: ესე არს; რომელნიმე იტყოდეს: არა, არამედ მსგავსი  
მისი არს; ხოლო იგი იტყოდა: მე ვარ;

10. ჰკითხვიდეს მას: ვითარ აღგვიბონეს თუალნი შენნი?

11: ხოლო მან მიუვო და პრქუა მათ: კაცსა რომელს:(v) იესუ პრქვან, თი-  
გაჲ შექმნა და მცხო თუალთა ჩემთა და მრქუა მე: წარედ სილოამდ და დაიბანე.<sup>3</sup>  
და მივედ და დავიბანე და აღვიხილენ.

12. პრქუეს მას: სადა არს იგი? ხოლო მან პრქუა: არა ვიცი.

13. იყო შაბათი, ოდეს-იგი თიგაჲ შექმნა იესუ და აღუხილნა თუალნი მისნი.

14. მოიყვანეს წინაშე ფარისეველთა, რომელ-იგი პირველად ბრმა იყო.

15. კულად ჰკითხვიდეს მას ფარისეველნიცა იგი: ვითარ აღვიხილენ? ხოლო  
მან პრქუა მათ: თიგაჲ დამდვა თუალთა ჩემთა, და დავიბანე და აწ ვხედავ.

16. იტყოდეს ვინმე ფარისეველთაგანნი: ესე კაცი არა არს ღმრთისაგან,  
რამეთუ შაბათსა არა იმარხავს. სხუანი იტყოდეს: ვითარ ჯელ-ეწიფების კაცსა  
ცოდვილსა ესევეითარი სასწაული საქმედ? და ცილობაჲ იყო მათ შიგრის.

17. პრქუეს მას, რომელ-იგი პირ(266)ველ ბრმა იყო: შენ რასა იტყვ  
მისთავს, რამეთუ აღვიხილნა თუალნი შენნი? ხოლო მან თქუა: წინაწარმეტყუელი  
არს.

18. არა პრწყენა ჰტრიათა მისთავს, ვითარმედ ბრმაჲ იყო და აღვიხილნა  
თუალნი, ვიდრემედ მოუწოდეს მამა-დედათა მისთა, რომელმან-იგი აღვიხილნა.

<sup>1</sup> ასეა B (უქარაგმოდ).

<sup>2</sup> რამეთუ ბრმაჲ იშვა-რა ბრმაჲ იშვეს B.

<sup>3</sup> დავიბანე B.



19. ჰკითხვიდეს მათ და ჰრქვეს: ესე არსა ძმ თქუენი, რომლისაჲ თქუენ მსთქუთ, ვითარმედ: ბრმაჲ იშვა? აწ უკუე ვითარ ჰხედავს?
20. მიუგეს მამა-დედათა მათ და ჰრქვეს: უწყით, რამეთუ ესე არს ძმ ჩუენი და რამეთუ ბრმაჲ იშვა.
21. ხოლო აწ ვითარ ხედავს, ჩუენ არა უწყით; ანუ ვინ აღუხილნა მგას თულნი, ჩუენ არა ვიცით; მგას ჰკითხეთ, ჰსაკი აქუს, ევე თავისა თვისისათს თუთ იტყოდის.
22. ამისთვის ესრე თქუეს მშობელთა მისთა, რამეთუ ეშინოდა ჰურიათათს, რამეთუ შეეთქუმულ იყენეს ჰურიანი, რადთა აღ-თუ ვინმე-(v)იაროს იგი ქრისტედ, კრებულისაგან განგადონ იგი.
23. ამისთვის თქუეს მამა დედათა მისთა, ვითარმედ: ჰსაკი აქუს, მს ჰკითხეთ.
24. მიუწოდეს კაცსა მას მეორედ, რომელ-იგი პირველ ბრმა იყო, და ჰრქვეს მას: მიეც დიდებაჲ ღმერთსა; ჩუენ უწყით, რამეთუ კაცი ესე ცოდვილი არს.
25. მიუგო მან და ჰრქუა: ცოდვილი თუ არს, მე არა უწყი; ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმა ვიყავ და აწ ვხედავ.
26. მერმე ჰრქვეს: რაჲ გიყო შენ? ვითარ აღგიხილნა თულნი?
27. ჰრქუა მათ: ვარქუ თქუენ პირველვე, და არა გესმა; რაჲსა გინებს კულად<sup>1</sup> სმენად? ანუ თქუენცა გნებავს მოწაფე ყოფად მისა?
28. ხოლო ივინი ავიწყებდეს მას და ეტყოდეს: შენ ხარ მოწაფე მისი, ჩუენ მოსცს მოწაფენი ვართ.
29. უწყით, რამეთუ მოსეს ეტყოდა ღმერთი, ხოლო ესე არა ვიცით, ვინაჲ არს.
30. მიუგო კაცმან მან და ჰრქუა მათ: (267) საკვრველი ესე არს, რამეთუ თქუენ არა იცით, ვინაჲ არს, და მე თულნი აღმიხილნა.
31. ესე უწყით, რამეთუ ღმერთმან ცოდვილისაჲ არა ისმინის, არამედ უკუეთუ ვინმე არს ღმრთის-მსახურ და ნებასა ღმრთისსაჲ ჰყოფნ, ამისი ისმინის ღმერთმან.
32. საუკუნითგან არასადა ისმა, ვითარმცა აღ-ვინმე-უხილნა თულნი შობითგან ბრმასა.
33. უკუეთუმცა არა იყო ესე ღმრთისაგან, ვერმცა რას შემძლებელ იყო ესე საქმედ.
34. მიუგეს და ჰრქვეს მას: ცოდვისა შენა შობილ ხარ ყოვლად და შენ გუასწავებ ჩუენ? და განგადეს იგი გარე.
35. ესმა რაჲ იესუს, რამეთუ განაძეს იგი გარე, პოვა იგი და ჰრქუა მას: შენ გრწამს ძმ ღმრთისაჲ?
36. მან მიუგო და ჰრქუა მას: ვინ არს, უფალო, რადთა მრწამენს იგი?
37. ჰრქუა მას იესუ: იხილე იგი, და რომელი გეტყვს შენ<sup>2</sup>, იგი არს.
38. ხოლო მან თქუა: მრწამს, (v) უფალო! და თავყუანისცა მას.
39. და თქუა იესუ: შჯად სოფელსა ამას მოსრულ ვარ მე, რამეთუ რომელნი არა ხედვიდეს, ხედვიდენ; და რომელნი ჰხედვიდეს, დაბრმენ.

<sup>1</sup> კულადი—B.

<sup>2</sup> შენ თანა B.



40. ესმა ესე ფარისეველთაგანთა, რომელნი იყვნეს მის თანა, და ჰკითხეს მას: ნუუკუე ჩუენცა ბრძანი ვართა?

41. ჰრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ბრძანი იყვენით, ცოდვამცა არა გაქუნდა; ხოლო აწ იტყვთ, ვითარმედ: ვხედავთ, და ცოდვანი თქუენნი ჰვიან.

## 10

1. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართოსა, არამედ სხვთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი.

2. ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართაჲ.

3. ამას შეკარებან განჯღოს, და ცხოვართა ჳმისა მისისაჲ ისმინიან, რამეთუ თჳსთა ცხოვართა უწყენ სახელით და გამოიყვანნის იგინი.

4. და ოდეს ყოველნი თჳსნი (258) განიყვანნის, წინაშე მათსა ვილადის, და ცხოვარნი იგი შეუდგენ მას, რამეთუ იციან ჳმაჲ მისი.

5. ხოლო უცნოსა არა შეუდგენ, არამედ ივლტოდინ მისგან, რამეთუ არა იციან ჳმაჲ უცხოასაჲ.

6. ამას იგავსა ეტყოდა იესუ, და მათ არა გულისხმა-ყვეს, რასა-იგი ეტყოდა მათ.

7. მერმე ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: მე ვარ კარი ცხოვართაჲ.

8. ყოველნი, რომელნი ჩემსა პირველ მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა.

9. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ეინმე შევიდეს, ცხომდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი ჰოვოს.

10. ხოლო მპარავი არა მოვიდეს, არამედ რაჲთა იპაროს და დაკლას და წარწყმიდოს. ხოლო მე მოვედ, რაჲთა ცხოვრებაჲ აქუნდეს და უმატესი აქუნდეს.

11. (v) მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართა თჳსთათჳს.

12. ხოლო სასყიდლით-დადგინებულმან და რომელი არა არს მწყემს, რომლისა არა თჳსნი არიედ ცხოვარნი, ისილის რაჲ მგელი მომავალი, დაუტევის ცხოვარნი და ივლტინ, და მგელმან წარიტაცნის იგინი და განაზნინის.

13. რამეთუ სასყიდლით-დადგინებულ არს და არარაჲ შჳირს მას ცხოვართა მათთჳს.

14. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ.

15. ვითარცა მიცის მე მამამან, მეცა ვიცი მამაჲ და სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათჳს.

16. და სხუანცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან მის ეზოასანი, იგინიცა ჳერ-არინ ჩემდა მოყვანებად; და ჳნისა ჩემისაჲ ისმინონ, და იყვნენ ერთ (269) სამწყსო და ერთ მწყემს.

17. ამისთჳს უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაჲთა კუალად მოვილო იგი.

18. არაეინ მიმილოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით. ველ-მეწიფების დადებად მისა და ველ-მეწიფების კუალად მოღებად მისა. ესე მცნებაჲ მომიღებინს მამისა ჩემისაგან.

19. და იყო კუალად განწყალება ჰურიათა შოგრის ამის სიტყუსათჳს.

20. და იტყოდეს მრავალნი მათგანნი: ეშმაკულ არს და ცბის. რაჲსა ისმენთ მისსა?





ქართული  
არქივი

21. და სხუანი იტყოდეს: ესე სიტყუანი არა ეწმაკუელისანი ეშმაკსა გელ-ეწიფების ბრწისა თულათა აღზილად?
22. და იყო მაშინ სატფურებად იერუსალმს; ზამთარი იყო.
23. და იქცეოდა იესუ ტაძარსა მას ჴინა, სტოვასა სოლომონისა.
24. გარე მოადგეს მას ჰურიანი და ეტ(ვ)ყოდეს: ვიდრემდე სულთა ჩუნთა წარგუდნი? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუნ განცხადებულად.
25. მიუგო მათ იესუ და პრქუა: ვითხარ თქუნ, და არა გრწამს; საქმეთა რომელთა მე ვიქმ სახელითა მამისა ჩემისადათა, ესენი წამებენ ჩემთვის.
26. და თქუნ არა გრწამს, რამეთუ არა ხართ ცხოვართავან ჩემთა.
27. ცხოვართა ჩემთა ვმისა ჩემისაჲ იმინონ, და მე ვიცი ივინი, და მომღვედენ მე.
28. და მე ცხოვრებაჲ საუკუნოჲ მივსცე მათ, და არა წარწყმდენ უკუნისამდე, და არავინ მიმტაცნეს ივინი გელთავან ჩემთა.
29. მაჲჲ ჩემი, რომელმან მომცნა ივინი, უფროჲს ყოველთასა არს, და არავის გელ-ეწიფების მიტაცებად მათა გელიჯან მამისა ჩემისა.
30. მე და მაჲჲ ერთ ვართ.
31. აქუნდა ქებები ჰურიათა მათ, რაჲთამცა დაჰკრიბეს მას.
32. (270) მიუგო მათ იესუ და პრქუა<sup>1</sup>: მრავალი საქმე კეთალი ვიქუნე თქუნ მამისა ჩემისა მიერ; რომლისა საქმისათს მათგანისა ქვასა დამკრებთ მე?
33. პრქუეს მას ჰურიათა: კეთილისა საქმისათს არა დაგკრებთ შენ ქვასა, არამედ გმობისათს, და რამეთუ შენ კაცი ხარ და ვიყოფიეს თავი შენი ღმერთ.
34. მიუგო მათ იესუ და პრქუა<sup>1</sup>: არა წერილ არსა შჯულსა, ვითარმედ: მე ვთქუ. ღმერთნი სამე ხართ?
35. უკუეთუ ივინი თქუნა ღმრთად, რომელთა მიმართ იყო სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და ვერ გელ-ეწიფების დავსნად წერილი.
36. და რომელი-იგი მაჲმან წმიდი-ყო და მოავლინა სოფლად, თქუნ იტყვო, ვითარმედ: გმობს, რამეთუ ვთქუ, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარი მე.
37. უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამ ჩემი.
38. უკუეთუ ვიქმ, დაღათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწამენედ<sup>2</sup>, (V) რაჲთა სცნათ და უწყოდით, რამეთუ მაჲჲ ჩემ თანა არს, და მე მამისა თანა.
39. ეძიებდეს კულად შეპყრობად მას, და განვიდა გელთავან მათთა.
40. და წიადგდა მიერ იორდანესა, აღგილსა მას, სადა ნათელ-სცემდა იოვანე პირველად, და დაადგრა მუნ.
41. და მრავალნი მოვიდოდეს მისსა და იტყოდეს, ვითარმედ: იოვანე სასწაულ არარაჲ ქმნა; ხოლო ყოველი რომელი თქუა იოვანე ამისთვის, ჴეწმარბტ არს.
42. და მრავალთა პრწმენა მისი მუნ.

11

1. იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიიჲთ, დაბისავან მარიამისა და მართაჲსა, დისა მისისა.
2. ესე იგი იყო მარიამ, რომელმან ჰსცხო ნელსაცხებელი ფერქთა უფლისათა და თმითა თვისითა წარჰკიცნა, რომლისა ძმაჲ მისი ლაზარე სნეულ იყო.

<sup>1</sup> რქა B.  
<sup>2</sup> გრწამენედ B



3. მიუვლინეს იესუს დათა მისთა და პრქუეს: უფალო, აჰა რომელი გრქუა (271) რდა შენ, სნეულ არს.
4. ვითარცა ესმა ესე იესუს, თქუა: ესე უძღურებდა არა არს სასიკუდინჲ, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რადთა იდიდოს ძმ ღმრთისაჲ მისგან.
5. უკუარდა იესუს მართა და დაჲ მისი და ლაზარე.
6. ვითარცა ესმა იესუს, რამეთუ სნეულ არს, მაშინ და-და-ადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო, თრ დღე.
7. ამისა შემდგომად პრქუა მოწაფეთა თჳსთა: გუალო, კუალად წარვიდეთ ჰერიასტანად.
8. პრქუეს მას მოწაფეთა: მოძღვარ, აწლა გვიებდეს შენ ჰერიანი ქვისა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხვალა?
9. პრქუა მათ იესუ: არა ათორმეტნი ეამნი არიანა დღისანი? უკუეთუ ვინმე ვილოდის დღესა, არა წარსცეს ფერჯი, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედავს.
10. და უკუეთუ ვინმე ვილოდის ღამესა, უბრკუმეს მას, რამეთუ ნათელი არა არს მას შინა.
11. (v) ესე რად თქუა, ამისა შემდგომად პრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვაღვა იგი.
12. პრქუეს მას მოწაფეთა: უფალო, უკუეთუ დაიძინა, ცხომდეს.
13. ხოლო იესუ თქუა სიკუდილისა მისისათჳს, და მათ ვგონა, ვითარმედ მძინარებისათჳს ძილისა თქუა.
14. მაშინ პრქუა მათ იესუ განცხადებულად: ლაზარე მოკუდა.
15. და მე მიხარის თქუნეთჳს, რადთა გრწმენეს ჩემი, რამეთუ მე არა მუნ იყავ. არამედ მოგუალეთ და მივიდეთ მისა.
16. პრქუა თომი, რომელსა ერქუა მარჩივ, მისთანათავანთა მოწაფეთა: მოგუალეთ, მივიდეთ, რადთა მოგწყდეთ მის თანა.
17. და ვითარცა მოვიდა იესუ ბეთანიად, პოვა იგი, რამეთუ თთხი დღჲ აქუნდა საფლავსა შინა.
18. ხოლო იყო ბეთანია მახლობელ იერუსალჲმსა ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან.
19. (272) და მრავალნი ჰერიათავანნი მოსრულ იყვნეს მართამსა და მარია-მისა, რადთა ნუგეშინის-სცენ მათ ძმისა მათისათჳს.
20. ხოლო მართას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოვალს, მიეგებვოდა მას, ხოლო მარიამ სახლსა შინა ჯდა.
21. პრქუა მართა იესუს: უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკლდარ იყო ძმად იგი ჩემი.
22. და აწცა უწყი: რად სთხოვო შენ ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.
23. პრქუა მას იესუ: აღდგეს ძმად შენი.
24. პრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა უკუანადსკენელსა მას დღესა.
25. პრქუა მას იესუ: მე ვარ აღდგომად და ცხოვრებაჲ. რომელსა პრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხომდესვე.
26. და ყოველი რომელი ცხოველ არს და პრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე?
27. პრქუა მას მართა: ჰე, უფალო, მე მრწამს, (v) რამეთუ შენ ხარ ქრისტჲ, ძმ ღმრთისაჲ, მოსრული სოფლად.

28. და ვითარცა ესე თქვა, წარვიდა და მოუწოდა მარიამს, იდუმალ და პრქუა მას: მოძღუარი მოსრულ არს და გიწესს შენ.
29. ხოლო მას ვითარცა ესნა, აღდგა ადრე და მოვიდოდა მისსა.
30. რამეთუ არა მოსრულ იყო იესუ დაბად, არამედ მუნღა იყო აღვილს მას, სადაცა მიეგებვოდა მას მართა.
31. ხოლო პურიანი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგე-შინის-პცემდეს მათ, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ ადრე აღდგა და განვი-და, მისდევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილდ მისა.
32. ხოლო მარიამ გამოვიდა, სადა-იგი იყო იესუ. და ვითარცა იხილა იგი, დაეარდა ფერჯთა მისთა და პრქუა მას: უფალო, უკუეთუნიცა აქა იყავ, არამცა მოკუდა ძმად იგი ჩემი.
33. ხოლო იესუ ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტეროდა, და მის (273) თა-ნა მოსრულნიცა<sup>1</sup> იგი პურიანი ტირილდეს, შეძრწუნდა სულითა, ვითარცა რახვით,
34. და პრქუა მათ: სადა დასდევით იგი? პრქუეს მას: უფალო, მოვედ და იხილე.
35. და ცრემლოდა იესუ.
36. იტყოდეს პურიანი იგი: ამა ვითარ სამე უყუარდა იგი!
37. ვითინიმე მათგანნი იტყოდეს: არა-მემცა ველოა ამას, რომელმან აღუ-ხილნი თუალნი ზრმასა, ყოფად რამე, რამათნიცა ესეცა არა მოკუდა?
38. ხოლო იესუ კუდად, ვითარცა განრისხებული გონებასა თვსსა, მოვიდა საფლავსა მას. ხოლო იყო ქუანი, და ლოდი ზედა ედვა მას.
39. პრქუა მათ იესუ: აღიღეთ ლოდი ვეე. პრქუა მას მართა: უფალო, ყროდისდა, რამეთუ მეოთხშ დღშ არს.
40. პრქუა მას იესუ: არა გარქუ შენა, ვითარმედ: უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ?
41. ვითარცა აღიღეს ლოდი იგი, და იესუ აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: (V) მამაო, გმადლოშ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი.
42. და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმინი ჩემი, არამედ ერისა ამისთვის, რომელი გარე მონადეს მე, ვთქუ, რამათა პრწმენეს, რამეთუ შენ მოსავლინე მე.
43. და ესე ვითარცა თქუა, ჳმითა დიდითა დაღად-ყო: ლაზარე, აღდგე და გამოედ გარე!
44. და გამოვიდა მკუდარი იგი შეკრული ჳელითა და ფერჯითა სასუვევლითა, და პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა. პრქუა მათ იესუ: განჰჳსენით ვეე და უტევეთ, ვიდოდის.
45. მრავალთა პურიათგანთა, რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამისა და მართასა, იხილეს, რომელ-იგი ქნა იესუ, და მრავალთა პრწმენა მისი.
46. ხოლო რომელნიმე მათგანნი წარვიდეს ფარისეველთა და უთხრეს მათ, რამ-იგი ქნა იესუ.
47. და შეკრიბეს მდღელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა კრებული და იტყოდეს: რამ-მე ვყოთ კაცი ესე, (274) რამეთუ მრავალსა სასწაულსა იქმს?
48. უკუეთუ დაუტეოთ იგი ესრტთ, ყოველთა პრწმენეს მისი, და მოვიდენ პრომნი და მიგვლონ ადგილიცა ჩუენი და ნათესავიცა.
49. ერთმან მათგანმან, კაიაფა, რომელი იყო მდღელთ-მოძღუარი მის წე-ლიწადისაჲ, პრქუა მათ: თქუენ არა იცით არცა ერთ.

<sup>1</sup> მოსრულნიცა B.

**50. არცა განვიზიარებ, რამეთუ უმცობეს არს ზუნდა, რაათა ერთი ცქტ**  
მოკლდეს ერისათჳს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს.

51. ესე თავით თჳსით არა თქუა, არამედ მღდელთ-მოძღუარი იყო წელი-წადისაჲ მის და წინაწარმეტყულებდა, რამეთუ ეგულებოდა იესუს მოსიკუდილ ნათესავათჳს.

52. და არა ხოლო ნათესავათჳს, არამედ რაათა შვილნიცა ღმრთისანი განზნეულნი შეკრიბნეს ერთად.

53. მიერთებან შეიზარანეს ჰურიანი, რაათა მოკლან იგი.

54. (V) ხოლო იესუ არღარა განცხადებულად ვიდოდა ჰურიათა შოგრის<sup>1</sup>, არამედ წარვიდა მიერ სოფელსა, მახლობელად უდაბნოსა, ქალაქსა, რომელსა ჰრქვან ეფრემ, და მუნ დაადგრა მოწაფითურთ თჳსით.

55. იყო მახლობელ პასეკი, დღესასწაული ჰურიათაჲ, და აღვიდეს მრავალნი იერუსალმად სოფლებისაგან უწინარეს მის პასეკისა, რომელსა ჰრქვან ენებაჲ, რაათა განიწმიდნენ თავნი თჳსნი.

56. ხოლო ჰურიანი იგი ეძიებდეს იესუს და იტყოდეს ურთიერთას, დგეს რაჲ ტაძარსა შინა: ვითარ ჰვინებთ თქუენ, არა-მე მოვიდესა დღესასწაულსა ამას?

57. რამეთუ მიეცა მცნებაჲ მღდელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა რაათა უკეთეთ ვინმე უწყოდის, სადა არს, აუწყოს მათ, რაათა შეიპყრან, იგი.

## 12

1. ხოლო იესუ უწინარეს ექუსით დღით ენებისა მის (276) მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე<sup>2</sup> მომკუდარ, რომელ-იგი აღადგინა იესუ მკუდრეთით.

2. და დაუმზადეს მას მუნ სერი, და მართა ჰმსახურებდა მას, და ლაზარე ერთი მიენაწეთაგანი იყო მის თანა.

3. ხოლო მარიამ მოილო ლიტრად ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოვსაჲ მრავლისა სასყიდლისაჲ და სცხო ფერჯთა იესუსსთა და თმითა თჳსითა წარჰკოცნა ფერჯნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღიესო სულნელებითა მის ნელსაცხებელისაჲთა.

4. თქუა ვინმე ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან, იუდა სიმონისმან, ცხარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემად მისი:

5. რაჲსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლახაკთა?

6. ხოლო ესე მისთჳს თქუა, არა თუ გლახაკთა რაჲმე ზრუნვად ედვა მას, არამედ მპარავ (V) იყო და ვადრუცი იგი მას აქუნ, და შთასადებელი იგი მას ჰკიდაცნ.

7. და თქუა იესუ: უტევეთ მაგას, რაათა დღედ დასაფლავად ჩემდა დამომარხოს.

8. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

9. გულისხმა-ყო ყოველმან ერმან ჰურიათაგანმან, რამეთუ იესუ მუნ არს,

<sup>1</sup> შს B.

<sup>2</sup> ლაზარე B.

და მოვიდეს არა ხოლო იესუდსთვის, არამედ რაათა ლაზარეცა<sup>1</sup> იხილონ, რომელ-  
 -იგი აღადგინა იესუ მკუდრებით.

10. ზრახვა-ყვეს მღვდელთ-მოძღუართა მათ, რაათა ლაზარეცა მოკლან.

11. რამეთუ მრავალნი ჰპირათაგანნი მოვიდოდეს და ჰრწმენა მათ იესუდს.

12. ზვალისაგან ერთი იგი მრავალი რომელ მისრულ იყო დღესასწაულსა მას,  
 რამეთუ ესა, ვითარმედ იესუ მოვალს იერუსალმად,

13. მოიღეს რტოები დანაკისკულთაგან და განვიდეს მიგებებად მისა და და-  
 ლა(276)დებდეს და იტყოდეს: წსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლი-  
 საათა, მეუფს ისრაელისა!

14. და პოვა იესუ ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს:

15. ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფს შენი მოვალს შენდა  
 და ზე ზის იგი კიცუსა ვირსა.

16. ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად, არამედ ოდეს იდიდა იესუ,  
 მოეცენა, რამეთუ ესე წერილ იყო მისთვის, და ესე უყვეს მას.

17. და ერთი იგი, რომელ იყო მის თანა, ეწამებოდა მას, რამეთუ ლაზარეს  
 უწოდა საფლავით და აღადგინა იგი მკუდრებით.

18. ამისთვისცა მიეგებვოდა მას ერთი იგი, რამეთუ ესმინა, ვითარმედ ესე  
 სასწაული ქმნა.

19. ხოლო ფარისეველთა მათ ჰრქუეს მათ: ხედაეთა, რამეთუ არას ირგებთ?  
 აჰა სოფელი ყოველი მოვიდა შედგომად მისა.

20. იყენეს ვინმე წარმართნიცა აღმოს(ვ)რულთა მათგანნი, რაათა თავყუ-  
 ნის-პცენ დღესასწაულსა მას.

21. ესენი მოუტდეს ფილიპეს, რომელ-იგი იყო ზეთსიდიდათ გალილეისაათ,  
 და ეტყოდეს მას: უფალო, გუნებავს იესუდსი ხილვა.

22. და მივიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრეას; და ანდრეა და ფილიპე  
 ჰრქუეს იესუს.

23. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მოიწია ესამი, რაათა იდიდოს ეს  
 კაცისა.

24. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ არა მარტული იფცლისა და აგარდეს  
 ქუეყანისა და მოკუდეს, იგი ხოლო ეგოს; უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი  
 გამოიღოს.

25. რომელსა უყუარდეს თავი თვისი, განუტეოს იგი; და რომელსა სძულდეს  
 თავი თვისი ამას სოფელსა, ცხოვრებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი.

26. უკუეთუ ვინმე მე მსახურებდეს, (277) მე შემომიდეგინ; და სადაცა მე  
 ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს. უკუეთუ ვინ მე<sup>2</sup> მსახუროს<sup>3</sup>, პატივ-სცეს მას  
 მამამან ჩემმან.

27. აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს, და რა-მე ვთქუა? მამაო, მიტყენ მე  
 ამის ესამისაგან, არამედ ამისთვის მოვედ ესმისა ამას.

28. მამაო, აღიდე სახელი შენი. მოიწია მისა კმა ზეცით: გადიდე და კუა-  
 ლად გაიდიდო.

29. ხოლო ერთი იგი, რომელ დგა და ესმა, იტყოდეს, ვითარმედ: ქუბილი  
 იყო; ხოლო სხუანი იტყოდეს: ანგელოზი ეტყოდა მას.

<sup>1</sup> ლაზარეცა B.

<sup>2</sup> ასე (ვან მე) იკითხება აგრეთვე M-შიც.

<sup>3</sup> მსახურისა B.



30. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ჩეჰოვს იყო წმად ესე, არამედ თქუ-  
 ენთჳს.
31. აჲ არს სასჯელი სოფლისაჲ ამის, აჲ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ გარ-  
 დამოვარდეს ქუე.
32. და მე ოდეს აღვმადლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა.
33. ხოლო ამას რა იტყოდა, აუწყებდა, რომლითა (V) სიკუდილითა ეგუ-  
 ლებოდა სიკუდიდ.
34. მიუგო მას ერმან მან და ჰრქუა: ჩუენ გუასმიეს შჯულისაგნ, ვითარმედ  
 ჳრისტჳ უკუნისამდე ეგოს. და შენ ვითარ იტყუ, ვითარმედ: ჳერ-არს აღმადლებად  
 ძისა კაცისაჲ? ვინ არს ესე ძჳ კაცისაჲ?
35. ჰრქუა მათ იესუ: მცირედლა ეჲმ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ,  
 ვიდრე ნათელი გაქჳს, რაჲთა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ  
 ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ.
36. ვიდრე ნათელი გაქჳს, გრწმენინ ნათელი, რაჲთა ძე ნათლის იყენეთ.  
 ამას იტყოდა იესუ და წარვიდა და დაეფარა მათგან.
37. და ესოდენნი სასწაულნი ქნნა წინაჲმ მათსა, და მათ არა ჰრწმენა  
 მისა მიმართ.
38. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა  
 იტყუ: უფალო, ვის-მე ჰრწმენა სასმენელი ჩუენი? დ მკლავი უფლისაჲ ვის გა-  
 მოეცხადა?
39. (278) ამისთჳს ვერ ეძლო რწმუნებად, რამეთუ მერმეცა თქუა ესაია:
40. დაუბრმეს თუალნი მათნი და დაუსულბეს გულნი მათნი, რაჲთა ვერ  
 იხილონ თუალითა და გულისხმა-ყონ გულითა და მოიქცენ, და მე განგურნე  
 ივინი.
41. ესე თქუა ესაია, ოდეს-იგი იხილა დიდებაჲ მისი და იტყოდა მისთჳს.
42. ხოლო მთავართაგანთაცა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, არამედ ფა-  
 რისეველთათჳს ვერ აღიარეს, რაჲთა არა კრებულისაგან განასხნენ.
43. რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს, ვიდრე დიდებაჲ ღმრ-  
 თისაჲ.
44. ხოლო იესუ დაღად-ყო და თქუა: რომელსა ვჰრწმენე მე, არა მე  
 ვჰრწმენე, არამედ მომავლინებელი ჩემი.
45. და რომელმან მიხილა მე, იხილა მომავლინებელი ჩემი.
46. მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რაჲთა გოველსა რომელსა ჰრწმენეს  
 ჩემი, ბნელსა შინა არა (V) დაადგრეს.
47. და რომელმან ისმინნეს სიტყუანი ჩემნი და არა<sup>1</sup> დაიმარბნეს, მე არა  
 ესაჯო იგი, რამეთუ არა მოვედ დაშჯიდ სოფლისა, არამედ რაჲთა ვაცხოვნო  
 სოფელი.
48. ხოლო რომელმან შეურაცხ-მყოს მე და არა შეიწყნარნეს სიტყუანი  
 ჩემნი, აქუს მსაჯული თჳსი: სიტყუასა რომელსა ვიტყოდე, მან საჯოს იგი უკუ-  
 ნაასკენელსა დღესა.
49. რამეთუ მე თავით ჩემით არა ვიტყოდე, არამედ რომელმან მომავლინა  
 მე, მამამან, მან მომცა მე მცნებაჲ, რაჲ ვთქუა და რასა ვიტყოდი.
50. და უწყი, რამეთუ მცნებაჲ<sup>1</sup> მისი ცხოვრება საუკუნე არს. და რომელსა  
 ვიტყუ მე, ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვიტყუ.

<sup>1</sup> არა—BM.

1. და უწინარს დღესასწაულისა მის პასეკისა, რომელ არს ვნებისაჲ, იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რაჲთა განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარანა თჳს(279)ნი იგი ამის სოფელსა და სრულიად შეიყუარნა ივინი.
2. და ვითარცა სერობაჲ იგი იყო, ეშინაკი შევე-სრულ იყო გულსა იუდაისსა, სიმონის ძეკარიოტელისასა, რაჲთა განსცეს იგი.
3. იცოდა იესუ, რამეთუ ყოველივე მოსცა მას მამამან ჴელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივიღს.
4. აღდგა სერობისაგან და დადგა სამოსელი თჳსი და მოიღო არდაგი და მოირტყა,
5. და მოიღო წყალი და შთასხა საბანელსა და იწყო დაბანად ფერგთა მოწაფეთა მით თჳსთა და წარჰტოცდა არდაგითა მით, რომელი შეემოსა,
6. და მოვიდა სიმონ-პეტრსა. ჰრქუა მის პეტრე: უფალო, შენ დამბანა ფერგთა ჩემთა?
7. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: რასა-ესე ვიქმ, აწ არა იცი, ხოლო მერმე უწყოდო.
8. ჰრქუა მას პეტრე: არა დამბანე მე ფერგნი უკუნისამდე. (v) ჰრქუა მის იესუ: უკუეთუ არა დაგბანე ფერგნი შენ, არა ვაქუს ნაწილი ჩემ თანა.
9. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ნუ ხოლო ფერგნი ჩემნი, არამედ ჴელნიცა და თავიცა ჩემი.
10. ჰრქუა მას იესუ: განბანილსა მას არა უტმს, გარნა ფერგნი ხოლო ბანად, რამეთუ ყოვლად წმიდა არს იგი, და თქუენ წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი.
11. რამეთუ იცოდა იესუ მიმცემელი იგი. ამისთჳს თქუა, ვითარმედ: არა ყოველნი წმიდა ხართ.
12. და ოდეს დაჰბანა ფერგნი მათნი, მაშინ მოიღო სამოსელი თჳსი და ინაჯ-იღვა და მერმე ჰრქუა მათ: უწყითა, რაჲ-ესე გვაე თქუენდა მიმართ?
13. თქუენ მხალით მე: მოძღუარო და უფალო, და კეთილად მსტეტუ, რამეთუ მე ვარ.
14. უკუეთუ მე დაგბანე ფერგნი, უფალმან და მოძღუარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერგთა.
15. (280) რამეთუ სახს მიგეც თქუენ, რაჲთა, ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ვგრევე თქუენცა ჰყოფდეთ.
16. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა, არცა მოციქული უფროჲს მამავლინებელისა თჳსისა.
17. ესე თუ სენათ, ნეტარ ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ მას.
18. არა თქუენ ყოველთათჳს ვიტყვ ამას, რამეთუ მე ვიცნი, რომელნი გამოგირჩიენ, არამედ რაჲთა წერილნი იგი აღესრულნენ: რომელი ჴამდა პურსა ჩემ თანა, აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი.
19. ამიერთგან გეტყვ თქუენ ვიდრე ყოფადმდე, რაჲთა, რაჲჲმს იყოს, გრწმენეს, რამეთუ მე ვარ.
20. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ ვინმე შეიწყნაროს, რომელი მე მივაგლინო, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მამავლინებელი ჩემი,



21. ესე თქუა იესუ და შეპირუნდა სულითა თვისითა, წიმა და თქუა: ამენ გეტყვ თქუენ: ერთმან თქუენგანმან (V) მიმცეს მე.
22. შეიხილნეს ურთიერთს მოწაფეთა და არა უწყოდეს, ვისთვის იტყოდა.
23. და იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუმსთა, რომელ-იგი უყუარდა იესუს
24. წამ-უყვნა მას სიმონ-პეტრე, რაჟთა ჰკითხოს, ვინ არს, რომლისათვის იტყვს?
25. ხოლო იგი მიყრდნა მკერდსა იესუმსსა და პრეტუა მას: უფალო, ვინ არს?
26. მიუგო იესუ და პრეტუა: რომელსა მე დავაწო პური და მივსცე, იგი არს. და დავაწო პური და მისცა ბუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა.
27. და შემდგომად მიღებისა იუდასა საზრდელისა<sup>1</sup> მის წევიდა მისა ემმაკი. პრეტუა მას იესუ: რა მელი გგულებსი საქმედ, ყავ აღრე.
28. ესე არაეინ ცნა ინანეთ-მჯღომარეთაგანმან იესუმს თანა, რაჟსათვის პრეტუა მას.
29. რომელნიმე ჰგონებდეს, რამეთუ ვადრუცი იგი (281) იუდას აქუნდა, ვითარმედ პრეტუა მას იესუ: იყიდე, რაჟ-იგი გკმდეს დღესასწაულსა ამს, ვინა თუ მიცემად რაჟმე გლახაკთა.
30. ხოლო მან ნიიღო პური იგი და განვიდა შეყსეულად. და იყო ღამე<sup>1</sup>.
31. და ვითარცა განვიდა იუდა, თქუა იესუ: აწ იღიდა ძე კაცისაჲ, და ღმერთი იღიდა მის თანა.
32. და რამეთუ ღმერთი იღიდა მის თანა, ღმერთმანცა აღიღოს იგი თავისა თვისისა თანა, და შეყსეულად აღიღოს იგი.
33. შეილნო, მცირედ ეამ თქუენ თანა ვარ. და მეპიბდეთ მე, ვითარცა ვარქუ პურიათა, ვითარმედ: ვიდრე მე მივალ, თქუენ ვერ გჳლ-გაწიფების მოსლავად; და აწ თქუენ გეტყვ.
34. მცნებასა ახალსა მივცემ თქუენ, რაჟთა იყუარობდეთ ურთიერთს, ვითარცა მე შევიყუარენ თქუენ, რაჟთა თქუენცა იყუარობდეთ ურთიერთს.
35. ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარობდეთ ურთიერთს.
36. (V) პრეტუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ვიდრე ხუალ? პრეტუა მას იესუ: ვიდრე-იგი მე მივალ, შენ აწ ვერ ძალ-გიც მისლავად, ხოლო მერმე მომდევდე.
37. პრეტუა მას პეტრე: უფალო, რაჟსა ვერ ძალ-მიც მიღვენებად შენდა? აწ სული ჩემი შენთვის დავდევა.
38. მიუგო იესუ და პრეტუა მას: სული შენი ჩემთვის დაცდევად? ამენ, ამენ გეტყვ შენ: არლა გყიფნოს ქათამსა, ვიდრემდე უვარ-მყო მე სამ-გზის.

## 14

1. ნუ შეპირუნდებიან ვული თქუენი, ვრწმენინ ღმრთისა და ვრწმენინ ჩემ-და მომართ.
2. სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრაველ არიან. უკუეთუ არა, ვარქუმცა თქუენ, ვითარმედ: წარვიდე და განგიშხადო თქუენ ადგილი.
3. და უკუეთუ მე წარვიდე და განგიშხადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარვიყვანენ თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჟთა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ.

<sup>1</sup> და განვიდა. და შეყსეულად იყო ღამე B.



4. და ვიდრე-იგი მე (282) მივალ, უწყით და გზადაც იცით.
5. ჰრქუა მას თომა: უფალო, არა ვიცით, ვიდრე სულა, და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად?
6. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ გზად და მე ვარ კემნარიტებად და ცხოვრებად; და არაფერ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ.
7. უკუუთუძცა მიტოდეთ მე, მამადცამცა ჩემი იტოდეთ. ამიერთვან იცით იგი და გზილავს.
8. ჰრქუა მას ფილიპე: უფალო, მიჩუენე ჩუენ მამად შენი, და კნა არს ჩუენდა.
9. ჰრქუა მას იესუ: ესოდენ უამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მეა, ფილიპე? რომელმან მცხილა მე, იხილა მამად ჩემი, და შენ ვითარ მეტყუ: მიჩუენე ჩუენ მამად შენი?
10. არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამად ჩემ თანა? სიტყუათა, რომელთა გეტყუ თქუენ, თავით ჩემით არა გეტყუ, არამედ მამად ჩემი რომელი ჩემ (v) თანა არს, იგი იცმს საქმესა.
11. გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამად ჩემ თანა? უკუეთუ არა, საქმეთა ამათვან გრწმენინ ჩემი.
12. ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა კმნეს და უფროდსილა ამისსა კმნეს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ.
13. და რად ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვცო, რადათა იდიდოს მამად ძისა თანა.
14. [არ მოეპოვება]
15. უკუეთუ გიუუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ.
16. და მე ვკითხო მამასა ჩემსა, და სხუად ნუგეშინის-მცემელი მოგცეს თქუენ, რადათა დაადგრეს თქუენ თანა უკუნისამდე.
17. სული იგი ჭეშმარიტებისადა, რომელი სოფელსა ვერ გელ-ვწოდების მოლებად, რამეთუ არა ხედავს მას, არცა იცის იგი, ხოლო თქუენ იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს და თქუენ თანა იყოს.
18. არა დაგიტენე თქუენ ობლად, მოვიდე (283) თქუენდა.
19. მცირედდა, და სოფელი ესე არა მხედვიდეს მე, ხოლო თქუენ მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხოველ ვარ, და თქუენცა ცხოველ იყვენეთ.
20. მას დღესა სცნათ თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შოვრის<sup>1</sup>.
21. რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუტხადო მას თავი ჩემი.
22. ჰრქუა მას იდეა, არა ისკარიოტელმან: უფალო, რად არს, რამეთუ ჩუენ გამოგტხადებ თავსა შენსა და არა სოფელსა?
23. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შევიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დაგ(v)ადგრეთ.
24. ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს; და სიტყუანი, რომელ გესმან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებულისა ჩემისა მამისანი.



25. ამას გეტყოდე, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ.

26. ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაა რომელი მოავლინოს მამამან სახელითა ჩემითა, მან გასწავოს და მოგაცხენოს თქუენ ყოველი, რაოდენი გარკუ თქუენ.

27. მშუდობასა დაგიტეუებ თქუენ, მშუდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ, არა ვითარ სოფელმან მისცის, მიგცემ თქუენ. ნუ შეფრწუნდები გული თქუენი, ნუცა გეწინი.

28. გესმა, რამეთუ გარკუ თქუენ: წარვალ და მოვიდე თქუენდა. უკუეთუმი-გი ვიყუარდი მე, ვიხაროდაშეცა, რამეთუ მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამა ჩემი უფროა ჩემსა არს.

29. და აწ გარკუ თქუენ, ვიდრე ყოფადმდე, რაათა, (284) რაქამს იყოს, გრწმენეს.

30. არღარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა, რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისა და ჩემ თანა არარად პოვოს.

31. არამედ რაათა ცნას სოფელმან, რამეთუ მიყუარს მამა ჩემი, და ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრეცა ცყო. აღდევით, წარვიდეთ ამიერ.

## 16

1. მე ვარ ვენაჳი კეწმარიტი, და მამა ჩემი მოქმედი არს.

2. ყოველმან რტომან რომელმან არა მოიღოს ნაყოფი ჩემ თანა, აღიღოს იგი; და ყოველმან რომელმან მოიღოს ნაყოფი, განიწმიდოს იგი, რაათა უმრავლესი ნაყოფი გამოიღოს.

3. ხოლო თქუენ აწვე წმიდა ხართ სიტყუათა მათ, რომელსა გეტყოდე თქუენ.

4. დაადგერით ჩემ თანა, და მე თქუენ თანა, რამეთუ ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ველ-ეწიფების ნაყოფისა მოღებად თავით თუსით, უკუეთუ არა ეგოს ვენაჳა ზედა, ეგრევე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა.

5. მე ვარ ვენაჳი, და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი და კეთილი, რამეთუ თენიერ ჩემსა არაა ძალ-გიც ყოფად არცა ერთ.

6. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდა გარე, ვითარცა ნასხლევსი, და განჳმა;<sup>1</sup> და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუეს.

7. უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა, და სიტყუანი ჩემნი თქუენ თანა ეგნენ, რააცა ვინდეს, ითხოვეთ, და გეყოს თქუენ.

8. ამით იღიღოს მამა ჩემი, რაათა ნაყოფი მრავალი გამოიღოთ და იყვნეთ ჩემდა მოწაფე.

9. ვითარცა შემყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ, დაადგერით სიყუარულსა ზედა ჩემსა.

10. უკუეთუ მცნებანი ჩემნი დამარხნეთ, ჰვიეთ სიყუა(288)რულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჳვიე სიყუარულსა ზედა მისსა.

11. ამას გეტყოდე თქუენ, რაათა სიხარული ჩემი თქუენ თანა ეგოს, და სიხარული თქუენი საესებით იყოს.

<sup>1</sup> განვარდა გარე და, ვითარცა ნასხლევსი, განჳმა B.

12. ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა იყუარობდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარებ თქვენ.

13. უფროასი ამისა სიყუარული არაფის აქუს, ვითარმცა თავი თვისი დადგა მეგობართა თვისთა ზედა.

14. თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუნ.

15. არღარა გეტყუ მონად, რამეთუ მონამან არა უწყინ, რასა იქნ უფალი თვისი. ხოლო თქვენ გარქუ მეგობარ, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამსა ჩემისაგან, გაუწყე თქუნ.

16. არა თქვენ გამომირჩეთ მე, არამედ მე გამოვირჩიენ და დაგადგანენ, რაჲთა თქვენ წარხვედეთ და ნა(v)ყოფი განიღოთ, და ნაყოფი თქუენი ევოს, რაჲთა, რაჲ-იგი სთხოვით მამისა ჩემისა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუნ.

17. ამას გამცნებ თქუნ, რაჲთა იყუარობდეთ ურთიერთას.

18. უკუეთუ სოფელი გძღობს თქუნ, უწყოდეთ. რამეთუ პირველად მე მომიძულა.

19. უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვინთ, სოფელიმცა თვისთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ, არამედ მე გამოვირჩიენ თქუნ სოფლისაგან, ამისთვის მსძულთ თქვენ სოფელსა.

20. მოიგსენეთ სიტყუაჲ იგი, რომელი გარქუ თქუნ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თვისისა. უკუეთუ მე მღვდენს, თქუენცა გღვდენენ; უკუეთუ სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, თქუენიცა დაიმარხნენ.

21. არამედ ესე გიყონ თქუნ სახელისა ჩემისათვის, რამეთუ არა ბციან მომა(286)გლინებელი ჩემი.

22. უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვამცა არა ატუნდა; ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათვის.

23. რომელსა მე ვსძულდე, მამაჲცა ჩემი სძულდეს.

24. უკუეთუმცა არა ვქმნენ საქმენი იგი მათ შოგრის<sup>1</sup>, რომელნი სსუამან არაფინ ქმნა, ცოდვამცა არა აქუნდა. ხოლო აწ მიხილესცა და მომიძულეს მეცა და მამაჲცა ჩემი.

25. არამედ რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელი შჭულსა მათსა წერილ არს, რამეთუ: მომიძულეს მე ცუდად.

26. ხოლო რაჲმს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მოვავლინ თქუნდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან განოვალს, მან წამოს ჩემთვის.

27. და თქუენცა მოწამე ხართ, რამეთუ დსახამითგან ჩემ თანა ხართ.

### 16

1. ამას გეტყოდე თქუნ, (v) რაჲთა არა დაჰპოვოდეთ,

2. რაჲმს კრებულისაგან განგასხნენ თქუნ. არამედ მოვალს ჩამი, რაჲთა ყოველმან რომელმან მოგწყვდნეს თქუნ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა.

3. და ესე გიყონ თქუნ, რამეთუ არა იცნეს მამა ჩემი, არცა მე.



4. არამედ ამას გეტყოდე თქუენ, რაათა, რაჟამს მოიწიოს უამი იგე იქსენოთ მათი, რამეთუ მე გარჯუ თქუენ. ესე პირველითგან არა გარჯუ<sup>1</sup>, რამეთუ თქუენ თანა ვიყავ.

5. ხოლო აწ მივალ მომავლინებელისა ჩემისა, და არაეინ თქუენგანი მკითხეს მე: ვიდრე ხუალ?

6. არამედ ამას რაჲ გეტყოდე თქუენ, მწუხარებამინ აღაგსნა გულნი თქუენნი.

7. არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყოდე თქუენ: უმჯობესს არს თქუენდა, რაათა მე წარვიდე: უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი არა მოვიდეს თქუენდა; უკუეთუ მე წარ(287)ვიდე, მოვაფლინო იგი თქუენდა.

8. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისა და საშველისა:

9. ცოდვისათვის ესრეთ, რამეთუ არა პრწმენა ჩემდა მომართ;

10. სიმართლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე;

11. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ დასჯილ არს.

12. ფრიადლა მკეჟს სიტყუად თქუენდა მიმართ, არამედ არღა ძალ-გიც ტვროვად.

13. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, გიძლოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა, რამეთუ არა იტყოდის თავით თვისით, არამედ რაოდენი-რაჲ ესმეს, იტყოდის და მომავალი იგი ვითხრას თქუენ.

14. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და ვითხრას თქუენ.

15. ყოველი, რაოდენი აქუს მამისა, ჭემი არს; და ამისთვის გარჯუ (V) თქუენ, რამეთუ: ჩემგან მიიღოს და ვითხრას თქუენ.

16. მცირედლა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე.

17. თქუეს მოწაფეთა მისთა ურთიერთას: რაჲ არს ესე, რომელსა მეტყვს ჩუენ: მცირედ, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედლა, და მიხილოთ მე, და მე მივალ მამისა ჩემისა?

18. და იტყოდეს: რაჲ არს ესე „მცირედ“? არა უწყით, რასა იტყვს.

19. გულისხმა-ყო იესუ, რამეთუ უნდა კითხვის, და პრჭუა მათ: ამისთვის გამოვიძიებთა ურთიერთას, რამეთუ ვთქუ: მცირედლა, და არღარა მხედვიდეთ მე; და კუალად მცირედ, და მიხილოთ მე?

20. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ: სტიროდით და ჰგოდებდეთ, ხოლო სოფელსა უხართდის, თქუენ სწუხდეთ, არამედ მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს.

21. დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია უამი მისი. (288) ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოიქსენის კირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა.

22. ხოლო თქუენ აწ ჭირი გაქუს. და მერმე ვიხილნე თქუენ, და უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული იგი თქუენი არაეინ მიგიდოს თქუენ.

23. და მას დღესა შინა მე არარაჲ მკითხოთ. ამენ, ამენ გეტყვ თქუენ: უკუეთუ რაჲმე ჰსთხოვოთ<sup>2</sup> მამისა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ.

<sup>1</sup> ამ სიტყვის შემდეგ თქუენ (თქნ) დაუწერიათ, მაგრამ შემდეგ ამოუტყვიათ. ნაკვეთივი კარგად ჩანს. ზოგ ხელნაწერში (მაგალითად, აღიშისაში) ეს თქუენ არის.

<sup>2</sup> მსკოვოთ B.

24. აქაოდენ<sup>1</sup> არარაა ვითხოვის სახელითა ჩემითა. ითხოვდით და მოიღოთ, რადათა სიხარული თქუენი საყსებით იყოს.

25. ამას იგავით გეტყოდე თქუენ; არამედ მოვალს ყამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუენ, არამედ განცხადებულად მიმისა ჩემისათვის ვითხრა თქუენ.

26. მას დღესა შინა ითხოვით სახელითა ჩემითა, და არა ვეტყვ თქუენ, ვითარმედ: მე ვპყიოხო თქუენთვის მამასა ჩემსა.

27. რამეთუ თვთ მამა(v)სა ჩემსა უყუართ თქუენ, რამეთუ თქუენ შემიყუართ მე და გრწამს, რამეთუ ღმრთისაგან გამოვედ.

28. გამოვედ მამისაგან და მოვივლინე სოფლად და კუალად დაუტევებ სოფელსა და მივალ მამისა.

29. პრეტეს მას მოწაფეთა: ამა აწ განცხადებულად იტყვ და იგავსა არცა ერთსა რას იტყვ.

30. და ჩუენ აწ უწყით, რამეთუ ყოველივე იცი და არა გივსს, რადათა გკითხოს ვინმე. ამისგან ვიციოთ, რამეთუ ღმრთისაგან გამოხუედ.

31. მიუგო მათ იესუ და პრეტეს: აწ სამე გრწამს?

32. ამა მოვალს ყამი და მოწყენულ არს, რამეთუ განიზნინეთ კაცი-კაციდით თვსა ადგიდ და მე მარტოა დამიტევით: და არა ვარ მე მარტოა, არამედ მამა ჩემი ჩემ თანა არს.

33. ამას გეტყოდე თქუენ, რადათა ჩემ თანა მშუდობაა გაქუნდეს, სოფელსა ამას კირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე (289) მიძლევიეს სოფელსა.

## 17

1. ამას იტყოდა იესუ და აღიხილნა თუალნი თვსანი ზეცად და თქუა: მამო, მოიწია ყამი ჩემი, აღიდე ძმ შენი, რადათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ.

2. ვითარცა-ესე მოეც მას კელმწიფებაა ყოველთა ჯორციელთაჲ, რადათა ყოველი რომელი მოეც მას, მისცეს მათ ცხოვრებაჲ საუკუნს.

3. და ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნს, რადათა გიცოდინ შენ მხოლოა ქემმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტს.

4. მე ვადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმშ აღევსარულე, რომელი მომეც მე, რადათა ვყო.

5. და აწ ვადიდე მე, მამო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარს ყოფისა ჩემისა სოფელსა ამას.

6. გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან; შენნი იყვნეს და მომცენ ივინი, და სიტყუაჲ შენი დაუმარხავს.

7. (v) აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი მომეც მე, მივეც მათ, შენგან არიან.

8. რამეთუ სიტყუანი შენნი, რომელნი მომცენ მე, მიესცენ მათ, და მათ მიიხუნეს და ცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ შენგან გამოვედ, პრწმენა, რამეთუ შენ მომავლინე მე.

9. მე მათთვის გვედრები და არა თუ სოფლისათვის გკითხავ, არამედ მათთვის, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან.

10. და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს, და დიდებულ ვარ მე მათ შორის<sup>2</sup>.

<sup>1</sup> (მდრ. CM).

<sup>2</sup> შს B.



11. და არღარა ვარ სოფელსა ამას, და ესენი სოფელსა შინა არიან, შენდა მოვალ. მამო წმიდაო, დაიკვენ ესენი სახელითა შენითა, რომელნი მომცენ მე, რაათა იყენენ ერთობით, ვითარცა ჩუნ.

12. ოდეს ვიყავ მათ თანა, მე ესცევდ მათ სახელითა შენითა; რომელნი მომცენ მე, დაეცვენ, და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა (290) ძღ იგი წარწყმელისაჲ, რაათა წერილი აღესრულოს.

13. ხოლო აწ მე შენდა მოვალ და ამას ვიტყვ სოფელსა შინა, რაათა აქუნდეს მათ სიხარული ჩემი საესებით.

14. მე მივსცენ მათ სიტყუანი შენნი, და სოფელმან მოძულენა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისაგანნი, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ.

15. არა ვიტყვ, რაათა აღბეზუნ სოფლისაგან, არამედ რაათა დაიკვენ იგინი ბოროტისაგან.

16. სოფლისაგან არა არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ.

17. წმიდა-ყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ სიტყუაჲ შენი ჭეშმარიტ არს.

18. ვითარცა მომავლინე მე სოფლად, მეცა წარვაგლინებ მათ სოფლად.

19. და მათთვის წმიდა-გჰყოფ თავსა ჩემსა, რაათა იგინი იყენენ წმიდა ჭეშმარიტებით.

20. და არა მათთვის ოდენ გკითხავ, არამედ ყოველთათვის, რომელთა პრწყმენეს (v) სიტყვთა მათითა ჩემდა მომართ.

21. რაათა ყოველნი ერთ იყენენ, ვითარცა შენ, მამო, ჩემდა, და მე შენდაში, რაათა იგინიცა ჩუნენ შოვრის<sup>1</sup> იყენენ, რაათა სოფელსა პრწყმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.

22. და დიდებაჲ, რომელი მომცე მე, მივეც მათ, რაათა იყენენ ერთ, ვითარცა ჩუნენ ერთ ვართ, მამო.

23. მე მათ შოვრის<sup>1</sup>, და შენ ჩემ თანა, რაათა იყენენ სრულ ერთობითა, და რაათა უწყაოდის სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე, და შევიყუარენ იგინი, ვითარცა შენ შემიყუარე მე.

24. მამო, რომელნი-ესე მომცენ ჩემ, მნებაეს, რაათა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყენენ, რაათა ხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომცე მე, რამეთუ შემიყუარე მე უწინარეს სოფლის დაბადებისა.

25. მამო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა, ხოლო მე გიცან შენ, და მათცა ცნეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.

26. და გავუწყე მათ სახელი შენი და ვა(291)ტყუო, რაათა სიყუარული, რომლითა შემიყუარე მე, მათ შოვრის<sup>1</sup> იყოს, და მე მათ თანა.

## 18

1. ესე თქუა იესუ და გამოვიდა მოწაფითურთ თვსით წიად კეცსა მას ნაძოვანსა, სადა-იგი იყო ზტილი, რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი.

2. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან, ადგილი იგი, რამეთუ მრავალ-გზის შესრულ იყო მუნ იესუ მოწაფითურთ თვსით.

3. ხოლო იუდა წარიყვანა ერი მღდელთ-მოძღუართაგან და ფარისევლთა მსახურნი და მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საჭურველითა.



4. ხოლო იესუ იცოდა ყოველივე იგი მომავალი მის ზედა და პრეტუა მათ: ვის ეძიებთ?
5. მიუტებს და პრეტუს: იესუს ნაზარეველსა. პრეტუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა, მიმცემელი იგი მისი, მათ თანა.
6. და ვითარცა პრეტუა მათ, ვითარმედ: მე ვარ, გარუჟუჯნ(ვ)იკეს და დევნეს ქუყანასა.
7. მერმე ჰკითხა მათ, ვითარმედ: ვის ეძიებთ? და მათ პრეტუს: იესუს ნაზარეველსა.
8. პრეტუა მათ იესუ: გარჯუ თქუნ, ვითარმედ: მე ვარ. უკუეთუ მე მეძიებთ, უტევენთ ესენი, წარვიდენ.
9. რადითა აღესრულოს სიტყუად იგი, რომელი პრეტუა მათ იესუ, ვითარმედ: რომელნი მომცენ მე, არა წარგწყმიდო მათგანი არცა ერთი.
10. ხოლო სიმონ-პეტრეს რამეთუ აქუნდა მსხვლი, აღმოიჭადა იგი და ჰსცა მონასა მღღელთ-მოძღურისასა და წარჰკუთა ყური მისი მარჯუენს. ხოლო იყო სახელი მონისაჲ მის მალკოს.
11. პრეტუა იესუ პეტრეს: დადევ მსხვილი ქარქაშსა! სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა წევსუა?
12. ხოლო კრებულმან მან და ათასისთავმან და მსახურთა ჰურიათმან შეიპყრეს იესუ და შეკრეს იგი.
13. და მიიყვანეს იგი ბირ(292)გელად ანაჲსა, რამეთუ იყო სიმაპრი კაიფაჲსი, რომელ იყო მღღელთ-მთავარ მის წელიწადისა.
14. ესე კაიფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ: უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკუდილი ერისათჳს.
15. მისდევდა იესუს სიმონ-პეტრე და ერთი იგი მოწაფჳს. ხოლო მოწაფჳს იგი ერთი მეცნიერ იყო მღღელთ-მოძღურისა და შევიდა იესუს თანა ეზოსა მის მღღელთ-მოძღურისასა.
16. ხოლო პეტრე დგა კართა თანა გარეშე. განვიდა ერთი იგი მოწაფჳს, რომელ-იგი იყო მეცნიერ მღღელთ-მოძღურისა, და პრეტუა მეკარესა მას დედა-კაცსა და შეიყვანა პეტრე.
17. პრეტუა მეყვალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუჟკუე შენცა მოწაფეთაგანი ხარ ამის კაცისათჳჲ? ხოლო პეტრე თქუა: არა.
18. დგეს მონანი იგი და მსახურნი მღღელთ-მოძღურათანი, ნაკვერცხალი აღ(ვ)ეგზნა და ტყებოდეს, რამეთუ ყინელ იყო დგა პეტრეცა მათ თანა და ტყებოდა.
19. ხოლო მღღელთ-მოძღურამან მან ჰკითხა იესუს მოწაფეთა მისთათჳს და მოძღურებესა მისისათჳს.
20. მიუგო მას იესუ და პრეტუა: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა, მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა ყოველნი ჰურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არარას ვეტყოდე.
21. რაჲსა შე მკითხავ? ჰკითხე, რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდ მათ. აჰა მათ იციან, რასა-იგი ვეტყოდე მათ.
22. და ვითარცა ესე თქუა. ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან ჰსცა ყურიმალსა იესუს და თქუა: ესრეთ სიტყუას-უგება მღღელთ-მოძღურასა?
23. პრეტუა მას იესუ: უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათჳს; უკუეთუ კეთილსა, რაჲსათჳს (293) მცემ მე?
24. და ნიავლინა იგი ანა კაიფაჲსა მღღელთ-მოძღურისა კრული.

25. ხოლო სიმონ-პეტრე დგა და ტფებოდა. პრქუა მას მუნ მდგომარეობა განმან: ნუჟუჟეუ შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? უვარ-ყო მან და თქუა: არა ვარ.

26. პრქუა მას ერთმან მონათაგანმან მდღელთ-მოდღურისამან—ნათესავი იყო მისი, რომელსა-იგი წარჰკუეთა ყური—არა მე გიხილვია, მტილსა მას შინა მის თანა?

27. და მერმე კუალად უვარ-ყო პეტრე. და მეყსელულად ქათამი ყივა.

28. და მოიყვანეს იესუ კიაფასით ტაძრად. და იყო განთიადი. და იგინი არა შევიდეს ტაძრად, რაჟთა არა შეიგინნენ, არამედ რაჟთა შეჰმონ პასექი იგი.

29. გამოვიდა პილატე მათა ვარე და პრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღებთ კაცსა ამას ზედა?

30. (V) მიუგეს და პრქუეს მას: უკუეთუმცა არა იყო ესე ბოროტის-მოქმედი, არამცა მიგეციო შენ ეგე.

31. პრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე თქუენ და შჯულისაებრ თქუენისა განიკითხეთ. პრქუეს მას ჰურიათა მათ: ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლვად.

32. რაჟთა აღესრულოს სიტყუთა იგი იესუსი, რომელ თქუა და აღწყა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა სიკუდიდ.

33. შევიდა კუალად პილატე ტაძრად და შეჰხადა მუნ იესუს და პრქუა მას: შენ ხარა მეუფეჲ ჰურიათა?

34. პრქუა მას იესუ: შენ თავით თუსით იტყუ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს შენ ჩემთვის?

35. მიუგო მას პილატე და პრქუა: ნუჟუჟეუ<sup>1</sup> მე ჰურიათა ვარ? ნათესავთა შენთა და მდღელთ-მოდღურთა მომცეს მე შენ. რაჟ გიქმნიეს?

36. მიუგო იესუ და პრქუა მას: მეუფებაჟ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან. უკუეთუმცა ამის (294) სოფლისაგან იყო მეუფებაჟ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი ილუწიდეს ჩემთვის, რაჟთა არამცა მიგეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფებაჟ ჩემი არა არს ამიერ სოფლით.

37. პრქუა მას პილატე: უკუეთუ მეუფეჲ ხარ შენ? პრქუა მას იესუ: შენ იტყუ, რამეთუ მეუფეჲ ვარი მე. მე ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რაჟთა ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი რომელი იყოს ჭეშმარიტებისაგან, ისმინოს ჳმისა ჩემისაჟ.

38. პრქუა მას პილატე: რაჟ არს ჭეშმარიტებაჟ? და ვითარცა ესე თქუა, კუალად გამოვიდა ჰურიათა და პრქუა მათ: მე არცა ერთი ბრალი ვბოფე ამის თანა.

39. ხოლო არს ჩუეულებაჟ თქუენი, რაჟთა ერთი მაგიტეო თქუენ ჰასქასა ამას. გნებავს, მიგიტეო თქუენ მეუფეჲ ჰურიათაჟ?

40. დადად-ყვეს ყოველთა და თქუეს: ნუ ეგე, არამედ ბარაბა, და იყო ბარაბა ესე ავაზაკი.

## 19

1. მაშინ მიიყვანა იესუ პილატე, ტანჯა იგი.

2. (V) და ერისაგანთა მათ შეთხზეს გვრგვნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი ძოწიული შეჰმოსეს მას.

3. და მოვიდიან მისა და ეტყუველ: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და სცემდეს მას ყურიმალსა.

<sup>1</sup> ნუჟუჟეუ B.



4. გამოვიდა კულად პილატე გარე და პრქუა მათ: აჰა გამოვიყვანო იგი თქუენდა გარე, რაჲთა სცნათ, რამეთუ მის თანა ბრალი არცა ერთი ეპოვე.

5. გამოვიდა იესუ გარე, და ელვა ეკლისა იგი გვრგვნი და ღოწუელი სამოსელი. და პრქუა მათ პილატე:<sup>1</sup> აჰა კაცი იგი!

6. და ვითარცა იხილეს იგი მღდელთ-მოდღუართა და მსახურთა, დაღაღ-ყვეს და თქუეს: ჭუარს-აცუ, ჭუარს-აცუ ეგე! პრქუა მათ პილატე: მიიყვანეთ ეგე და თქუენ ჭუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალსა არარას ვპოვებ.

7. მიუგეს მას ჰურიათა და პრქუეს: ჩუენ შჩული გუაქუს, და (295) შჩულისა ჩუენისაებრ თანა-აც სიყუდილი, რამეთუ თავი თვისი ძე ღმრთის ყო.

8. ოდეს ესმეს პილატეს<sup>2</sup> სიტყუანი ესე, უფროჲს შეეწინა.

9. და შევიდა კულად და პრქუა<sup>3</sup> იესუს: ვინაჲ ხარ შენ? ხოლო იესუ სიტყუაჲ არა მიუგო მას.

10. პრქუა მას პილატე: მე არა მეტყუა? არა იცია, რამეთუ ჯელმწიფებაჲ მაქუს ჭუარს-ცუმად შენდა და ჯელმწიფებაჲ მაქუს განტევებად შენდა?

11. პრქუა მას იესუ: არა ვაქუს ჯელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთ, უკუეთუმცა არა იყო მოცემულ შენდა ზეგარდამო. ამისთვის მიმცემელსა მას ჩენსა შენდა უდიდესი ცოდვაჲ აქუს.

12. ამისთვის პილატეს უნდა განტევებაჲ მისი, ხოლო ჰურიანი დაღაღებდეს და იტყოდეს: უკუეთუ ესე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ, რამეთუ ყოველი რომელი მეფედ იტყუნ თვისა. თვისსა, მჯდომად აღუდ(ვ)გებინ კეისარსა.

13. ხოლო პილატეს რა ესმეს სიტყუანი ესე, გამოიყვანა იესუ გარე და დაჯდა იგი საყდართა, ადგილსა მას, რომელსა პრქვან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებერ კაპპათა

14. და იყო პარასკევი პასქაჲსაჲ, ესამი იყო ნეექუსჲ. და პრქუა პილატე ჰურიათა მათ: აჰა მეუფჲ თქუენი!

15. ხოლო იგინი დაღაღებდეს და იტყოდეს: აღიდე ეგე და ჭუარს-აცუ! პრქუა მათ პილატე: მეუფჲ თქუენი მე ჭუარს-ვაცუა? მიუგეს მღდელთ-მოდღუართა მათ და პრქუეს: არა გვეს ჩუენ მეუფჲ, გარნა კეისარი.

16. მაშინ მისცა იგი მათ, რაჲთა ჭუარს-ეცუას. ხოლო მათ წარიყვანეს იესუ.

17. და ეკიდა მას თვთ ჭუარი თვისი და ვინვიდა ადგილსა მას თხემისასა, რომელსა პრქვან პებრაელებერ გოლგოთა,

18. სადა იგი ჭუარს-აცუეს, და მის თანა სხუანი (296) ორნი იმიერ და<sup>4</sup> ამიერ და შოვრის<sup>5</sup> იესუ.

19. და დაწერა ფიცარი პილატე და დაღვა ჭუარსა მას ზედა. და იყო წერილი ესრეთ: იესუ ნაზარეველი, მეუფჲ ჰურიათაჲ.

20. ესე ფიცარი მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა-იგი ჭუარს-ეცუა იესუ. და იყო წერილი პებრაელებერ და პრომაებერ და ბერძლ.

21. ეტყოდეს პილატეს მღდელთ-მოდღუარნი ჰურიათანი: ნუ დასწერ: „მეუფჲ ჰურიათაჲ“, რამეთუ მან თქუა: მეუფჲ ჰურიათაჲ ვარ.

<sup>1</sup> პილატე B.

<sup>2</sup> პილატეს B.

<sup>3</sup> რქა B.

<sup>4</sup> და I—B.

<sup>5</sup> შ B.



22. ჰრქუა მათ პილატე: რომელი დაეწერე, დაეწერე.

23. ხოლო ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზსთ მოქსოვილ ყოვლიად,

24. თქუეს ურთიერთას: არა განვიხითთ ესე, არამედ (V) წილ-ვიგდოთ მის ზედა, ვისა-ძი იყოს, რაათა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს.

25. ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა დედაჲ იესუჲსი და დედის დაჲ და მარიამ კლეოპადსი და მარიამ მაგდალენელი<sup>1</sup>.

26. ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაჲ თვისი და მოწაფეჲ იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედისა თვისსა: დედაკაცო, აჰა ძმ შენი!

27. და მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! მიერითვის წარიყვანა მარიამ მოწაფემან მან თვისთა თანა.

28. ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ ყოველივე აღსრულებულ არს. და რაათა აღესრულოს იგიცა წერილი, თქუა: მწყურის.

29. დგა მუნ ჭურჭერი ძმრითა საგსმ. და ღრუბელი აღასეს ძმრითა მით ვსოჰსა თანა და დაად(297)გეს<sup>2</sup> ლერწამი და მთარათეს პირსა მისსა, რაათა აღესრულოს წერილი იგი.

30. და ოდეს მოიღო ძმარი იგი, თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს. და მიიღრია თაგი და განუტევა სული.

31. ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ ჰარასკევი იყო, რაათა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათადმდე, რამეთუ იყო დიდ დღმ იგი შაბათისაჲ მის, ჰკითხეს პილატეს<sup>3</sup>, რაათა წვენი მათნი განუტეხნენ და აღიხუნენ.

32. მოვიდეს ერისაგანნი იგი და პირველისაჲ მის განუტეხნეს წვენი, და ერთისაჲ მის ვგრევე, რომელ ჯუარს-ცუმულ იყვნეს მის თანა.

33. ვითარცა მოვიდეს იესუჲსა და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წვენი მისნი,

34. არამედ ერთმან ერისაგანმან ლახტრითა უგუმირა გვერდსა მისსა, და შეყუელად გამოგდა სისხლი და წყალი.

35. და რომელმან იხილა, წამა, (V) და ჰეშმარიტ არს წამებაჲ მისი, და მან უწყის, რამეთუ ჰეშმარიტსა იტყვს, რაათა თქუენ გრწმენეს.

36. რამეთუ იყო ესე, რაათა წერილი აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუხროს.

37. და მერმე სხუაჲ წიგნი იტყვს: იხილონ, რომელსა-იგი უგუმირეს.

38. ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს<sup>3</sup> იოსეფ, რომელი იყო არიმათიათ, რამეთუ იყო იგი მოწაფე იესუჲსა ფარულად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რაათა აღილოს გუამი იესუჲსი. და უბრძანა პილატე. და აღიღეს გუამი იგი მისი.

39. მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელ-იგი მოსრულ იყო იესუჲსა ღამე პირველ, და მოიღო აღრეული მურისაჲ და ალომსაჲ ვითარ ასი ლიტრაჲ.

40. და მოიღეს გუამი იესუჲსი და შეგრაგნეს იგი ტილოებითა სულნელთა მათ თანა, ვითარცა ჩუეულებაჲ არს ჰურიათაჲ დაფლვასა.

<sup>1</sup> მაგდალენელი B

<sup>2</sup> დაქვეს B.

<sup>3</sup> პილატეს B.



41. იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-ეცუა, (208) მტილი, და მტილი მას შინა საფლავი ახალი, რომელსა არაფინ დადებულ იყო.

42. მუნ დადეს გუამი იგი იესუასი პარასკევისა მისთვის პურითაჲსა, რამეთუ მახლობელ იყო საფლავი იგი.

## 20

1. ერთსა მას შაბათისა მარიამ მაგდალენელი<sup>1</sup> მოვიდა განთიად, ვიდრე ბნელდა იყო, საფლავსა მას და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა.

2. რბიოდა და მოვიდოდა სიმონ-პეტრუსა და ერთსა მის მოწოდისა, რომელი უყუარდა იესუს, და პრეტუა მათ: აღიღეს უფალი საფლავისაგან, და არა უწყვი, სადა დადეს იგი.

3. გამოვიდა პეტრე და ერთი იგი მოწაფე და მოვიდოდეს საფლავად.

4. რბიოდეს ორნივე სოვად. ხოლო ერთი იგი მოწაფე წინა რბიოდა უადრეს პეტრუსსა და ნოვიდა პირველად საფლავად.

5. შთახედა საფლავსა მას და იხილნა ტილონი მდებარენი, (v) ხოლო შინა არა შევიდა.

6. მოვიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად ნისა და შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი იგი მდებარენი.

7. და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თუსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა.

8. მაშინ შევიდა ერთიცა იგი მოწაფე, რომელი მოვიდა პირველ პეტრუსსა საფლავად. და იხილეს და პრეტენა.

9. რამეთუ არღა იცოდეს წერილისაჲ, ვითარმედ: ჯერ-არს მისი მკურნალობით აღდგომად.

10. წარვიდეს კუალად თუსაგან მოწაფენი.

11. ხოლო მარიამ დეა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა. და ვიდრე ტიროდა, შთახედა საფლავსა მას

12. და იხილნა ორნი ანგელოზნი სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჯით, სადა-იგი იდეა გუამი უფლისა იესუასი.

13. და პრეტუს მას ანგელოზთა მათ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? (209) ხოლო მან პრეტუა მათ: აღიღეს უფალი ჩემი საფლავით, და არა უწყვი, სადა დადეს იგი.

14. ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე და იხილა იესუ მდგომარე და არა უწყოდა, რამეთუ იესუ არს.

15. პრეტუა მას იესუ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? ვის ეძიებ? მას ეგონა, ვითარმედ მემტილე იგი არს. პრეტუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღიდე იგი, მითხარ მე, სადა დასდე, რაჲთა მე წარმოვიღო იგი.

16. პრეტუა მას იესუ: მარიაჲ! გარე ნიხილა მან და პრეტუა მას ჰებრაელებრ: რაბუნნი, რომელ ითარგმანების მოძღუარ. და მირბიოდა შემთხვევად მისა.

17. პრეტუა მას იესუ: ნუ შემომეხეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.

<sup>1</sup> მაგდალენელი B.

18. მოვიდა მარიამ მაგდალენელი<sup>1</sup> და ახარა მოწაფეთა მისთა, (v) რამეთუ იხილა უფალი, და ესე ჰრქუა მას.
19. და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი ერთშაბათთაჲ მათ, და კარნი დატსულ იყვნეს, სადა-იგი მოწაფენი დამალულ იყვნეს შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ, დადგა მათ შოგორის<sup>2</sup> და ჰრქუა მათ: მშკდობაჲ თქუენ თანა!
20. და ვითარცა ესე თქუა, უჩუენნა მათ გელნი თჳსნი და გუერდნი. და განხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი;
21. მერმე ჰრქუა მათ: მშკდობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.
22. და ესე ვითარცა თქუა, ჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ.
23. უკუეთუ ვიფთნიმე მიუტყენეთ ცოდვანი, მიეტყენენ მათ; უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ.
24. ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა მათ თანა იყო, ოდეს-იგი მო(300)ვიდა იესუ.
25. უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ ჩუენ უფალი. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა ვიხილო გელთა მისთა სახე იგი სამსჭუალთაჲ და დავასხნე თითნი ჩემნი აღვიღოსა მას სამსჭუალთასა და დავსდვა გელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს.
26. და შემდგომად რვისა დღისა კუალად შეკრებულ იყვნეს შინაგან მოწაფენი, და თომაცა მათ თანა. და შევიდა იესუ კართა დატსულთა და დადგა შოგორის<sup>2</sup> მოწაფეთა და ჰრქუა: მშკდობაჲ თქუენ თანა!
27. მერმე ჰრქუა თომას: მოუვენ თითნი შენი და იხილენ გელნი ჩემნი და დამდევე გელი შენი გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ.
28. მიუგო თომა და ჰრქუა მას: უფალი ჩემი და დემერთი ჩემი!
29. ჰრქუა მას იესუ: რამეთუ (v) მიხილუ და გრწამ; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვგრწმენენ.
30. მრავალნი სხუანიცა სასწაულნი ქმნა იესუ წინაშე მოწაფეთა თჳსთა, რომელ არა წერილ არიან წიგნსა ამს.
31. ხოლო ესე წერილ არს, რაჲთა გრწმენეს<sup>3</sup>, რამეთუ იესუ ქრისტე ძე ღმერთისაჲ არს და რაჲთა გრწმენეს და ცხოვრებაჲ ვაქუნდეს სახელითა მისითა.

## 21

1. ამისა შემდგომად კულად გამოუცხადა თავი თჳსი იესუ მოწაფეთა თჳსთა ზღუასა მას ზედა ტიბერიაჲსასა. და ესრეთ გამოუცხადა:
2. იყვნეს ზოგად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, და ნათანაელ, რომელი იყო კანაეთ გალილეაჲსაჲთ, და ძენი ზებედესნი და სხუანი მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.
3. ჰრქუა მათ სიმონ-პეტრე: წარვიდე<sup>4</sup> სათხველობად. ჰრქუეს მას: ჩუენცა (801) მოვიდეთ შენ თანა. განვიდეს და შევიდეს ნავსა. და მას დამესა არარაჲ იპყრეს.
4. ვითარცა განთენებოდა, დგა იესუ კიდესა ზედა, და არა უწყოდეს მოწაფეთა, რამეთუ იესუ არს.

<sup>1</sup> მაგდალენელი B.<sup>2</sup> შს B.<sup>3</sup> ჰრწმენეს B.<sup>4</sup> პიტელად წარვიდეთ დაუწყრით, მაგრამ მერმე თ გამოუცხადეთ. მისი მართალი კვალი ახლაც ჩანს.



5. პრეტუ მათ იესუ: ყრმანო, საჭმელ გაქუს რაჲა? მიუგეს და პრეტუს: არა.
6. ხოლო თავადმან პრეტუ მათ: ჰსდევით ზადე ვეგ მარჯუენით კერძო ნავისა მის და კპოვით. ხოლო მათ სდევს და ვერღარა ეძლო გამოთრევად სიმრავლისა-გან თევზთაჲსა.
7. პრეტუ პეტრეს მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს, ვითარმედ: უფალი არს. ხოლო სიმონ-პეტრეს ვითარცა ესმა, რამეთუ უფალი არს, მოირტყა სამოსელი, რამეთუ შიშულ იყო, და შთაივლო თავი თჳსი ზღუად.
8. ხოლო სხუანი მოწაფენი ნავითა მოვიდეს, რამეთუ არა შორს<sup>1</sup> იყენეს ქუეყანასა, არამედ ორას წყრთა ოდენ, და გამოთრევედეს ზადესა მას თევზითა (v) საესესა.
9. ვითარცა გამოვდეს ქუეყანად, იხილეს ნაკუერცხალი მღებარს და თევზი მას ზედა და პური.
10. პრეტუ მათ<sup>2</sup> იესუ: ზოიღეთ თევზთა მათგანი, რომელ აწ იპყართ.
11. გამოვიდა სიმონ-პეტრე და მოთრევედა ქუეყანად ზადესა მას, საესესა ღიდ-ღიღითა თევზითა, რომელი იყო ას ერვასის და სამ. ესოდენ იყო, და არა განსთქდა ზადს იგი.
12. პრეტუ მათ იესუ: მოედით, ვისადილნეთ. და არღარაინ იკადრა მოწაფეთაგანმან კითხვად მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? უწყოდეს, რამეთუ თვთ უფალი იგი არს.
13. მოილო იესუ პური იგი და მისცა მათ, და თევზი იგი ვგრევე.
14. ესე სამ-გზის გამოეცხადა იესუ მოწაფეთა თჳსთა, აღ-რაჲა-დგა მკულრეთით.
15. და ოდეს ისაილნეს, პრეტუ სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაჲსო, გიყუარა მე უფროჲს ამათსა? (802) პრეტუ მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. პრეტუ მას იესუ: დაადოვენ კრავნი ჩემნი.
16. მერმე პრეტუ მას იესუ მეორედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარა მე? პრეტუ მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. პრეტუ მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.
17. მერმე პრეტუ მას იესუ მესამედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარა მე? შეწყუნა პეტრე, რამეთუ პრეტუ მას მესამედ: გიყუარა მე? და პრეტუ მას: უფალო, შენ ყოველი იცი და შენ ყოველი უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. პრეტუ მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.
18. ამენ, ამენ გეტყვ შენ: ოდეს იყავ ჭაბუკ; შეირტყი თავით თჳსით და ხვლოდი, ვიდრეცა გნებავენ. ხოლო რაჲიმს დაჰბერდე, განვიპყრნენ გელნი შენნი და სხუათა შეგარტყან შენ და წარგიყვანონ, ვიდრე შენ არა გინდეს.
19. (v) ხოლო ესე თქუა და აღწყა, რომლითა სიკუდილითა ადიდოს ღმერთი. და ესე ვითარცა თქუა, მერმე პრეტუ მას: შემომიდეგ მე.
20. მოიქცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი, რომელი უყუარდა იესუს, რომელიცა მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა მისსა და პრეტუ: უფალო, ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?
21. ესე ვითარცა იხილა პეტრე, პრეტუ იესუს: უფალო, ამისთვის რაჲასთქუ?

<sup>1</sup> ასეა B. (უწარავკოდ. სხვაგან: შორს, შორის, ვანაშორა...)

<sup>2</sup> მას B.



22. ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ მინდეს ყოფად მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ.

23. და განჯდა სიტყუად ესე ძმათა შოგრისჲ, ვითარმედ: მოწაფჲ იგი არა მოკუდეს. და არა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: არა მოკუდეს, არამედ: უკუეთუ მინდეს მაგისი ყოფად, ვიდრე მოსლვად ჩემდამდე.

24. ესე არს მოწაფჲ იგი, რომელი წამებს ამითთვის და რომელმან დაწერა ესე. და უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებად მისი.

25. (808) და არიან სხუაცა მრავალ სასწაულ, რომელი ქმნა იესუ, რომელინი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცადამცა სოდელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.



ლ. კ ი ძ ნ ა ძ ი

### შუალობითი კონტაქტის ფორმები სვასურულში

რით იწარმოება და რისგან იწარმოება შუალობითი კონტაქტის ფორმები ქართულში? ამ კითხვებზე ა. შ ა ნ ი ძ ი ს პასუხი ასეთია:

„შუალობითი კონტაქტის ფორმათა მაწარმოებელია: **ინ**, **ევ** და **ევინ**.

1. **ინ** მოუღის ზმნათა დიდ უმეტესობას: წერ-ს — აწერ-ინ-ებს, ტეხ-ს — ატეხ-ინ-ებს, გრენ-ს — აგრენ-ინ-ებს, აქევე-ს — აქევე-ინ-ებს, ხატავ-ს — ახატავ-ინ-ებს, აკეთებ-ს — აკეთებ-ინ-ებს, აზობ-ს — აზობ-ინ-ებს, ს-ცემ-ს — ა-ცემ-ინ-ებს და მისთ.

2. **ევ** მოუღის თითო-ორილა ზმნას, როგორცაა: ჭან-ს — აჭმ-ევ-ს, სვამ-ს, — ასმ-ევ-ს, იცვამ-ს — აცმ-ევ-ს. ეგვევ **ევ** გვაქვს არომ-ევ-ს და არქმ-ევ-ს ზმნებშიც, მაგრამ ამით დაკარგული აქვთ შუალობითი კონტაქტის გაცემა. ეს **ევ** სმოვიან-შეცვლილად არის წარმოდგენილი II სერიის ფორმებში (**ივ**).

ძველსა და საშუალო ქართულში უფრო გავრცელებული იყო **ევ**-ის ხმარება (და რამდენადმე დღესაც გავრცელებულია ზოგიერთ კილოში, მაგ., ხევსურულში), როგორც ამას ეს მაგალითები გვიჩვენებს: კნავს — აკნვევს... კლავს — აკლვევს (გადასმით: აკვლევს)... გახსნა — გახსნევა... გარყვნა — გარყვნევა... გადაიქდის — გადაიქდევა... თქმა — თქმევა... ქ(მ)ნა — ქ(ნ)ნევა...

3. **ევინ**. ეს აფიქსი რთულია, წარმოდგარია **ევ**-ისა და **ინ**-ის შეერთებისაგან (**ევ-ინ**), რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. **ევ** ვარკვეული ტიპის ზმნებს მოუღიოდათ, მაგრამ ის არ აღმოჩნდა სავიარისო შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად და **ინ** დაერთო: ათლ-ევ-ინ-ებს, აჭრ-ევ-ინ-ებს, ათხრ-ევ-ინ-ებს, აკვლ-ევ-ინ-ებს, ათქმ-ევ-ინ-ებს, აქმ-ევ-ინ-ებს და მისთ...“<sup>1</sup>

...4. **ივ**. ეს სუფიქსი მარტივია და **ინ**-ის ნაცვლად დაერთვის ზმნათა დიდ უმეტესობას ზოგ კილოში (მაგ., გურულში): წერ-ს — აწერ-ი-ებს, ტეხ-ს — ატეხ-ი-ებს, გრენ-ს — აგრენ-ი-ებს, ხატავ-ს — ახატავ-ი-ებს, აკეთებ-ს — აკეთებ-ი-ებს და მისთ. **ევინ**-ის ბაღლად აქ გვაქვს: **ევ-ივ**: ათლ-ევ-ი-ებს, ათხრ-ევ-ი-ებს, აკვლ-ევ-ი-ებს, ათქმ-ევ-ი-ებს და მისთ...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. ნორფოლოგია, 1953, § 423, გვ. 369 — 370 (აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. ნორფოლოგია, მეორე გამოცემა, 1973, § 423, გვ. 360 — 361).

<sup>2</sup> ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, § 423, გვ. 361 (პირველ გამოცემაში ეს ადგილი არ ყოფილა).

„...შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლები ინ და ევინ დაერთვის უშუალო კონტაქტის ზმნათა I სერიის თემას, რომელიც საწყისშია წარმოდგენილი. საწყისის ა იმ ფორმანტა დართვისას შეიკვეცება. საარვისო ქცევაში ეს ზმნები ფუძის წინ კადევ ა-ს მიიღებენ. ეს მაწარმოებლები ასე ინაწილებენ უშუალო კონტაქტთან ზმნებს:

1. მარტივი ინ მოუღის ყველა ჯგუფის ზმნებს, გარდა ამიანებისა, სახელდობრ:

- ა) ერთ-თემიანებს: ვ-წერ, წერ-ა, ვა-წერ-ინ-ებ.
- ბ) სმოვან-მონაცვლევებს: ვ-გრენ, გრენ-ა, ვა-გრენ-ინ-ებ.
- გ) ინდიანებს, რომელთაც ხმოვანი აქვთ I სერიის ფორმებში: ვ-თონ-ი, თონ-ა, ვა-თონ-ინ-ებ...
- დ) ავიანებს, რომელთაც ფუძე არ ეკუთმებათ საწყისში: ვ-მაღავ, მაღვ-ა, ვა-მაღვ-ინ-ებ...
- ე) ევიანებს: ვა-ქცევ, ქცევ-ა, ვა-ქცევ-ინ-ებ...
- ვ) ემიანებს: მივს-ცემ, მი-ცემ-ა, მივა-ცემ-ინ-ებ.
- ზ) ებიანებს: ვა-შენებ, შენებ-ა, ვა-შენებ-ინ-ებ...
- თ) ობიანებს: ვა-მკობ, მკობ-ა, ვა-მკობ-ინ-ებ...
- თ) ოფიანებს: გაე-ყოფ, გა-ყოფ-ა, გაეა-ყოფ-ინ-ებ.

2. ევინ მოუღის ზოგიერთ ინიან და ავიანს და ყველა ამიანს; სახელდობრ:

ა) ინიანთაგან იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუთმებათ: (გა)ვ-შალ-ე, ვ-შლ-ი, შლ-ა, ვა-შლ-ევ ინ-ებ; (გა)ვ-ჭერ, ე-ჭრ-ი, ჭრ-ა, ვა-ჭრ-ევ-ინ-ებ...

ბ) ავიანთაგანაც იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუთმებათ: (და)ვ-კალ, ვ-კლავ, (\*კლვ-ა) კვლ-ა (ვინის გადასმით), ვა-კვლ-ევ-ინ-ებ...

გ) ამიან ზმნებს თემის ნიშნის ხმოვანი, შეკუმშვის გამო, ეკარგებათ: ვა-ბამ, ბმ-ა, ვა-ბმ-ევიან-ებ; ვა-ხხამ, ხხმ-ა, ვა-ხხმ-ევიან-ებ და მისთ.“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ა. შანიძის აზრით, შუალობითი კონტაქტის ფორმები უშუალო კონტაქტის ზმნის საწყისისგან იწარმოება<sup>2</sup> რაც შეეხება შუალობათა

<sup>1</sup> ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 463, გვ. 417—418 (ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, § 463, გვ. 407—408).

<sup>2</sup> ა. შანიძის ეს სახეობითი სწორი აზრი არ გაუზიარებია ა. თაყაიშვილს: „...კავშირების ფორმანტები საწყისს კი არა, I სერიის (აწმყო) ფუძეს აფორმებენ, ამდენად, მათი დართვა საწყისის ა ხმოვნს შეეკვეცას კი არ იწვევს, არამედ თემისნიშნისეული ხმოვნის შეკუმშვას: ხატ-ავს — ა-ხატ-ავ-ინ-ებს (<\*ა-ხატ-ავ-ინ-ებ-ა) და არა: ხატ-ე-ა — ა-ხატ-ე-ავ-ინ-ებს (<\*ა-ხატ-ე-ავ-ინ-ებ-ს)“. (არ. თაყაიშვილი, კავშირების წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: „ქართულურ ენათა ატრუქტურის საკითხები“, IV, 1974, გვ. 18).

ა-ხატ-ე-ავ-ინ-ებს (და მსგავსი ფორმები) ვერ გამოდგება იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რისგან იწარმოება შუალობითი კონტაქტი: ამ ფორმის მიხედვით ნათლად არც ის ჩანს, რომ ის ხატ-ე-ა საწყისისაგან არის ნაწარმოები (ა-ხატ-ე-ავ-ინ-ებს—\*ა-ხატ-ე-ავ-ინ-ებს), და არც ის, რომ მას აწმყო ს ხატ-ავ ფუძე უღევს საფუძვლად (ა-ხატ-ე-ავ-ინ-ებს—\*ა-ხატ-ავ-ინ-ებს). ეს ფორმა იმისგანაც შეიძლება ყოფილიყო ნაწარმოები და ამის გაანათ (ფორმენტოკურად ერთი ადვილად ითსნება და მერე ერთი).

არის შემთხვევები, რომელთა მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ეს ფორმები საწყისისგან (და არა აწმყო ფუძისგან) იწარმოება: შე-ე-ნახ-ავ-ს — შე-ნახ-ე-ა — შე-ა-ნახ-ე-ავ-ინებს (—შე-ა-ნახ-ე-ავ-ინებს), და-მ-ქერ-ს — და-ქერ-ა — და-ა-ქერ-ინებს, შე-ი-პერ-ობ-ს — შე-პერ-ობ-ა — შე-ა-პერ-ობ-ს-ინებს, მი-ი-ღ-ებს — მი-ღ-ებ-ა — მი-ა-ღ-ებ-ინებს, გა-ა-ღ-ებ-ებს — გა-ღ-ებ-ა — გა-ა-ღ-ებ-

კონტაქტის მაწარმოებელ სუფიქსებს, მათ ქვემოთ დაუბრუნდები. მანამდე კი გამოქვეყნებული ხეესურული ტექსტებიდან დავიმოწმებ სხვადასხვა ტიპის წინების შეაღობითი კონტაქტის ფორმებს.

**1. უთიბისნიშნო წმინდის საწარმოებისა და წარმოები ფორმები**

-ი-ბან- — ბან-ა — ბანიებ: ...კელ-პირსამც აბანიებ, უნცროსადამც ხევი-სარ. ვაბ. 1 137,32. მბანიებენ: ...ლოგინის გებას კადრობენ, მბანიებენ პირსაო. ხეეს. პ. 2 453,6. აბანიებენ: აბანიებენ კელ-პირსა, მიმტან არ აკლავ წყლისაო. იქვე 223,43.

-თიბ- — თიბ-ა — მათიბივა: [ი] თიბის სამშაბათსამც მათიბივაო... იქვე 735,1. მო-თიბ- — მო-თიბ-ა — მამათიბი: ...დღეს რომ აღარ მამათიბიე 2, ვერც აუხლად მაგიტერკია? ვაბ. 155,22.

ჩა-თოვ- — ჩა-თოვ-ა — ჩაგვათოვია: ...ანამც ვინ თეთრი ღურბელნი, მთის ყურენ ჩაგვათოვინა! ხეეს. პ. 518,8. (წ-ენ აქ თბიქტის მრავლობითობის ნიშანი).

გა-ი-ტან- — გა-ტან-ა — გაატანიეს: ხალხმა ერთბაშად დააყარა თოვები ამ ცოცხალ-მკედარს ქისტს აკლოლას და სრუ ტყვიას ნათოხად გაატანიეს. ვაბ. 179,5. მო-ი-ტან- — მო-ტან-ა — მოვატანიოთ (←მო-ვ-ა-ტან-ი-ვ-ი-თ): „ტყვეებს ნუ დაეხვოცო“, ამბობენ, „მოვატანიოთ საკსარი!“ იქვე 219,4. ა-ი-ტან- — ა-ტან-ა — აუტანიებავ: ...იოსებას მაუქნევაჲ კმალი ბალახურისძისად, მაგრამ ბალახურისძის ფარისად აუტანიებავ იოსებას კმალი. იქვე 181,23.

გა-ტეზ- — გა-ტეზ-ა — გაატეზინე: გაატეზინე დოღეთი: „ფარა მალაღეთ. ცხვარია“. ხეეს. პ. 19ა, 3. მო-ი-ტეზ- — მო-ტეზ-ა — მამატეზინეს მარკალი, ტოტით ვიარე, ბრალია! იქვე 167,47.

მო-ი-ფხან- — მო-ფხან-ა — მივაფხანიე: „მაშინ რადაღ მიწდაღ სიცოცხ-ლევი, თუ მიგ ქალს, სადაც ეფხანების, იქ მივაფხანიე?“ ვაბ. 134,29.

წა-ი-ყვან- — წა-ყვან-ა — წავაყვანიებ: ცოლს ტყვედ არ წავაყვანიებ... ხეეს. პ. 66,5. წაყვანია: ...არც ქალი წაყვანია გუდანლის აბასაო. იქვე 172,10. წავაყვანიეს: წავგლანეს კაც-შუა-კაცი, წავაყვანიეს ვერძია. იქვე 546,15. წავაყვანივათ: „დღდანამც ნუ მიტირებენ, რახან ეგ ქალებ თქვენ ღიღლოს წავაყვანივათ!“ ვაბ. 167,6. წავაყვანივათ: „წავაყვანივათ საკლავი, შორს მივაგებათ გზანი...“ იქვე 208,33. „სიცოცხლე რადაღ გვიწდა? გაგვიცინებენ სხვანია, რახან ტყვედ წავაყვანივანთ თინა-მარიემ ქაღინა“. იქვე 214,10.

ებ-ინება, გა-უ-შვებ-ს — გა-შვებ-ა — გა-ა-შვებ-ინებს... შეაღობითი კონტაქტის („აუხატ-ვის“) ფორმები რომ მართლა აწმყო ფუძეს ემყარებოდეს, მათში ქცევის ნიშნებიც (ი, ა, უ) უნდა ჩანდეს და ასეთი ფორმები უნდა გვქონდეს: „შეაინახინებს“, „შიაილებინებს“, „შეაიყ-რობინებს“, „გააიღებინებს“, „გააუშვებინებს“...

1 ბესარიონ ვახუშტი, ხეესურული მასალები. პრ. ფ. აკაკი შანიძის რედაქციით: „ქართული საენამეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I—II, 1923—1924.

2 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I. ხეესურული. ტფილისი, 1931.

3 დაბეჭდილია მამათიბიე (მო-თიბ-ვ-ა-სგან წაწარმოები ფორმა), რაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს: თიბ-ავ-ს, თიბ-ვ-ა არც ძველ ქართულში ყოფილა და არც ხეესურულში (და ფშაურში, მოხეურში...) არის. ავ თემისნიშნაინი ფორმები (თიბ-ავ-ს... თიბ-ვ-ა-თიბ-ვ-ა) ახალ სალიტერატურო ქართულში და მთელ რიგ დიალექტებში იხმარება.

4 ი-ვა (ხეესურულში II კავშირების მწკრივის ნიშანი ა არის და არა ი).

5 ამ წმინდის ძველ ქართულში ებ თემის ნიშანი ჰქონდა (წარყვანებს, მოიყვანებს, მიიყვანებს...), რომელიც, ცხადია, საწყისშიც იყო (წარყვანება, მოყვანება, მიყვანება...).





მო-აწერ-—მო-წერ-ა — მომაწერიეს: გამაწიორეეს ძმობილო, მომაწერიეს კელიო... ხევს. პ. 344,2. მაწერიეს: ვინ იყავ, რომენმ იამბე: „მაწერიეს კელიო?“ იქვე 634,2.

ჩა-კოც-— ჩა-კოც-ა — ჩავაკოციებ: „...ნუ ჩავაკოციებავ ერცხვასავ“—ანაბრ დიქტობდის. ჭინ.<sup>1</sup> 338,31. და-კოც-— და-კოც-ა — დავაკოცი(ა): მაშინ რაიდ მინდია ვიქნები, რახან მარტო ვერ გაუძღვა აკვათ, ან კიდევ არსოტივებ თუ დავაკოცივ ჩემის გულისად... გაბ. 183,26.

## 2. მ. შ. „შუქედრეპალი“ ზმნების საწყისებისგან ნაწარმოები ფორმები

მო-გლეჯ-— მო-გლეჯ-ა — მავაგლეჯებ: ახიელს მავაგლეჯებ ნაწურსა გრილის მთისასა... გაბ. 243,25. და-გლეჯ-— და-გლეჯ-ა — დაავლეჯივა: დავგიჯ-რა ანდარუყოსა, დაავლეჯივნა ყბანია. ხევს. პ. 205,17.

გა-კვრეც-— გა-კვრეც-ა — გააკვრეცივა: ...კმლით შეეტანა პირდაპირ მამკლავსა თინაისასა, შუაზე გააკვრეცივა, წვერი უწვდინა მიწასა. გაბ. 216,12.

და-ღევე-— და-ღევე-ა — დაგაღევეებს: ან ზვავს სად დაგაღევეებს, ან წყალსა ჩამდინარსათ. ხევს. პ. 596,3. (დაღევეა აქ გაფუჭებას, მოსპობას ნიშნავს. ზვავი და ჩამდინარი წყალი ირიბი თბიექტებია). „ქვესურის ქალებმა ზვირად იციან ბიჭისთვი არაყიან ბოთლის შანახვა და, როცა მოუვა ნათესავი ან მოკეთე, მაშინ დააღევეებენ... აგრეთვე ქალი ლოგინშიაც მიუტანს ბოთლს არაყიანს და ბიჭს ჩუმად დააღევეებს“. გაბ. 226, შენიშ. (როგორც ვხედავთ, ბ. გაბუურს ებ-ის წინ მრავლობითის ფორმაში ი დაუწერია, მსოლობითისაში კი—ინ, რომლის წინ ე აღარ დაუწერია). დააღევეენ (←და-ა-ღევე-ი-ე-ენ): დანდობით დააღევეენ არსოტ ნარჩვენი ყმანია... იქვე 243,3. დამაღევეეთ: მაილით, დამაღევეეთ, ნუ ღმარხავთ ქალიერასა. ხევს. პ. 628,1.

და-ამტვრევ-— და-ამტვრევ-ა — დაუმტვრევეებიან: იმისად უსრევევ უთურ-ვათ ივანესა-და ლაშყბან დაუმტვრევეებიან. ჭინ. 376,19.

-ი-სრევ-, -ე-სრევ-— სრევ-ა — ასრევეებენ: ...სტუმარს ასრევეებენ თოფს, სტუმრის წინ თოფს არვენ ესრევს. გაბ. 147,19. გა-ისრევ-— გა-სრევ-ა — გაასრევივა: ...შემახკრა კისერში კმალი და გაასრევივა თავი. იქვე 187,2.

მო-იქნევ-— მო-ქნევ-ა — მამაქნევეეთ: „ერთ მიაც მამაქნევეით! მკლავთ აღარ მაქვა ჯანია?“ იქვე 234,19.

და-წყვეტ-— და-წყვეტ-ა — დააწყვეტია: ...დააწყვეტია ორდა აპელანტა-რი მკრისათ. ხევს. პ. 228,29. დაგაწყვეტებენ: დაგაწყვეტებენა კაფიანი. იქვე 744,3. გა-წყვეტ-— გა-წყვეტ-ა — გააწყვეტენ: გააწყვეტენ ოროლნი ქარჩაის შვილნი ძმანია... გაბ. 243,4. გააწყვეტებენ: ლეკმ მარჯვე გააწყვეტინა ფარსმან-ლის თუშის ძვლით. ხევს. პ. 132,8.

და-იჭერ-— და-ჭერ-ა — დაიჭერიებენ: ...მაშინ სოფელ ჩახქოლავს ქურდს ან უჩივლებენ მთავრობასთან, დაიჭერიებენ... გაბ. 139,31. დაეჭერიებენ: თუ სოფელში ვერვინ დაიჭირა ეს ქურდები, დილის ხან თათრ დაეჭერიებენ. იქვე 146,9.

და-ხვრეტ-— და-ხვრეტ-ა — დავახვრეტებ: ზოგს დოში მარილს გაურევე, დავახვრეტებ მწარესა... ხევს. პ. 364,9.

<sup>1</sup> ა. ლ. ჭინჭარაძე, ხევსურულის თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. 1960.

**2. ახ თამისნიშინანი ზმნის საწყისებისგან ნაწარმოები ფორმები**

-ა-გ-ებ- — გ-ებ-ა — აგებინებდა: მიქა სახლს აგებინებდა, ხურო იქ ედგა ლვითანი. ხევის. პ. 543,11.

გა-ი-გ-ებ- — გა-გ-ებ-ა — გააგებებდა: ჯვარის მესტუმრე... წინაგ გააგებებდა: „ემა და-ემ დღეს მექნების ღამის თევა, ამ დღისად მზას იყვენით.“ ვაბ. 121,23. ...მეზობლებს გააგებებდა, სულს კი აქსენებს მკვდრისასა. იქვე 239,6. გააგებებდა: თუ ყარაულებმა გაიგეს, ხო გააგებებდა სოფელს. იქვე 190,25. გააგებებდა (ზმნა ოთხპირიანი): სხვას ხურვის გაგვიგებებდა, ფუნჩიას გვიოქვი იმასაო. ხევის. პ. 37,5. გააგებებდა: ...ამით გააგებებდა ბატრონს გამარჯვების დღეს. ვაბ. 158,22.

გავაგებებდა: „თუ კი საომრად მიხვიდოდი, რად არ გავაგებებდა?“ ვაბ. 185,21. გააგებდა: „შენ არხვატ არხოტიონთ გააგებებდა, მზას იყვენით...“ იქვე 182,23. გააგებდა: „...ერთუცს გააგებებდა, სათოფეებ მზას ასავ.“ იქვე 147,13. გამიგებდა (ზმნა ოთხპირიანი): „წაიღებ ცხენითა, ჩქარად გამიგებდა ჩემთ უნჯთ ყმათაგ ქვესურთაგ“. იქვე 162,6. გაგვიგებდა (ესეც ოთხპირიანი): ...გავვიგებდა მთიბლებსა, შაუკრან წვერის ძირსაო. ხევის. პ. 173,7. გაგვიგებდა (ოთხპ.): გაგვიგებდათ ლიქოკა გაგვის ცოლის ძმათაო... იქვე 37,11. გამაგებდა: ნეტანი გამაგებდა, ქალა ვინ უწევს მკლავზედა! იქვე 370,3. გავაგებდა(ა): მაციდ ეს ქისტ არხოტ და გავაგებდა: „ეს ამბავია“. ვაბ. 200,5. გააგებდა(ა): მაცნემ არხოტ გააგებდა: „მაგვეშველენითა“. იქვე 167,7. გააგებდა: გააგებდა კობასა, ხყავ თავის აფიცარია. იქვე 227,18. გავაგებინათ: „აბულესთ გავაგებინათ, სისხლ ბევრჯელ უსვამ მტრისაო“. ხევის. პ. 95,3. გააგებდა(ა): „შენ არვის გააგებდა, მე მარტო უნდა წაიღებ.“ ვაბ. 183,27. გაუგებებდა: ეხლა ეს მინდია ჩუმად მამზადებულას, არცვისად არ გაუგებებდა. იქვე 183,9. გაეგებდა: ამათს რო გაეგ გაჭირება, შეეყვან სახლში ადუა, ცეცხლთან გაეგ, თათო გამასულეც, გაეგებდა მეზობელ ქისტებსად... იქვე 199,26. გაგებდა: არხვატ გაგებდა არ შაიძლებოდ, ძალიან შორს იყვ არხვატ იქით... იქვე 199,13.

გა-ა-ბრუნ-ებ- — გა-ბრუნ-ებ-ა — გააბრუნებდა: წყალი არ მისცა დათვი-სელმა, წისქვილ არ გააბრუნებდა. ხევის. პ. 763,6.

გა-ა-გდ-ებ- — გა-გდ-ებ-ა — გააგდებდა: შუბსა ხკრავს, გააგდებდა ბელადსა ლეკებისასა. იქვე 168,4.

და-დ-ებ- — და-დ-ებ-ა — დაგაგდებდა: ყიდოს აქებენ ყანებსა, დაგაგდებინებ ნაღარსა. იქვე 99,5. დაგაგდებდა: ხუთ კიდევ დაგაგდებინებ, მკლავნი ვარ იმედიანი. იქვე 543,5. დამაგდებდა: კელშიით დამაგდებდა ვინტოკა პირ-კვამლიანი. იქვე 614,4.

-ა-დულ-ებ- — დულ-ებ-ა — ადულებდა(ა): როსაც ყანან ხქონიან ამ გაბურს დასამკალნი, ეს ეშმა თუ ადულებდა თუფას... ვაბ. 156,13.

და-ა-ზინ-ებ- — და-ზინ-ებ-ა — დამაზინებდა: ნეტავი მამცნა მშვილდ-ისარნიცი, ერთ-ორიმც დამაზინებდაო! ხევის. პ. 743,4.

-ა-თეთრ-ებ- — თეთრ-ებ-ა — გათეთრებდა: ბეტრუავ, გათეთრებდა ჩხიკვივით მწვეტათ თვალათა. იქვე 563,8.

ა-ი-კლ-ებ- — ა-კლ-ებ-ა — ავაკლებდა: „შენ რა გეგონ, არხოტს ავაკლებებდა იკვით?“ ვაბ. 185,13.

და-ა-ტყერ-ებ- — და-ტყერ-ებ-ა — დამატყერებდა: ...ჩემი საფქავთა დამაქავი ნიწათა დამატყერებდაო! ხევის. პ. 743,6.

გა-ი-ღ-ებ- — გა-ღ-ებ-ა — გამღებობთ: ესლად ბრალს მე გამაღებობთ აჭვანიც და არხოტიონნიც. გაბ. 183,22. გაგაღებთ: ქისტო, გულს გაგაღებთ, დაგზავთ თოფის ალიო... ხევს. პ. 129,11.

და-ა-ღ-ებ- — და-ღ-ებ-ა — დაღებობთ: ...დაღებობთ ღუქნები, ძალად უმტკრის კარია... იქვე 448,8.

ა-ი-ღ-ებ- — ა-ღ-ებ-ა — აუღებობთ: მაუქნევავ ერთი, იოსებას ფარისად აუღებობთ... გაბ. 181,31.

-ი-ყურ-ებ- — ყურ-ებ-ა — გაყურებობთ: ჩაყედ, გაყურებობთ ქმას ჩემს ბუჩაისას... ხევს. პ. 537,10. გაყურებობთ: ...თოფის ქმა გაყურებობთ, კირიმის კვამლით დაგჯარო... გაბ. 193,32. აყურებობთ: მეძრამც ვის აყურებობთ ჩემი და შენი ვრიალი! იქვე 248,24.

ი-ჭმარ-ებ- — ჭმარ-ებ-ა — აჭმარებობთ: წიქას არ აჭმარებობთ ჯორით ნაცილი ქმალი. ხევს. პ. 97,3.

#### 4. ოზ თამისნიშნანი ზენების საწყისებისა და ნაწარმოები ფორმები

მო-ი-ზრ-ობ- — მო-ზრ-ობ-ა — მოვაზრობთ: ფეკებმც მოვაზრობთ, ტყავი ზე გაწყვა ჯღანზედა. ხევს. პ. 520,10.

-ი-ტყ-ობ- — ტყ-ობ-ა — ატყობებთ: ...დაიწყებენ თოფების კმირ-კშირად სროლას, ატყობებენ, რო „მოვდიოთ“... გაბ. 131,26.

შე-ი-ტყ-ობ- — შე-ტყ-ობ-ა — შაატყობებთ: ეს მაწევარ მივას ჯვარში, შაატყობებთ ჯვარით... იქვე 121,26. შემატყობინე; უსათჯოთ შამატყობინე. რომ შენდევ კიდე გამაგიგზავნოთ სხეები. იქვე 253,5. შაატყობებთ: შაატყობებთ ყაზახთა, გზაში ჩაუსხეს ლაშქარი. იქვე 220,28. შამატყობებთ, შამატყობებთ (შემატყობინებელი): ...ვისაც მიწვევა უნდ, ეტყვიან იმ შამატყობებთ: „რად არ წამავალთ?“ იქვე 129,28. მაშინ ეს შამატყობებთ ეტყვიან... იქვე 130,10.

გა-ი-ცნ-ობ- — გა-ცნ-ობ-ა — გამაცნობთ: კმალი სჭრის ბავრატყინისა, ნეფისა ერეკლისა; ნეტავი გამაცნობინა! ლევანს უქებენ შვილსაო. ხევს. პ. 63,2

#### 5. ოზ თამისნიშნანი ზენის საწყისებისა და ნაწარმოები ფორმები

შე-ყ-ოფ- — შე-ყ-ოფ-ა (←შე-ყვ-ოფ-ა←შე-ყავ-ოფ-ა) — შაგაყოფებთ: ...იარაღთ აკურს... დიაცის უბეში შაგაყოფებთ მაგ თავს! გაბ. 137,4.

ჩა-ყ-ოფ- — ჩა-ყ-ოფ-ა — ჩაგაყოფებთ: კარში გამასავალს დაგიღევ, დიაცის უბეში ჩაგაყოფებთ მაგ თავს... იქვე 138,5.

#### 6. ავ თამისნიშნანი ზენის საწყისებისა და ნაწარმოები ფორმები

-ზიდ-ავ- — ზიდ-ავ-ა — გაზიდვით: რაქელ ბაჰყურა ეიქნები, რო ვაზიდვით მკვდრებთ! ხევს. 673,5.

და-ზიდ-ავ- — დაზიდ-ავ-ა — დაგაზიდვით: მსახურად დაგიყენებდი, დაგაზიდვით წყალსაო. იქვე 723,18.

-კოჭ-ავ- — კოჭ-ავ-ა — აკოჭებთ: ...ამისთანა ხთიშვილში აკოჭებთ ეშმაკის სულ წამაყრილს ქალს... გაბ. 153,20.

გა-ლაჭ-ავ- — გა-ლაჭ-ავ-ა — გალაჭვით: ...ასი ცხენს გალაჭვით, ორას კარავს წახვიაო... ხევს. პ. 56,3.

და-ლაჭ-ავ- — და-ლაჭ-ავ-ა — დამლაჭვით: ...დამლაჭვით ქისტეთი, მემრამკლა, დამსვენაო! იქვე 477,38.



და-ლოც-ავ — და-ლოც-ვა — დალოცვებს: ...ვინაც უფრო უფროსნი არა,  
დალოცვებს ამ არაყს მკედლის სულისად... ვაბ. 147,31.

ჩა-მწუხ-ავ — ჩა-მწუხ-ვა — ჩავამწუხებ: მალ-მალედ ჩავამწუხებ და-  
მურასავით თვალათა. ხეცს. პ. 563,6.

მი-მწუხ-ავ — მი-მწუხ-ვა — მივამწუხებ: ახლა მეც ვადაუქნიე, მივამ-  
წუხებენ თვალნიო. იქვე 465,40.

-ნახ-ავ — ნახ-ვა — გვანახებ: ზედიზედ დგების რუსები: ჩვენ გვანახებ  
ხთის მადლსა! იქვე 537,14. გვანახებთ: ...დაუწყებ კვესურთ ყვირილი: „სად  
ასე ჩვენ ნუღვი? გვანახებთა?“ ვაბ. 162,23.

გა-წირ-ავ — გა-წირ-ვა — გამაწირებ: ...ვიცი, ამკიდებს მტრობასა,  
გამაწირებთ შარასა. ხეცს. პ. 402,12. გამაწირებ: გამაწირებთ მძობილი, მო-  
მაწირებს ქელიო... იქვე 344,2. გამაწირებთ (—გა-მ-ა-წირ-ვ-ი-ვ-ა-თ): ვინაძ-  
ლივ, გამაწირებთ მძობილ კვესურის ქალსაო. იქვე 332,9.

და-წირ-ავ — და-წირ-ვა — დააწირებ: დააწირებენ ძროხანი, გაუშვენ  
ბირ-ოფლიანნი. იქვე 207,10.

მო-წირ-ავ — მო-წირ-ვა — მოგვაწირებ: ...კარკუჩას მოგვაწირებინა სა-  
ციხედ ნაზიდნ ქვანიო. იქვე 41,2. (ნ—ენ აქ ობიექტის მრავლობითობის ნიშა-  
ნი).

-წურ-ავ — წურ-ვა — აწურებ: ...წყალთ აწურებებს კლდისათა. იქ-  
ვე 168,8.

გადა-წურ-ავ — გადა-წურ-ვა — გადააწურებ: „არავ, აღარ მშვიდსავ,—  
უთქომავის იმედს, — ზეითამავ წურვილიან ჯამ გადააწურებო, ახუყვილ მა-  
ვალევ“. ქინ. 384,27.

ვა-წუწ-ავ — ვა-წუწ-ვა — ვავაწუწებ: ავდარს არ ვავაწუწებ, ჩემს  
ნაბადს დაგიქოხებდი. ხეცს. პ. 423,3.

-ხარჯ-ავ — ხარჯ-ვა — მახარჯებ: ...მაშინ ვაჟ იტყვის: „სახლ რაად მა-  
ხარჯებთა?“ ვაბ. 134,22.

და-კლ-ავ — და-კვლ-ა (—და-კლ-ვა) — დააკვლევს: ...მაშინ მეთავე მეტე-  
ლეს ჭურუმს კურეტს დააკვლევს. იქვე 141,5. დააკვლევთ: ვინაც იმუღლებთ,  
წინ-წინ შეღლა გამტელს დაგაკვლევთ კურეტს... იქვე 123,2. დააკვლევთ:  
„ქარს დაგაკვლევთა, საკლავით მა(გ)გვრითავე შინავე“. იქვე 138,10.

მო-კლ-ავ — მო-კვლ-ა (—მო-კლ-ვა) — მოგაკვლევინებს: ...ან ღვინოს მო-  
გაკვლევინებს, ან ღვინის ნაძირალსაო. ხეცს. პ. 596,4. მამაკვლევინებ: თუ სურ-  
ვილს მამაკვლევინებ, ქალო, დედაჩემს რას ეტყვი? იქვე 422,2. მოგაკვლევინა:  
წინ-წინ შენ მოგაკვლევინა შენზე მასული მტერია... იქვე 594,5. მამაკვლევ: „ნა-  
დირთ წყმსო ორბინტევ, შენ გეხვეწები, მამეცი ჯიკვთ თავი, მამაკვლევ!“  
ვაბ. 154,5. „მადლობელ-ორ შენი, ორბინტეო, რო ჯიკვი მამაკვლევ“. იქვე  
154,8. მამაკვლევთ: თქვენ მამაკვლევთ ყაჩადი, მავალი თავის ვხისასა. ხეცს. პ.  
605,19. მამაკვლევთ: „არ მამაკვლევთ თითელი, მავრად უპირეთ მკარია!“ ვაბ.  
215,4. მამაკვლევთ: ...ღალატი მამაკვლევთა, ვერ მოქცეულხარ ჰკვითაო.  
ხეცს. პ. 223,45. მამაკვლევთ: ...გაუბრუნებავ ხოვას მინდის სრუყველაი, ისრ  
რო ერთიც არვი მამაკვლევთ. დიალ. 17. მოგაკვლევთ: ...უთურვი არ მოგაკვ-  
ლევთ მეწინისძე კარო. ხეცს. პ. 3,9.

<sup>1</sup> ი. გვიგინეიშვილი, ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ქ. ა. ვ. თ. რ. ა. ქ. ქართული დიალექტოლო-  
გია, 1. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი. 1961.





-კლ-ავ- — კვლ-ა (—კლ-ვ-ა) — ვეკვლავი: მე კი საკვამისას ვაზავებ, — დევებს ვეკვლავი ვერასა. იქვე 545,31.

მო-რთ-ავ- — მო-რთ-ვ-ა — მართვევინე (—მოვართვევინე): წოვათ ქორიას ვეხვეწე, არწავით მართვევინე. იქვე 571,1.

-ქნ-ავ- — ქვნ-ა (—ქნ-ვ-ა) — ნაქვინია: „გულსისდელდამც მამქივითა და ყანაიც მამქვინიავ“. ჭინ. 329,5.

7. ამ თემისნიშნანი ზმნების საწყისებისგან ნაწარმოები ფორმები

ჩა-ა-ბ-ამ- — ჩა-მ-ბ-ა (—ჩა-ბ-მ-ა) — ჩავამბიეს: სამაია ჩავამბიეს, იქნა სიგირგალით. ხეცს. პ. 583,10.

მო-ა-ბ-ამ- — მო-მ-ბ-ა (—მო-ბ-მ-ა) — მოამბევეინე (—მოვამბევეინე): ...ცოტად შემოკლებოდა, სიგრძესა მამბევეინე. იქვე 571,2.

\*-თქვ-ამ- — თქ-მ-ა (—თქვ-მ-ა) — ვათქმევ: იქ რაიც ჭურჭლებს ჩამადგეს, აქ მე ვერ ვათქმევ ენასა. იქვე 545,13. ნათქმევს: მართალს ვერავინ ვერ მათქმევს, ვერც ახსარებას მდღელია. იქვე 727,33. ათქმევს: თუ რა ათქმევს, მანი ღუდუნდა მისცას მტკაღ მყოფმ. დიალ. 9. თთქმით (—ვათქმევით): „მოვრალმ იცის გულის სიტყვის თქნაი, ავებ თთქმით, რაი ას მავცს თავს“. ვაბ. 206,3. ათქმევან: ...დასტურ-გულსენებ სრუ იმის ცდაში არაიან, რა ათქმევან რაი. დიალ. 9.

-სვ-ამ- — ს-მ-ა (—სვ-მ-ა) — ვასმევ: ...შენდ შანახულსა ბოთლსა მინც არ ვასმევ სხვათაო. ვაბ. 230,17. ასმიეთ: სამაისტლოებს ვაეებსა ბავნით ასმიეთ ღუდია! იქვე 252,2. მასმიეს: მე ასიელაც ბევრ მასმიეს დღეს დილას... იქვე 202,7. უსმევავ: მავასაც სხვისად უსმევავ ჩემთვი შანახულ მინაო. ხეცს. პ. 345, 13. სმევა: ახლა შაილა კიდევ სოფელში არაყები, კიდევ დაგვაწყეს სმევა არაყისა. ვაბ. 202,28.

შე-სვ-ამ- — შე-ს-მ-ა (—შე-სვ-მ-ა) — შასმევს: ...მემრ გამივა ხუცესი, მოიტანს არაყს, ყველს თითობით წაქცეულს კაცს შასმევს თითო ყანწს... იქვე 146,29. ...ჯერ მამუკა თაოდ შასმოს, მემრ ღელ-მამათ შასმევს, მენრ გამახელას აძლევს არაყიან ყანწს. იქვე 206,9. შასმიე(ა): წამასს ყანწები, ჯერ თაოდ შასვ, მემრ სხვათ შასმიევ... იქვე 155,27. შასმიონ (—შეასმიევან): ...უნდა ძალად შასმიონ, სანამღი ძალიან არ დაათრობენ მყოლთ... იქვე 132,29. შავესმიევა: ...არაყ რა არ შავესმიევა, არ ვიყავ ნაუბარია. იქვე 206,30.

არის ერთი უთემისნიშნო ზმნა, რომლის ძირი (-ჭამ-) უზმნისწინო საწყისში შეუკუმშავია (ჭამ-ა), ხოლო ზმნისწინაწი — შეკუმშული (შე-ჭმ-ა, მო-ჭმ-ა, წა-ჭმ-ა...), -ჭამ- ძირი ასევე შეუკუმშავია მოქმედებითი გვარის უზმნისწინო მიმღობაში (მ-ჭამ-ელ-ი) და შეკუმშულია ზმნისწინაწი (შე-მ-ჭმ-ელ-ი...), ხოლო ვნებითი გვარის მიმღობაში (უზმნისწინოშიც და ზმნისწინიანშიც) შეკუმშულია (ჭმ-ულ-ი, სა-ჭმ-ელ-ი; შე-ჭმ-ულ-ი... შე-სა-ჭმ-ელ-ი...), ვნებითი გვარის ნა პრეფიქსიან მიმღობაში (ნა-ჭამ-ი) ძირი, ცხადია, არ იკუმშება (-ჭამ- შეუკუმშავია აგრეთვე სა-ჭამ-ად-ში).

იეღ ქართულში იყო ჭამ-ა, ჭამ-ულ-ი, ჭამ-ად-ი, სა-ჭამ-ად-ი, სა-ჭმ-ელ-ი, შე-ჭამ-ა||შე-ჭმ-ა, შე-მ-ჭამ-ელ-ი, შე-ჭმ-ულ-ი, შე-სა-ჭმ-ელ-ი.

-ჭამ- ძირიან ზმნის საწყისისგან შუალობითი კონტაქტის ფორმება წესით ისევე უნდა იწარმოებოდეს, როგორც სხვა უთემისნიშნო ზმნების საწყისებისგან იწარმოება ასეთი ფორმები, მაგრამ იმის გამო, რომ ჭამა და სმა სწორად იხმარება ერთად (ამ საწყისებისგან კომპოზიტებიც კი წარმოიქმნა: ჭამა-სმა, სმა-

ჭამა) და ამ ზმნების პირველი სერიის მწკრივები გარეგნულად ერთმანეთს ჰგავს, თუმცა ერთი უთემისნიშნოა და მეორე — ამ თემისნიშნოანი (ჭამ-ს და სვ-ამ-ს... ჭამ-ენ და სვ-ამ-ენ. . ჭამ-და და სვ-ამ-და... ჭამ-დ-ეს და სვ-ამ-დ-ეს... შე-ჭამ-ს და შე-სვ-ამ-ს...), სმა-ს, შე-სმა-ს „გავლენა მოუხდენია“ ჭამა-ზე, შე-ჭამ-ა-ზე და -ჭამ- ძირიანი ზმნის შუალობითი კონტაქტის ფორმები -სვ- ძირიანი ზმნისას დამსგავსებია (ასმევს — აჭმევს... შეასმევს -შე-აჭმევს... უსმევია — უჭმევია, ესმია — ეჭმია... შეუსმევია, შეუჭმევია...).

ახალ სალიტერატურო ქართულში და მთელ რიგ დიალექტებში სმევა, შეს-მევა და კმევა, შეკმევა ზმნებს მეორე სერიის მწკრივებში მოხალოდნელი ფორ-მები არა აქვთ, როცა ზმნა სამპირიანია (საარგისო ქცევისა): ასმევს... — ასვა (და არა ასმია)... შეასმევს... — შეასვა (და არა შეასმია)... აჭმევს... — აჭამა (და არა აჭმია)... შეაჭმევს... — შეაჭამა (და არა შეაჭმია)... შდრ. ოთხპირიანი (სახს-ვისო ქცევის) ფორმები: მიჭმევს... — მიჭმია (და არა მიჭამა)... შემიჭმევს... — შემიჭამია (და არა შემიჭამა)... (მიჭამა... შემიჭამა... უშუალო კონტაქტის სამპირიანი, სახსვისო ქცევის ფორმებია). სმევა-ს, შესმევა-ს არა აქვს „მიჭმია“-ს, „შემიჭმია“-ს მსგავსი ფორმები: მისმევს... — მისვა („მისვით მშიერ სალდა-თებსა“)... შემისმევს... — შემისვა... (ოთხპირიანი, სახსვისო ქცევის ფორმები ემთხვევა სამპირიან, სახსვისო ქცევის ფორმებს).

ძველ ქართულში არც „ასუმევს“, „შეასუმევს“ („ისმევს“, „შეასმევს“ ფორმების შესატყვისი ფორმები (ყოფილა და არც „აჭმევს“, „შეაჭმევს“: იყო ასუამს... — ასუა... შეასუამს... — შეასუა... აჭამებს... — აჭამა... შეაჭამებს... — შეაჭამა...

ხეცურულში ჭამა-სგან და შე-ჭამ-ა-სგან ს ა მ ი ე ე სერიის მწკრივები ისე იწარმოება, როგორც ს-მ-ა-სგან და შე-ს-მ-ა-სგან.

-სვ-ამ- — ს-მ-ა (←სვ-მ-ა), -ჭამ- — ჭამ-ა, სმა-ჭამა — ასმევ-აჭმევს: ზოგი კი დიპტერს ქურდებს და ჯერ ლამაზად ასმევ-აჭმევს და შემრ შახკონავს, ახკა-დებს ზურგზე ბარგს და ისრ წაღლაღავს ხატისკე. გაბ. 146,6.

-ჭამ- — ჭამ-ა — ვაჭმევს: ...ქერს ვაჭმევს იმით პატრონი, ვაჭირდას; ვამეჭ-მიანო... ხევს. პ. 618,2. ვაჭმევთ: ჯერე ჩვენ ვაჭმევთ სადილსა, მემრ მოკლედ ქვესურთ ყმანიო. იქვე 12,8. აჭმევენ: კარვად დახკებვენ ცხენებსა, თოფრით აჭ-მევენ ქერსაო. იქვე 462,2. აჭმიე: კას ყმას აჭმიე, დედაო, დილა ადრიან სადი-ლი... გაბ. 202,12. ვაჭმიეა: ...დაგიბალითა, გულს დავცა, მიწა ვაჭმივა მტვრი-ნი. ხევს. პ. 43,8. ასმიით, აჭმიათ: თუნდა ა ს მ ი ა თ, აჭმიათ, ზედ დააყრათ თავ-ზედა, თუნდა ჩაუდვა სავძალი, თან გაატანა გზაზედა, იქვე მშიერა დარჩების; სხვა რა მიუდგას კარზედა. იქვე 520,3. ეჭმიე(ა): ზეითას პურისად შუაყენებაე დიაც, პურ თუნდა ეჭმიე. ჭინ. 384,23. ვიჭმიათ (ოთხპირ.): დავიკრათ დედის ერ-თასა, მიწა ვიჭმიათ მტვრიანი... ხევს. პ. 180,6. მიჭმიეთ (ოთხპირ.): მიჭმიეთ ღალმისტიტრსა თავის საჭმელი პურიო. იქვე 458,6. ვიჭმიოს (←ვიჭმივას): გა-ვილუბდების ლურჯაი: ვინა-ღ ვიჭმიოს ქერაი? იქვე 354,4.

შე-ჭამ- — შე-ჭამ-ა — შემიჭმევ: ნუ გამილუბებ ლურჯასა, თოფს ნუ შემიჭ-მევ ჯანგსაო... გაბ. 187,26.

8. ი თემისნიშნოანი ზმნების საწყისებისგან ნაწარმოები ფორმები

-ოხრ-ი — თხრ-ა — გათხრევენ: შე სირაღას ვაზდილო, ტოტით გათხ-რევენ ქვიშასა. ხევს. პ. 202,4.

და-მკ-ი — და-მკ-ა — დაამკვედა(ა): ...ეს ეშმა... უძახებდ თავის ამხანაგ ეშ-  
 მებს, დაამკვედა ყანათ. გაბ. 156,15.

და-სერ-ი — და-სერ-ა — დაგასვრივნა: ... ნამკრევენი სისხლით დაგასვრივ-  
 ნაოო. ხეცს. პ. 744,4.

\*-ქ-ნ-ი (←\*-ქმ-ნ-ი) — ქ-ნ-ა (←ქმ-ნ-ა) — აქნევს: ეს სასმელ ჩადის ყვე-  
 ლას უფერს: ქურდობას აქნევს, ბოზობას. გაბ. 124,2. გვაქნევს: ...გვინდავ წა-  
 ვიყვანათავ... კორწილ გვაქნევს. დიალ. 10. მაქნას: მე მინდა მწარე არაყი,  
 მალ-მალ მაქნას ხაო. ხეცს. პ. 603,4.

და-ყრ-ი — და-ყრ-ა — დაყრივნა: ერთმა თათარმა ურიამ თოფს დაყ-  
 რივნა კმანია. იქვე 64,13. დაყრევიეს: შიგ ნადგომმ ახალ ვაუებმა დაყრევიეს  
 მკვდარიო. იქვე 12,6.

მე-ყრ-ი — მო-ყრ-ა — მავყრიენით: ...წითელ ყვითელან დროშანი საბა-  
 კეს მავყრიენით... იქვე 125,2.

გადა-ი-ყრ-ი — გადა-ყრ-ა — გადაიყრივნა: ...გადაიყრივნა ნაბადნი, აკსენა  
 ღმერთი მაღალი. გაბ. 221,1.

გა-ი-ყრ-ი — გა-ყრ-ა — გაუყრევა: ...ჯვარი გასწყრომივა და გაუყრევა  
 წვერი... იქვე 185,33.

-ი-შლ-ი — შლ-ა — მაშლევენ: ვერას მაშლევენ ჯალაფნი მა ბუზიკანტზე  
 მღერასა. ხეცს. პ. 592,6.

მო-ი-შლ-ი — მო-შლ-ა — მაგაშლევს: დიხინ მაგაშლევს, ომაო, ამლას  
 ლექსების თვალვასა. იქვე 563,5. მაიშლევენ: ...ღმერთმანი, შაატქრებენ, ან  
 მააშლევენ ლხინსაო. იქვე 223,14.

-ჭრ-ი — ჭრ-ა — აჭრევიებდეს: ...კმაღს უნდა აჭრევიებდეს<sup>1</sup>, იმედი  
 ხქონდეს<sup>2</sup> მკლავისა. იქვე 288,3.

გა-ჭრ-ი — გა-ჭრ-ა — გავაჭრე: შენს მწყენელს, გამახელო, ორად გავაჭ-  
 რევი კმაღსაო. გაბ. 205,29. თქვა: ვერ გავაჭრევი არზასა, გოროდებ დიკედაო.  
 ხეცს. პ. 472,5.

გადა-ი-კდ-ი — გადა-კდ-ა — გადაკდევის: თუ დაუმტკიც, ხო გადაკდევის  
 ქურდს, თუ ვერ დაუმტკიც, მაშინ... იქავ დამკარგავს გადაკდევის ქურდი ხუთ  
 ძროხას. გაბ. 138,27-30. გადაგაკდევენთ: ...მაშინ კი გადაგაკდევენთ, ტყემ რა  
 გაიბას თვალია. ხეცს. პ. 135,45. გადაგაკდევეთ (ოთხბ.): ჩვენ გადაგაკდევეთავ  
 იმათავ, რაც წადებულ აქვავ... ჭინ. 401,32.

გამო-ი-კსნ-ი — გამო-კსნ-ა — გამავაკსნევენ: არ გაგიტევენ სოფელენი,  
 გამავაკსნევენ ჯვარსაო. ხეცს. პ. 353,9.

ა-კსნ-ი — ა-კსნ-ა — ავაკსნივნათ: ...გვინდავ წავიყვანათავ, გზან ავაკსნივ-  
 ნათავ... დიალ. 10.

როგორც ცნობილია, არის ისეთი ი თემისნიშნაანი ზმნებიც, რომლებსაც  
 ი-ს წინ ნ აქვთ და ეს ნ, რომლის დანიშნულება ნათელი არაა, ხევესურულშიც  
 სამივე სერიის მწკრივებში ჩანს (კოც-ნ-ი-ს, და-კოც-ნ-ი-ს... კოც-ნ-ა, და-კოც-  
 ნ-ა... უ-კოც-ნ-ავ, და-უ-კოც-ნ-ავ...). ამ ტიპის ზმნების შუალობითი კონტაქტის

<sup>1</sup> მოსალოდნელი იყო აჭრევაბს ან აჭრევიებდეს: მწკრივის ნიშნად ა უნდა იყოს. აჭრე-  
 ვდს (ან აჭრევედს) აქ არ გამოდგებოდა, რადგან ორი ნმოვნით (ორი მარცხლით) ნაკლებია,  
 ვიდრე მეორე ფორმა.

<sup>2</sup> უნდა იყოს ხქონდას.

ფორმები სხვაგვარად იწარმოება: დააკოცნიებს, დააკოცნიებს... დააკოცნის, დააკოცნის, დააკოცნივ, დააკოცნივ, დააკოცნიან... დაუკოცნიებავ... (სათანადო მაგალითებს ვერ ვიმოწმებ, რადგან ტექსტებში არ შემხვედრია).

საწყისში, რომლისგანაც შუალობითი კონტაქტის ფორმები იწარმოება და რომლის ნიშანი (ა სუფიქსი) ამ ფორმებში მოკვეცილია, ებ, იბ, ივ, და ემ თემის ნიშნები სრულად ჩანს (თეთრება, გათეთრება, გაგება... დნობა, დადნობა, შეტყობა... ყოფა, გაყოფა, შეყოფა... მიცემა, მოცემა...), ავ და ამ თემის ნიშნებს ხმოვანი აღარ აქვთ (წურვა, გაწურვა... რთვა, მორთვა... კვლა—კლვა, მოკვლა—მოკლვა... დგმა, დადგმა...), ხოლო ი დაკარგულია საწყისის ა სუფიქსის წინ (შლა, მოშლა... ჭრა, მოჭრა...).

ძირკუმშვად (თუ ფუძეკუმშვად) ან უხმოვნო ძირის მქონე შუალობითი კონტაქტის ზმნებს პირველი სერის მწკრივებში ევ სუფიქსი აქვთ და თემის ნიშანი (ებ) არა აქვთ. ასეთებია ავ თემისნიშნის ზმნების მცირე ნაწილი (აკვლევს... ავწევს...), ყველა ამ თემისნიშნის ზმნა, ამათთან ერთად ერთი უთემისნიშნო (-ჭამ-ძირიანი) ზმნა (ათქმევს... ასმევს... აჭმევს...) და ი თემისნიშნის ზმნების ნაწილი (აშლევს... აჭრევს...). იშვიათად ხევსურულისთვის უჩვეულო (ალბათ სალიტერატურო ენიდან ან სხვა დიალექტებიდან შესული) ფორმებიც იხმარება (ავკლვიწევს... ამბევიწევს—ამბევიწევს... აშლვიწევს, აშლვიწევს...). დანარჩენ ზმნებს ებ თემის ნიშანი აქვთ (აბანიებს... აგლევიებს... აგებიებს... ატყობიებს... აყოფიებს... მიაციეიებს... ახარჯიებს... აკოცნიებს...).

აკვლევს, ათქმევს, აშლევს, აჭრევს ტიპის ზმნებს, რომლებსაც I თურმეობითში იგივე ევ აქვთ (მაუკვლევა, მაუკვლევა...), მეორე სერის მწკრივებში (მააკვლია, მააკვლია... მააკვლიას...), აგრეთვე II თურმეობითსა და III კავშირებითში (მაუკვლია, მაუკვლია... მაუკვლიას...) თითქოს ევ-ის მონაცვლე „ივ“ ან ი (-„ივ“) გამოაჩნდებათ.

მე მგონია, აქ ხმოვანმონაცვლობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე (ე არ ქცეულა ი-დ): სადაც ევ არის, იქ მის წინ ი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამჭრალა (აკვლევს—აკვლიევს...); სადაც ი-ვ (და არა „ივ“) არის, იქ ევ-ის ხმოვანი უნდა იყოს დაკარგული (მააკვლია—მააკვლია...); სადაც ი არის, იქ ევ-ის კვალიც (ვ) არ ჩანს (მააკვლია—მააკვლია...). ევ—ი-ევ, ი-ვ—ი-ევ, ი—ი-ვ—ი-ევ.

როგორც ცნობილია, ამ ტიპის ზმნებს გურულში ებ თემის ნიშანი აქვთ (აკვლიებს... ახენიებს... ათქმიებს... წაასნიებს... აშლიებს... აჭრიებს...). აქ ებ-ის წინ ჯერ ევ-ის ე გამჭრალა, მერე — ვ (აკვლიებს—აკვლიევს—აკვლიევებს...). ი—ი-ვ—ი-ევ.

სხვა ტიპის ზმნებს ხევსურულშიც, სხვა დიალექტებშიც და სალიტერატურო ქართულშიც ებ სუფიქსი აქვთ. ხევსურულსა და გურულში (აგრეთვე ზოგ სხვა დიალექტში) ებ-ის წინ ი არის. ხევსურულში ამ ი-სთან ერთად მეორე სერის მწკრივებში (აგრეთვე II თურმეობითსა და III კავშირებითში) ვ-ც არის ხოლმე (გავაგებივ, ვააგებივ, ვააგებივ, ვააგებივ... ვააგებივ, ვააგებივ, ვააგებივ...). ეს ვ, რომელიც ევ-ის ნაშთი უნდა იყოს (ი-ვ—ი-ევ), ყველა ფორმაში უნდა ყოფილიყო (გავაგებივ—ვააგებივ—ვააგებივ...), აქაც ი-ვ—ი-ევ, ი—ი-ვ—ი-ევ.

<sup>1</sup> ასმევს (აშლვიწევს) და აჭმევს ფორმები სხვათაგან (ასმეივს, აჭმეივს) არ ძნელდება.



სალიტერატურო ქართულის დააბანინა, დააგლეჯინა, გააგებინა, შეატყობინა, დაახარჯვინა და მსგავსი ფორმები, ზოგ დიალექტშიც რომ იხმარება, კანტიკულად ხევისურულშიც არის. თუ სწორია დიდი ხნის წინათ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ალაღვინებს (ძვ. ქართ.), ალაღვინა და მსგავს ფორმებში „ინ ერთი სუფიქსი კი არ არის, არამედ ორი (ი-ენ) სუფიქსის ხარეღუქციალი ფორმა“<sup>1</sup> (ალაღვინებს←ალ-ა-ღვ-ი-ენ-ა-ებს-ს, ალაღვინა←ალ-ა-ღვ-ი-ენ-ა), უნდა ვიფიქროთ, რომ გააგებინა←გააგებინა (ი-ნ←ი-ენ ისევე, როგორც ი-ვ←ი-ევ)...

<sup>1</sup> ლ. კვინაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, II: 5. ბარათაშვილის სახელობის ფორის სახელწიფილო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 137—138.

მზ. შანიძე

## უხჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის

უხჯაკალი და საუხჯაკლე გვხვდება ძველ ქართულ აპოფთეგმურ კრებულში (ათონ. № 12, IX ს.): „ოდესმე თევზი ვინმე მოართუა ამით და მზარაულმან შეწუა იგი და შეართუა უხჯაკალსა. და მკუეთორ საქმე რამე სასწრაფთა წარმოეარდა უხჯაკალსა (ხელნაწ. და გამ.: უხჯაკალსაჲ) და გამოვიდა საუხჯაკლით და თევზი იგი ჭურჭლითა დაეტევა ქუეყანასა ზედა. და ყრმასა მცირესა... შეამცნო, რამთა მცირედ ეამ ხელვიდეს, ვიდრე უკმოსლვადმდე მისა. ხოლო ყრმასა მას გულმან უთქუა და იწყო ურიდად ქამად თევზსა მას. და მოვიდა უხჯაკალი იგი და ქუეყანასა ზედა მჯდომარესა ურიდად ფერკითა აქენა და ეშმაკისაგან სახნებელსა ადგილსა მიამთხვა და მკუეთორ შესწუკდნა, და სულნი აღმოაქდეს. ხოლო უხჯაკალსა მას შეეშინა...“ (1,43). გამოცემული ტექსტის ბოლოში დართულ ლექსიკონში უხჯაკალი და საუხჯაკლე შეტანილი არ არის. ტექსტის შინაარსიც არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად დავადგინოთ, თუ რა მნიშვნელობისა არის ეს ორი სიტყვა. ჩანს მხოლოდ, რომ უხჯაკალი რაღაც თანამდებობის მქონე პირი უნდა იყოს, ხოლო საუხჯაკლე — მისი სამყოფი ადგილი თუ განსაგებელი.

აპოფთეგმურ თხრობათა ბერძნულ ტექსტში უხჯაკალ სიტყვის ფარდად გვხვდება *αελαριτης*, საუხჯაკლე სიტყვას კი შეესაბამება *αελαριαν* (PG 65,149). ცნობილია, რომ *αελαριτης* ან *αελαριος* ეწოდებოდა პირს, რომელსაც ებარა სანოვაგე მონასტერში (2). ქართულშიც არის ბერძნულიდან შემოსული სიტყვა *კელარი* (3, 175); გიორგი მთაწმიდლის „ითანესა და ეფთჳმენ ცხორებაში“ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ყველაფერი, რასაც განაგებდა *კელარი*: „აპოთიკი და ბოსტანი და წისქულნი კელრისა საურავნი იყვნეს... კელარსა ვენატთა ზედა სურძნისათჳს არა ჰქონდა კელმწიფებაჲ. გინა შინა მონასტერსა, გინა ვარე მეტოქთა კელრისა ვასაგებელნი იყვნეს, — გინა თუ ზეთისხალი იყვის, გინა თუ ნიგოზი, გინა თუ სხუჲა ხალი... ყოველი კელარსა შეუვიდოდა და უხუტებთ ჰქონდა მისაცემელი სატრაპეზოს...“ (3,43). *კელარი* ს საქმანობა ასე არის ნაჩვენები პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში: „რაი-ცა გუარი ნუგეშინის-საცემელი, — საქამაღი გინა სასუჲამაღი, — შეპოვიდეს მონასტრად, ჯერ-არს, რამთა ყოველი იგი კელარსა მიეცეს და მან, ჯერისაებრ განწესებულისა ამის წესისა, წარაგოს საკმრად ძნათა“ (4,85). იმავე ტიპიკონში სხვაგან ნათქვამია: „და ერთი იყოს კელრად, რომელ არს ოსტიგანი, ...რომელსა ჰქონდის კელსა თჳსსა პური და უქდურა და სიწუნე და ზეთი, თათლი და



სხუად ყოველივე საზრდელი და თვთ წარაგებდეს“ (4,82). ზემოთაღნიშნულ მასალები გვაფარაულებინებს, რომ უნჯაკალი, ისევე როგორც კელარი და ოსტიგანი, იყო „სანოვავის მოურნე“, მონასტერში. საუნჯაკალე სიტყვის ფარდი *αελλάριον* (აბოფთევამთა ბერძნულ ტექსტში) გ. ლემდის ლექსიკონში განმარტებულია როგორც *store-room of a monastery*, ხოლო მაგალითისათვის სწორედ PG, v. 65, col 149 არის მითითებული. მაშასადამე, საუნჯაკალე დაახლოებით იგივეა, რაც საკელრო გიორგი მთაწმიდლის ზემოთნახსენებ თხზულებაში და საოსტიგნე პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში. აქვე შევნიშნავთ, რომ ოსტიგანი და საოსტიგნე სიტყვათა მნიშვნელობები სავანებოდ არის შესწავლილი (4,31).

უნჯაკალ სიტყვაში ყურადღებას იქცევს მისი ერთ-ერთი ნაწილი — უნჯი. ეს სიტყვა და მისგან ნაწარმოები რამდენიმე სხვა კარგად არის ცნობილი ძველ ქართულში.

საბას განმარტებით, უნჯი არის „საქონელი“. ი. აბულაძის მიხედვით, იგი ნიშნავს „სარჩოს“ და „ბეღელს“. მის მიერ დამოწმებულ მაგალითებში კარგად ჩანს პირველად დასახელებული მნიშვნელობა ამ სიტყვისა: „ფრიადი უნჯი შეიკრიბოს კალოთა ზედა“ (იგავნი სოლ. წმ. — ოშკის ხელნაწერში, შდრ. საზრდელი „ბაქარის ბიბლიაში“ /5/).

უნჯ ფუძიდან ნაწარმოები საუნჯე ნიშნავს როგორც „საქმლის (უმთავრესად ხორბლეულის) საცავს“, ისე „განძის საცავს“. პირველი მნიშვნელობის საილუსტრაციო მაგალითებია: „განწმიდოს კალოა თვსი და შეკრიბოს იქელი მისი საუნჯესა“ მ. 3,12 DEC; „არა სთესვენ, არა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯესა მათსა (საუნჯეთა C)“ მ. 6,26. ორსავე შემთხვევაში საუნჯე სიტყვის ფარდად ბერძნულში გვაქვს *ἀποθήκη* (*store-room, barn* /-2/). შდრ. აბოთიკი გიორგი მთაწმიდლის თხზულების ზემოთმოყვანილი ნაწყვეტიდან, რომელიც სწორედ „საწყობს, ბეღელს“ ნიშნავს.

საუნჯე „განძის საცავის“ მნიშვნელობით აგრეთვე დამოწმებულია ძველ ქართულში: „აღახუნეს საუნჯეთა მათთა და მთარათუეს მას ძლუენი: ოქროთა, გუნდრუი და მური“ მ. 2,11 C. შესაბამის ადგილას ბერძნულ ტექსტში არის *θησαυρός*. საუნჯე თვითონ „განძის“ მნიშვნელობით გვხვდება სინურ მრავალთავში: „მშვდობისა საუნჯისა მომცემელი“ 5,33.

ნასახელარი ზმნა უნჯება ნიშნავს „შეკრების, დაცვას“: „ნუ იუნჯებთ თქუენ (დაიდებთ C) საფასეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა... ხოლო თქუენ იუნჯებდით (დაიდებდით) საუნჯეთა თქუენთა ცათა შინა“ მ. 6,19-20.

ახალ ქართულში უნჯი სალიტერატურო ენაში აღარ გვხვდება, მაგრამ არის დიალექტებში: მოხეურში, ფშაურში, გურულში /6/. „ჭერხო ააცხო ლარითა, როგორც სალარო ხანისა“ (ვაჟა-ფშაველა, „გოგოთურ და აფშინა“ /8/. უნჯი ყმა ნიშნავს „ნამდვილ, ერთგულ ყმას“. ეს გამოთქმა გვხვდება ხალხში გავრცელებულ ლექსში („გლოვა თუშ-ფშავ-ხესუსურთავან მეფის ირაკლისა“), რომლის ავტორად ითვლება გოდერძი ფირალიშვილი: „აღდეგ, გამირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანი, გრძლად ძილსა ჩვეულ როდის ხარ, მოგვიხე უნჯი ყმანი“ (7,297) ეს ლექსი ჩატუწერია ვაჟა-ფშაველასაც: (8,247, 437)

უნჯი ქართულში ნასესხები სიტყვა უნდა იყოს. დავით ჩუბინაშვილი მას სომხურად მიიჩნევს: „უნჯი (სომხ) ს. განძი, ლარი, სიმდიდრე, *сокровище, богатство* (9), ხოლო მ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს, რომ ეს სიტყვა



ქართულში ფალაურტიდან არის შემოსული (10,299). სომხურშიც არის *იხუ* რომელიც „განძს, ქონებას“ ნიშნავს. ძველ სომხურში *იხუ* აშვიათი ხმარების სიტყვად არის მიჩნეული. ჰ. აჭარიანს შესაძლებლად მიაჩნია მისი დაკავშირება ქართულ უ ნ ჯ -თან (11). ახალ სომხურში იგი არქაულ ლექსიკურ ერთეულად ითვლება (12).

სავარაუდებელია, რომ ქართული უ ნ ჯ ა კ ა ლ ი სომხური ენიდან არის შემოსული. სომხურში უნდა არსებულიყო სიტყვა *იხუასკაქ*. რომელშიც სახელი *იხუ* და ზმნური ფუძე *კაქ* ერთმანეთს შემეერთებელი *ა* ხმოვნით უკავშირდებოდა. ამ ტიპის კომპოზიტები სომხურში სიტყვათშეერთების პროდუქტიულ მოდელს განეკუთვნება. შინაარსეულად ამგვარი კომპოზიტები გამოხატავენ თვისების ქონებას, ან აღნიშნავენ მოქმედების შემსრულებელს (13,163). ამრიგად, *იხუასკაქ* სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „მეუწვე, ქონების მცველი“ (*კაქ*- ფუძე *კაიცი/კაისიცი* ზმნისა, რომელიც „დაჭერას“ ნიშნავს). *იხუ* სიტყვა ძველ სომხურში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რაკი მისი შემცველი კომპოზიტი ნახესხება ქართულში და ქართული მწერლობის ადრეულ ძეგლში არის დადასტურებული.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. შუა საუკუნეთა ნოველებს ძველი ქართული თარგმანები, II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. დვალბა. თბ., 1976.
2. A. Patristic Greek Lexicon, edited by G. W. Lampe, Oxford, 1961—1968.
3. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ძველი ქართული ენის ძეგლები, 13, თბ., 1971.
4. გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. ძველი ქართული ენის ძეგლები, თბ., 3, 1946.
5. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
6. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეიღდინა ალ. დლონტმა, თბ., 1975.
7. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, თბ., 1928.
8. ვ ა ე ა - დ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. X, თბ., 1964.
9. დ. ჩ უ ბ ი ნ თ ვ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб, 1887.
10. მ. ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
11. ჯ. მ ნ ა ი კ ა ნ, *Հայերեն արմատական բառարան*, IV, 1926
12. Մ. Մ ա լ խ ա ն յ ა ն, *Հայերեն բացատրական բառարան*, Տր., 1945.
13. Э. Г. Туманян, *Древнесармянский язык*, М., 1971.



ზურაბ ჭუმბურიძე

### კნიობითი სახელები სვანურში

კნიობითი სახელები შეადგენს წარმოქმნილ სახელთა ერთ-ერთ ჯგუფს, რომელიც საინტერესოა როგორც შინაარსის, ისე წარმოების მხრივ. კნიობითი უწოდებენ სახელის ისეთ ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ძირეული სახელით აღნიშნულ საგანთან შედარებით მცირეა, პატარაა. კნიობითი ფორმა გამოიყენება ერთი მხრით აღერსის განოსახატავად, მეორე მხრით კი — დამცირების მიზნით<sup>1</sup>. ცალკეულ შემთხვევებში მას შეიძლება ჰქონდეს სხვა ნიუანსებიც.

ქართულში კნიობითის მაწარმოებლად გვაქვს სუფიქსები: -ა, -აკ, -იკ, -უკ, -ილ, -ელ; -უნ, -იტ, -უტ. ისინი ცალ-ცალკე ან ორი-სამი ერთად დაერთვიან სახელს და კნიობითის ვაგებას აძლევენ მას. როგორც ვხედავთ, კნიობითის მაწარმოებლები ქართულში საკმაოდ ბევრია, მაგრამ სალიტერატურო ენაში მათი გამოყენების არე მეტად შეზღუდულია: სახელთა უმეტესობა კნიობითის ფორმებს ვერ აწარმოებს და სათანადო შინაარსი მხოლოდ აღწერილობით გადმოიცემა. შედარებით ფართოდ გამოიყენება კნიობითის ფორმები ზოგ დიალექტში, სახელდობრ, რაჭულში, მთიულურში, მოხეტურში, ხევსურულში.

ქართულსაგან განსხვავებით, კნიობითის ფორმები ფართოდ არის გავრცელებული სვანურის ყველა კილოში. კნიობითის ფორმით შეიძლება შეგვხვდეს როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელები, ზედსართავეები, რიცხვითი სახელები, მიმღებობები... საზოგადო სახელთაგან კნიობითის სუფიქსებით შეიძლება შეგვხვდეს ისეთ ცნებათა სახელებიც, როგორიცაა მზე, მთვარე, წელიწადი, თვე; დღე; ხატი, დევი, სიცოცხლე და ა. შ. გვხვდება შემთხვევა, როცა კნიობითის სუფიქსი ერთვის სახელს, რომელსაც მსასღვრელად ახლავს ხონა („დიდი“): ხონა წვადილ (სვ. პოეზია, I, 322,44). საკუთარ სახელთაგან კნიობითის სუფიქსები ერთვის პიროვნულ სახელებსაც და გეოგრაფიულსაც. კნიობითის სუფიქსები შეიძლება ერთვოდეს თვით ზმანასა და ზმნისართსაც კარასაკვირველია, ამ უკანასკნელთა მაგალითები იშვიათია, ისიც მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება, მაგრამ თავისთავად ძალზე საინტერესოა და კნიობითის ფორმათა ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს<sup>2</sup>. კნიობითი, ჩვეულებრივ, არ გვხვდება ნაცვალსახელებში, აბსტრაქტულ სახელებში, საწყისებში.

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 121.

<sup>2</sup> G. Deeters, Das kharthwelische Verbum, გვ. 240; ვ. თ ო დ ე რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 186; ი. ა ნ ტ ლ ი ძ ე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში: მაცნე, 6, 1967, გვ. 296. მ ა ვ. ენასოლლ („ჩქარა, სწრაფად“: სვ. პოეზია, I, 142,5).

კნინობითი სვანურში იწარმოება სუფიქსებით, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია, ნაგრამ ნათი სიმრავლე უძრავრესად ხმოვანთა მონაცვლეობით არის გამოწვეული, თანხმოვნები კი სულ ორია: ლ და დ, წარმოდგენილი ერთად ან ცალ-ცალკე. ასე რომ, თანხმოვნების მიხედვით დაჯგუფებისას კნინობითის სუფიქსები შემდეგ სურათს იძლევა:

- ა) -ილდ, -ოლდ, -ულდ, -გლდ;  
 ბ) -ილ, -ელ, -ალ, -ოლ, -ულ, -გლ;  
 გ) -ილ, -ად, -გლ.

საფიქრებელია, რომ კნინობითის სუფიქსის პირვანდელა სახეა ლდ (წინამავალი ხმოვნითურთ), რომლის გამარტივებითაც მიღებულია ერთი მხრივ ლდ თანხმოვანი, მეორე მხრივ კი დ თანხმოვანი ვარიანტები.

კნინობითის სუფიქსებს ბოლოში კიდევ -ა ხმოვანი უნდა ჰქონოდათ, რაზეც მიუთითებს ის გარემოება, რომ კნინობით სახელთა უმეტესობა ნათესაობით ბრუნვაში -აშ სუფიქსიანია. პოეზიის ენაში დაცულია ძველი ფორმები, სადაც კნინობითის სუფიქსებად გამოიყოფა -ილდა, -გლდა, -ილა, -გლა, -ილა და სხვანი!

რაც შეეხება კნინობითის სუფიქსთა წინა ხმოვანს, როგორც ვხედავთ, აქ ყველა ხმოვანი შეიძლება შეგვხვდეს. მათი მონაცვლეობა ერთი მხრივ ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება, მეორე მხრივ კი დიალექტური ხასიათისაა. გავრცელების მიხედვით ყველაზე ხშირია ი ხმოვანი ვარიანტები -ილ და -ილდ. ეს სუფიქსები დასტურდება ყველა დიალექტში (ბალსხემოთურსა და ლაშხურში გრძელი ხმოვნით). სხვადასხვა ხმოვნით დაწყებულ ვარიანტთა შორის შეიძლება სწორედ -ილდ (-ილდ-ა) იყოს პირველადი. მისი გამარტივების გზით მიღებულია -ილ<sup>2</sup>, ასიმილაციით — -ულდ და -ულ, რედუქციით კი — -გლდ და -გლ. დანარჩენი ვარიანტები შედარებით იშვიათია და მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში გვხვდება.

-ილდ—ილ აწარმოებს კნინობით თანხმოვანფუძიან სახელებში და ა, ე, ი ბოლოხმოვანიანებში, ჟ—თი დაბოლოებულ სახელებში სუფიქსისეული ხმოვანი უ-დ იქცევა; ო, უ ბოლოხმოვანიანებში კი სულ იკარგება.

კნინობითის ფორმით ყველაზე ხშირად გვხვდება არსებითი სახელი; სახელდობრ, ბალსქვემოთურ კილოში გვხვდება ასეთი ფორმები:

-ილდ:

ჭაშ-ილდ (ჭაშ—„ქმარი“)

ჩაყ-ილდ (ჩაყ—„ცხენი“)

რაშ-ილდ (რაშ—„რაში“)

კან-ილდ (კან—„ხარი“)

ყელ-ილდ (ყელ—„დადლი“)

ბელ-ილდ (ბელ—„ბელი“)

მელ-ილდ (მელ—„მელი“)

წდიქ-ილდ (წდიქ—„კბილი“)

სვამ-ილდ (სვამ—„ვეძა, შეავე წყალი“)

ყაგ-ილდ (ყაგ—„წამალი“)

იოქ-ილდ (იოქ—„ხორბალი“)

ქჭირქჭ-ილდ (ქჭირქჭ—„ქურჭი“)

ბიშტ-ილდ (ბიშტ—„ბუშტი“)

<sup>1</sup> ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: თსუ შობამე, VII, 1927.

<sup>2</sup> ა. შანაძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 123.

ილ:

მარ-ილ (მარე—„კაცი“)  
მუხტბ-ილ (მუხტბე—„ძმა ძმისთვის“)  
დად-ილ (დადა—„დედაბერი“)  
ფეკუნ-ილ (ფეკუნა—„ლეკვი“)  
ნებგუ-ილ (ნებგუა—„შუბლი“)  
კაჰდ-ილ (კაჰდა—„ნაჯახი“)  
დამნ-ილ (დამნა—„დამნა“)  
გაჩ-ილ (გაჩ—„დანა“)

ხანჯრ-ილ (ხანჯარ—„ხანჯალი“)  
ლაჩქ-ილ (ლაჩქა—„ლეჩქი“)  
მესკდ-ილ (მესკდა—„ბეკედი“)  
ტაბგ-ილ (ტაბგა—„ტაბაკი, დაბალი სუფრა“)  
ღებბილ (ღებბა—„ძაფის გორგალი“)  
წიწმანდ-ილ (წიწმანდა—„წიწმატი“)  
თეტნ-ილ (თეტნა—„სადგისი“)

-ულდ:

ქინდ-ულდ (ქინდა—„კრავი“)  
ცხენდ-ულდ (ცხენდა—„ნაკვერცხალი“)  
ყორ-ულდ (ყორა—„კარი“)  
ფათქ-ულდ (ფათქა—„ორმო“)  
ტობ-ულდ (ტობა—„გუბე, წუმბე“)  
ხალთ-ულდ (ხალთა—„გუდა“)

პრატ-ულდ (პრატა—„ტყავის თოკი“)  
ქან-ულდ (ქანა—„კანაფი“)  
ბოჯ-ულდ (ბოჯა—„ბურის ნატეხი“)  
კან-ულდ (კანა—„კაბა“)  
ბაქ-ულდ (ბაქა—„ტყუილი“)  
ოქრ-ულდ (ოქრა—„ოქრო“)  
ჩქუა-ულდ (ჩქუა—„ეშვი“)

-ელ:

ხანჯრ-ელ (ხანჯრა—„ხანჯალი“)  
წაკტ-ელ (წაკტა—„წალკატი, წე-რაქვი“)

სტამნ-ელ (სტამნა—„დოქი“)

-ულდ:

რპკ-ულდ (რპკა—„კურდღელი“)  
დამდ-ულდ (დამდა—„დათვი“)  
მუგ-ულდ (მუგა—„მტრედი“)  
თპკ-ულდ (თპკა—„თოკი“)  
შყაყ-ულდ (შყაყა—„მწყერი“)  
ჯაყ-ულდ (ჯაყა—„ჯაყვა“)  
ჯიჯ-ულდ (ჯიჯა—„ძვალი“)  
შპკ-ულდ (შპკა—„კუთი“)

ფათ-ულდ (ფათა—„თმა“)  
ჭპკა-ულდ (ჭპკა—„რული“)  
წაწყ-ულდ (წაწყა—„წყმეტენი“)  
ღა-ულდ (ღაა—„დევი“)  
ძი-ულდ (ძია—„მძივი“)  
ფაუ-ულდ (ფაუა—„ჯონი“)  
მუნწ-ულდ (მუნწა—„კალია“)

-ულ:

კიბღონ-ულ (კიბღონა—„კიღონანი“)  
მესტ-ულ (მესტა—„დეკეული“)  
ნაღჭყურ-ულ (ნაღჭყურა—„ბიჭვი, ვა-ვი“)

ჭყაურ-ულ (ჭყაურა—„დაგრეხილი თოკი“) და სხვანი.

ზოგჯერ -ულდ სუფიქსი გვაქვს მაშინაც, როცა მანისმილირებელი ბაგის-მიერი ბგერა სიტყვის ფუძეში ამჟამად არ ჩანს, მაგრამ საგარაუდებელია, რომ წინათ უნდა გვექონოდა. მაგალითად, ნაბრ („ჩიტი“) მიღებული უნდა იყოს ასე: ნაბორ (მდრ. ლი-პერ „ფრენა“) > ნაბტრ > ნაბპრ > ნაბპრ. აქედან კი კნინობითია ნაბპრ-ულდ. ერთადერთი გამოწვევაა, როცა ბაგისმიერი ხმოვანი ან უ არც ფუძის ბოლოს გვაქვს და ფუძეში დაკარგულადაც არ იგარაუდება, კნინობითის



საქართველო  
ენციკლოპედია

მაწარმოებლად კი მაინც ულდ სუფიქსი გვევლინება, არის მა-ულდ („მელია“),  
რონელიც გვხვდება მალ-ჯლდ||მელ-ილდ ფორმათა პარალელურად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სვანური ენის დიალექტებში  
კინობითის მაწარმოებელი სუფიქსების მრავალ სხვადასხვა ვარიაციას წარ-  
მოგიდგენენ. სხვაობა შეტყუილად ფორმანტების ხმოვნით ელემენტზე მოდის.<sup>1</sup>  
ასე, მაგალითად, ბალსქვემოტური -ილდ (ილ) სუფიქსი სხვა კილოებში ო ხმოვ-  
ნით არის წარმოდგენილი (ბზ. ლშხ. ოლ, ლნტ. -ოლ).

**-ოლ (ოლ):**

- კუიცრ-ოლ (კუიცრა—„შუნი“)
- კანდ-ოლ (კანდა—„ხაჯახი“)
- ბი-ოლ (ბია—„კომში, ბია“)
- კამ-ოლ (კამა—„კამა“)
- მნარ-ოლ (მარე—„კაცი“)

- ფეკუნ-ოლ||ფეკ-ოლ||ფაკ-ოლ (ფეკუნ-  
ნა—„ლეკვი“)
- კუნენ-ოლ (კუნენ—„კვერნა“)
- ჯელ-ოლ (ჯელ—„ძაღლი“)
- ხამ-ოლ (ხამ—„ღორი“) და ა. შ.

ლენტეხურში, როგორც ითქვა, ხმოვანი გრძელი არაა: კუიცრ-ოლ, კამ-ოლ,  
კუიან-ოლ („სკენჩა“) და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა მსგავს შემთხვევებში ბალსქვემოტურში ო ხმო-  
ვნიანი (-ილდ, -ილ) სუფიქსი გვხვს. ო ხმოვნიანი ვარიანტების (-ოლდ, -ოლ)  
არარსებობა ბალსქვემოტურში იმით აიხსნება, რომ აქ -ოლ სუფიქსს სულ სხვა  
დანიშნულება აქვს, — იგი სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუ-  
ფიქსია: კანდ-ოლ „ხაჯახები“, ქორგ-ოლ „ქოლგები“, მარ-ოლ „კაცები“, ფეკ-  
უნ-ოლ „ლეკვები“ და ა. შ.<sup>2</sup> ამიტომ, ცხადია, კინობითის სუფიქსად -ოლ აღარ  
გამოიყენება და ამ შემთხვევაში სხვა ხმოვნიანი ვარიანტები ეხნარება.

კინობითის სუფიქსები გვხვდება როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახე-  
ლებშიაც: მაგალითად, ასეთებია პიროვნულ საკუთარ სახელთაგან: ვირსპ-ილდ  
ბნდრ-ილდ, ნან-ჯლდ, შამშინთ-ილ, შაუნ-ილ, ჩხერშტაგ-ილ...

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ საკუთარ სახელში, რომელიც -ილ-ზე ბო-  
ლოვდება, სვანურში ეს ილ მიჩნეულია კინობითის სუფიქსად და მისი ჩამო-  
ცილებით ნაწარმოებია „ძირეული“ (არაკინობითი) ფორმა. ასეთია, სახელ-  
დობრ: ავთანდ (ავთანდილ-ისაგან), ისმა (ისმაილ-ისაგან) და სხვა. ასეთივე ვი-  
თარებაა ზოგიერთ ნასესხებ საზოგადო სახელშიც: საბრალო—საბრაღ—საბრან.

გეოგრაფიული სახელებისაგან, ჩვეულებრივ, კინობითი არ იწარმოება,  
მაგრამ თვით კინობითის სუფიქსები კი სვანურში საკმაოდ ხშირად გვხვდება  
გეოგრაფიულ სახელებში. ასე, მაგალითად, ჰოკრილ მთის სახელია ზემო  
სვანეთში, სოფელ თავრალის ბოლოს. სახელწოდება ნაწარმოებია პოკერ („ბო-  
ლო“) სიტყვისაგან კინობითის -ილ სუფიქსით, რომელიც ამ შემთხვევაში  
გეოგრაფიული სახელის მაწარმოებლის როლში გამოდის. იმავე -ილ სუფიქსს

<sup>1</sup> შ. ქალღანი, სვანური ენის ზემთხურო შეტყუილების ანალიზებურებანი; იყ, XI, 1959, გვ. 230-231.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>3</sup> ა. ჩანტლაძე, შტო-გვარის აღმნიშნულ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში. ბაცე, 6, 1967, გვ. 296.



შეიცავს სოფლის სახელწოდება ლარ-ილ-მარ (შედის ჭუბერის თემში). წარმოებული ლარე („სათიბი“) სიტყვისაგან კნინობითის -ილ და მარ. რიცხვის პრ სუფიქსების დართვით, მამასადამე, ნიშნავს „პატარა სათიბებს“.

-ულდ სუფიქსი გამოიყოფა ჭოხულდ სოფლის სახელწოდებაში, ოლონდ მისი ძირეული სიტყვის მნიშვნელობა გაურკვეველია (სოფელი ჭოხულდი ბე-ზოს თემში შედის). -ელდ სუფიქსით არის წარმოებული ადგილის სახელი ჰანდ-ელდ. იგი მიღებულია ჰანდ||ჰანდ-რა („იელი“) სიტყვისაგან (შეადარეთ იმავე ძირისაგან წარმოებული სოფლის სახელი ჰანდ-იშ). -ელდ სუფიქსს შეიცავს აგრეთვე სოფლის სახელები კიჩხ-ელდ-აშ და ქართ-ელდ-აშ (კიჩხ ნიშნავს ლობიოს, ცერცვის და მისთ. პარკს, ქართ ნიშნავს „თალგამს“).

კნინობითის -ულდ სუფიქსითაა წარმოებული სოფლის სახელები ნანყებ-ულდ (ხაიშის სასოფლო საბჭოში) და მთის სახელი მემ-ულდ.

კნინობითის სუფიქსებით ახალ სიტყვათა წარმოქმნის ნიმუშებია აგრეთვე მსხლის ჯიშის სახელწოდებანი: კეხ-ილ და ღანგმარ-ელდ. პირველი ამათგანი წარმოებულია კუხუ („მკვახე“) სიტყვისაგან. მართლაც, ამ ჯიშის მსხალი უმწიფარიც იჭმევა და ამიტომ შერკმევეა ასეთი სახელი (მისი შესატყვისი იქნებოდა ქართულად „მკვახუნა“). დაბოლოების გადაკეთებისა და კნინობითად გააზრების შედეგია მწნცხელდ (მენცხარ||მენცხარ). „მოცხარი“.

მეგმ-ელდ||მეგმ-ელ „მოცივი“ წარმოებულია აგრეთვე კნინობითის სუფიქსით მეგამ („ხე“) სიტყვისაგან.

რამდენიმე სახელში კნინობითის სუფიქსად შეიძლება გამოიყოს (გ)ნდ სუფიქსი: შდგხნდ||შდგხინდ — „თხლის ხე“, გოგლანდ „ცირცელი“ და სხვ.

გარდა არსებითი სახელებისა, კნინობითი ხშირად გვხვდება აგრეთვე ზედსართავ სახელებში; მაგალითად:

ხოშ-ილ (ხოშა—„დიდი“)	ნახტუ-ილ (ნახტუნი—„ვიწრო“)
ხოხტრ-ილ (ხოხურა—„პატარა“)	ყუედ-ილ (ყუედი—„წყნარი“)
ხოჩ-ილ (ხოჩა—„კარგი“)	მეშხ-ილ (მეშხე—„შავი“)
მანგარ-ილ (მანგარ—„ემშაკი“)	ნაკ-ელდ (ნაკ-ვაკე) და ა. შ.

ანალოგიურად წარმოებული ფორმები გვხვდება მიმდებარებულშიც:

მეკნ-ილ (მეკნი—„მხენელი“)	ლარდ-ილ (ლარდა — „სამყოფელი“ ანუ „ბინა“, „ოთახი“)
მეხტაჟ-ილ (მეხტაჟი—„მხატვარი“)	ლანსყიარ-ილ (ლანსყიარ—„საღესი“)
მეხტაჟ-ილ (მეხტაჟი—„გაპობილი“)	ნანსყე-ულ (ნანსყეჟ—„ნაკეთები“)
ლუბჟუნ-ილ (ლუბჟუნე—„დამალუ- ლი“)	ნახტა-ულ (ნახტაჟი—„ნახატი“)
ლეტურ-ილ (ლეტური—„სანთელი“)	ნაკჟიშ-ულ (ნაკჟიშ—„ნატეხი“) და სხვა.

კნინობითის ფორმით სვანურში საკმაოდ ხშირად გვხვდება რიცხვითი სახელები. ამ შემთხვევაში კნინობითი გამოხატავს არაზუსტ რაოდენობას, მიანლობითობას; ე. ი. კნინობითის სუფიქსი დაახლოებით ქართული ოდე ნაწილასის როლში გამოდის. მაგალითად:

ეშხუ-ულ (ეშხუ — „ერთი“)	სემი-ლ (სემი — „სამა“)
ხენსგ-ილ (ხენსგა—„ნახევარი“)	ოშთხ-ულდ (ოშთხ—„ოთხი“)

იშვტიდ-ილ (იშვტიდ — „წვიდა“)  
არ-ილ (არა — „რვა“)  
ჩხარ-ილ (ჩხარა — „ცხრა“)

აემდ-ილდ (აემდ — „ათი“)  
ემდორ-ილ (ემდორი — „თორმეტი“)  
და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, კინობითის ძირითად სუფიქსად წიხინევა -ილდ, რომლის ასიმილაციისა და რედუქციის გზით მიიღება -ულდ და -ჯლდ, ხოლო ვამარტივებით (თანხმოვნის ჩაყარვით) — -ილ, (-ულ, -ჯლ). გარკვეულ შემთხვევებში დაკარგულია არა დ, არამედ თანხმოვანი. ეს ხდება, სახელდობრ ლ-ზე ფუძეგათავებულ ან ფუძეში ლ-ს შემცველ სახელებში. ამრიგად, ასეთ შემთხვევაში კინობითის მაწარმოებლად გვევლინება -ილ, -ჯლ (ზოგჯერ აკრეფე — -ად) სუფიქსები. სახელდობრ, გვაქვს ასეთი ფორმები:

ღალ-ილ (ღალე — „ფრთა“)  
ქათლ-ად|ქათლ-ილ (ქათალ — „ქათამი“)  
წინწლ-ილ (წინწლ — „წიწილა“)  
დაჯლ-ჯლ (დაჯლ — „თხა“)

კოლფ-ჯლ (კოლფ — „კოლოფი“)  
წდაჟლ-ჯლ (წდაჟალ — „მერცხალი“)  
მემდრალ-ჯლ (მემდრალ — „მოთამაშე“)  
ღუმლ-ად (ღუმირ — „ნაძვი“) და ა. შ.

-ილ, -ჯლ და -ად სუფიქსთა მონაცვლეობა უფრო კილოკავური ხასიათისაა: სახელდობრ, -ილ გვხვდება ცხუმართლში, -ად — ბეჩოურში; შეადარეთ: ქათლიდ (სვანური პრ., II, 83,31) და ქათლად (იქვე, 21,5). საერთოდ, სვანური ენის კალოებში კინობითის წარმოების მხრივ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია შემდეგი თავისებურებანი:

კინობითის -ილდ, -ჯლდ სუფიქსებიდან ლახამულურში -დ-ონი დაკარგულია, ეცერულში — არა:

ლხმ.	ეცერ.	
ჩარხ-ილ	ჩარხ-ილდ	ჩარხი
ჯვარ-ილ	ჯვარ-ილდ	მთის სახელია
ჭაჭ-ჯლ	ჭაჭ-ჯლდ	ჭაჭა და ა. შ.

მაგრამ ლაშხურს ისეთ შემთხვევანიც დაუკარგავს იგი, სადაც ლახამულურს შემონახული აქვს; მაგ.:

ლხმ.	ლშხ.	
ლიც-ილდ	ლიც-ილ	წყალუკა
ქელ-ილდ	ქელ-ილ	ბადლი
ბგიდ-ილდ	ბგიდ-ილ	ბგიდე, ნაპირი
მუს-ულდ	მუს-ულ	თოვლი და ა. შ.

ბევრ შემთხვევაში -ილდ ფორმანტის -ლ იკარგება ლახამულურში და -დ შემონახულია; ეცერულში, პირიქით, დ-ს დაკარგვისა და -ლ-ს შენახვის ფაქტთან გვაქვს საქმე<sup>1</sup>.

ჩუბხეგური უფრო იცავს ზ ხმოვნიან ვარიანტებს (-ჯლდ, -ჯლ, -ჯლ),

<sup>1</sup> შ. ქალღანი, სვანური ენის ლახამულურ კალოკავის გრამატიკული თავისებურებანი: იყ, VIII, 1956, გვ. 171 — 172.

მაშინ როცა სხვა კილოკავებში (ლახამულურში, ცხუმარულ-ეცერულში) იწმინ-  
 ვნიანი ვარიანტებია გავრცელებული (ილდ, -ილ, -ილ) <sup>1</sup>.

საერთოდ, კნინობითის თავისებურებათა აღნუსხვა ყველა კილოსა და კი-  
 ლოკავის მიხედვით მომავლის საქმეა, მაგრამ წარმოდგენილი მასალის ანალიზის  
 საფუძველზე უკვე ამჟამადაც შეიძლება გაკეთდეს ზოგი დასკვნა:

სვანურში კნინობითის ძირითად მაწარმოებლად შეიძლება მივიზნოთ  
 -ილდ სუფიქსი, რომელსაც მოეპოვება მრავალი სხვადასხვა ვარიანტი, მიღე-  
 ბული წმოდანთა მონაცვლეობისა და თანხმოდანთა კომპლექსის გამარტივების  
 გზით; სახელდობრ: ფუძისეულ ბაკისმიერ ბგერებთან ასიმილაციით მიიღება  
 -ულდ, რედუქციით -გდდ, დ თანხმოდანის დაკარგვით — -ილ, -ულ, გლ; ლ-ზე  
 დაბოლოებულ სიტყვებში იკარგება სუფიქსისეული ლ და კნინობითის მაწარ-  
 მოებლად გვევლინება -ილ, -გლ. სხვადასხვა დიალექტში გვხვდება აგრეთვე სხვა  
 წმოდანიანი ვარიანტები: -ოლდ, -ოლ(ოლ), -ელ, -ალ, -ად.

კნინობითის ფორმები სვანურში ფართოდაა გავრცელებული და გვხვდება  
 როგორც სახელებში, ისე მიმღებობებსა და ზმნიზედებშიც კი. მრავალფერო-  
 ვანია მათი მნიშვნელობის ნიუანსებიც.

<sup>1</sup> მ. ქალდაანი, სვანური ენის ჩუბჩუკური პეტრეელების თავისებურებანი: იკე, XI,  
 1959, გვ. 230—231.

## ძველი ქართული ენის კათედრის შრომები

(დაიბეჭდა)

1. ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1955, XXXII+222 გვ.
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა. I. შორფოლოგია. თბ., 1955, 08+330 გვ. გამოცემა მეორე, შესწორებული. თბ., 1962, 335 გვ.
3. ვეტხისტყაოსნის სიმფონია. შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბ., 1956, 039+431 გვ.
4. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბ., 1957, 028+784 გვ.
5. სინური მრავალთავი 864 წლისა. გამოსაცემად მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბ., 1959, 020+338 გვ.
6. თ. თურგაიძე, თუშური კილო. თბ., 1960, 08+236 გვ.
7. კრებული. თბ., 1961.  
იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ძველი ქართული ვერსია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა (გვ. 1—205).  
ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუევალ ზმნასთან ქართულში (გვ. 207—228).  
ლ. კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში (გვ. 229—279).
8. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, I. გამოსცა ი. იმნაიშვილმა. თბ., 1963, VII+64 გვ.
9. კრებული. თბ., 1964.  
ა. შანიძე, ანტონ I-ის ვავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში (გვ. 1—94).  
ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში (გვ. 95—150).  
ზ. კუმბურაძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში (გვ. 151—157).  
კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი (გვ. 159—184).  
მწკეპალა შანიძე, უდაბნოს მრავალთავის ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის (გვ. 185—186).



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 187—209).

პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეობაველი). შრომები.

ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა. თბ., 1961 (რეცენზია ა. შანიძისა, გვ. 187—193).

ძველ ქართულ-რუსული ლექსიკონი (ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით) შეადგინა ს. ზ. სერებრიაკოვმა. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა. თბ., 1962, XIV+285 გვ. (რეცენზია მზ. შანიძისა, გვ. 195—209).

10. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა. თბ., 1966, 08+239 გვ.

11. საიუბილეო. თბ. 1968.

ა. შანიძე, ერკასეულის წლისთავზე (გვ. VII—VIII).

ა. შანიძე, შესავალი სიტყვა, წარმოთქმული დისერტაციის დაცვისას თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 9 მაისს (გვ. 1—6).

ა. შანიძე, ავრი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში (7—16).

ა. შანიძე და ვ. ცისკარიშვილი, ბარანს ციხის წარწერა (გვ. 17—26).

A. Шанидзе и В. Цискаришвили, Надпись Баранской крепости (Резюме) (стр. 26).

ი. იმნაიშვილი, ენებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში (გვ. 27—54).

ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ძველ ქართულში (გვ. 55—76).

მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები). (გვ. 77—122).

კ. დანელია, ძველი ქართულის ლექსიკიდან (გვ. 123—131).

დ. მელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის იოანე ბეტრიწის ნაწერებში (გვ. 133—142).

A. Шанидзе, Грузинская надпись XI—XII вв. из Армении (стр. 143—144).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 143—165).

მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ურთიერთობიდან. I. თბ., 1966 (რეცენზია ა. შანიძისა, გვ. 145—158).

რომან მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის ქართული თარგმანები“, თბ., 1966 (რეცენზია კ. დანელიასა, გვ. 159—165).

12. ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბ., 1970, გვ. 156.

13. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია ტ. I, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით. ნაწილი I, ტექსტები და ლექსიკონი, 1970, გვ. 384.

14. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით. ნაწილი II, ენის მიმოხილვა და ტაბულები, 1971, 384 გვ.
15. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გამოცემა მეორე, 1973, 020+660 გვ.
16. პავლეს ენისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ ა. შანიძის რედაქციით. 1974. 032+525 გვ.
17. ი. იმნაიშვილი. სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი. 1975. 287 გვ.
18. ა. შანიძე. ძველი ქართული ენის გრამატიკა. 1976. 188 გვ.
19. კრებული. თბ., 1976. მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილს.
  - ა. შანიძე, თამარ მეფის ხელსაქმრის გამო (გვ. 7, 11).
  - ა. შანიძე, ბგერათა ცვლება ენის ისტორიული განვითარების პროცესში და ორთოგრაფია (გვ. 13—18).
  - ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. დაჩი. თითი (გვ. 19—23).
  - ზ. ჭუმბურიძე, -ავ და ამ თემის-ნიშნის ზმნათა უღლებისათვის I თურმეობითში (გვ. 25—37).
  - ლ. ბარამიძე, საწყისი ძველ ქართულში (გვ. 39—78).
  - ლ. ბარამიძე, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში (გვ. 79—95).
  - კ. დანელია, პავლეს ენისტოლეთა ქართული რედაქციები (გვ. 97—163).
  - კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში (გვ. 165—175).
  - რ. ენუქაშვილი, ხანმეტობა-პემეტობის საკითხისათვის ქართულში (გვ. 177—180).
  - მ. როგავა, თ. შეტრეველი, ახალი მასალები ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში (გვ. 181—188).
  - კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 189—221).
  - ა. შანიძე, იოანე ოქროპირის ქამისწირვის ძველი რედაქცია (გვ. 189—196).
  - ა. შანიძე, ღვთისმშობლის ზეცად ამალღებისათვის (197—200).
  - ი. იმნაიშვილი. „ცისკრის“ ენა (გვ. 201—221).
20. კრებული. თბ., 1977. მიეძღვნა აკაკი შანიძეს მისი დაბადების 90-ე წლისთავზე. 1977, 259 გვ.

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯანელიძე  
ტექნოდაქტორი ი. ხუციშვილი  
კორექტორი ნ. ცაგარეიშვილი

გადაეცა წარმოებას 24/1-77  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IV-77  
ქაღალდის ფორმატი 70×108/16  
ნაბეჭდი თაბახი 22,75  
საიდრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,51

შეგება 160 უე 06593 ტირაჟი 1000

ფასი 1 მან. 99 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.